პროფესიული
უნარების
საგენტო

მოქალაქეობა

სახელმძღვანელო მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მხარდაჭერით.

პროფესიული უნარების სააგენტოსა და გაეროს განვითარების პროგრამის საგრანტო პროექტის „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია, ფაზა - II" ფარგლებში.

წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს გაეროს განვითარების პროგრამის, შვეიცარიის განვითარებისა და თანაშრომლობის სააგენტოსა და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს თვალსაზრისს.

სახელმძღვანელო წარმოადგენს პროფესიული უნარების სააგენტოს საკუთრებას და განკუთვნილია პროფესიული განათლების სტუდენტებისთვის, რომლებიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაივლიან საშუალო განათლების კომპონენტსაც.

სახელმძღვანელოზე მუშაობდა ავტორთა ჯგუფი:

- **ნიკოლოზ სილაგაძე**
- **ნიკოლოზ ლოლაძე**
- **ნათია ნაცვლიშვილი**
- **მეგი ტალახაძე**

რედაქტორი: **ნათია ნაცვლიშვილი**

გრაფიკული დიზაინერი: **ირინა ქიტუაშვილი**

©ყველა უფლება დაცულია

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

პროფესიული უნარების სააგენტო

UNDP

საქართველო, თბილისი

სარჩევი

თემა

I.

მიგრაცია და სოციალური მობილობა 5

შესავალი 6

– სოციალიზაცია 8

– სოციალიზაციის აგენტები 8

– სოციალური მობილობა 11

თავი 1. ნარატივი - წყარო საზოგადოების შესასწავლად 14

– პროექტული / პრაქტიკული დავალება 17

თავი 2. სტატისტიკა - წყარო საზოგადოების შესასწავლად 18

– პროექტული / პრაქტიკული დავალება 20

საკვანძო ცნებები და შეკითხვები:

– მოსახლეობის სტრუქტურა 21

– მოსახლეობის დინამიკა (ბუნებრივი მოძრაობა) 23

– დემოგრაფიული გადასვლა 30

თავი 3. დემოგრაფიული პოლიტიკა / დემოგრაფიული პროცესების მართვა 35

–პროექტული / პრაქტიკული დავალება 39

II.

კეთილდღეობის ეკონომიკა 40

შესავალი 41

– თვითაქტუალიზაცია 42

– ეკონომიკა 44

– პროექტული / პრაქტიკული დავალება 48

– ეკონომიკური სისტემა 51

– სოციალური და კულტურული კაპიტალი 52

– ეკონომიკური პოლიტიკა 54

– პროექტული / პრაქტიკული დავალება 57

თავი 1. „საჩუქრების ეკონომიკა“ 60

– „გაზიარების კულტურა“ 60

– „ჰორიზონტალური სისტემა“ 64

– „ვერტიკალური სისტემა“ 67

თავი 2. „საბაზრო ეკონომიკა“ 68

– საწყისები 68

– რეფორმაცია 68

– ნაცია – სახელმწიფო 69

– მესამე წოდება 70

– მერკანტილისტები და ფიზიოკრატები 71

– გლობალური ეკონომიკის სტრუქტურა 74

– მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO) 75

– საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) 77

– მსოფლიო ბანკი 77

– ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OESD) 78

– „ დიდი შვიდიანი”; ყოფილი „დიდი რვიანი“ 80

– დიდი ოცეული G20 80

– ტრანსნაციონალური კომპანიები 81

– გლობალური ფინანსური ცენტრები 83

– *ეკონომიკური უთანასწორობა* 85
– *ეკონომიკური კრიზისები* 99

III.

მართვა და ლიდერობა 106
შესავალი 107
თავი 1. პოლიტიკა 109
– ზრუნვა 109
– ლეგიტიმაცია 113
– ლიდერობა 114
– სოციალური წესრიგი 115
– პროექტული / პრაქტიკული დავალება 117
თავი 2. პოლიტიკური კულტურა 118
– რა არის პოლიტიკური კულტურა 118
– პოლიტიკური კულტურის ტიპები 120
– პოლიტიკური კულტურის სტრუქტურა 121
– პროექტული / პრაქტიკული დავალება 122
თავი 3. პოლიტიკა და პოლიტიკური კულტურა - ჩვენი ცხოვრების ნაწილი 124
– შესავალი 124
– საჯარო სივრცეები 124
– **დანართი.** საჯარო სივრცეები ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე 127
– სოციალური ფენების რეპრეზენტაცია 132
– კულტურული მრავალფეროვნების მართვის მოდელები 136
– **დანართი.** მრავალფეროვნების მართვა და სოციალური რეპრეზენტაცია ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე 138
– პოლიტიკური ცენტრები, პოლიტიკური ელიტები, პოლიტიკური კონფლიქტები 143
– **დანართი.** პოლიტიკური ელიტები, პოლიტიკური ცენტრები და პოლიტიკური კონფლიქტები ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე: 146
– ძალაუფლების სიმბოლოები; მმართველობითი სტრუქტურები 159
– **დანართი.** ძალაუფლების სიმბოლოები და მმართველობითი ბერკეტები (ისტორიული მიმოხილვა) 162
– დასკვნა 166

IV.

კულტურა და გლობალიზაცია 167
შესავალი 168
თავი 1. იდენტობა, კულტურა, ისტორიული ეპოქა 169
– იდენტობა 169
– კულტურა 170
– ისტორიული ეპოქა 172
თავი 2. კულტურულ-მსოფლმხედველობრივი ტრანსფორმაცია 174
– დისკურსი 174
– ნარატივი 177
– კონსტრუქტი. „კულტურათა დიალოგი“ 179
– პროექტული / პრაქტიკული დავალება 186
თავი 3. პრემოდერნული, მოდერნული და პოსტმოდერნული კულტურა 187
– პარადიგმული ცვლილებები 187
– **დანართი.** მდგრადი განვითარება 212

მოქალაქეობა

I თემა

მიგრაცია და სოციალური მობილობა

შესავალი

- სოციალიზაცია
- სოციალიზაციის აგენტები
- სოციალური მობილობა

თავი 1. ნარატივი - წყარო საზოგადოების შესასწავლად

- პროექტული / პრაქტიკული დავალება

თავი 2. სტატისტიკური მონაცემები - წყარო საზოგადოების შესასწავლად

- პროექტული / პრაქტიკული დავალება

საკვანძო ცნებები და შეკითხვები:

- მოსახლეობის სტრუქტურა
- მოსახლეობის დინამიკა
- დემოგრაფიული გადასვლა

თავი 3. დემოგრაფიული პოლიტიკა; დემოგრაფიული პროცესების მართვა

- პროექტული / პრაქტიკული დავალება

შესავალი

„მე“, ჩვენ“, „სხვები“, „ისინი“ – ამ სიტყვებს ძირითადად მაშინ ვიყენებთ, როცა საკუთარ თავზე, სხვა ადამიანებსა და საზოგადოებრივ ჯგუფებზე ვსაუბრობთ. კერძოდ:

– **ვმსჯელობთ საკუთარ იდენტობაზე** – ვინ ვართ? ვისთან გვაქვს საერთო? ვისგან განვსხვავდებით? ვის, რას და რატომ ვემიჯნებით? რასთან მიკუთვნებულად ვგრძნობთ თავს?

– **აღვნიშნავთ / ვახასიათებთ საზოგადოებას**, რომლის წევრადაც საკუთარ თავს მოვიაზრებთ; ან რომლისგანაც გვინდა, თავი შორს გვეჭიროს.

– **განვიხილავთ მოვლენებს / პროცესებს,** რომლებიც ზეგავლენას ახდენს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებასა და საზოგადოების განვითარებაზე.

გიფიქრიათ თუ არა, რომ როგორც „ადამიანი“, ისე „საზოგადოება“ მეცნიერული შესწავლის საგანია. არსებობს კვლევის მეთოდები, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევს ადამიანის პიროვნულ განვითარებასა და საზოგადოებრივ/სოციალურ პროცესებზე სიღრმისეულად ვიმსჯელოთ, ზუსტად ისე, როგორც ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია გვიბიძგებს, ბუნებრივი მოვლენები მეცნიერულად შევისწავლოთ.

დავალება

რამდენად ხშირად იყენებთ ყოველდღიურ ცხოვრებაში სიტყვებს „მე“, „ჩვენ“, „სხვები“, ისინი“? გაიხსენეთ სამი შემთხვევა, როდესაც ეს სიტყვები გამოიყენეთ. დააკონკრეტეთ, ვის აღნიშნავდით ამ სიტყვებით. დაკვირვების შედეგები გაუზიარეთ თანაკლასელებს.

დავალება

უპასუხეთ ქვემოთ დასმულ შეკითხვებს:

გიფიქრიათ თუ არა, რომ:

- *საზოგადოება/საზოგადოებრივი ჯგუფები (მაგალითად, ოჯახი, სკოლა, სახელმწიფო), რომლის წევრადაც საკუთარ თავს მოვიაზრებთ, შესაძლოა **მეცნიერული შესწავლის საგანი** იყოს?*
- *საზოგადოება, როგორც მთლიანობა, დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად იცვლის სახეს? სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში **სხვადასხვა ტიპის საზოგადოება** არსებობდა?*
- *საზოგადოებრივი მეცნიერებების (მაგალითად, ანთროპოლოგია, სოციოლოგია, ისტორია, საზოგადოებრივი გეოგრაფია) განვითარებას **ქვეყნისთვის და მსოფლიოსთვის სარგებლის** მოტანა შეუძლია?*
- *საზოგადოების / საზოგადოებრივი მეცნიერებების შესახებ ცოდნის გაღრმავებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს თქვენს პიროვნულ განვითარებას, დაგეხმაროთ ყოველდღიური **ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრაში?***

კონფუცი – (ძვ.წ. 551 – 479) იყო ჩინელი ფილოსოფოსი. მან ჩამოაყალიბა ჩვენამდე შემორჩენილი უძველესი მოძღვრება საზოგადოების, ეთიკისა და ღირებულებების შესახებ. თავის მოძღვრებაში, რომელსაც კონფუციანელობის სახელით იხსენიებენ, ის კანონსა და ღვთისმოშიშობაზე მაღლა ეთიკის პრინციპებზე აკეთებდა; ასაბუთებდა, რომ ადამიანი ეთიკის / საზოგადოების პატივისცემის (და არა შიშის გამო) უნდა მოიქცეს კარგად/მორალურად.

პლატონი – (ძვ.წ. 427 – 347) იყო ძველი ბერძენი ფილოსოფოსი. მან დაწერა თხზულება ჩაძირულ ატლანტიდასთან დაკავშირებით. ეს არის ჩვენამდე მოღწეული უძველესი თხზულება, რომელიც წარმოაჩენს „იდეალურ სახელმწიფოს/საზოგადოებას“.



ემილ დიურკემი – (1858 – 1817) იყო ფრანგი მეცნიერი, რომელმაც „საზოგადოება“ კვლევის ობიექტად აქცია. მისი წყალობით, „სოციოლოგია“ დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად ჩამოაყალიბა.

სოციალიზაცია

საზოგადოების მეცნიერულად შესწავლის თვალსაზრისით, საკვანძო ცნებაა „სოციალიზაცია“. ამ სიტყვით მეცნიერები აღნიშნავენ ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების, მისი მხრიდან კონკრეტული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ცოდნის, ღირებულებებისა და ნორმების შეთვისების პროცესს.

III-IV კლასებში თქვენ უკვე ისწავლეთ საგანი „მე და საზოგადოება“; V-VI კლასებში – „ჩვენი საქართველო“, VII-IX კლასებში კი – „მოქალაქეობა“. შესაბამისად, უკვე იცით, რომ ადამიანს მხოლოდ საზოგადოების წიაღში/საზოგადოების წევრებთან კომუნიკაციის პირობებში შეუძლია არსებობა და განვითარება. იცით ისიც, რომ საზოგადოებაზე საუბრისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სიტყვებს:

- **„ჩვენ“** – ვის მოვიაზრებთ ამ სიტყვის ნაწილად;
- **„საერთო ინტერესსა“** და **„ღირებულებებს“** – რომლებიც საზოგადოების სხვა წევრებთან გვაერთიანებს;
- **„დაწერილ და დაუწერელ წესებს“, „ქცევის ნორმებს“**, რომლებიც ჩვენს საზოგადოებაშია მიღებული/დამკვიდრებული.

მთელი ცხოვრების განმავლობაში ჩვენ ვსწავლობთ ჩვენს გარემომცველ საზოგადოებას; ვეძებთ მასთან კომპრომისს; ვცდილობთ, ჩვენი ქცევა და გადაწყვეტილებები იმ ნორმებთან/ღირებულებებთან „დიალოგში“ ჩამოვაყალიბოთ, რომლებიც საზოგადოების წევრებისთვის მეტ-ნაკლებად მისაღებია.

დავალება

იმსჯელეთ, რას და რატომ ითვალისწინებთ საზოგადოების წევრებთან ურთიერთობის პროცესში

სოციალიზაციის აგენტები

თითოეული ჩვენგანი ძალიან ბევრი გაერთიანების/საზოგადოებრივი ჯგუფის წევრია, ნებაყოფლობით თუ არანებაყოფლობით. თითოეული ამ გაერთიანების მიმართ „ჩვენ“/“ჩვენი“ სიტყვების გამოიყენება შეგვიძლია. ამ საზოგადოებრივ ჯგუფებზე/ინსტიტუტებზე საუბარი ყოველდღიური ცხოვრების იმდენად განუყოფელი ნაწილია, რომ მასზე ყურადღებას არც კი ვამახვილებთ. მაგალითად, ყველა ჩვენგანის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს **ოჯახი და ნათესავები;** გარდა ამისა, ბევრი რამ გვაკავშირებს სხვადასხვა **ასაკობრივ გაერთიანებასთან** (სამეგობრო, სკოლა) და უფრო **მსხვილ სოციალურ გაერთიანებებთან** (მაგალითად, სახელმწიფოსთან); თუმცა, ყოველდღიურად შეიძლება ყურადღება არც მივაქციოთ, თუ რამხელა როლს თამაშობენ ეს გაერთიანებები ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენი პიროვნული განვითარების პროცესში. მათ ხშირად **„სოციალიზაციის აგენტებსაც"** კი უწოდებენ, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ სწორედ მათი საშუალებით ვითავისებთ სოციალურ ნორმებს და ვმონაწილეობთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გთავაზობთ „სოციალიზაციის აგენტი“ ინსტიტუტების ჩამონათვალს. აქ მოცემული ცნებები უცხო არავისთვისაა,

თუმცა შეიძლება სიახლე იყოს იმაზე ყურადღების გამახვილება, რომ მათი ფორმები და ჩამონათვალიც კი განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა ტიპის საზოგადოებასთან გვაქვს საქმე.

სავარაუდოდ, როცა ადამიანმა სიმბოლური აზროვნება და მეტყველება ისწავლა, მაშინვე სახელი დაარქვა არა მხოლოდ გარშემო არსებულ ნივთებს, ცხოველებსა და ფრინველებს, არამედ საზოგადოებრივ ფენომენებსაც (ძმა, დედა, მტერი, ახალგაზრდა, ხანდაზმული და სხვ.), რომლებიც მის ცხოვრებას ასე ძლიერ განსაზღვრავდა.

სოციალიზაციის აგენტები	
არანებაყოფლობითი გაერთიანებები	
ოჯახი	
სანათესავო სისტემა	
ასაკობრივი გაერთიანებები	
გაერთიანებები ერთი სქესის ადამიანებისთვის	
ნებაყოფლობითი გაერთიანებები	
სამხედრო გაერთიანებები	
რეგიონული გაერთიანებები	
ეთნიკური ასოციაციები	
როტაციული და საკრედიტო გაერთიანებები	
მულტიეთნიკური გაერთიანებები და ინტერესთა ჯგუფები	

დავალება

აღწერე, ცხრილში მოცემულ სოციალიზაციის რომელ აგენტებს აქვს ყველაზე მეტი მნიშვნელობა შენს ცხოვრებაში.

ოჯახი - დღეს ოჯახი უდავოდ არის სოციალიზაციის მთავარი აგენტი; თითოეული ჩვენგანი იბადება და იზრდება ოჯახში. ოჯახის წევრები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ ჩვენს ცხოვრებაში პრაქტიკულად მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

<u>გამოთქვით ვარაუდები</u> – *ასე იყო თუ არა ყოველთვის? ჰქონდა თუ არა ოჯახს ასეთივე როლი ყველა ისტორიულ პერიოდში?*

სანათესავო - ოჯახთან მჭიდროდ ასოცირებული სოციალიზაციის აგენტია ნათესაობა. ყველა ჩვენგანს ჰყავს ნათესავები როგორც დედის, ისე მამის მხრიდან (დეიდები, ბიძები, ბიძაშვილები და ა.შ.), რომლებთანაც შეიძლება ყოველდღიურ კავშირს ვერ ვინარჩუნებდეთ, მაგრამ ვხვდებით მათ გარკვეული პერიოდულობით (დღესასწაულებზე, დაბადების დღეებზე და ა.შ.) და, პრაქტიკულად, ყველაფერი ვიცით მათი ცხოვრების საკვანძო მომენტების შესახებ; ვმსჯელობთ საერთო პრო-

ბლემებსა და მოგონებებზე; ვასხვავებთ ერთმანეთისგან ახლო და შორეულ ნათესავებს.

<u>გამოთქვით ვარაუდები</u> – *ასეთივე იყო თუ არა სანათესავოს როლი და შემადგენლობა ყველა ისტორიულ პერიოდში?*

ასაკობრივი გაერთიანებები - დღეს ყოველდღიურად ვიყენებთ ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა „ბავშვი“, „ბავშვობა“, „მოზარდი“, „ახალგაზრდა“, „ზრდასრული“, „მოხუცი“, „მოხუცებულობა“. გვაქვს სხვადასხვა ტიპის დამოკიდებულება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ადამიანების მიმართ. ფორმალური (მაგალითად, ბაღი, სკოლა) და არაფორმალური (მაგალითად, მეგობრობა) კავშირებით ვართ დაკავშირებული ყველა თანატოლთან. ასეთი ტიპის ასაკობრივი გაერთიანებები დღეს „სოციალიზაციის მნიშვნელოვანი აგენტის“ როლს თამაშობენ, ვინაიდან მათთან მიკუთვნებულობის განსაკუთრებული განცდა გვაქვს.

ცალკე საუბრის თემაა ის, რომ მტკივნეული პროცესია ერთი ასაკობრივი ჯგუფიდან მეორეში გადასვლა. მეცნიერები მას განსაკუთრებული ყურადღებით სწავლობენ, მაგალითად, ზრდასრულობის ასაკში გადასვლის პროცესს აღნიშნავენ ტერმინით **„ინიციაცია“**. ის ჩვენს საზოგადოებაში (გარკვეული პირობითობით) სკოლის დასრულებასთან შეიძლება გავაიგივოთ. ამ ტიპის „რიტუალების“ არსებობა კიდევ უფრო მეტად გამოკვეთს ასაკობრივი გაერთიანებების, როგორც „სოციალიზაციის აგენტის“ დიდ მნიშვნელობას.

<u>გამოთქვით ვარაუდები</u> – *თამაშობდა თუ არა ასაკობრივი გაერთიანებები ასეთ მნიშვნელოვან როლს თითოეულ ისტორიულ პერიოდში?*

გაერთიანებები ერთი სქესის მიხედვით – გარდა ასაკობრივი კატეგორიებისა, ჩვენ ხშირად ვერთიანდებით ჯგუფებში, რომლებშიც მხოლოდ ჩვენი სქესის ადამიანები შედიან და მხოლოდ მათთვის საინტერესო საკითხებს განიხილავენ. ამ გაერთიანებას მოვიხსენიებთ „ბიჭების“, „გოგოების“, „ქალებისა“ და „კაცების“ სახელით. ამ ტიპის დაყოფა უდავოდ დიდ გავლენას ახდენს ჩვენი სოციალიზაციის პროცესზე, ვინაიდან ამ ნიშნით განსხვავება ხშირად ძალიან მკვეთრად განსაზღვრავს ჰობისა და საუბრის დღის წესრიგს.

<u>გამოთქვით ვარაუდები</u> – *ასე იყო თუ არა ყოველთვის? თამაშობდა თუ არა ერთი სქესის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული გაერთიანებები ასევე მნიშვნელოვან როლს ყველა ისტორიულ პერიოდში?*

სამხედრო გაერთიანებები - ბევრ თანამედროვე საზოგადოებაში სამხედრო გაერთიანებების წევრობა ნაკლებად შეიძლება ჩაითვალოს „სოციალიზაციის“ სრულფასოვან აგენტად, ვინაიდან მას ყველა ჩვენგანის ცხოვრებაში ერთნაირი ადგილი არ უჭირავს; თუმცა, ჩვენ გარშემო ცხოვრობენ ადამიანები (მამა, ბაბუა და სხვ.), რომლებისთვისაც სამხედრო სამსახური იყო სავალდებულო; უფრო ძველ ისტორიულ პერიოდებში კი ძალიან იოლად ვიპოვით მაგალითებს (მაგალითად, რაინდები შუა საუკუნეებში), როცა ამ ტიპის გაერთიანებებში ადამიანების ჩართულობა გადამწყვეტი იყო სოციალიზაციის პროცესში. გამომდინარე აქედან, სამხედრო/საბრძოლო გაერთიანებები უდავოდ უნდა მივაკუთვნოთ სოციალიზაციის აგენტების რიცხვს.

რეგიონული გაერთიანებები და ეთნიკური ასოციაციები - იმ რაიონთან, ქვეყანასთან და რეგიონთან (მაგალითად, კავკასიასთან) მიკუთვნებულობის განცდა, სადაც დავიბადეთ და გავიზარდეთ, ხშირად ხდება ფაქტორი „სოციალიზაციის“ პროცესში“. ეს ყველაზე მეტად იგრძნობა დიდ ქალაქებში, სადაც ერთ რაიონთან, ქვეყანასთან, რეგიონთან დაკავშირებული ადამიანები, როგორც წესი, იოლად პოულობენ საერთო ენას. რეგიონული კავშირები ხშირად სათვისტომოების, „რეგიონული ასოციაციების“ სახესაც იღებს.

<u>გამოთქვით ვარაუდები</u> – *არსებობდა თუ არა / როგორი ფორმით არსებობდა რეგიონული გაერთიანებები სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში?*

როტაციული და საკრედიტო გაერთიანებები - საქართველოს ეთნოგრაფია იცნობს თანამშრომლობის ისეთ ფორმებს, როგორებიცაა „ნადი“ და „მოდგამი“. ესენია ძირითადად რეგიონებში გავრცელებული ტრადიციები, რომლებიც საზოგადოების წევრების მხრიდან ერთმანეთზე

ზრუნვასა და ერთგვარი სოციალური გარანტიების ჩამოყალიბებას უწყობენ ხელს. ასეთი ტიპის გაერთიანებებს, პირობითად, როტაციულ და საკრედიტო გაერთიანებებს უწოდებენ.

<u>გამოთქვით ვარაუდები</u> – *იყო თუ არა ასე ყოველთვის? რა როლს თამაშობდა როტაციული და საკრედიტო გაერთიანებები სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში?*

იდეური გაერთიანებები / ინტერესთა ჯგუფები – ასევე, სოციალიზაციის მნიშვნელოვან აგენტებს წარმოადგენენ იდეური გაერთიანებები / ინტერესთა ჯგუფები და რაიმეს მიმართ ჩვენი მიკუთვნებულობა გარკვეული იდეური ნიშნით. ასეთი გაერთიანებების რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ **პროფესიული კავშირები, სპორტული და გასართობი კლუბები, ფან კლუბები, პროფესიული გაერთიანებები (მუსიკა, თეატრი, მეცნიერება). გაერთიანება/კლუბი** შეიძლება ვუწოდოთ ადამიანთა ჯგუფს, რომლის წევრებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არ არიან არც ნათესაობით, არც ტერიტორიული ნიშნით (ანუ არ მოქმედებდნენ სამეზობლო თემის ინტერესებით). ასეთ ჯგუფებს ოთხი რამ აერთიანებს:

- ფორმალური ინსტიტუციური სტრუქტურა;
- ჯგუფის წევრების მკაცრი სელექცია;
- წევრთა საერთო ინტერესები და მიზნები;
- წევრთა შესამჩნევი სიამაყე, ანუ გაერთიანებისადმი მყარი მიკუთვნებულობის განცდა.

<u>გამოთქვით ვარაუდები</u> – *თანამედროვე ეტაპზე მათი მნიშვნელობა საკამათო არ არის, მაგრამ როგორ იყო ეს გამოცდილება სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში?*

დავალება

შეაჯერეთ თქვენ მიერ გამოთქმული ვარაუდები. ვარაუდების საფუძველზე, შეეცადეთ, თანამედროვეობა შეადაროთ წარსულის რომელიმე პერიოდს - „პირველყოფილ საზოგადოებას“, „შუა საუკუნეებს“ ან „საბჭოთა პერიოდს“.

პირველყოფილი საზოგადოება

შუა საუკუნეები

სოციალური მობილობა

ზემოთ ჩამოთვლილი „სოციალიზაციის აგენტების“ მოზაიკა ისტორიული ეპოქების მიხედვით ძალიან განსხვავდებოდა. ეს განსხვავებები უშუალოდ აისახებოდა საზოგადოების ბუნებასა და ხასიათზე. საზოგადოების ბუნებასა და ხასიათს ასევე განსაზღვრავს სოციალური ფენები და კლასები.

კლასს/სოციალურ ფენას, როგორც წესი, უწოდებენ ადამიანთა მსხვილ გაერთიანებას, რომლებიც საზოგადოების სხვა წევრებისგან განსხვავდებიან საკუთარი ადგილით/როლით/ფუნქციით საზოგადოებაში.

კლასები და სოციალური ფენები ქმნიან „სოციალურ სივრცეებს“, რომლებშიც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში მოძრაობს. ისეთი სიტყვები, როგორებიცაა „წინსვლა“, „უკუსვლა“, „ტრანსფორმაცია“, „გარემოს შეცვლა“, როგორც წესი, სოციალური მობილობის პროცესს აღნიშნავს.

სოციალური მობილობა

ისტორიის კურსიდან თქვენ გახსოვთ სპარტის საზოგადოება, სადაც ცალკე კლასად გამოყოფილი სპარტელი მეომრები უმოწყალოდ ექცეოდნენ არკადიელ და მესენიელ ჰილოტებს.

სპარტელები

გახსოვთ შუა საუკუნეების ევროპის სამწევროვანი საზოგადოება, სადაც სასულიერო პირები ლოცულობდნენ, მეომრები იბრძოდნენ, მწარმოებლები, ე.წ. „მესამე წოდება“ კი ქმნიდა დოვლათს.

შუა საუკუნეების ევროპა

იცით ინდური ვარნების (ბრაჰმანების, ქშათრიების, ვაიაშების, შუდრების) და ჯათების შესახებ, რომლებიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ ადამიანის ცხოვრებას.

ინდური კასტები

გახსოვთ „საფრანგეთის რევოლუცია“, რომელიც, პრაქტიკულად, „მესამე წოდების“ რევანშს წარმოადგენდა პირველი და მეორე წოდების - სამღვდელოებისა და არისტოკრატიის წინააღმდეგ.

საფრანგეთის რევოლუცია

სიტყვები „კლასი“, „კასტა“, „წოდება“, „სოციალური ფენა“, გარკვეული პირობითობით, სინონიმებადაც შეგვიძლია ჩავთვალოთ. სოციალური ფენები ზოგიერთ საზოგადოებაში „ღია სისტემას“ ქმნიან (ასეთ საზოგადოებებში ადამიანები იოლად გადადიან ერთი სოციალური ფენიდან მეორეში), ზოგან კი - „დახურულს“ (ასეთ საზოგადოებებში ადამიანები უფრო რთულად გადადიან ერთი კლასიდან მეორეში). ხშირად სოციალური ფენების შიგნითაც ხდება ადამიანების კიდევ უფრო წვრილ ჯგუფებად დაყოფა.

ქვემოთ ჩამოთვლილია ფაქტორები, რომლებზე დაფუძნებითაც ამა თუ იმ კლასის / სოციალური ფენის წარმომადგენლები საზოგადოების სხვა წევრებს შეიძლება ემიჯნებოდნენ:

- მეტყველების მანერა;
- გემოვნება და ცხოვრების წესი (ავეჯისა და სამოსის სტილი, საკვები, საცხოვრებლის დაგეგმარება);
- თავისუფალი დროის გატარების გზები;
- საყვარელი მუსიკა, მწერლები;
- საქმიანობის სფერო (საზოგადოებრივი აქტივობები (რა ტიპის სოციალურ აქტივობებში ერთვება რეგულარულად, ან არ ერთვება საერთოდ));
- გარემოცა (როგორი ადამიანების გარემოცვაში ტრიალებს);
- თანამდებობა / ოფიციალური სტატუსი;
- სასურველი სამუშაო / ეკონომიკური დოვლათის დაგროვების გზები;
- ეკონომიკური შესაძლებლობები;
- რელიგიური კუთვნილება;
- შეხედულებები საზოგადოებისთვის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით;
- ცოდნა *(რა იცის, რა არ იცის)*;
- ფიზიკური მახასიათებლები.

თავი 1. ● ნარატივი - წყარო საზოგადოების შესასწავლად

როგორ შეიძლება შევისწავლოთ ჩვენთვის საინტერესო „საზოგადოება“? გიფიქრიათ თუ არა, რომ ამაში ადამიანების მიერ მოყოლილი ცხოვრებისეული ამბები/თავგადასავლები შეიძლება დაგვეხმაროს?

განვიხილოთ პოეტ დიანა ანფიმიადის ისტორია. დავაკვირდეთ - რა ინფორმაციას გვაწვდის ის საზოგადოებაზე, რომლის წევრადაც საკუთარ თავს მოიაზრებს? ბმული

დიანა ანფიმიადი თანამედროვე ქართული პოეზიის გამორჩეული ავტორია, დედით ქართველი, მამით კი იმ ბერძენთა შთამომავალი, რომლებიც მე-19 საუკუნეში ოსმალეთის იმპერიიდან გამოდევნეს. მაშინ სამშობლოდან გამოსახლებულმა ბერძნებმა საქართველოს რამდენიმე რეგიონს შეაფარეს თავი, მათ შორის, დიანას სოფელსაც - გორას. დიანას ლექსებში ადვილად ამოიცნობთ ძველი სამშობლოდან გამოყოლილ შინაარსს - ბერძნულ აქცენტებს, ალუზიებს, თუმცა ეს არაა ერთადერთი რამ, სადაც მისი ოჯახისა თუ წინაპრების ისტორია იგრძნობა. როგორც თავად ამბობს, თან სდევს კიდევ უცნაური მეხსიერებაც.

ვიდეორგოლში წარმოჩენილი საზოგადოების დახასიათება შესაძლებელია სამ ძირითად ცნებაზე **„სივრცე“, „დრო“, „მოძრაობა (მობილობა, განვითარება)“** დაფუძნებით, შემდეგ საკვანძო შეკითხვებზე ორიენტირებით:

1. რა **სივრცეებში** უწევთ ადამიანებს მოძრაობა **(მობილობა, განვითარება)?**
2. რასთან ასოცირდება **დროის** მსვლელობა / მდინარება? რა ტიპის მოვლენებისა და პროცესების თანმიმდევრობას წარმოადგენს მათი ცხოვრება?
3. როგორ განსაზღვრავენ ადამიანები საკუთარ ადგილს დროსა და სივრცეში? რომელ სოციალურ ფენას მიაკუთვნებენ თავს? სოციალიზაციის რომელ აგენტებს ანიჭებენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას - როგორია მათი პასუხი შეკითხვაზე - **ვინ ვარ მე?**

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვწეროთ **სივრცეები,** რომელთაც დიანა ახსენებს. სივრცეებში იგულისხმება არამხოლოდ გეოგრაფიული პუნქტები, არამედ საზოგადოებრივი/სოციალური გარემო (სოციალიზაციის აგენტები, სოციალური ფენები, საზოგადოებრივი ჯგუფები). მნიშვნელოვანია, ასევე, მთხრობლის ემოციები, რომლებიც ამ სივრცეებს უკავშირდება და ადამიანების მობილობა ერთი სივრციდან მეორეში.

- ვიდეორგოლში დიანა ახსენებს <u>კონკრეტულ გეოგრაფიულ პუნქტებს</u> - დმანისი, სოფელი გორა, სხვა ბერძნული სოფლები (სახელდების გარეშე), ლაგოდეხი, იმერეთი, საქართველო, თბილისი, ტრაპიზონი, საბერძნეთი - ამით ავტორი ქმნის იმ „სამყაროს რუკას“, რომელთანაც მას ყველაზე მეტად გააჩნია ემოციური კავშირი;
- ასევე, დიანა <u>საუბრობს ნახევრადმითოლოგიურ გარემოზე, მის ისტორიულ სამშობლოზე</u> - „ბავშვობაში მეგონა, რომ აი, ის დმანისის ჩემი სოფელი იყო საბერძნეთი. შემდეგ... როცა ბერძნული მითოლოგია წავიკითხე... შემდეგ პირიქით მეგონა, რომ ის ბერძენი ვიყავი ზუსტად“, - ამბობს ავტორი. გადმოგვცემს ისტორიებს, რომელთა რეალურობასაც თავადაც ეჭვქვეშ აყენებს, მაგალითად, გადმოცემა

ტრაპიზონის წმინდა დიმიტრის სახელობის ტაძრის წინამძღვარ დიმიტრისა და მისი შვილების შესახებ. ამ ისტორიაში მოხსენიებული პუნქტები - „ძველი საბერძნეთი“ და „წმინდა დიმიტრის სახელობის ტაძარი“ ნახევრადმითოლოგიურია, მაგრამ ავტორს მაინც აქვს მათთან ხელშესახები ემოციური კავშირი;

- წარმოაჩენს სოციალურ/საზოგადოებრივ გარემოს, სადაც გაიზარდა; სადაც ამჯერად ცხოვრობს. ვიდეორგოლში ჩანს ერთგვარი იერარქია სივრცეებს შორის, რაც მიგრაციისა და სოციალური მობილობის საფუძველი ხდება. კერძოდ, თვალშისაცემია, რომ დმანისი პერიფერიად არის ქცეული და მოსახლეობისგან იცლება. ადამიანის პიროვნული განვითარების ლოგიკა მოითხოვს მობილობას სივრცეებში, რომლებიც თვითრეალიზების მეტ პერსპექტივას იძლევა. ამიტომ სოფელში ძალიან ცოტა ხალხი ცხოვრობს. თავად დიანაც არ ცხოვრობს იქ. თბილისში ცხოვრობს, მისი და კი - საბერძნეთში. მიუხედავად ამისა, დმანისი მაინც დიდ სიმბოლურ დატვირთვას ატარებს. „ცენტრი მაინც ეს დარჩა, არ გადაინაცვლა საბერძნეთში“, - ამბობს დიანა. ანუ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ადამიანი დედაქალაქში ან ისტორიულ სამშობლოში გადასახლდა, დმანისელი ბერძნებისთვის მაინც დმანისი რჩება სამშობლოდ. ამის გამო მოხუცები ფიქრობენ, რომ აქ, საკმაოდ რთულ პირობებში გაატარონ ცხოვრების უკანასკნელი წლები. ნახსენებია ასევე მიცვალებულთა ცხედრების ჩამოსვენების შემთხვევებიც. „ესეც არის ერთგვარი მითოლოგია... საწყის წერტილთან დაბრუნდე ბოლოს“, - აღნიშნავს მთხრობელი.

ეს საინტერესოა!





„მენტალური რუკა“ - რუკა ჩვენს გონებაში ობიექტურ ინფორმაციასთან ასოცირდება, თუმცა ეს შეხედულება ბოლომდე მართებული არ არის. ძალიან ხშირად რუკა მისი შემქმნელის სუბიექტურ დამოკიდებულებებს წარმოაჩენს. მაგალითად, შუა საუკუნეებში ევროპაში იქმნებოდა რუკები, სადაც სამყაროს ცენტრად ჩანდა იერუსალიმი; ჩინეთში კი იქმნებოდა რუკები, სადაც დასავლეთით მდებარე ქვეყნებისთვის არაპროპორციულად მცირე ტერიტორია იყო მიკუთვნებული. სუბიექტურობისგან არც თანამედროვე რუკებია დაზღვეული. დღეს პრაქტიკულად ყველა რუკაზე განვითარებული ქვეყნები „მაღლა“ /ჩრდილოეთით არის მოქცეული, განვითარებადი კი - „დაბლა“ / სამხრეთით (მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო რუკა სხვა სტილშიც შეიძლებოდა აგვეწყო).

- სუბიექტურობას მხოლოდ გეოგრაფები არ იჩენენ. თითოეულ ჩვენგანს გონებაში აქვს საკუთარი ორიგინალური „მენტალური რუკა“, რომელიც კიდევ უფრო სუბიექტურად „აღწერს“ ჩვენ გარეშემო არსებულ გეოგრაფიულ და სოციალურ გარემოს და აქ დამკვიდრებულ ურთიერთმიმართებებს. ამ ტიპის

სუბიექტურ ახსნებს ჩვენ ყოველდღიურად ვავლენთ საუბრებსა და ქცევაში. ადამიანის „მენტალური რუკის“ შესწავლას თანამედროვე მეცნიერები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

სივრცესთან და მობილობასთან ერთად, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს „დროზე“, ანუ რა ტიპის მოვლენების თანმიმდევრობა ქმნის დროის მდინარებას. დროის მნიშვნელობა არ დაიყვანება კალენდრამდე და საათის ცნობამდე. როდესაც განვლილ დროს ვახსენებთ, უპირველეს ყოვლისა, გვახსენდება წარსულში მომხდარი მოვლენებისა და პროცესების თანმიმდევრობა. მაგალითად, როდესაც ვამბობთ ფრაზებს: **„დიდი ხნის წინ იყო“, „გადახედე შენს ცხოვრებას“**, უპირველესად, წარმოვიდგენთ არა კონკრეტულ თარიღებს, არამედ მოვლენებს, რომლებიც თავს გადაგვხდა, რომელთა შესახებაც გვსმენია. ამ მოვლენების ხასიათი კარგად წარმოაჩენს იმ საზოგადოების ბუნებას, რომელსაც საკუთარ თავს მივაკუთვნებთ.

- ვიდეორგოლში ჩანს შემდეგი ისტორიული მოვლენების თანმიმდევრობა: ა) როგორ ჩამოვიდნენ ბერძნები დმანისში; ბ) როგორ დაიწყო დმანისიდან მოსახლეობის გადინება რთულ (1990-იან წლებში). „დღეს, სამწუხაროდ, თითქმის ყველა სოფელი დაცლილია“, - დანანებით აღნიშნავს მთხრობელი; გ) ნოსტალგიით გამოწვეულ რა პროცესებს აქვს ადგილი თანამედროვე ეტაპზე (სტუმრების ჩამოსვლა დმანისში მარიამობის დღესასწაულზე, ცხედრების ჩამოსვენება). მოვლენების ცალკე ჯგუფს ქმნის თავად დიანასა და მისი ოჯახის ისტორია.

რამდენად გამოკვეთს ვიდეორგოლის სახით წარმოდგენილი ნარატივი მთხრობლის <u>იდენტობას - პასუხს შეკითხვაზე „ვინ ვარ მე?“:</u>

- „მე პონტოელი ბერძენი ვარ. სამშობლოდან, შავიზღვისპირა ქალაქიდან საუკუნეების წინ გამოდევნილი“, - აცხადებს დიანა. ვიდეორგოლში კარგად ჩანს, <u>რამდენად კომპლექსური ცნებაა მთხრობლისთვის სამშობლო</u>; როგორ თანდათანობით ხდება მოზარდის გონებაში მისი კონსტრუირება: *„ბავშვობაში მეგონა, რომ აი, ის, დმანისის ჩემი სოფელი იყო საბერძნეთი. შემდეგ... როცა ბერძნული მითოლოგია წავიკითხე (ძალიან მიყვარდა ძველი ბერძნული მითოლოგია და ლიტერატურა), შემდეგ პირიქით მეგონა, რომ ის ბერძენი ვიყავი ზუსტად; და შემდეგ იყო, როცა ეს ყველაფერი ერთად აკუმულირდა და მივხვდი, ვინ ვარ და რა ვარ, რომელი ბერძენი ვარ“.* ვიდეორგოლში ხშირად ქართველები და ბერძნები „და“ კავშირით არიან გამოყოფილი. ეს საქართველოს წარმოაჩენს ეთნიკურად მრავალფეროვან ქვეყნად, სადაც სხვადასხვა წარმოშობის ადამიანები საუბრობენ ქართულად, არიან ქვეყნის მოქალაქეები, ქმნიან ერთიან ეროვნულ კულტურას, თუმცა ინარჩუნებენ ნაციონალურ თავისებურებებსაც (ენა, ტრადიციები - სოფელ გორის მცხოვრებლები ქართულადაც და ბერძნულადაც საუბრობენ). ვიდეორგოლში ასეთ სახელდებასაც ვხვდებით - „საქართველო მულტიეთნიკური ქვეყანა“;
- საინტერესოა, რომ ვიდეორგოლში ხშირად <u>ერთმანეთისგან არის გამიჯნული თანამედროვე და ძველი ბერძნები</u>. ხაზგასმულია, ასევე, დიალექტი, რომელიც ძალიან განსხვავდება ახალი ბერძნულისგან და უფრო ძველ ბერძნულს ჰგავს. ამით თითქოს მინიშნება ხდება იმაზე, რომ დმანისელი ბერძნები მეტად ინარჩუნებდნენ ძველ ტრადიციებს. ვიდეორგოლში ჩანს, ასევე, ორიგინალური ბერძნული კულტურის ელემენტების გამოკვეთის მცდელობა. კერძოდ, ცალკე პასაჟი ეძღვნება ფორთოხალსა და ბერძნულ (ფორთოხლის) ნამცხვარს.

ზემოთ ჩამოყალიბებულ იქნა კვლევის მეთოდი, რომელიც კონკრეტული ადამიანის ნარატივზე დაფუძნებით საზოგადოების შესწავლის შესაძლებლობას იძლევა. კვლევის მეთოდი სხვა არაფერია, თუ არა პასუხი შეკითხვაზე - როგორ ვაჯგუფებ და ვაანალიზებ მასალას? კონკრეტული ისტორიის მოსმენა და აქ წარმოდგენილი ინფორმაციის ამ შეკითხვების საფუძველზე განხილვა შესაძლებელია, კარგი საშუალება იყოს ნებისმიერი საზოგადოების შესასწავლად.

პროექტული / პრაქტიკული დავალება

გაეცანთ ვიდეორგოლს. ბმული გააანალიზეთ მისი შინაარსი ისეთივე პრინციპით, როგორც ეს ზემოთ დიანას ისტორიის შემთხვევაში იყო გაკეთებული. ნარატივის ანალიზისთვის გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი:

საკვანძო შეკითხვები	დასკვნები
რა **სივრცეებში** უწევთ ადამიანებს **მოძრაობა (მობილობა, განვითარება)?**	
რასთან ასოცირდება **დროის** მსვლელობა / მდინარება? რა ტიპის მოვლენებისა და პროცესების თანმიმდევრობას წარმოადგენს მათი ცხოვრება?	
როგორ განსაზღვრავენ ადამიანები საკუთარ ადგილს დროსა და სივრცეში? რომელ სოციალურ ფენას მიაკუთვნებენ თავს? სოციალიზაციის რომელ აგენტებს ანიჭებენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას - როგორია მათი პასუხი შეკითხვაზე - **ვინ ვარ მე?**	

ნაშრომში / ნაშრომის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ:

– *ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავს მთავარი პერსონაჟის / პერსონაჟების იდენტობის ფორმირებას* ***(სამიზნე ცნება - „საზოგადოება“ „საზოგადოებრივი მოვლენა / პროცესი)***

თავი 2. სტატისტიკა - წყარო საზოგადოების შესასწავლად

ამა თუ იმ საზოგადოების შესახებ შესაძლოა ბევრი რამ გვითხრას სტატისტიკამ / სტატისტიკურმა მონაცემებმა ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რასაც, როგორც წესი, შეიძლება განსაკუთრებულ ყურადღებას არ ვაქცევთ. მაგალითად, ჩვენს საზოგადოებაში:

- როგორია კაცებისა და ქალების თანაფარდობა;
- როგორია სხვადასხვა ასაკის ადამიანების თანაფარდობა;
- როგორია სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა;
- რამდენ ადამიანს აქვს უმაღლესი განათლება;
- რამდენი ადამიანია დასაქმებული; რა ტიპის სამსახურში მუშაობენ ისინი;
- როგორია ქალაქსა და სოფელში მცხოვრები ადამიანების თანაფარდობა;
- როგორია სხვადასხვა რელიგიის მიმდევარი ადამიანების თანაფარდობა;
- როგორია სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანების თანაფარდობა;
- როგორია სხვადასხვა ეროვნების ადამიანების თანაფარდობა;
- რამდენად ხშირად იცვლიან ადამიანები საცხოვრებელ ადგილს; რა არის საცხოვრებელი ადგილის შეცვლის ტიპური მიზეზი და სხვა.

დღეს ჩვენ ძირითადად ვცხოვრობთ მცირერიცხოვან ოჯახებად (უმეტესწილად - დედა, მამა, შვილები), ან სხვებისგან განცალკევებით; გვაქვს გარკვეული, თუმცა, არც ძალიან ხშირი, კომუნიკაცია მეზობლებთან და ნათესავებთან (იშვიათად ვხვდებით ვითარებას, როცა ახლო ნათესავები ჩვენს მეზობლად ცხოვრობენ). დიდ დროს ვატარებთ სამსახურში და მეგობრების გარემოცვაში. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ცხოვრობს საშუალო და დიდ ქალაქებში.

ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა, დაახლოებით, 72 წელია. ყველა ოჯახში, საშუალოდ, 2 ბავშვი იზრდება, რომლის აღზრდაშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საჯარო სტრუქტურები - საბავშვო ბაღი, სკოლა და სხვ.

დღევანდელობისთვის ტიპურია ვითარება, როცა ყოველდღიურ ცხოვრებაში რამდენიმე თაობის წარმომადგენელი (ბებია-ბაბუები, მათი შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები) ხვდებიან ერთმანეთს. მოხუცები იღებენ პენსიას და სარგებლობენ მზრუნველობით არამხოლოდ ახლობლების, არამედ სახელმწიფოს მხრიდანაც.

ტიპურია ისიც, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად ვხვდებით სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს, სხვადასხვა ენაზე მოსაუბრეებსა და განსხვავებული რელიგიის მიმდევრებს.

ზოგადად, სახელმწიფო ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მისი არსებობა განაპირობებს იმას, რომ გვაქვს მოქალაქის სტატუსი, ვიხდით გადასახადებს; ჩვენთვის ხელმისაწვდომია ინსტიტუციების სერვისები, რომლებიც ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრაში გვეხმარება.

მაღალია საინფორმაციო კავშირების სიხშირე. დღის განმავლობაში ვიღებთ უამრავ ინფორმაციას (პრესის, ტელევიზიის, სოციალური მედიისა და სხვა საშუალებებით) უამრავ საკითხთან დაკავშირებით, ეხება ეს უშუალოდ ჩვენს ქვეყანას თუ მსოფლიოს სხვადასხვა მხარეს. როგორც გადაადგილების, ისე ინფორმაციის დამუშავების პროცესში, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ტექნოლოგიები.

ცალკე შეიძლება საუბარი იმაზე, რომ დღეს ჩვენი ცხოვრება საკმაოდ მობილურია. გადავადგილდებით, მაგალითად, მოგზაურობის მიზნით, ან სამსახურებრივი საჭიროების გამო; ხშირად ვიცვლით სოციალურ გარემოს, მაგალითად, სამსახურს, საქმიანობისა და ინტერესის სფეროს, ცხოვრების სტილს. ცხოვრება ძალიან დინამიკურია. სიტყვები „წინსვლა“ და „უკუსვლა“, „დაწინაურება“ და „დაქვეითება“ ყოველდღიური ლექსიკის / ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

დავალება

აღწერეთ თქვენი ცხოვრების ერთი დღე. იმსჯელეთ, რამდენად მიესადაგება მას ყოველდღიური ცხოვრების ზემოთ მოცემული აღწერილობა.

- გიფიქრიათ თუ არა, რომ საზოგადოების ზემოაღწერილი კონტურები / ყოველდღიური ცხოვრების ამგვარი სურათი / მოსახლეობის ასეთი სტრუქტურა ტიპური არ არის სხვა ქვეყნებისა და სხვა ისტორიული პერიოდების საზოგადოებისთვის ?
- გამოთქვით ვარაუდები - რა და როგორ შეიძლება შეიცვალოს ჩვენს ცხოვრებაში, თუ შეიცვლება მოსახლეობის სტრუქტურა და საზოგადოების ცხოვრების წესი, თუკი:

ა) *მოსახლეობის უმეტესი ნაწილი გადაინაცვლებს ქალაქიდან სოფელში;*

ბ) *პროცენტულად ძალიან მოიმატებს ახალგაზრდების წილი;*

გ) *პროცენტულად ძალიან მოიმატებს ხანდაზმული ადამიანების წილი;*

დ) *ადამიანების უმეტესობა იძულებული იქნება, მთელი ცხოვრების განმავლობაში ერთსა და* იმავე საქმიანობას მისდიოს;

ე) ვიცხოვრებთ ე.წ. დიდ ოჯახებში, ჩვენს ახლო ნათესავებთან ერთად;

ვ) ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა იქნება 100 და უფრო მეტი წელი.

- გიფიქრიათ თუ არა, რომ მოსახლეობის სტრუქტურის შესწავლას აქვს როგორც ზოგადსამეცნიერო, ისე პრაქტიკული დანიშნულება?

მეცნიერები მოსახლეობის სტრუქტურას იკვლევენ საზოგადოების განვითარების კანონზომიერებების შესასწავლად, ჩვენ გარშემო მიმდინარე სოციალური მოვლენებისა და პროცესების ასახსნელად. თუმცა ამ ტიპის კვლევები მხოლოდ თეორიული მსჯელობისთვის არ არის განკუთვნილი, მათ ხშირად პრაქტიკულადაც იყენებენ, მაგალითად, ბიზნესისა და პოლიტიკის სფეროში მომუშავე ადამიანები სარეკლამო და საარჩევნო კამპანიების საწარმოებლად.

ქვემოთ განვიხილავთ საკვანძო ცნებებს, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ მოსახლეობის შესასწავლად, სხვადასხვა ტიპის საზოგადოების ერთმანეთთან არსობრივი მახასიათებლების მიხედვით შესადარებლად. ეს ცნებებია „მოსახლეობის სტრუქტურა“,

„მოსახლეობის დინამიკა“, „დემოგრაფიული პოლიტიკა / დემოგრაფიული პროცესების მართვა“. გაეცანით მასალას და მასზე დაფუძნებით შეასრულეთ ქვემოთ მოცემული პროექტული / პრაქტიკული დავალება.

პროექტული / პრაქტიკული დავალება

თქვენს მშობლიურ ქალაქში / სოფელში / დაბაში / რეგიონში მცხოვრებ 100 ადამიანს შეავ-სებინეთ ქვემოთ მოცემული კითხვარი:

სქესი, ასაკი	
ეროვნება, მშობლიური ენა, რელიგია	
განათლება (უმაღლესი, საშუალო)	
სამსახური (ამჟამად დასაქმებული, პენ-სიონერი), პროფესია	
რა ტიპის დასახლებაში ცხოვრობთ? (კორპუსი, კერძო სახლი, იტალიური ეზო)	
კმაყოფილი ხართ თუ არა ცხოვრების პირობებით? (დიახ, არა, მეტ-ნაკლებად)	
უმეტეს შემთხვევაში, ვინ არიან თქვენი მეზობლები? (ნათესავები, თქვენთან ნათესაურ კავშირში არმყოფი ადამია-ნები)	
მიგრაცია (სხვა ქვეყანაში, ერთი სივრცი-დან მეორეში)	

კვლევის შედეგები, სქესთან და ასაკთან დაკავშირებით, წარმოადგინეთ სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდის, დანარჩენ კომპონენტებთან მიმართებით კი - სვეტოვანი დიაგრამების საშუალებით.

გამოთქვით ვარაუდი - როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო მონაცემები, მსგავსი კვლევა იმავე ადგილას 10 წლის წინ რომ ჩაგეტარებინათ.

კიდევ სცადეთ

წარმოიდგინეთ, რომ ამ ტიპის დავალებას 5 წლის შემდეგ განმეორებით განახორციელებთ. გამოთქვით ვარაუდი. რა ინფორმაცია შეგვიძლია მივიღოთ ხუთი წლის ინტერვალით შევსებული ორი ცხრილის შედარების შედეგად.

ნაშრომში / ნაშრომის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ:

– ცხოვრების რომელი სფეროების რეგულირება ხდება / სასურველია ხდებოდეს? (სამიზნე ცნება „ძალაუფლება“)

– რა მოვლენებმა და პროცესებმა შეიძლება განაპირობოს 5 წლის შემდეგ მოსახლეობის სტრუქტურის ცვლილება (სამიზნე ცნება – „მოვლენა / პროცესი“)

რამდენად ახდენს გავლენას მოსახლეობის სტრუქტურა სოციალიზაციის პროცესზე (სამიზნე ცნება - „საზოგადოება“)

საკვანძო ცნებები და შეკითხვები:

მოსახლეობის სტრუქტურა

გეოგრაფიის კურსიდან თქვენ უკვე იცით, რომ ტერმინით „მოსახლეობა“ მოიხსენიებენ ამა თუ იმ ტერიტორიაზე (მაგალითად, ქვეყანა, კონტინენტი, მხარე, რეგიონი) მცხოვრები ადამიანების ერთობლიობას. ეს ტერმინი შეიძლება მოიცავდეს ამა თუ იმ ტერიტორიაზე როგორც მუდმივად მცხოვრებ, ისე - დროებით მყოფ ადამიანებს *(მაგალითად, მიგრანტებს).*

- როგორ უნდა დავახასიათოთ ამა თუ იმ ქვეყნის, რეგიონის, კონტინენტის მოსახლეობა?
- როგორ უნდა გამოვიყენოთ მოსახლეობის სტრუქტურის შესახებ მონაცემები სხვადასხვა პრობლემის *(მაგალითად, მოსახლეობის რაოდენობის ზრდასთან, დაკავშირებული კანონზომიერებების) შესასწავლად?*

ამა თუ იმ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ფენომენის შესასწავლად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შემდეგ ფაქტორებს:

- **განსახლება *(ათვისებული საცხოვრებელი სივრცეები, დასახლების ტიპები, მოსახლეობის შემადგენლობა და სიმჭიდროვე)*** - რა ტერიტორიებს იყენებს საცხოვრებლად ადამიანი? როგორია დასახლების ტიპები? რამდენი ადამიანი ცხოვრობს ამა თუ იმ ტიპის დასახლებაში?
- **მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა და შემადგენლობა *(სანათესავო სტრუქტურა, კულტურული მრავალფეროვნება, თანასწორობა, სპეციალიზაცია)*** - *როგორია ქალებისა და კაცების თანაფარდობა? როგორია ასაკობრივი ჯგუფების თანაფარდობა? ვინ არიან ერთმანეთისთვის ტერიტორიული ნიშნით ერთმანეთთან ახლოს მცხოვრები ადამიანები? ვინ აღიქმება „სხვად“ („კულტურულ სხვად“)? რამდენად - როგორ ხდება შრომის განაწილება (სპეციალიზაცია)? რამდენად სამართლიანად ხდება რესურსებისა და ძალაუფლების გადანაწილება სხვადასხვა სქესობრივ, ასაკობრივ და სპეციალიზაციის ჯგუფებს / სოციალურ ფენებს შორის?*
- **ცხოვრების ხარისხი *(როგორც კეთილდღეობის, თავისუფლებისა და გარემოსთან მისი ურთიერთქმედება)*** - რა წარმოადგენს სასურველ საცხოვრებელ ადგილს ადამიანისთვის? როგორია ცხოვრების რეალური პირობები (განსხვავება სასურველ და ხელმისაწვდომ ცხოვრების პირობებს შორის)?
- **„დემოგრაფიული პოლიტიკა“** - *რამდენად და რა საშუალებებით ხდება მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის რეგულირება?*

მოსახლეობის სტრუქტურის შესწავლა სხვადასხვა მეთოდით შეიძლება. მაგალითად, დასაქმების, სპეციალიზაციისა და სხვა მაჩვენებლების შესასწავლად იყენებენ სვეტოვან დიაგრამებს, **სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის** აღსაწერად კი საუკეთესო საშუალებაა **სქესობრივ ასაკობრივი პირამიდა.**



სვეტოვანი დიაგრამა

გაეცანით ვიდეორგოლს სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდის შესახებ: ბმული

სურათი 1. *ნაკლებად განვითარებული ქვეყნების სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა*

სურათი 2. *ლაოსის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა*

სურათი 3. *ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა*



სურათი 4. *განვითარებული ქვეყნების სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა*



სურათი 6. *გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა*



სურათი 7. *ამერიკის შეერთებული შტატები*

რა ინფორმაციას გვაწვდის ზემოთ მოცემული პირამიდები განვითარებული (სურათები 4,5,6) და განვითარებადი (სურათები 1,2,3) სამყაროს მოსახლეობის სტრუქტურის (უფრო სწორად, სქესობრივ-ასაკობრივი თანაფარდობის) შესახებ (2022 წლის მონაცემების მიხედვით)? განვითარებული სამყაროს ქვეყნები გადასვლის მეოთხე და შესაძლოა მეხუთე ეტაპზე იმყოფებიან, განვითარებადები კი - მეორეზე.

აქ ჰორიზონტალურ ზოლებად გამოსახულია თითოეული ასაკობრივი ჯგუფის პროცენტული წილი (როგორც წესი, 5 წლიანი დაჯგუფებით) 0-იდან 80+ წლამდე ასაკის ზრდის მიხედვით. ვერტიკალური სვეტი კი წარმოაჩენს ასაკობრივი ჯგუფების პროცენტულ თანაფარდობას (მოსახლეობის რაოდენობის რამდენ პროცენტს შეადგენს ამა თუ იმ ასაკის, მაგალითად, 0-იდან 5 წლამდე ასაკის მოსახლეობა), ლურჯ ფერში მამაკაცები, წითელი ფერით კი - ქალები.

მაშასადამე, გამოდის, რომ ერთი პირამიდა (სურათები 3,4,5) წარმოაჩენს, თუ რა ასაკისა და სქესის ადამიანები ჭარბობდნენ 2022 წელს

განვითარებულ ქვეყნებში (გერმანიასა და აშშ-ში) და მეორე პირამიდა (სურათები 1,2,3) იმავე ინფორმაციას გვაწვდის განვითარებად ქვეყნებთან დაკავშირებით (ლაოსი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა).

რაზე მიანიშნებს ის ფაქტი, რომ განვითარებად ქვეყნებში პირამიდის ძირი უფრო ვრცელია, განსხვავებით, განვითარებული ქვეყნებისგან? სურათებზე 1,2,3, რომლებიც მსოფლიოს ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნებს მოსახლეობის პირამიდას ასახავს, მთლიანი მოსახლეობის უდიდესი წილი ყველაზე ახალგაზრდა მოსახლეობას უკავია. 14 წლამდე ასაკის ჯგუფი მთლიანი მოსახლეობის 38%-ზე მეტს შეადგენს. ხოლო საპენსიო ასაკს გადაცილებული მოსახლეობის წილი (65+) 6%-ამდეა. პირამიდის აგებულებაზე ცხადად ჩანს, რომ ყოველი შემდგომი ასაკობრივი ჯგუფი, წინასთან შედარებით, საგრძნობლად მცირდება - რაც ცხადად მიუთითებს მაღალ შობადობასა და სიცოცხლის დაბალ ხანგრძლივობაზე. პირამიდის მსგავსი ფორმა, მცირე ვარიაციული ცვლილებებით, ახასიათებს ლაოსს, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკას, იემენს, გვატემალას, ნიგერიას და სხვა ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს.

როგორც დიაგრამების მეორე ჯგუფზე (სურათები 4,5,6) ვხედავთ, უფრო განვითარებულ ქვეყნებში, სადაც დაბალი შობადობა და სიცოცხლის მაღალი ხანგრძლივობაა - მოსახლეობის პირამიდის ფორმა იცვლება და არაპროპორციული ხდება; მოსახლეობის უდიდესი წილი არა პირამიდის ბოლოში, არამედ შუაშია წარმოდგენილი, რადგან ამ ქვეყნებისთვის პატარა ოჯახებია დამახასიათებელი, ნაკლები შვილით. მსოფლიოს ნაკლებად განვითარებული რეგიონებისგან განსხვავებით, უფრო განვითარებულ რეგიონებში 14 წლამდე მოსახლეობის წილი, დაახლოებით, 13%-ს შეადგენს, ხოლო 65 წელზე მეტის - 20%-ამდეა. ამასთანავე, ასაკობრივი ჯგუფების ზოლების სიგანე პირამიდის წვერისკენ უმნიშვნელოდ კლებულობს, რაც ამ საზოგადოებების დაბერებასა და სიცოცხლის მაღალ ხანგრძლივობაზე მიუთითებს. მოსახლეობის პირამიდის მსგავსი ფორმა, მცირე ვარიაციული ცვლილებებით, ახასიათებს გერმანიას, აშშ-ს, იაპონიას, იტალიასა და დემოგრაფიული გადასვლის მეოთხე და მეხუთე ფაზაში მყოფ სხვა ქვეყნებს.

მოსახლეობის დინამიკა (ბუნებრივი მოძრაობა)

მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ერთსა და იმავე ტერიტორიაზე მოსახლეობის მახასიათებლები/რაოდენობა ხშირად იცვლება. ამ პროცესს მეცნიერები მოსახლეობის დინამიკას/მოძრაობას უწოდებენ. მას მეცნიერების სხვადასხვა დარგი, მაგალითად, დემოგრაფია და საზოგადოებრივი გეოგრაფია სწავლობს.

დემოგრაფიულ პროცესებზე საუბრისას, საკვანძო ცნებაა **„აღწარმოება“:**

- რატომ ხდება, რომ ზოგჯერ შვილების თაობა რაოდენობრივად აღემატება მშობლების თაობას (გაფართოებული აღწარმოება), ზოგჯერ, პრაქტიკულად, მისი იდენტურია (მარტივი აღწარმოება), ზოგჯერ კი - მას მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება (შეკვეცილი აღწარმოება)?
- რატომ არის, რომ რიგ ისტორიულ პერიოდებში მოსახლეობის რაოდენობა სტაბილურია, რიგ შემთხვევებში კი - სახეზეა დემოგრაფიული აფეთქება?

დემოგრაფიული კვლევა ამ ტიპის შეკითხვებზე პასუხების გაცემაში გვეხმარება.

დემოგრაფია არის მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის **მოსახლეობის აღწარმოების** (ანუ თაობათა ცვლის, მოსახლეობის რაოდენობის კლებისა და ზრდის) კანონზომიერებებს; ხსნის მის მიზეზებს/თავისებურებებს შემდეგ ფაქტორებზე დაყრდნობით: (ა) ***ბუნებრივი პირობები***; (ბ) ***სოციალური პრობლემები;*** (გ) ***მოსახლეობის სტრუქტურა*** (შობადობისა და სიკვდილიანობის დონე, სიცოცხლის ხანგრძლივობა, სქესობრივ-ასაკობრივი განაწილება, განათლების დონე, მიგრაცია).

ნებისმიერ მეცნიერებაში/მეცნიერულ კვლევაში საკვანძო მნიშვნელობა აქვს ისეთ კატეგორიებს, როგორებიცაა წყარო, მეთოდი, საკვლევი შეკითხვა:

- **წყარო** არის რესურსი, რომელზე დაფუძნებითაც ვიღებთ მონაცემებს კვლევის ობიექტის შესახებ. მაგალითად, დემოგრაფებისთვის წყარო შეიძლება იყოს **მოსახლეობის აღწერის მასალები, გამოკითხვის შედეგები და სხვ.**
- **მეთოდი** არის ხერხი, რომლის საშუალებითაც შეიძლება მონაცემების შეგროვება. მაგალითად, დემოგრაფები თავიანთი კვლევის ობიექტთან, მოსახლეობის აღწარმოებასთან დაკავშირებით მუშაობენ სტატისტიკის დამუშავების გზით.
- **საკვლევი შეკითხვა** კი არის მთავარი ორიენტირი, რომელზეც ფოკუსირდება კვლევა. ზემოთ უკვე ჩამოთვლილია შეკითხვები, რომლებზეც, ჩვეულებრივ, დემოგრაფიული კვლევა ფოკუსირდება.

დემოგრაფიული პროცესების აღსაწერად ხშირად გამოიყენება ტერმინები: „ფერტილურობის ასაკი“, „სიკვდილიანობისა და შობადობის კოეფიციენტი“. მათი საშუალებით ხდება დემოგრაფიული პროცესების რაოდენობრივი აღწერა.

- ტერმინით „**ფერტილურობა (ფერტილურობის ასაკი)**“ აღინიშნება წლები, როდესაც ქალს ბავშვის გაჩენა შეუძლია;
- ტერმინით „**შობადობის კოეფიციენტი**“ აღინიშნება გარკვეულ დროში დაბადებულთა რიცხოვნობის შეფარდება იმავე პერიოდის მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობასთან (უჩვენებს ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობას მოსახლეობის 1 000 კაცზე);
- გარკვეულ დროში გარდაცვლილთა რიცხოვნობის შეფარდება იმავე პერიოდის მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობასთან; უჩვენებს გარდაცვლილთა რიცხოვნობას მოსახლეობის 1 000 კაცზე.

დამატებითი ინფორმაცია:

დემოგრაფიული პროცესებით მხოლოდ დემოგრაფები არ ინტერესდებიან. მათ სხვადასხვა წყაროზე, კვლევის მეთოდსა და საკვლევ შეკითხვაზე დაყრდნობით, შეისწავლის **ისტორია, არქეოლოგია, ანთროპოლოგია, სოციოლოგია და საზოგადოებრივი გეოგრაფია.**

ისტორია – ისტორიკოსებს აინტერესებთ წარსულში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესები. ამ პროცესებს ისინი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა ელემენტებთან (მაგალითად, მეურნეობა, დასახლების ტიპი, რწმენა-წარმოდგენები, ღირებულებები) მჭიდრო კავშირში სწავლობენ. ასეთი მიდგომის გამოყენებით, ხდება ამა თუ იმ ეპოქის სურათის / სოციალური ისტორიის ისტორიის რეკონსტრუქცია. კვლევებს ისტორიკოსები ისტორიულ დოკუმენტებზე (მაგალითად, მოსახლეობის აღწერის მასალებზე) დაყრდნობით აწარმოებენ. ისტორიული დემოგრაფიის საუკეთესო მაგალითია ემანუელ ლე რუა ლადიურის წიგნი „მონტაიუ“ , რომელიც XIII საუკუნის საფრანგეთის ერთ-ერთ სოფელს აღწერს, ინკვიზიტორების მასალებზე დაყრდნობით.

არქეოლოგია - არქეოლოგებსაც, ისტორიკოსების მსგავსად, აინტერესებთ წარსული, ოღონდ ისინი უფრო მეტად წარსულის იმ პერიოდით ინტერესდებიან, როცა დამწერლობა ჯერ კიდევ არ არსებობდა. **პალეოდემოგრაფია** - ასე ეწოდება დისციპლინას, რომელიც უძველეს პერიოდში მიმდინარე დემოგრაფიულ პროცესებს ძირითადად არქეოლოგიურ მონაცემებზე დაფუძნებით შეისწავლის. ამ ტიპის კვლევის კარგი ნიმუშია მარია გიმბუტას კვლევა ნეოლითური ხანის აღმოსავლეთ ევროპასთან დაკავშირებით. ამ კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ნეოლითური პერიოდის მოსახლეობის (აღწარმოება, სტრუქტურა, გენდერული როლები, დაავადებები და სხვ.) დახასიათებას.

ანთროპოლოგია - ანთროპოლოგია/ეთნოლოგია, ისტორიისა და არქეოლოგიის მსგავსად, საზოგადოებას ჰოლისტურად/მთლიანობითად შეისწავლის, თუმცა მათგან (ანუ არქეოლოგიისა და ისტორიისგან) მკვეთრად განსხვავდება კვლევის მეთოდით. ანთროპოლოგების მთავარი იარაღია ე.წ. „ჩართული კვლევა“, როდესაც მეცნიერი შესწავლის ობიექტად შერჩეულ საზოგადოებაში დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობს და სოციალურ (მათ შორის, დემოგრაფიულ) პროცესებსაც ამ საზოგადოების წევრების თვალით აღწერს. ანთროპოლოგიური კვლევის პირველი და ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია ბორისლავ

მალინოვსკის კვლევა ტრობრიანის კუნძულებზე. გარდა ამისა, ანთროპოლოგებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს კროსკულტურულ კვლევებს, რომლებიც შედარებით რეჟიმში წარმოაჩენს სხვადასხვა საზოგადოების დამოკიდებულებებსა და პრაქტიკებს დემოგრაფიული პროცესების მიმართ და ამით გარკვეულ კანონზომიერებებს გამოავლენს.

სოციოლოგია - არის მეცნიერება საზოგადოების განვითარების ზოგადი კანონზომიერებების შესახებ. სოციოლოგიაში ცალკე დისციპლინად გამოიყოფა სოციოლოგიური დემოგრაფია, რომელიც მოსახლეობის დემოგრაფიულ ქცევას სოციალურ ნორმებთან მჭიდრო კავშირში შეისწავლის. ამ ტიპის კვლევები ეყრდნობა სოციოლოგიურ და სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდებს.

ცალკე დარგად გამოიყოფა, ასევე, „**საზოგადოებრივი გეოგრაფია**“, რომელიც შეისწავლის სივრცით მოდელებს, ანუ სხვადასხვა ქვეყანაში/კონტინენტზე/მხარეში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების თავისებურებებს. მისთვის საკვანძო ცნებაა “მოსახლეობა”, კერძოდ, მისი სტრუქტურა, ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობა.

მოსახლეობის დინამიკა (მექანიკური მოძრაობა)

გარდა ბუნებრივი მოძრაობისა, მეცნიერები დიდ ყურადღებას აქცევენ, ასევე, **მექანიკური მოძრაობის, ანუ მიგრაციის** შესწავლას. მიგრაცია არის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით ბინადრობის ადგილის შეცვლა. ის ადამიანების ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. დღევანდელი მონაცემებით, მიგრაციულ პროცესში ჩართულ ადამიანთა რაოდენობა უახლესი ისტორიის განმავლობაში უპრეცედენტოდ მაღალია და ზრდას განაგრძობს. შედეგად, მიგრაცია 21-ე საუკუნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გლობალურ მოვლენად იქცა, რომელშიც, სხვადასხვა დონეზე, 200-ზე მეტი ქვეყნის მოსახლეობაა ჩართული.

მიგრაცია (მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან migratio - გადასახლება), ზოგადად, საცხოვრებელი ადგილის (ქვეყნის, ქალაქის, სოფლის, უბნის) სხვადასხვა მიზეზის გამო შეცვლასთან არის დაკავშირებული. ოფიციალური განმარტებით კი, მიგრაცია განისაზღვრება, როგორც „საერთაშორისო საზღვარზე ან ქვეყნის შიგნით გადაადგილების პროცესი... (და) გულისხმობს მოსახლეობის ნებისმიერი სახით გადაადგილებას, ხანგრძლივობის, შემადგენლობისა და გამომწვევი მიზეზების მიუხედავად“.

როგორ უნდა შევისწავლოთ ადამიანების მიგრაციის პროცესი? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემაში ქვემოთ მოცემული ცხრილი დაგვეხმარება.



მიგრაციის ფორმები

ცხრილის მიხედვით, ჩანს, რომ ადამიანების მიგრაციულ პროცესებში ჩართვა შესაძლებელია იყოს როგორც ***ნებაყოფლობითი,*** ასევე, ***იძულებითი***. ნებაყოფლობითი მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილებას ადამიანი საკუთარი ნებით და, როგორც წესი, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისა და უკეთესი ანაზღაურების მიზნით იღებს. ნებაყოფლობითი მიგრაციის ფორმებია, ასევე, ოჯახის გაერთიანება და საგანმანათლებლო მიგრაცია. ოჯახის გაერთიანებაა, როდესაც ქორწინება სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს შორის ხდება, ან როდესაც ოჯახის ერთ-ერთი წევრი სხვა ქვეყანაში ლეგალურად იმყოფება და სხვა წევრებს გაერთიანების მიზნით იწვევს. საგანმანათლებლო მიგრაციის შემთხვევაში კი ადამიანები თავიანთ საცხოვრებელ ადგილს უკეთესი განათლების მიღების მიზნით ტოვებენ, რასაც როგორც საერთაშორისო, ისე შიდა მიგრაციის ფორმა შეიძლება ჰქონდეს. ნებაყოფლობითი მიგრაციისგან განსხვავებით, ადამიანებს საცხოვრებელი ადგილის დატოვება იძულებით - ომების, პოლიტიკური დევნის, ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით შევიწროების, ადამიანებით ვაჭრობის, სტიქიური მოვლენებისა და ეკოლოგიური კატასტროფების შემთხვევებშიც უწევთ.

სივრცითი ფაქტორის მიხედვით, მიგრაცია ორ ნაწილად იყოფა: ***შიდა მიგრაციად*** - როდესაც ადამიანი არ ტოვებს ქვეყანას და გადაადგილდება მის შიგნით და ***გარე***, ანუ ***საერთაშორისო მიგრაციად*** - როდესაც ადამიანი კვეთს სახელმწიფო საზღვარს. სამართლებრივი კუთხით, საერთაშორისო მიგრაცია შესაძლებელია იყოს ლეგალური ან არალეგალური. მიგრაცია არალეგალურია, თუ ადამიანები მიმღებ ქვეყანაში საზღვრის უკანონო კვეთის შედეგად აღწევენ. ასევე, არალეგალურია მიგრაცია, თუკი მიგრანტი მიმღებ ქვეყანაში შესაბამისი უფლების გარეშე, მაგალითად, ტურისტული ვიზის ვადის გასვლის მიუხედავად აგრძელებს ცხოვრებას.

დროის ხანგრძლივობის მიხედვით, მიგრაცია შესაძლებელია იყოს ***მუდმივი*** ან ***დროებითი.*** მიგრაცია მუდმივად განიხილება, თუ მიგრანტი 10-წელზე მეტი ხნით და/ან სამუდამოდ ტოვებს საცხოვრებელ ადგილს. უფრო ნაკლები დროის შემთხვევაში კი, ***დროებითი*** მიგრაციის კატეგორიას განეკუთვნება. დროებითი მიგრაცია, თავის მხრივ, ***ქანქარისებურ, სეზონურ და ცირკულარულ*** კატეგორიებად შეგვიძლია დავყოთ. საერთაშორისო მიგრაციის შემთხვევაში, დროებითი მიგრაციის ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმაა ტურიზმი, თუმცა ქვეყანაში 3 თვეზე ნაკლები ხნით შესული ადამიანები, მიგრანტების ნაცვლად, ტურისტებად ან ვიზიტორებად განიხილებიან.

ქანქარისებური მიგრაცია დასახლებულ პუნქტებს შორის ადამიანის ყოველდღიურ ან თითქმის ყოველდღიურ გადაადგილებას გულისხმობს. მიგრაციის ასეთი ფორმა, ძირითადად, ერთმანეთთან ახლოს მდებარე დასახლებებს შორის ხდება. მსგავსი მიგრაცია ხშირია მსხვილ ქალაქებთან მდებარე სასოფლო დასახლებებში, რომელთა მცხოვრებლები დღის დიდი მონაკვეთს სამუშაოდ, სასწავლებლად ან სავაჭროდ ქალაქში ატარებენ და დღის ბოლოს სახლში ბრუნდებიან. ქანქარისებური მიგრაცია ხშირია ახლომდებარე ქალაქებს შორისაც (მაგალითად, რუსთავიდან თბილისში) და, სატრანსპორტო კომუნიკაციების განვითარებასთან ერთად, მსოფლიოს მასშტაბით უფრო და უფრო მეტი ადამიანის ცხოვრების წესი ხდება.

ქანქარისებური მიგრაცია

სეზონური მიგრაცია ეპიზოდურობით ხასიათდება და წელიწადის დროების, ანუ კლიმატური სეზონების ცვლილებასთან არის კავშირში. საქართველოში სეზონური მიგრაციის მაგალითია ტრადიციული, მომთაბარე მეცხვარეობა, როდესაც მწყემსები, ცხვართან ერთად, ზამთრისა და ზაფხულის საძოვრებზე გადაადგილდებიან. სეზონური მიგრაცია ეკონომიკის სხვადასხვა

დარგს, მათ შორის, ტურიზმსა და სოფლის მეურნეობასაც შეიძლება უკავშირდებოდეს. მაგალითად, ხშირია მიგრაცია სასოფლო-სამეურნეო რაიონებში ყურძნის, ციტრუსის, ჩაის, ზეთისხილის და ა.შ. მოსავლის აღებასთან დაკავშირებული მიგრაცია, როდესაც იზრდება მოთხოვნა დამატებით მუშახელზე.

სეზონური მიგრაცია

ცირკულარული მიგრაცია განმეორებითი მიგრაციის ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმაა მთელ მსოფლიოში, რა დროსაც მიგრანტები სეზონისგან დამოუკიდებლად, გარკვეული პერიოდით, დასაქმების მიზნით, ტოვებენ ქვეყანას და დაბრუნების შემდეგ ისევ მიდიან. მსგავსი ტიპის მიგრაციაში ჩართული ადამიანებისთვის საზღვარგარეთ მიღებული ანაზღაურება ოჯახის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. საქართველოდან ცირკულარულ მიგრაციაში ჩართული მიგრანტები, ძირითადად, მეზობელი ქვეყნების (თურქეთი, რუსეთი, უკრაინა) მიმართულებით გადაადგილდებიან.

2017 წლიდან ამოქმედებული უვიზო რეჟიმის შემდეგ კი ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებაც გააქტიურდა. როგორც აღვნიშნეთ, იძულებითი მიგრაციებისგან განსხვავებით, ნებაყოფლობით მიგრაციულ პროცესებში ჩართვა, უპირველეს ყოვლისა, საცხოვრებელი პირობებისა და შემოსავლების ზრდის პერსპექტივითაა განპირობებული, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული დასაქმებასთან, ანუ შრომით მიგრაციასთან. შრომითი მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესს კი ერთდროულად მრავალი ფაქტორი შეიძლება განაპირობებდეს:



ცირკულარული მიგრაცია

- მიგრანტები ძირითადად მოკლე მანძილებზე გადაადგილდებიან; ის, ვინც გრძელ მანძილზე გადაადგილდება, ირჩევს დიდ ინდუსტრიულ და სავაჭრო ცენტრებს.
- მიგრაცია ძირითადად სოფლიდან ქალაქისკენ არის მიმართული. დიდი ქალაქები უფრო იმიგრაციის ხარჯზე იზრდება, ვიდრე ბუნებრივი მატების.
- მიგრაცია იზრდება ინდუსტრიის, ვაჭრობისა და ტრანსპორტის განვითარებასთან ერთად.
- ყოველი მიგრაციული ნაკადი იწვევს უკუნაკადს.
- ქალები უფრო მეტად არიან ჩართული მოკლე მანძილის/შიდა მიგრაციაში, როდესაც მამაკაცები წარმოადგენენ უმრავლესობას საერთაშორისო მიგრაციაში.
- მიგრაცია ძირითადად ეკონომიკური მიზეზებით არის გამოწვეული.

სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება მიგრაციის მამოტივირებელი, იძულებითი (Push) და მიმზიდველი (Pull) ფაქტორების მოდელი. ეს გამარტივებული მოდელი, ქვეყნისა თუ რეგიონის მასშტაბში, სიღარიბეს, უმუშევრობას, მცირე მიწიანობას, პოლიტიკურ რეპრესიას, დაბალ სოციალურ სტატუსს და ა.შ. იძულებით, ანუ ისეთ ფაქტორებად მოიაზრებს, რაც ადამიანს მიგრაციის გადაწყვეტილების მიღებას აიძულებს. შესაბამისად, მიმზიდველ ფაქტორებად დანიშნულების ადგილზე (ქვეყანაში, ქალაქში) არსებულ საპირისპირო და/ან დამატებითი მიმზიდველი მოცემულობები გვევლინება - მაღალი

ანაზღაურებისა და დასაქმების შესაძლებლობა, უკეთესი განათლება, ჯანდაცვა, პოლიტიკური თავისუფლება და ა.შ. შესაბამისად, მოდელის მიხედვით, ადამიანები ემიგრაციის გადაწყვეტილებას წარმოშობისა და მიმღებ ქვეყანას შორის არსებული დადებითი და უარყოფითი მხარეების შედარების შედეგად, რაციონალური არჩევანის საფუძველზე აკეთებენ.

მნიშვნელოვანია, ასევე, **„შუალედური დაბრკოლების“** ცნება, რომლის გადალახვაც უწევს ემიგრანტს. შუალედური დაბრკოლება შეიძლება იყოს: მანძილი, მგზავრობის ხარჯები, კულტურული ბარიერები – ენა ან განსხვავებული ცხოვრების წესი, პოლიტიკური დაბრკოლებები - საერთაშორისო საზღვრის გადაკვეთა, იმიგრაციის რეგულაციები და სხვ. შუალედური დაბრკოლებების გარდა, პირადულ ფაქტორებსაც ენიჭება მნიშვნელობა. ადამიანები, პიროვნებიდან, ეკონომიკური მდგომარეობიდან თუ ცხოვრების ეტაპიდან გამომდინარე, სხვადასხვანაირად რეაგირებენ იძულებით და მიმზიდველ ფაქტორებზე. მაგალითად, დაუოჯახებელი, ეკონომიკურად აქტიური პოტენციური ემიგრანტისთვის უფრო მნიშვნელოვანია დასაქმებისა და ანაზღაურების პირობები და ნაკლებად მნიშვნელოვანია განათლების სისტემის მდგომარეობა მიმღებ ქვეყანაში, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი ანგარიშგასაწევი ფაქტორი იქნება ოჯახისთვის, რომელიც იმავე ქვეყანაში გეგმავს ცხოვრებას.

დამატებითი ინფორმაცია:

მიგრაციული პროცესების აღსაწერად, მეცნიერები ხშირად იყენებენ შემდეგ ტერმინებს:

დევნილი *– საომარი მოქმედებების შედეგად, თავისი ქვეყნის სხვა რეგიონში გადასახლებული პირი;*

ეკოლოგიური მიგრანტი *– ადამიანი, რომელმაც, სტიქიური მოვლენების შედეგად, საკუთარი ქვეყნის ფარგლებში შეიცვალა ადგილსამყოფელი.*

ემიგრანტი *– პირი, რომელიც ქვეყანას ტოვებს დროებით ან მუდმივად საცხოვრებლად;*

იმიგრანტი *– პირი, რომელიც ქვეყანაში შედის დროებით ან მუდმივად საცხოვრებლად;*

ლტოლვილი *– ომმა ან სტიქიურმა მოვლენებმა გამოიწვია ადამიანის გადასახლება სხვა ქვეყანაში;*

მიგრანტი *– ადამიანი, რომელიც მიგრაციულ პროცესებში მონაწილეობს;*

პოლიტიკური თავშესაფრის მაძიებელი *– პირი, რომელიც საკუთარ ქვეყანაში განიცდის დევნას პოლიტიკური მრწამსის, რელიგიური აღმსარებლობის ან ეთნიკური კუთვნილების საფუძველზე და ამ მიზეზით სურს სამშობლოს დატოვება და სხვა ქვეყანაში გადასახლება;*

საერთაშორისო მიგრანტი *– პირი, რომელიც არ იმყოფება წარმოშობის ან ჩვეული ბინადრობის ქვეყანაში, სულ ცოტა, ერთი წლის განმავლობაში;*

ტრეფიკინგის მსხვერპლი *– ადამიანი, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზების შედეგად გახდა ადამიანებით არალეგალური ვაჭრობის ობიექტი;*

მიგრაციის სალდო *– სხვაობა იმიგრაციისა და ემიგრაციის მაჩვენებლებს შორის.*

დავალება

გაიხსენეთ ან მოიძიეთ ერთი კონკრეტული მიგრანტის ისტორია.

ინდიკატორი	მიგრაციის ფორმები
საზღვრის გადაკვეთა	საერთაშორისო, შიდა
პასუხი -	
ინდიკატორი	მიგრაციის ფორმები
მიმართულება	ემიგრაცია, იმიგრაცია სოფელი-ქალაქი; ქალაქი-სოფელი ქალაქი-ქალაქი; სოფელი-სოფელი
პასუხი -	
ინდიკატორი	მიგრაციის ფორმები
მიზეზი	შრომითი, საგანმანათლებლო, ოჯახის გაერთიანება, იძულებით მიგრაციასთან დაკავშირებული მიზეზები
პასუხი -	
ინდიკატორი	მიგრაციის ფორმები
გადაწყვეტილების მიღების პროცესი	ნებაყოფლობითი იძულებითი
პასუხი -	
ინდიკატორი	მიგრაციის ფორმები
მიგრანტთა შემადგენლობა	პროფესიული უნარ-ჩვევები სქესი ეთნიკური შემადგენლობა ასაკი, სოციალური სტატუსი
პასუხი -	
ინდიკატორი	მიგრაციის ფორმები
განხორციელების პროცესი	ორგანიზებული, არაორგანიზებული
პასუხი -	
ინდიკატორი	მიგრაციის ფორმები
სამართლებრივი სტატუსი	ლეგალური, არალეგალური
პასუხი -	
ინდიკატორი	მიგრაციის ფორმები
ხანგრძლივობა	დროებითი (ცირკულარული, სეზონური), მუდმივი
პასუხი -	

კიდევ სცადეთ

დემოგრაფიული გადასვლა

მე-7-მე-9 კლასებიდან თქვენთვის ცნობილია ისტორიული და არქეოლოგიური პერიოდიზაცია:

ისტორიული პერიოდიზაცია	არქეოლოგიური პერიოდიზაცია
პრეისტორია	ქვის ხანა
ძველი მსოფლიოს ისტორია	ბრინჯაოს ხანა
შუა საუკუნეების ისტორია	რკინის ხანა
ახალი ისტორია	
უახლესი ისტორია	

რა განსხვავებაა პერიოდიზაციის ამ ორ სქემას შორის? პირველი მათგანი ისტორიული ეპოქების / პერიოდების გამოყოფისთვის საფუძვლად საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ მოვლენებს იღებს, მეორე კი, იმას თუ რა მასალისგან დამზადებულ იარაღს იყენებდა ადამიანი ბრძოლისა და შრომისთვის კონკრეტულ პერიოდში.

გიფიქრიათ თუ არა, რომ შესაძლებელია არსებობდეს ისტორიის პერიოდიზაციის სქემა, რომელიც დაეფუძნება მოსახლეობის სტრუქტურასა და დემოგრაფიულ ქცევას? გარკვეული თვალსაზრისით, პერიოდიზაციის ასეთ სქემად შეგვიძლია ჩავთვალოთ დემოგრაფიული გადასვლის თეორია.

დემოგრაფიული გადასვლის მოდელი



მსოფლიო დემოგრაფიული გადასვლის მოდელი

დემოგრაფიული გადასვლა (ტრანზიცია) არის მოდელი, რომელსაც მეცნიერები ბუნებრივი მატების მაჩვენებლების ასახსნელად იყენებენ. აღნიშნული მოდელის მიხედვით, ქვეყნების მოსახლეობის დემოგრაფიული ისტორიის საფუძველზე, ტრადიციულად, 4 განსხვავებულ ფაზას, ანუ საფეხურს გამოყოფენ, რომელსაც, უახლესი დემოგრაფიული პროცესების აღსაწერად, მეხუთეც დაუმატეს.

ქვემოთ განხილულია დემოგრაფიული გადასვლის მოდელი მსოფლიოს მოსახლეობის მაგალითზე. თითოეული ეტაპი კონკრეტულ ისტორიულ ეპოქას ასახავს, თუმცა იმის გამო, რომ გადასვლა ერთიანად არ ხდება, დროის კონკრეტულ მონაკვეთში სხვადასხვა ქვეყანა შესაძლოა სხვადასხვა საფეხურზე იყოს.

1. დემოგრაფიული გადასვლის პირველი ფაზა

დემოგრაფიული გადასვლის პირველი ფაზისთვის დამახასიათებელი იყო მაღალი სიკვდილიანობა, რაც, ძირითადად, ჯანდაცვის დაბალი დონით იყო განპირობებული. არ არსებობდა ვაქცინაცია, ხშირი იყო ეპიდემიები, მოსახლეობა სხვა ისეთი დაავადებებითაც იღუპებოდა, რომლებიც დღეს მარტივად განკურნებადია. ასევე, მაღალი იყო კონფლიქტების, შიმშილობის, ბუნებრივი კატასტროფების შედეგად გარდაცვალების წილი, რაც ყველა ასაკობრივ ჯგუფს თანაბრად ეხებოდა. თუმცა, სიკვდილიანობასთან ერთად, მაღალი იყო შობადობის მაჩვენებელიც. სიკვდილიანობისა და შობადობის თანაბრად მაღალი მაჩვენებლის შედეგად, მოსახლეობის რაოდენობა ამ ფაზაში უმნიშვნელოდ მატულობდა. აღსანიშნავია, რომ დემოგრაფიული გადასვლის 1-ელი ფაზა დღეისათვის მსოფლიოს ყველა ქვეყანას გავლილი აქვს.

პირველი ფაზა მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში მოიცავს შემდეგ ისტორიულ პერიოდებს:

- **ქვის ხანას**
- **ბრინჯაოს ხანას**
- **ანტიკურ პერიოდს**
- **შუა საუკუნეებს და ადრეულ მოდერნს/ახალ დროს**

ქვის ხანა

ბრინჯაოს ხანა

ანტიკური პერიოდი

შუა საუკუნეები

ადრეულ მოდერნი

ეს პერიოდები ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებოდა, თუმცა, მოსახლეობის აღწარმოების მოდელის მიხედვით, ისინი ერთმანეთს ძალიან ჰგავდნენ. მოსახლეობის რაოდენობა ბუნებრივი მოძრაობის ხარჯზე ყველგან უმნიშვნელოდ იზრდებოდა.

ქრონოლოგია	მსოფლიო მოსახლეობა	აფრიკა	აზია	ევროპა	ლათ. და სამხრ. ამერიკა	ჩრდ. ამერიკა	ავსტრალია და ოკეანეთი
პალეოლითი	0, 015						
ნეოლითი ძვ.წ. 10 000 - 5 000 წლამდე	5						
ძვ.წ. 4 000	7						
ძვ.წ. 3 000	14						
ძვ.წ. 2 000	27						
ძვ.წ. 1 000	50	7	33	9			
ძვ.წ. 500	100	14	66	16			
ახ.წ 1 წელი	200	23	141	28			
ახ.წ. 1 000	400	70	269	50	8	1	2
1500	458	86	243	84	39	3	3
1600	580	114	339	111	10	3	3
1700	682	106	436	125	10	2	3
1750	791	106	502	163	16	2	2

მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობა მილიონებში

დაზუსტება - ქრისტეს შობამდე პერიოდში ამერიკასა და ოკეანეთთან დაკავშირებით ვერ ხერხდება მოსახლეობის რაოდენობის მეტ-ნაკლებად დამაჯერებლად განსაზღვრა.

2. დემოგრაფიული გადასვლის მეორე ფაზა

დემოგრაფიული გადასვლის მეორე ფაზა სიკვდილიანობის მკვეთრი შემცირებითა და შობადობის მაღალი მაჩვენებლის შენარჩუნებით ხასიათდება. „ინდუსტრიული რევოლუციის“ შედეგად დაჩქარებულმა პროგრესმა ქვეყნებში ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური დონე განავითარა. საკვებზე, სუფთა წყალზე, მინიმალურ სანიტარულ პირობებზე, ვაქცინაციასა და, ზოგადად, არსებითად გაუმჯობესებულ მედიცინაზე წვდომის შედეგად, სიკვდილიანობამ მკვეთრად იკლო. შედეგად, გაიზარდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაც. თუმცა, როგორც ნახაზზე ვხედავთ, სიკვდილიანობის შემცირებისგან განსხვავებით, დემოგრაფიული გადასვლის მეორე ფაზაში შობადობა არ იცვლება და ჯერ კიდევ ინარჩუნებს მაღალ მაჩვენებელს. შედეგად, ამ ფაზაში მყოფი ქვეყნები მაღალი ბუნებრივი მატებით ხასიათდებიან.

მეორე ფაზა უკავშირდება „ინდუსტრიულ რევოლუციას“. პირველიდან მეორე ფაზაში პირველად ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებმა XVIII საუკუნის ბოლოდან დაიწყეს შესვლა და XX საუკუნის დასაწყისისთვის დაამთავრეს. აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების უმეტესობა მეორე ფაზაში, სპეციფიკური მიზეზების გამო, თითქმის 200 წლის დაგვიანებით გადავიდა. კერძოდ, XIX საუკუნის ბოლოს, როდესაც აფრიკასა და აზიაში, ევროპული კოლონიალიზმის მეორე ტალღის დაწყებასთან ერთად, ევროპულმა იმპერიებმა ამ ქვეყნებში გაუმჯობესებული სანიტარული პირობები, სამედიცინო ცოდნა, პრეპარატები, ვაქცინაცია და სხვ. ჩაიტანეს.

ქრონოლოგია	მსოფლიო მოსახლეობა	აფრიკა	აზია	ევროპა	ლათ. და სამხრ. ამერიკა	ჩრდ. ამერიკა	ავსტრალია და ოკეანეთი
1800	1 მილიარდი	107	656	203	24	7	3
1850	1, 262 მილიონი	111	809	276	38	26	2
1900	1, 650 მილიონი	133	947	408	74	82	6
1950	2, 525 მილიონი	229	1, 384 მილიონი	549	169	172	12,7
2 000	6, 127 მილიონი	814	3, 714 მილიონი	726	527	314	31,1

მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობა მილიონებში - პერიოდში, როცა მსოფლიოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დემოგრაფიული გადასვლის მეორე ფაზა გაიარა. ბევრი განვითარებადი ქვეყანა დღესაც ამ ფაზაში იმყოფება.

3. დემოგრაფიული გადასვლის მესამე და მეოთხე ფაზა

დემოგრაფიული გადასვლის მესამე ფაზა სიკვდილიანობის დაბალი მაჩვენებლითა და შობადობის შემცირებით ხასიათდება. აღნიშნულის უმთავრეს მიზეზად გაუმჯობესებული ეკონომიკური მდგომარეობა, ქალთა უფლებების დაცვის გაუმჯობესება, განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა და დამოუკიდებელი კარიერის შესაძლებლობა მოიაზრება.

შობადობის შემცირება XX საუკუნის მოვლენაა და თავდაპირველად ეკონომიკურად განვითარებულ, მაღალი ურბანიზაციისა და ხარისხიანი და ხელმისაწვდომი ჯანდაცვის მქონე ქვეყნებში დაიწყო. მას შემდეგ, რაც ქალაქებმა მეტი სამუშაო ადგილი შექმნეს - უფრო და უფრო მეტი ადა-

მიანი მიიზიდეს და შემცირდა სასოფლო მეურნეობაში ჩართული ოჯახების რიცხვი. შედეგად, ასეთ საზოგადოებებში შეიცვალა საოჯახო მეურნეობის ტიპი და მასთან დაკავშირებული მრავალშვილიანი ოჯახის მოდელის აუცილებლობაც. სოფლის მეურნეობისგან განსხვავებით, სადაც ბავშვები სამუშაო ძალას წარმოადგენდნენ, ურბანულ გარემოში მრავალშვილიანობა, პირიქით, ოჯახისგან მეტ ფინანსურ უზრუნველყოფას ითხოვდა. გარდა ამისა, მედიცინის განვითარებამ მნიშვნელოვნად შეამცირა ადრეულ ასაკში სიკვდილიანობა, ხელმისაწვდომი გახადა როგორც ოჯახის დაგეგმვის, ასევე, გვიან ასაკში მშობიარობის შესაძლებლობები. ამ ყველაფერმა ერთად კი საზოგადოებებში ცხოვრების ახლებური წესის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, რაც, სიკვდილიანობის დაბალ მაჩვენებელთან ერთად, შობადობის მაჩვენებლის შემცირებაშიც აისახება.

დემოგრაფიული გადასვლის **მეოთხე ფაზაში** სიკვდილიანობაც და შობადობაც ძალიან დაბალია, რის შედეგადაც ბუნებრივი მატება უმნიშვნელოა ან შესაძლოა უარყოფითიც კი. დემოგრაფების აზრით, მეოთხე ფაზა დამახასიათებელია ისეთი საზოგადოებებისთვის, სადაც ძლიერი და სტაბილური ეკონომიკა, მაღალი განათლების დონე, კარგი და ხელმისაწვდომი სისტემური ჯანდაცვაა. ასევე, მნიშვნელოვანია ქალების თანაბარი ჩართულობა ეკონომიკაში. დემოგრაფიულ მეცნიერებაში დადგენილია: მოსახლეობის მიღწეული რაოდენობა რომ არ შემცირდეს, საჭიროა 2,7 - 3 ბავშვის ყოლა. მეოთხე ფაზაში მყოფ საზოგადოებებში კი ფერტილურობის მაჩვენებელი, საშუალოდ, 2.1 ბავშვამდეც კი დადის, რაც ბუნებრივი მატების სტაგნაციას ან, ზოგ შემთხვევაში, კლებას განაპირობებს.

ეს არის დეკოლონიზაციის, ცივი ომის და მისი შემდგომი პერიოდი. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობა მესამე და მეოთხე ფაზაში იმყოფება. თუმცა, მეცნიერთა ნაწილი, სხვადასხვა სოციალური და ეკონომიკური მიზეზის გამო, გარკვეულ ქვეყნებს, მაგალითად, სუბსაჰარული ქვეყნები (სომალი, ნიგერი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა), ავღანეთი, ნაურუ და პალესტინა დემოგრაფიული გადასვლის მეორე ფაზის მოდელს მიაკუთვნებენ. მეორე ნაწილის აზრით კი, ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად, მსოფლიოში არსებული სამედიცინო მიღწევების ფონზე, სიკვდილიანობის მკვეთრად შემცირების გამო, ეს ეტაპი მსოფლიოს ყველა ქვეყანამ გადალახა და ჩამოთვლილი ქვეყნებიც მესამე ფაზის დასაწყისში უნდა მოვიაზროთ.

4. დემოგრაფიული გადასვლის მეხუთე ფაზა

მეხუთე ფაზა დემოგრაფიული გადასვლის თეორიის უახლესი დამატებაა და იმ ქვეყნების დემოგრაფიული პროცესის აღსაწერად შეიქმნა, სადაც სიკვდილიანობა სტაბილურად აჭარბებს შობადობას, შედეგად კი უარყოფითი ბუნებრივი მატება წარმოიქმნება. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ამის მიზეზი, პირველი ფაზისგან განსხვავებით, სიკვდილიანობის მატება არ არის. ცხოვრების მაღალი დონისა და ჯანდაცვის პირობებში გაზრდილი სიცოცხლის ხანგრძლივობის ფონზე, მეოთხე ფაზის მსგავსად, შობადობა მაქსიმალურად შემცირებულია და შედეგად მივიღეთ მოსახლეობის გადაბერება. დემოგრაფები მეხუთე ფაზაში მოიაზრებენ, მაგალითად, იტალიას, იაპონიას, გერმანიას.

თავი 3. დემოგრაფიული პოლიტიკა / დემოგრაფიული პროცესების მართვა

რაში და როგორ შეიძლება გამოვიყენოთ ცოდნა მოსახლეობის სტრუქტურისა და დინამიკის შესახებ? ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მას დიდი მნიშვნელობა აქვს კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად, მაგალითად, საარჩევნო და სარეკლამო კამპანიის საწარმოებლად. თუმცა მათი გამოყენების არეალი გაცილებით მასშტაბურია. მასზე დაფუძნებით, პოლიტიკოსები ცდილობენ, წარმართონ გლობალურ მიზნებზე ორიენტირებული დემოგრაფიული პოლიტიკა (მაგალითად, ცდილობენ, მოსახლეობის რაოდენობის ზრდის რეგულირებას, მიგრაციული პროცესების შეჩერებას). ამგვარი პოლიტიკის წარმოების საჭიროება დღეს ფრიად აქტუალურია, ვინაიდან „ინდუსტრიული რევოლუციის“ შემდგომი პერიოდიდან დემოგრაფიული პრობლემები კაცობრიობისთვის საკვანძო მნიშვნელობის გამოწვევას წარმოადგენს.

თანამედროვე ადამიანი, ჰომო საპიენს საპიენსი, დედამიწაზე, დაახლოებით, 400-300 ათასი წლის წინ გაჩნდა. ძვ.წ. 50-12 ათასწლეულებში ის, პრაქტიკულად, მთელ დედამიწაზე განსახლდა და ჰომოს გვარის ერთადერთ სახეობად იქცა (ჰომო ერექტუსის, ჰაიდელბერგელი, დენისოველი და ნეანდერტალელი ადამიანების პოპულაციის გაქრობის შემდეგ). ამ პერიოდში დედამიწაზე იმაზე ბევრად ნაკლები ხალხი ცხოვრობდა, ვიდრე თანამედროვე ეტაპზე ერთ დიდ მეგაპოლისში (მაგალითად, ნიუ იორკში, პარიზში, ლონდონში) ცხოვრობს; დღეს დედამიწაზე ადამიანების რაოდენობა 8 მილიარდს აჭარბებს. ეს დღის წესრიგში დემოგრაფიული პროცესების სიღრმისეული გააზრების (ზოგიერთი სპეციალისტის აზრით კი, დემოგრაფიული პროცესების მართვის) საჭიროებას აყენებს.

პირველყოფილი საზოგადოება

ხალხმრავალი ლანდშაფტი

დემოგრაფიული პროცესების მართვაზე მსჯელობისას, საკვანძო ფიგურაა თომას რობერ მალთუსი, რომელმაც 1798 წელს დაწერა წიგნი „ნარკვევი მოსახლეობის შესახებ“. ნაშრომში ის აფიქსირებდა მოსახლეობის რაოდენობის ზრდას; თანამედროვეებს აფრთხილებდა ჭარბ მოსახლეობასთან დაკავშირებული პრობლემის შესახებ და მოუწოდებდა „სწორი დემოგრაფიული პოლიტიკის“ შემუშავებისკენ. მალთუსის მიერ XVIII – XIX საუკუნეების მიჯნაზე დასმულ საკითხებს აქტუალობა არც შემდგომ პერიოდში დაუკარგავს. XX საუკუნეში ჩამოყალიბდა ნეომალთუსიანური და ანტიმალთუსური მიდგომები, რომლებიც, დემოგრაფიული თვალსაზრისით, კაცობრიობის მომავალს მალთუსისგან განსხვავებულად უყურებენ.

მალთუსი

	მალთუსის თეორია	ნეომალთუსური მიდგომა	ანტიმალთუსური მიდგომა
ვინ ჩამოაყალიბა თეორია, მიდგომა?	ჩამოაყალიბა თომას რობერტ მალთუსმა მე-18-მე-19 საუკუნეების მიჯნაზე.	ჩამოყალიბდა მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებში. ერთ-ერთი ფუძემდებელია პოლ ერიჰი.	ფუძემდებელია დანიელი ესთერ ბოსერაპი.
პრობლემის დასმა	მალთუსი მიიჩნევდა, რომ მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ტემპი ეკონომიკური ზრდის ტემპს აჭარბებდა (საკვების ზრდა ხდება არითმეტიკული პროგრესიით - 1,2,4,16, მოსახლეობის ზრდა კი გეომეტრიული პროგრესიით - 1,4, 16, 64).	ნეომალთუსიანელები თვლიან, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში შესაძლოა შეჩერდეს მოსახლეობის რაოდენობის ზრდა და გაიზარდოს საკვების რაოდენობა.	თანამედროვე ტექნოლოგიებს შეუძლიათ, უზრუნველყონ, პრაქტიკულად, ნებისმიერი რაოდენობის მოსახლეობის გამოკვება. დღეს ადამიანებისთვის ჭარბი კვება უფრო პრობლემაა, ვიდრე შიმშილი.
ჭარბი მოსახლეობის პრობლემის გადაჭრა	მალთუსი მორალური ფაქტორებისკენ მოწოდებაში ახვევდა თავის მოძღვრებას (ნაკლები გამრავლება); ანუ საკუთარი თავის ამ მიმართულებით კონტროლი.	ნეომალთუსიანელები ასეთ ხერხებს არ ცნობენ, ისინი უპირატესობას ანიჭებენ სწორად დაგეგმილ დემოგრაფიულ პოლიტიკას.	

ცხადია, ამ ტიპის პრობლემებზე თითოეულ ჩვენგანს აქვს გარკვეული მოსაზრება, მაგრამ მასზე საფუძვლიანად მსჯელობას სპეციალური მომზადება სჭირდება. კერძოდ, საჭიროა, დავფიქრდეთ:

- *მოსახლეობის რაოდენობის ზრდა* ***სპონტანური პროცესია, თუ რამე კანონზომიერებას ექვემდებარება?***
- *რატომ ხდება, რომ ზოგჯერ შვილების თაობა რაოდენობრივად აღემატება მშობლების თაობას* ***(გაფართოებული აღწარმოება)****, ზოგჯერ მისი იდენტურია* ***(მარტივი აღწარმოება),*** *ზოგჯერ კი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება* ***(შეკვეცილი აღწარმოება)?***
- *რა ტიპის დასკვნებისა და* ***პროგნოზების*** *გაკეთება შეიძლება დემოგრაფიული პროცესების*

შესწავლის შედეგად? როგორ გვეხმარება ***ეს დასკვნები მოსახლეობის მოთხოვნილებებისა და საჭიროებების შესწავლაში?***

- *საჭიროა თუ არა მოსახლეობის აღწარმოების პროცესში „ჩარევა“? არსებობს თუ არა მართებული* ***დემოგრაფიული პოლიტიკა?***
- *რა გავლენას ახდენს დემოგრაფიულ პროცესებზე* ***მოსახლეობის სტრუქტურა*** *(მაგალითად, სქესობრივ-ასაკობრივი თანაფარდობა, ცხოვრების ხარისხი)?*
- *რა გავლენას ახდენს* ***საზოგადოებაზე / საზოგადოების განვითარებაზე*** *დემოგრაფიული ფაქტორი / დემოგრაფიული პროცესები?*

დავალება

გაეცანით ფრანგი ისტორიკოსის, ფერნან ბროდელის მოსაზრებას. უპასუხეთ შემდეგ შეკითხვებს:

- რას უწოდებს ფერნან ბროდელი მიქცევებსა და მოქცევებს?
- რას გამოხატავს ავტორი ტერმინით „დემოგრაფიული გადატვირთვა“?
- ავტორის აზრით, რა შედეგები მოსდევს მოსახლეობის რაოდენობის ზრდას?
- როგორ აფასებს ავტორი დემოგრაფიული პროცესების მნიშვნელობას ისტორიისთვის?
- შეადარეთ ერთმანეთს ფერნან ბროდელისა და თომას რობერტ მალთუსის მიდგომა. გამოკვეთეთ მათ შორის მსგავსებები და განსხვავებები.

„დემოგრაფიული მიქცევები და მოქცევები არის სიცოცხლის სიმბოლო... ეს არის ერთმანეთის მიყოლებით მიმდინარე დაცემები და აღზევებები... ამ ფუნდამენტურ რეალობასთან შედარებით, ყველაფერი სხვა შეიძლება მეორეხარისხოვნად, ან პრაქტიკულად მეორეხარისხოვნად მოჩანდეს. რაოდენობრივად გაზრდილ (მრავალრიცხოვან) მოსახლეობას ეჩვენება, რომ სივრცისადმი მისი დამოკიდებულება იცვლება ... დემოგრაფიული გადატვირთვა ხშირად მთავრდება იმით, რომ საზოგადოების შესაძლებლობა, გამოკვებოს ხალხი, არასაკმარისი აღმოჩნდება... დემოგრაფიულ აღმასვლას მოსდევს ცხოვრების დონის დაცემა, ის ზრდის მშიერი, მაწანწალა ადამიანების რაოდენობას“.

ფერნან ბროდელი არის ფრანგი ისტორიკოსი (1902 – 1985). მან შეიმუშავა „ხანგრძლივი მოქცევის“ კონცეფცია (Long Durée). ამ კონცეფციის ფარგლებში ის ერთმანეთისგან განასხვავებდა მცირე/მოკლევადიანი, საშუალო და ხანგრძლივი ეფექტის მქონე მოვლენებს. მცირე/მოკლევადიანი ეფექტის მოვლენად ბროდელს მიაჩნდა პოლიტიკური ისტორია (ბრძოლები, მოლაპარაკებები, აჯანყებები და სხვ.); საშუალო ხანგრძლივობის ეფექტის მქონედ – სოციალური ისტორია (კერძოდ, ეკონომიკა და დემოგრაფია); ხანგრძლივი დროითი ეფექტის მოვლენის/ „ხანგრძლივი მოქცევის“ (Long Durée) სტატუსს კი ის ანიჭებდა მსოფლმხედველობრივ სტრუქტურებს, რომლებიც საზოგადოებას / ცივილიზაციას ამთლიანებს.

დემოგრაფიული პოლიტიკა შეგვიძლია ვუწოდოთ ადამიანის მცდელობას, მართოს დემოგრაფიული პროცესები – იქნება ეს მოსახლეობის რაოდენობის რეგულირება, თუ მიგრაციების პროცესებზე ზეგავლენის მცდელობა.

- როგორ, რატომ და რამდენად წარმატებით აწარმოებდნენ დემოგრაფიულ პოლიტიკას სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში;
- რა მორალური დილემები სდევს თან დემოგრაფიული პოლიტიკის წარმოებას;
- როგორ შეიძლება გამოვიყენოთ ცოდნა მოსახლეობის სტრუქტურის შესახებ დემოგრაფიული პოლიტიკის საწარმოებლად.

ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემაში წიგნის შემდეგი თავი დაგვეხმარება. ასევე, კონტექსტმაგალითები, რომლებსაც სასწავლო პროცესში განიხილავთ. ქვემოთ მაგალითები დაჯგუფებულია დემოგრაფიული გადასვლის ფაზების მიხედვით:

დემოგრაფიული გადასვლის ფაზა და მისი მახასიათებლები:	• კონტექსტმაგალითი
პირველიდან მეორე ფაზაში გარდამავალ პერიოდში: <u>მახასიათებლები:</u> ▸ ურბანიზაცია ▸ დიდი ოჯახის ტრადიციის მოშლა ▸ სოციალური მობილობის ზრდა ▸ მოსახლეობის რაოდენობის მატება ▸ სივრცის გადააზრება	• შემოღობვებისა და ვიქტორიას ეპოქის ინგლისში; • მეიძის რესტავრაციის პერიოდის იაპონიაში; • სტოლიპინის რეფორმების პერიოდის რუსეთში; • საქართველოს ისტორიული დემოგრაფია XIX საუკუნეში და XX საუკუნის პირველ ნახევარში.
მეორიდან მესამე და მეოთხე ფაზაში გარდამავალ პერიოდში: <u>მახასიათებლები:</u> ▸ ქალების როლის ზრდა ▸ ცხოვრების ხარისხის ზრდა ▸ მეგაპოლისების გაჩენა ▸ სოფლის გაქრობა ▸ სოციალური სივრცეების ზრდა ▸ ეგალიტარიზმი	• ერთი ბავშვის პოლიტიკის გამტარებელ ჩინეთში; • დემოგრაფიული პოლიტიკა ინდოეთში; • მიგრაციები თანამედროვე ევროპაში; • დემოგრაფიული პროცესები თანამედროვე საქართველოში.

ცხრილში მოცემული დემოგრაფიული გადასვლის თითოეული ფაზის გათვალისწინებით შეარჩიეთ ერთ-ერთი კონტექსტმაგალითი.

პროექტული / პრაქტიკული დავალება

წარმოიდგინეთ თავი თქვენ მიერ შერჩეული მოვლენის / პროცესის უშუალო მონაწილედ. შექმენით დღიური (სულ ცოტა, ხუთი დღისთვის), რომელიც წარმოაჩენს ეპოქის თანამედროვეთა განცდებს, ყოველდღიურ პრობლემებსა და მისწრაფებებს.

დღიურში აქტიურად გამოიყენეთ სიტყვები: „მოსახლეობა“, „მოსახლეობის სტრუქტურა“, „მოსახლეობის დინამიკა (ბუნებრივი მოძრაობა, მექანიკური მოძრაობა/მიგრაცია)“, „დემოგრაფიული პოლიტიკა“, „სოციალიზაცია“, „სოციალიზაციის აგენტი“, „სოციალური მობილობა“, „დრო“, „სივრცე“, „იდენტობა“.

ნაშრომში / ნაშრომის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ:

- როგორ აღიქვამენ საკუთარ თავს თქვენ მიერ შერჩეული მოვლენის / პროცესის მონაწილეები; როგორია მათ იდენტობა; ***(სამიზნე ცნება - საზოგადოება)***
- ბერკეტები, რომელსაც ხელისუფლება / პოლიტიკური ლიდერები მიმართავენ დემოგრაფიული პრობლემის გადასაჭრელად; ***(სამიზნე ცნება - ძალაუფლება)***
- საზოგადოებრივი მოვლენები და პროცესები, რომლებიც ზეგავლენას ახდენდნენ და ახდენენ თქვენ მიერ შერჩეულ საზოგადოებრივ მოვლენაზე-პროცესზე; ***(სამიზნე ცნება - საზოგადოებრივი მოვლენა / პროცესი)***

მოქალაქეობა

II თემა

კეთილდღეობის ეკონომიკა

შესავალი

- თვითაქტუალიზაცია
- ეკონომიკა
- ეკონომიკური სისტემა
- სოციალური და კულტურული კაპიტალი
- ეკონომიკური პოლიტიკა

თავი 1. „საჩუქრების ეკონომიკა“

- გაზიარების კულტურა
- ჰორიზონტალური სისტემა
- ვერტიკალური სისტემა

თავი 2. საბაზრო ეკონომიკა

- <u>საწყისები</u>
  - პროტესტანტიზმი
  - ნაციონალიზმი
  - მესამე წოდება
  - მერკანტილისტები და ფიზიოკრატები
- <u>გლობალური ეკონომიკის სტრუქტურა:</u>
  - *მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია*
  - *საერთაშორისო სავალუტო ფონდი*
  - *მსოფლიო ბანკი*
  - *ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD)*
  - *„დიდი შვიდიანი“ და „დიდი რვიანი“*
  - *დიდი ოცეული G20*
  - *ტრანსნაციონალური კომპანიები*
  - *გლობალური ფინანსური ცენტრები*
- <u>რამდენად ეფექტურია გლობალური ეკონომიკა:</u>
  - *ეკონომიკური უთანასწორობა*
  - *ეკონომიკური კრიზისები*

შესავალი

წინამდებარე თემა მოიცავს პასუხს ორ შეკითხვაზე:

- *– რა არის ბედნიერება?*
- *– შეიძლება თუ არა, არსებობდეს საზოგადოება, სადაც ყველა ადამიანი ბედნიერად იგრძნობს თავს?*

ამ შეკითხვაზე პასუხის ძიება გულისხმობს მთელი რიგი კომპლექსური საკითხების განხილვას, რომლებიც წარმოაჩენს ადამიანის პიროვნული განვითარების პროცესს და განსხვავებებს ეკონომიკურ სისტემებს. კერძოდ, ერთმანეთს შევადარებთ:

– „გაზიარების კულტურას“;

– „საჩუქრების ეკონომიკას“;

– პროტექციონიზმს;

– გეგმიურ ეკონომიკას;

– საბაზრო ეკონომიკას



➲ მონადირეები და შემგროვებლები

➲ მონარქისა და მისი ამალის ილუსტრაცია



➲ მლუი XIV - ისა და კოლბერის ილუსტრაცია

➲ კოლექტივიზაციის ამსახველი ილუსტრაცია



➲ ვოლ-სთრი-თის ამსახველი ილუსტრაცია

თვითაქტუალიზაცია

კეთილდღეობის / ბედნიერების უნივერსალური განმარტება არ არსებობს. ყველა ადამიანი ინდივიდუალურად განსაზღვრავს, რატომ და როდის გრძნობს თავს ბედნიერად. მიუხედავად ამისა, შეიძლება გამოივეთოს უნივერსალური ფაქტორები, რომლებიც ბედნიერების განცდაზე ახდენს ზეგავლენას. ეს ფაქტორები ეფექტურად აღწერა ამერიკელმა ფსიქოლოგმა აბრაჰამ მასლოუმ.



მისი კონცეფციისთვის მთავარი ცნებაა <u>თვითრეალიზაცია / თვითგამოხატვა</u>, თვითრეალიზაცია, რაც სხვა არაფერია, თუ არა ბედნიერების განცდა იმის გამო, რომ სასარგებლო საქმეს აკეთებ.

მასლოუმ გამოყო 4 კატეგორიის მოთხოვნილებები და საჭიროებები, რომელთა გარეშეც ადამიანი ვერ შეძლებს თვითრეალიზაციას (ამიტომაც არის მოქცეული ეს სიტყვები პირამიდის სათავეში).

პირამიდის პირველ საფეხურზე დგას **ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები** - თავშესაფარი, საკვები და სხვა პირველადი საჭიროებები; მეორე ადგილი უჭირავს **უსაფრთხოებას** - ანუ ადამიანის განცდას, თავს გრძნობდეს დაცულად.

პირამიდის მესამე და მეოთხე საფეხურები კი წარმოაჩენს ადამიანის სურვილს, ჰქონდეს **მიკუთვნებულობის განცდა** (სიყვარული, სითბო და ურთიერთობები) ამა თუ იმ კოლექტივთან (მესამე საფეხური) და **აღიარებულ იქნეს** სხვების მიერ, ანუ ჰქონდეს პატივისცემა, დაფასება, ყურადღება, სტატუსი (პირამიდის მეოთხე საფეხური).

არსებობს ბედნიერების „გაზომვის“ / ინდიკატორების საფუძველზე მისი უფრო კონკრეტულად აღწერის მცდელობებიც. ქვემოთ მოცემული ცხრილი სწორედ ამ ტიპის ინდიკატორებს წარმოაჩენს.

დავალება

იმსჯელეთ, რამდენად განსაზღვრავს ცხრილში მოცემული ფაქტორები ადამიანის ბედნიერებას.

ფსიქოლოგიური კეთილდღეობა	
ოჯახი	რამდენად კმაყოფილია ცხოვრებით?
ცხოვრების დონე	
სამსახურისა და პირადი ცხოვრების ბალანსი	
ემოციური ბალანსი	რამდენად ხშირად ექცევა ნეგატიური და პოზიტიური ემოციების ქვეშ ?
სულიერება	როგორ აღიქვამთ/ რას უწოდებთ სულიერებას?
ჯანმრთელობა	
ხანგრძლივი ავადმყოფობა	
თვითგანსაზღვრული ჯანმრთელობა	
განათლება	
წიგნიერება	
განათლების კვალიფიკაცია	
ღირებულებები	
კულტურული განსხვავებულობა და მიმღებლობა	
ენის ცოდნა	რამდენად კარგად იცის ენა, რომელზეც მის გარშემო ადამიანები საუბრობენ
სოციალურ-კულტურული აქტივობები	რამდენად მონაწილეობს სოციალურ-კულტურულ აქტივობებში
დროის გამოყენება	
სამუშაო საათების რაოდენობა	
ძილის საათების რაოდენობა	
მმართველობის როგორი ფორმაა დამახასიათებელი ქვეყნისთვის, სადაც ადამიანი ცხოვრობს. რამდენად შესაძლებელია:	
პოლიტიკური ჩართულობა	
მომსახურებისა და სერვისების მიწოდება	
თავისუფლება	

კიდევ სცადეთ

საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობა	
სოციალური დახმარება	რამდენად სოლიდარული არიან საზოგადოების წევრები ერთმანეთის მიმართ
საზოგადოებრივი ურთიერთობები	
დანაშაულის მსხვერპლი	გამხდა რა თუ არა ადამიანი დანაშაულის მსხვერპლი
ეკოლოგიური მდგომარეობა	
გარემოს დაბინძურება	
გარემოს მიმართ პასუხისმგებლობა	
ცხოვრების ხარისხი	
საოჯახო მეურნეობის შემოსავალი	
მფლობელობაში არსებული აქტივები	
საცხოვრებლის ხარისხი	

ეკონომიკა

წინამდებარე თემისთვის მეორე საკვანძო სიტყვაა „ეკონომიკა“. მისი გააზრებისთვის საკვანძო მნიშვნელობა აქვს შემდეგ ცნებებს: **„გაცვლა-ბარტერი-ფული“**, **„შეთანხმება-ფასი-საკუთრება“**, **„მოთხოვნა-მიწოდება-ბაზარი“**, **„წარმოება-ვაჭრობა-კრედიტი-ეკონომიკური ზრდა“**, **„ეკონომიკური სისტემა“**.

- **„გაცვლა“** – გულისხმობს ადამიანების მიერ საქონლისა და მომსახურების გაცვლას.

დავალება

დაასახელეთ საქონლის და მომსახურების გაცვლის სამი სხვა მაგალითი.

- **„ფული“** – საქონლისა და მომსახურების ღირებულების შეფასების საშუალება, რომელიც აადვილებს გაცვლას. გაცვლას ფულის გარეშე უწოდებენ ბარტერს.

დავალება

იმსჯელეთ, რატომ არის უფრო კომფორტული ფულის გამოყენება გაცვლის საშუალებად, ვიდრე ბარტერული გაცვლა.



- **საკუთრება** – გულისხმობს ადამიანის უფლებას გარკვეულ ქონებაზე.

დავალება

იმსჯელეთ, რა განსხვავებაა კერძო და საჯარო საკუთრებას შორის.

- **„შეთანხმება / ფასი“** – გაცვლის პროცესში ადამიანები თანხმდებიან ფასზე - რა ფასად უღირთ ამა თუ იმ პროდუქტისა და მომსახურების გაყიდვა/შეძენა.

დავალება

იმსჯელეთ, რა განსხვავებაა შემდეგ სიტყვათშეხამებებს შორის: „ფასის დადება“, „ფასზე შეთანხმება“.

- **„მოთხოვნა-მიწოდება“** – ამა თუ იმ საქონელსა და მომსახურებაზე ფასის მატებას ან კლებას რიგი გარემოებები განაპირობებს. ეკონომისტები ამ გარემოებებს ტერმინებით - „მოთხოვნა“ და „მიწოდება“ აღნიშნავენ. მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა ვაშლის შეძენა ბევრ ადამიანს სურს, შეიძლება ვთქვათ, რომ ვაშლზე **მოთხოვნა მაღალია**. იმ შემთხვევაში კი, როცა საზოგადოებაში ვაშლის შეძენის მსურველების რაოდენობა მცირეა, ვიტყვით – ვაშლზე **მოთხოვნა დაბალია.**

ვაშლს ადევს მაღალი ფასი

ვაშლს ადევს დაბალი ფასი

იმ შემთხვევაში, როცა ვაშლი იოლად ხელმისაწვდომია, ვიტყვით, რომ მიწოდება **მაღალია**, იმ შემთხვევაში კი, როცა ვაშლი დეფიციტურია, შეიძლება ვთქვათ, რომ მისი მიწოდება **დაბალია.** როგორც წესი, ამა თუ იმ საქონლისა და მომსახურების ფასი ყალიბდება მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობით / წონასწორობით.

მოთხოვნის მრუდი

10 ლარი						
9 ლარი						
8 ლარი						
7 ლარი						
6 ლარი						
5 ლარი						
4 ლარი						
3 ლარი						
2 ლარი						
1 ლარი						
	0	1-5 ცალი	6-10 ცალი	11-15 ცალი	16 – 20	20-ზე მეტი
	გაყიდული პროდუქტის რაოდენობა					

დააკვირდით ზემოთ მოცემულ ცხრილს. **ვერტიკალურ სვეტში** მითითებულია გასაყიდი პროდუქტის ფასი, **ჰორიზონტალურ სვეტში** კი - გაყიდული პროდუქტის რაოდენობა. ყვითლად მონიშნული უჯრები წარმოაჩენს, როგორ იცვლება ბაზარზე მოთხოვნა პროდუქტზე იმის მიხედვით, თუ რამდენად კლებულობს მისი ფასი. მაგალითად, როცა ვაშლის ფასია 10 ლარი, გაყიდული პროდუქტის რაოდენობაა - 0, როცა 6 ლარი, გაყიდული პროდუქტის რაოდენობა მერყეობს 16 – 20-ს შორის.

მიწოდების მრუდი

10 ლარი						
9 ლარი						
8 ლარი						
7 ლარი						
6 ლარი						
5 ლარი						
4 ლარი						
3 ლარი						
2 ლარი						
1 ლარი						
	1-5 ცალი	6-10 ცალი	11-15 ცალი	16 – 20 ცალი	21-25 ცალი	25-ზე მეტი
	გაყიდული პროდუქტის რაოდენობა					

დააკვირდით ზემოთ მოცემულ ცხრილს. **ვერტიკალურ სვეტში** მითითებულია გასაყიდი პროდუქტის ფასი, **ჰორიზონტალურ სვეტში** კი - რა რაოდენობის პროდუქტზე არსებობს მოთხოვნა ბაზარზე. ყვითლად მონიშნული უჯრები წარმოაჩენს, როგორ იზრდება პროდუქტზე ფასი მასზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად. მაგალითად, ვხედავთ, რომ როცა მისი შესყიდვის მსურველთა რაოდენობა 1-5-ს შორის მერყეობს, მაშინ პროდუქტის ფასია 5 ლარი, როცა შესყიდვის მსურველთა რაოდენობა 25-ს აჭარბებს, მაშინ მისი ფასიც 10 ლარამდე ადის; ანუ მიმწოდებლები ფასს ზრდიან იმის მიხედვით, თუ რამდენად მოთხოვნადია მათი პროდუქცია ბაზარზე.

ბაზარს აყალიბებს ეკონომიკური აქტივობების (საქონლისა და მომსახურებების გაცვლა, წარმოება, ვაჭრობა) ერთობლიობა. მაგალითად, როცა ადამიანების ერთ ჯგუფს აქვს მოთხოვნა ვაშლზე, მეორე კი ორიენტირდება ვაშლის მიწოდებაზე, ყალიბდება ვაშლის ბაზარი. ეს ბაზარი, თავის მხრივ, უფრო დიდი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზრის ნაწილია, გარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა, ასევე, სხვა ტიპის ბაზრისა (მაგალითად, „შრომის ბაზარი“, „უძრავი ქონების ბაზარი“, „საყოფაცხოვრებო ნივთების“). ყველა ამ ბაზრის ერთობლიობა აყალიბებს რეგიონულ და საერთაშორისო ბაზარს.

	ვაშლის ბაზარი
	სასოფლო სამეურნეო პროდუქტების ბაზარი
	შრომის ბაზარი
	უძრავი ქონების ბაზარი
	საყოფაცხოვრებო ნივთების ბაზარი

დავალება

თქვენი სიტყვებით განმარტეთ: „ბაზარზე მოთხოვნა“; „ადგილობრივი ბაზარი“, „საერთაშორისო ბაზარი“.

დავალება

გაეცანით ვიდეორგოლს

ბმული

მისი გათვალისწინებით შეასრულეთ ქვემოთ მოცემული პრაქტიკული / პროექტული

პროექტული / პრაქტიკული დავალება

თქვენი სიტყვებით განმარტეთ სიტყვა „ფასწარმოქმნა“. შეარჩიეთ ერთ-ერთი ყოფითი პროდუქტი. დააზუსტეთ, რა ფასად იყიდება ის მაღაზიებსა და სუპერმარკეტებში. შეეცადეთ, ახსნათ - რატომ არის იაფი, ან ძვირი. მსჯელობისას გამოიყენეთ ტერმინები: „მოთხოვნა“, „მიწოდება“, „წონასწორობა“, „ფასი“, „ბაზარი“.

ნაშრომში / ნაშრომის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ:

- რატომ არის თქვენ მიერ შერჩეული პროდუქტი საინტერესო / ნაკლებად საინტერესო ჩვენი საზოგადოებისთვის? **(სამიზნე ცნება „საზოგადოება“)**
- რამდენად და როგორ ახდენს ფასის წარმოქმნაზე ზეგავლენას სახელმწიფო / სახელმწიფო ინსტიტუტები? რამდენად თვალსაჩინოა კონკურენცია იმავე პროდუქტის შემოტანასთან დაკავშირებით, სხვადასხვა მომწოდებელს შორის?

  (სამიზნე ცნება „ძალაუფლება“)
- რა საზოგადოებრივმა მოვლენებმა / პროცესებმა შეიძლება განაპირობონ სამომავლოდ თქვენ მიერ შერჩეულ პროდუქტზე ფასის მატება / კლება? **(სამიზნე ცნება „მოვლენა/ პროცესი“)**

წარმოება, ვაჭრობა, კრედიტი – სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდა და მიწოდების სერვისების განვითარება პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში ვაჭრობის, წარმოებისა და აღებ-მიცემობის განვითარებასთან.

„ეკონომიკური ზრდა – ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების ზრდა, ვაჭრობისა და საწარმოო ძალების განვითარება იწვევს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ეკონომისტები აღნიშნავენ ტერმინით „ეკონომიკური ზრდა“. ეკონომიკური ზრდის პროცესს ხშირად რაოდენობრივი მაჩვენებლებით აღწერენ ცნებების „მთლიანი შიდა პროდუქტი“ (მშპ) და „მთლიანი ეროვნული პროდუქტი“ (მეპ) საშუალებით.



ორივე მათგანი წარმოაჩენს ქვეყანაში ერთი წლის განმავლობაში წარმოებული პროდუქტისა და მომსახურებების საერთო ღირებულებას. მაგალითად, 2020 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი იყო 49 მილიარდი ლარი. რისგან შედგება ეს მაჩვენებელი? ქვემოთ საილუსტრაციოდ გამოკვეთილია მხოლოდ ოთხი კატეგორია:

წელი	ეკონომიკური აქტივობა	ღირებულება
2020 წელი	სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება	3,6 მილიარდი ლარი
	მრეწველობა	4,6 მილიარდი ლარი
	მშენებლობები	3,7 მილიარდი ლარი
	სატრანსპორტო მომსახურება	2,6 მილიარდი ლარი

მთლიანი შიდა პროდუქტი ხშირად მოსახლეობის სიმდიდრისა და ეკონომიკური სიძლიერის მაჩვენებელიც არის. ამის გასაგებად მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი უნდა გავყოთ მოსახლეობის საერთო რაოდენობაზე.

მთლიანი შიდა პროდუქტი	მოსახლეობის რაოდენობა	ერთი ადამიანის საშუალო წლიური შემოსავალი
49 მილიარდი	3,7 მილიონი	13, 234
	ბმული	

ამ ტიპის ყოველწლიური მონაცემების ერთმანეთთან შედარება შესაძლებლობას გვაძლევს, დავაკვირდეთ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესს. როგორც ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს, საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ვლინდება 2020-2021-2022-2023 წლებში:

წელი	2020	2021	2022	2023
მთლიანი შიდა პროდუქტი	**49, 8** მილიარდი ლარი	**60, 7** მილიარდი ლარი	**72,9** მილიარდი ლარი	**80,2** მილიარდი ლარი
	ბმული			





ეკონომიკური სისტემა

ეკონომისტებმა დიდი ხანია შენიშნეს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ზოგან – უფრო ნელა. ზოგან კი ზრდის ნაცვლად სულაც ეკონომიკური ვარდნას აქვს ადგილი. რაზეა ეს დამოკიდებული? რა განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესს?

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, ცხადია, მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. ამ ფაქტორებს ხშირად აერთიანებენ ტერმინის **„ეკონომიური სისტემა“** საშუალებით. მეცნიერები ხშირად ერთმანეთისგან განასხვავებენ საბაზრო, გეგმიურ და შერეულ ეკონომიკას:

საბაზრო ეკონომიკა	გეგმიური ეკონომიკა	შერეული ეკონომიკა
სახელმწიფო არ ერევა ეკონომიკის განვითარებაში. მისი მოვალეობა დადის ისეთ ფუნქციებამდე, როგორებიცაა – საკუთრების დაცვა, მონოპოლიების წინააღმდეგ ბრძოლა და სხვ.	პროდუქციისა და მომსახურების წარმოება და განაწილება იგეგმება მთლიანად სახელმწიფოს მიერ.	ხორციელდება ეკონომიკის კონტროლი მთავრობისა და სამოქალაქო სექტორის მხრიდან.

თუმცა ეს სისტემები უფრო თანამედროვე ეკონომიკას წარმოაჩენს. თითოეულისთვის ათვლის წერტილია ეკონომიკური ზრდა. მისი მთავარი შემოქმედია ადამიანი და სახელმწიფო, რომელიც განუხრელად ესწრაფვის კაპიტალის დაგროვებას/ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ეს საინტერესოა!

ადამიანის სტიმულებისა და მოქმედების ლოგიკის აღსაწერად სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად იყენებენ ტერმინს „Homo Economicus“. ეს ტერმინი გამოხატავს საკუთარ მატერიალურ ეკონომიკურ ინტერესებზე/სიმდიდრის დაგროვებაზე ორიენტირებულ ადამიანს, რომელიც გაურბის არაანაზღაურებად სამუშაოს და ყველაფერ იმას, რისგანაც ხელშესახებ მატერიალურ სარგებელს არ ელის. ბევრი ეკონომიკური თეორია ადამიანს სწორედ ამ ჩარჩოში ახასიათებს, თუმცა, არსებობს მიდგომები, რომლებიც მოცემულობას უფრო კომპლექსურად წარმოაჩენს, მაგალითად, ეკონომიკური ანთროპოლოგია – რომელიც ამტკიცებს, რომ “„Homo Economicus“-ის ცნება ნაკლებად ადეკვატურია წარსულში / პრემოდერნულ პერიოდში ადამიანების მოქმედების ლოგიკის აღსაწერად.

ისტორია სხვა ტიპის ეკონომიკურ სისტემებსაც იცნობს, რომლებიც თანამედროვეობისგან ბევრად განსხვავებული ლოგიკით ფუნქციონირებდა (იხ. პარაგრაფი „გაზიარების კულტურა“, „საჩუქრების ეკონომიკა“). ამ განსხვავებების გასააზრებლად, მნიშვნელოვანია უფრო მრავალმხრივად შევხედოთ ცნებას **„კაპიტალი“**.

სოციალური და კულტურული კაპიტალი

სიტყვა „კაპიტალის“ ხსენებაზე, უპირველეს ყოვლისა, გვახსენდება მატერიალური დოვლათი, რომლისაც ვაგროვებთ, ვაფასებთ, ვცვლით და სხვადასხვა ეკონომიკური აქტივობის ფორმატში მოვიხმართ. გიფიქრიათ, თუ არა, რომ ეს სიტყვა (კაპიტალი) შესაძლოა მიემართებოდეს არა მხოლოდ მატერიალურად ხელშესახებ პროდუქტს (ესა თუ ის ნივთი, ესა თუ ის შრომითი სერვისი), არამედ გარემოებებს, რომელიც ადამიანის პრესტიჟს განსაზღვრავს. ადამიანი, მატერიალური სიმდიდრის გარდა, ცხოვრების განმავლობაში სხვა ტიპის „კაპიტალის“ შეძენასაც ესწრაფვის. ეს კაპიტალი შესაძლებელია მას ფულზე მეტადაც კი ეხმარებოდეს კონკრეტულ სიტუაციაში წარმატების მიღწევაში.

ფრანგი მეცნიერი პიერ ბურდიე ორი ტიპის კაპიტალს გამოყოფს, რომელიც სოციუმში ადამიანის მდგომარეობას განამტკიცებს – **სოციალურსა და კულტურულს**. სოციალური კაპიტალი ადამიანებს შორის ჩამოყალიბებულ კავშირ-ურთიერთობებს გულისხმობს; **კულტურული კაპიტალი** კი იგივდება სამ სხვადასხვა ტიპის გარემოებასთან:

- <u>სიმბოლურ ელემენტთან</u>, როგორიცაა, მაგალითად, ადამიანის მეტყველების მანერა, გემოვნება და სხვ;
- <u>ეკონომიკასთან,</u> ანუ მატერიალურ დოვლათთან, ადამიანის ეკონომიკურ შესაძლებლობებთან;
- <u>ინსტიტუციურ აღიარებასთან</u>, ანუ ცოდნისა და გამოცდილების გაიგივებასთან რაღაც ოფიციალურ თანამდებობასთან, ჯილდოსთან, ან სტატუსთან.

პიერ ბურდიე

შეძენილი კაპიტალი განაპირობებს ადამიანის "სოციალურ პორტრეტს". ეს "პორტრეტი" ძალიან ძნელი აღსაწერია, ვინაიდან მის ჩამოყალიბებას მრავალი გარემოება უწყობს ხელს. მიუხედავად ამისა, ჩვენ ყოველთვის ვგრძნობთ, ჩვენი საზოგადოების რომელი წევრები იმსახურებენ განსაკუთრებულ ყურადღებას.

დავალება

– თქვენი სიტყვებით ახსენით, როგორ გესმით სიტყვა "პრესტიჟი". იმსჯელეთ, რატომ სცემენ საქართველოში განსაკუთრებულ პატივს სურათებზე გამოსახულ ადამიანებს, რა ქმნის მათ "სოციალურ და კულტურულ კაპიტალს". როგორ ფიქრობთ, რა ტიპის ძალისხმევის გაღება დასჭირდათ მათ ამ კაპიტალის შესაძენად.

ხვიჩა კვარაცხელია

ლაშა ტალახაძე

გია დვალი

სოციალური და კულტურული კაპიტალის რაობის განსაზღვრაში დაგვეხმარება სიტყვა **„ელიტა“**. მისი საშუალებით, ჩვეულებრივ, აღნიშნავენ ადამიანების ჯგუფს, რომლის წარმომადგენლებსაც საზოგადოებაში მეტ-ნაკლებად გამორჩეული ადგილი უჭირავთ.

სხვადასხვა საზოგადოებასა და სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება ფაქტორები, რომლებიც ელიტურობასა და პრესტიჟს განაპირობებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილი გამოკვეთს გარემოებს, რომელთა კომბინაციებიც სხვადასხვა ვითარებაში შესაძლოა განსაკუთრებული აღიარების, დაფასებისა და პატივისცემის საფუძველი გახდეს.

მეტყველების მანერა	
გემოვნება და ცხოვრების წესი: *- ავეჯისა და სამოსის სტილი, საკვები, საცხოვრებლის დაგეგმარება* *- თავისუფალი დროის გატარების გზები* *- საყვარელი მუსიკა/მწერლები*	
საქმიანობის სფერო: - საზოგადოებრივი აქტივობები (რა ტიპის სოციალურ აქტივობებში ერთვება რეგულარულად, ან არ ერთვება საერთოდ) - გარემოცვა (რა ადამიანების გარემოცვაში ტრიალებს)	
თანამდებობა / ოფიციალური სტატუსი	
სასურველი სამუშაო / ეკონომიკური დოვლათის დაგროვების გზები	
ეკონომიკური შესაძლებლობები	
რელიგიური კუთვნილება / შეხედულებები	
შეხედულებები *(საზოგადოებისთვის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით)*	
ცოდნა *(რა იცის, რა არ იცის)*	
ფიზიკური თვისებები	

კიდევ სცადეთ

ეკონომიკური პოლიტიკა

ისტორიულად ყოველთვის არსებობდნენ ელიტები, რომლებიც საზოგადოების წევრების ბედნიერებაზე ზრუნავდნენ. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ნებისმიერი ეკონომიკური რეფორმა, რევოლუცია, ან სოციალური პროგრამა „ბედნიერების ერთგვარ პროექტს“ წარმოადგენს.

ამ ტიპის პროექტების ავტორები სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში ცხოვრობდნენ. შესაბამისად, მათ განსხვავებულად ესმოდათ – **რა არის ბედნიერება და რა გზით შეიძლება მისი მიღწევა.** არსობრივ განსხვავებებს ქმნიდა ათვლის წერტილები, საიდანაც ამ პერიოდის ადამიანები ფიქრს, მოქმედებასა და პოლიტიკის დაგეგმვას იწყებდნენ. ათვლის ეს წერტილები შეიძლება დავუკავშიროთ ზემოთ უკვე განხილული მასლოუს პირამიდის სხვადასხვა საფეხურს:

ბრინჯაოს ხანის ცივილიზაციებისთვის ათვლის წერტილი იყო <u>უსაფრთხოება</u> – *ამ პერიოდის პოლიტიკოსებისთვის და საზოგადო მოღვაწეებისთვის მთავარი იყო ღმერთების ნების აღსრულება, რომლებიც არ გამოირჩეოდნენ ჰუმანურობით.*

ძველი ეგვიპტელების ღმერთები

შუმერების ღმერთები

ანტიკურ/ რკინის ხანაში მთავარი აქცენტი კეთდებოდა <u>მიკუთვნებულობაზე</u> – *ეს არის რელიგიური მოძღვრებების ხანა, როცა მონოთეისტური რელიგიის მქადაგებლები მწყობრ კონცეფციებს ქმნიდნენ იმასთან დაკავშირებით, თუ რას ნიშნავს, იყო ჭეშმარიტი ქრისტიანი, იუდეველი, შიიტი, მანიქეველი და სხვ. ეს კონცეფციები კი საფუძვლად ედებოდა პოლიტიკოსებისა და საზოგადო მოღვაწეების მოქმედებას.*

ეკლესიები

მეჩეთები

შუა საუკუნეებს გარდამავალი ადგილი უჭირავს ანტიკურობასა და მოდერნს შორის. ამ პერიოდის მმართველებისთვის ზრუნვის საგანი იყო როგორც რელიგია, ისე სამეფო, რომელიც ამ პერიოდში აღარ იყო „თეოკრატიული“.

შუა საუკუნეებს გარდამავალი ადგილი უჭირავს ანტიკურობასა და მოდერნს შორის. ამ პერიოდის მმართველებისთვის ზრუნვის საგანი იყო როგორც რელიგია, ისე სამეფო, რომელიც ამ პერიოდში აღარ იყო „თეოკრატიული“.

შუა საუკუნეების რაინდები

შუა საუკუნეების ციხე-კოშკები

მოდერნი / ახალი არის პერიოდი, როცა ათვლის წერტილი გახდა ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები; ამ დროიდან აქცენტი კეთდება მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. შემთხვევითი არ არის, რომ ეკონომიკა, როგორც მეცნიერება და პოლიტიკის ავტონომიური სფერო, სწორედ ამ პერიოდში ყალიბდება.

ბანკები და საფონდო ბირჟები

პოსტმოდერნის სახით კი თითქოს დგება ეპოქა, როცა ხდება „ეკონომიკის ცნების“ გაფართოება და მეტი ყურადღება ექცევა ადამიანის ჰოლისტურ განვითარებას; მის თვითრეალიზებას.

პოსტმოდერნი

დავალება ისტორიის კურსიდან გაიხსენეთ სამი ფაქტი ზემოჩამოთვლილი ისტორიული პერიოდების შესახებ.

ისტორიული პერიოდი	ისტორიული მოვლენა	ისტორიული პიროვნება
ბრინჯაოს ხანა ძვ.წ. IV ათასწლეულიდან ძვ.წ. I ათასწლეულამდე პერიოდი		
ანტიკურობა ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან ახ.წ. I ათასწლეულის მიწურულამდე პერიოდი		
შუა საუკუნეები ახ.წ. I ათასწლეულის მიწურულიდან XV-XVI საუკუნეებამდე პერიოდი		
მოდერნი პერიოდი XVII საუკუნიდან XX საუკუნის შუა ხანებამდე		
პოსტმოდერნი პერიოდი, რომელიც XX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება		

დავალება ცხრილზე დაფუძნებით, იმსჯელეთ, ისტორიის რომელ ეტაპებს შეიძლება ვუწოდოთ პრემოდერნული, მოდერნი / მოდერნული და პოსტმოდერ-ნული. გამოკვეთეთ მათი მახასიათებლები.

თანამედროვე და არქაული საზოგადოების კონტრასტი

კიდევ სცადეთ

პროექტული / პრაქტიკული დავალება

გაეცანით წიგნის პირველ, მეორე და მესამე თავს და ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ კონტექსტმაგალითს (დანართი 2). გამართეთ დისკუსია სამ თემაზე:

(1) შეგვიძლია თუ არა Homo Economicus-ი ვუწოდოთ პრემოდერნულ პერიოდში მცხოვრებ ადამიანს **(პირველ თავზე დაფუძნებით)**

(2) მერკანტილისტები და ფიზიოკრატები – რომელი უკეთ გამოხატავდა XVIII საუკუნის საზოგადოების ინტერესებს **(მეორე თავზე დაფუძნებით)**

(3) საჭიროა თუ არა ეკონომიკის განვითარებაში სახელმწიფოს ჩარევა? **(მესამე თავზე დაფუძნებით)**

დისკუსიის მონაწილეთა ერთი ნაწილი დაიცავს ერთ მოსაზრებას, მეორე ნაწილი - მეორეს. მესამე ნაწილი კი მოირგებს „ნაფიცი მსაჯულების“ როლს და შეაფასებს, რომელი მხარის არგუმენტები იყო უფრო მეტად დამაჯერებელი. დისკუსიის დასრულების შემდეგ თითო-ეული მონაწილე ავსებს თვითშეფასების კითხვარს (იხ. **დანართი** 1).

დისკუსიის მსვლელობისას, გამოიყენეთ ტერმინები: „თვითაქტუალიზაცია“, „ეკონო-მიკა“, „ეკონომიკური სისტემა“, „სოციალური და კულტურული კაპიტალი“, „ეკონომიკური პოლიტიკა“.

დისკუსიის მსვლელობისას, მკაფიოდ წარმოაჩინეთ:

- *რომელი საზოგადოებრივი ჯგუფების ინტერესებს ეხმიანება ეკონომიკური პოლიტიკა,* ***(სამიზნე ცნება – საზოგადოება)***
- *ძალაუფლების ბერკეტები, რომლებიც ზემოქმედებს ეკონომიკურ პროცესებზე* ***(სამიზნე ცნება - ძალაუფლება)***
- *კონკრეტული საზოგადოებრივი მოვლენები/პროცესები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარებაზე* ***(სამიზნე ცნება – მოვლენა / პროცესი)***

დანართი 1. თვითშეფასება:

საკვანძო შეკითხვა	არგუმენტირებული პასუხი
რა საკითხს ეხებოდა პრაქტიკული/პროექტული დავალება? რატომ არის ეს პრობლემა აქტუალური?	
თქვენთვის ცნობილი რომელი სხვა მონათესავე საკითხები უკავშირდებოდა ძირითად საკითხს?	
რა საკითხთან დაკავშირებით გამოიკვეთა განსხვავებული მოსაზრებები პრაქტიკულ / პროექტულ დავალებაზე მუშაობის პროცესში?	
რა პოზიციას იცავდით თქვენ? რა არგუმენტები გქონდათ საკუთარი პოზიციის დასაცავად?	
რა პოზიციას იცავდა მოწინააღმდეგე? რა არგუმენტები ჰქონდა მას?	
შეცვალა თუ არა დისკუსიამ თქვენი დამოკიდებულება საკითხისადმი?	
რომელი **სოციალური მოვლენების/პროცესების** შესახებ მიიღე ინფორმაცია პრაქტიკულ / პროექტულ დავალებაზე მუშაობის პროცესში? კიდევ რის გაგებას ისურვებდით იმავე საკითხთან დაკავშირებით?	
რა გაიგეთ პრაქტიკულ / პროექტულ დავალებაზე მუშაობის პროცესში **საზოგადოებრივ მოვლენებსა და პროცესებზე,** რომლებსაც ჩვენს ცხოვრებაზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია? კიდევ რის გაგებას ისურვებდით იმავე საკითხთან მიმართებით?	
რა გაიგეთ პრაქტიკულ / პროექტულ დავალებაზე მუშაობის პროცესში **ძალაუფლების ბერკეტებზე**, რომელთა საფუძველზეც საზოგადოებრივ/ სოციალურ პროცესებსა და გარემოზე ზემოქმედების მოხდენა შეიძლება? კიდევ რის გაგებას ისურვებდით იმავე საკითხთან მიმართებით?	
რა გაიგეთ დავალებაზე მუშაობის პროცესში ფაქტორებზე, რომლებიც **ადამიანისა და საზოგადოების განვითარებაზე** ახდენს გავლენას? კიდევ რის გაგებას ისურვებდით იმავე საკითხთან მიმართებით?	

კიდევ სცადეთ

დანართი 2. კონტექსტმაგალითები

სასწავლო პროცესში კონტექსტმაგალითებად გამოიყენება სხვადასხვა პერიოდში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები და ეკონომიკური პოლიტიკა. ქვემოთ კონტექსტმაგალითები დაჯგუფებულია გარდამავალი პერიოდების მიხედვით.

საჩუქრების ეკონომიკიდან ეროვნული ბაზრის რეგულირებაზე გარდამავალი პერიოდი	▶ ჟან ბატისტ კოლბერის რეფორმები ▶ ჟაკ ტიურგოს რეფორმები ▶ რეფორმები ერეკლე მეფის მმართველობის პერიოდში
გლობალურ ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდი	▶ ჯონ მეინარდ კეინზი და დიდი დეპრესია ▶ აზიის ვეფხვები ▶ გეგმიური ეკონომიკა საბჭოთა კავშირში ▶ საქართველოს ეკონომიკური განვითარება დამოუკიდებლობის პერიოდში

თავი 1.. „საჩუქრების ეკონომიკა“

„გაზიარების კულტურა“

ზემოთ განვიხილეთ ეკონომიკური პროცესების ამსახველი ცნებები: გაცვლა, შეთანხმება, ფასი, საკუთრება, მოთხოვნა, მიწოდება, ბაზარი, ფული, წარმოება, ვაჭრობა, კრედიტი, ეკონომიკური ზრდა. ოპერირებდა თუ არა ამ ტიპის ცნებებით ისტორიულად ცნობილი ყველა საზოგადოება? მაგალითად, ცნობილი იყო თუ არა ისინი საზოგადოებებისთვის, რომლებიც თავს მონადირეობა-შემგროვებლობით ირჩენდნენ?

ადამიანმა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა ნეოლითურ პერიოდში ძვ.წ. X-VI ათასწლეულებში ისწავლა. მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლის ამ პროცესს მეცნიერები „ნეოლითურ რევოლუციას“ უწოდებენ. მანამდე ადამიანი მიმთვისებლურ მეურნეობას მისდევდა, ანუ თავს ნადირობითა და შემგროვებლობით ირჩენდა.

გაეცანით ფრაგმენტს ფილმიდან „ღმერთები ალბათ შეიშალნენ“, რომელიც აფრიკაში, კალაჰარის უდაბნოში მცხოვრები ხალხის - ბუშმენების ყოფას ეხება. ბუშმენები დღესაც მონადირეობასა და შემგროვებლობას მისდევენ. აქედან გამომდინარე, მათი ყოფის შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს, გამოვთქვათ ჰიპოთეზები - როგორ ფუნქციონირებდა და ფუნქციონირებს იმ საზოგადოების ეკონომიკა, რომელიც ჯერ კიდევ არ იცნობს მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას.

ბუშმენები ბმული

განვიხილოთ, რამდენად შეიძლება ბუშმენების საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების აღწერა სიტყვების **„გაცვლა“**, **„შეთანხმება“**, **„ფასი“**, **„საკუთრება“**, **„ მოთხოვნა-მიწოდება“**, **„ბაზარი“**, **„ფული“**, **„წარმოება“**, **„ვაჭრობა“**, **„კრედიტი“**, **„ეკონომიკური ზრდა“** საშუალებით:

- **საკუთრება** – ერთი შეხედვით, თითქოს ისე ჩანს, რომ ბუშმენებისთვის უცნობი იყო კერძო საკუთრების იდეა მანამ, სანამ კოკა-კოლის ბოთლის სახით არ გაჩნდა „ბოროტი ნივთი“, რომელიც ერთდროულად ყველა მათგანს დასჭირდა. რეჟისორს უნდა, მიგვანიშნოს, რომ კონფლიქტი და კერძო საკუთრება ურთიერთდაკავშირებული ცნებებია. მიუხედავად ამისა, იმავე ფილმში ჩანს, რომ თითოეულ წევრს აცვია ტანსაცმელი, უკეთია სამკაული, რომელიც, პრაქტიკულად, მის პირად საკუთრებას წარმოადგენს. თუმცა, ცალსახაა, რომ კლანის წევრები მატერიალური ღირებულების საგნების დაგროვებაზე ნაკლებად არიან ორიენტირებული.

ბუშმენების საზოგადოებას ზოგჯერ „გაზიარების კულტურის“ საზოგადოებას უწოდებენ. ამ ტერმინით ხდება იმაზე ყურადღების გამახვილება, რომ მონადირეებისა და შემგროვებლების ყოფაში მთავარი ღირებულებაა კლანის წევრების დახმარება, და არა ქონების / მატერიალური დოვლათის დაგროვება. ეს ბუნებრივიცაა ვითარებაში, როცა ყოველი დღე საკვების მოპოვებასთან დაკავშირებული გამოწვევებით არის სავსე, არც აქვს აზრი რაიმეს შენახვას. ამ დრო მთავარი ღირებულება ხდება გვერდზე მდგომი, რომელიც ყოველთვის მზად არის, საჭირო დროს დახმარება აღმოგიჩინოს;

- **გაცვლა** - ფილმიდან ჩანს, რომ საზოგადოების წევრები ერთმანეთში ცვლიან მომსახურებას. მათი ერთი ნაწილი უფრო ნადირობაზე სპეციალიზდება, მეორე კი - ბავშვების მოვლით არის დაკავებული;

- **შეთანხმება-ფასი-კრედიტი-ვაჭრობა-ეკონომიკური ზრდა-წარმოება** - რა თქმა უნდა, ბუშმენები თავიანთ საქმიანობას, პირდაპირი გაგებით, ფასს არ ადებენ (მაგალითად, არავინ ითვლის, რა დრო და ენერგია დახარჯა ნადირობისას). მათ ყოფაში არ ჩანს ვაჭრობა, არც აღებ-მიცემობა; წარმოება კი იგივდება პირველადი მოხმარების ნივთების (მშვილდი, საცხოვრებელი სახლი და სხვ.) შექმნასთან. ასეთ ვითარებაში, ცხადია, წლიდან წლამდე ეკონომიკურ ზრდაზეც ზედმეტია საუბარი.

დავალება

თქვენი სიტყვებით ახსენით, რას ნიშნავს ტერმინი „შრომის დანაწილება“

- **მოთხოვნა-მიწოდება / ბაზარი** - ფილმში ნაკლებად ჩანს ბაზრის იდეა. ბუნებრივია, რომ სახეზეა მოთხოვნაც და მიწოდებაც საკვებზე, მაგრამ, პრიმიტიული ეკონომიკის ფარგლებში, პროდუქტის ფასზე საუბარი ფრიად პირობითია. შესაბამისად, დღის წესრიგში არც **ფულის / ან მისი ფუნქციური ეკვივალენტის** გამოყენების საჭიროება დგას.

დავალება

იმსჯელეთ, როგორ გესმით ტერმინი „ფუნქციური ეკვივალენტი“.

ფულის იდეას ადამიანი, სულ ცოტა, 6 000 წელია იცნობს. სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა რამ ასრულებდა ფულის ფუნქციას. დღეს ფულის სახით ქაღალდის ბანკნოტებს ვიყენებთ, ანტიკურ და შუა საუკუნეების პერიოდში კი უპირატესობას ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის მონეტებს ანიჭებდნენ, უფრო ძველ პერიოდში კი (მაგალითად, ბრინჯაოს ხანის ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში) ფულის სტატუსი ვერცხლის ზოდებს ჰქონდა. საზოგადოებები, სადაც ფულად-სასაქონლო ურთიერთობები დიდად არ იყო განვითარებული, მყარი გაცვლითი ღირებულება ენიჭებოდა ზოგიერთ პროდუქტს / საქონელს. მაგალითად, ხევსურები მსხვილფეხა რქოსანი

პირუტყვის მოყვანის/გადახდის ვალდებულებას აკისრებდნენ თემის წევრებს კონკრეტული დანაშაულის სანაცვლოდ. რაც უფრო მძიმე იყო დანაშაული, მით მეტი ძროხა და ხარი უნდა მოეყვანა თემის წევრს.

ლარი

კოლხური თეთრი

ვერცხლის ზოდი

ხარი

ცალკე საკითხია, <u>რამდენად ეფექტურია მონადირეებისა და შემგროვებლების კეთილდღეობის ეკონომიკა. რამდენად უწყობს ის ხელს ადამიანს, თავი იგრძნოს ბედნიერად</u>. ბუშმენების ყოფაში იოლად შეიძლება დავინახოთ ცხოვრების ისეთი ელემენტების დეფიციტი, რომელთა გარეშეც ჩვენ თავს კომფორტულად ვერაფრით ვიგრძნობდით, თუმცა ფილმის რეჟისორი ცდილობს, მიგვანიშნოს, რომ ბუშმენები თავს ფრიად ბედნიერად გრძნობენ. ემოციურ რყევებსა და დეპრესიას მათ ყოფაში მხოლოდ თანამედროვე ცივილიზაციასთან დაკავშირებული კულტურის ელემენტების (მაგალითად, კოკა-კოლის ბოთლის) გამოჩენა განაპირობებს.

საჩუქარი

თუკი მონადირეებისა და შემგროვებლების ეკონომიკა ოდნავ თავისებურია, იმავეს ვერ ვიტყვით პრემოდერნულ საზოგადოებებზე, რომლებიც მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევენ. მათ ყოფაში უკვე ძალიან მკაფიოდ ვხედავთ ყველა ზემოთ განხილულ კატეგორიას – **„გაცვლა“, „შეთანხმება“, „ფასი", „საკუთრება", „ მოთხოვნა-მიწოდება“, „ბაზარი“, „ფული“, „წარმოება“, „ვაჭრობა“, „კრედიტი“, „ეკონომიკური ზრდა“.** თუმცა აქ სხვა თავისებურება ჩანს. ამ თავისებურების გასაგებად უნდა გავიხსენოთ, რას **ნიშნავს სიტყვა „საჩუქარი”.**

ერთი შეხედვით, ყველაფერი, რაც საჩუქარს უკავშირდება, ძალიან სუბიექტური და პირადულია. სინამდვილეში კი, ნებისმიერ კულტურაში, საჩუქრებთან მიმართებით, პრაქტიკულად, ერთსა და იმავე დაუწერელ წესებს იცავენ:

- <u>ვის ვჩუქნით საჩუქარს?</u> საჩუქრებს ვჩუქნით მხოლოდ ჩვენთვის ახლობელ ადამიანებს, ან იმ პიროვნებებს, ვინც გვინდა, რომ ჩვენი ახლობელი იყოს;
- <u>უკუგება</u> - საჩუქრის მიღებას, გარკვეულწილად, თითქოს მოსდევს საჩუქრის „დაბრუნების ვალდებულება“. თუკი ადამიანი რაიმეს გვჩუქნის, ეს თითქოს გვიწესებს მორალურ ვალდებულებას, თავადაც ვიზრუნოთ საპასუხო საჩუქარზე;
- <u>ცერემონია</u> - საჩუქრების გაცვლის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ერთი შეხედვით, ფორმალური წესების ზედმიწევნით დაცვას. მაგალითად, თუკი ვინმე რაიმე ნივთს გვჩუქნის, არაფრით შეიძლება მისთვის საჩუქრის სახით ზუსტად იმავე ნივთის დაბრუნება. ეს საჩუქრის მიღებაზე უარის თქმის ტოლფასი იქნება.

მარსელ მოსი (1872 - 1950) *იყო ფრანგი ანთროპოლოგი. მან პირველმა ჩაუყარა საფუძველი სხვადასხვა კულტურაში საჩუქრის ფენომენის შესწავლას.*

ბორისლავ მალინოვსკი *იყო პოლონური წარმოშობის ბრიტანელი ანთროპოლოგი. მან შეიმუშავა ჩართული კვლევის მეთოდი, რაც შესწავლის ობიექტად შერჩეულ საზოგადოებაში დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრებასთან ასოცირდება. მალინოვსკიმ დიდი დრო გაატარა ოკეანეთში, ტრობრიანის კუნძულებზე. აქ მან შეისწავლა იდუმალებით მოცული „კულას ტრადიცია“, რომელსაც, საჩუქრებზე მსჯელობისას, ანთროპოლოგები დიდი მნიშვნელობას ანიჭებენ.*



კარლ პოლანი (1886 - 1964) *ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში დაბადებული ეკონომისტი, ანთროპოლოგი და სოციოლოგი. მისი მთავარი ნაშრომია „დიდი ტრანსფორმაცია“, სადაც ის ეჭვქვეშ აყენებს თვითრეგულირებადი თავისუფალი ბაზრის იდეის მართებულობას. თავის ნაშრომებში პოლანი დიდ ადგილს უთმობს ადამიანის სტიმულების ანალიზს, აკრიტიკებს Homo Economicus-ის ცნებას.*

საჩუქარი ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. დაბადების დღის, დღესასწაულების, ან სხვა ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა, როგორც წესი, საჩუქრების გაცვლასთან ასოცირდება, თუმცა საჩუქარს ვერაფრით ვუწოდებთ ჩვენი ეკონომიკისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე კულტურის ელემენტს. საჩუქრების შერჩევაზე მეტ ყურადღებას ვუთმობთ ეკონომიკურ აქტივობებს, რომლებიც სახსრების მობილიზებასთან და მათ ეფექტურად ინვესტირებასთან ასოცირდება. ცხოვრების ასეთი წესისკენ თანამედროვე ეკონომიკური სისტემა გვიბიძგებს, მაგრამ იყო თუ არა ასე ყოველთვის? მეცნიერები ფიქრობენ, რომ პრემოდერნულ ხანაში მცხოვრები ადამიანისთვის საჩუქარს ბევრად უფრო ხელშესახები მნიშვნელობა ჰქონდა. ხშირად ერთმანეთისგან განასხვავებენ საჩუქრების გაცვლის “ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სისტემებს”.

„ჰორიზონტალური სისტემა“

ერთ-ერთი პირველი, ვინც საჩუქრების ეკონომიკა და საჩუქრებთან დაკავშირებული კანონზომიერებები შეისწავლა, იყო პოლონური წარმოშობის ბრიტანელი ანთროპოლოგი ბორისლავ. ის წლების განმავლობაში ცხოვრობდა ოკეანეთში, ტრობრიანის კუნძულებზე, გვინეის ყურ მალინოვსკი ეში და სწავლობდა ადგილობრივი ტომების ცხოვრებას. საკუთარი კვლევის შედეგები მალინოვსკიმ გამოაქვეყნა წიგნში „წყნარი ოკეანის არგონავტები“.

ოკეანეთში/ პაპუა ახალ გვინეის ადგილობრივი მცხოვრებლები

დაკვირვების პროცესში მალინოვსკიმ აღმოაჩინა ფრიად უცნაური ტრადიცია, რომელსაც ადგილობრივები „კულას“ უწოდებდნენ. მის ფარგლებში სხვადასხვა ტომის ახალგაზრდები ყოველწლიურად ერთმანეთს უცვლიდნენ გარკვეული სახის სამკაულებსა და ნიჭარებს. გაცვლის ამ პროცესში მონაწილეობისთვის ისინი სიცოცხლესაც კი იგდებდნენ საფრთხეში. კერძოდ, ძალიან პატარა ნავებით გადიოდნენ ზღვაში იმ ადამიანების საპოვნელად, რომლებსაც საჩუქრებს შესთავაზებდნენ (სავარაუდოდ, ტერმინი „კულა“ სწორედ მათ საზღვაო მარშრუტს ასახავს). „წყნარი ოკეანის არგონავტები“ ტრობრიანის კუნძულის მცხოვრებლებს მალინოვსკიმ სწორედ ამ სარისკო საზღვაო მოგზაურობების გამო შეარქვა.

გაცვლის ეს პროცესი არ ჰგავდა:

- <u>არც ვაჭრობას</u> - მონაწილეები გაცვლის შედეგად მატერიალურად სასარგებლოს არაფერს იღებდნენ (ნიჭარებსა და სამკაულებს მატერიალური ღირებულება პრაქტიკულად არ ჰქონდა);
- <u>არც ძვირფასეულობის ძიებას</u> – სამკაულებს ტრობრიანელები არც ინახავდნენ და არც თან ატარებდნენ;

ეს არც ბუშმენების ყოფისთვის დამახასიათებელი „გაზიარების კულტურა“ იყო, როცა მწირ რესურსებს ადამიანები ერთმანეთს უსასყიდლოდ უყოფენ.

პრესტიჟი – აი, რას ეძებდნენ ტრობრიანელი ახალგაზრდები წყნარ ოკეანეში სახიფათო მოგზაურობით. სამკაულებისა და ნიჭარების გაცვლაში მონაწილეობით ისინი საკუთარ საზოგადოებაში ელიტურ სტატუსს იძენდნენ. საჩუქრების გაცემა და მიღება გამოკვეთდა პრივილეგირებულ სოციალურ ფენას. ყალიბდებოდა ჰორიზონტალური კავშირები სხვადასხვა ტომის პრივილეგირებულ წევრებს შორის.

„კულას ტრადიციაში“ ჩართული ადამიანები, პარალელურად, ვაჭრობასა და წარმოებაშიც მონაწილეობდნენ, თუმცა მათთვის მთავარი იყო „საჩუქრების ჰორიზონტალური გაცვლით“ მიღებული პრესტიჟი და მხოლოდ ამის შემდეგ ჰქონდა მნიშვნელობა მატერიალური დოვლათის დაგროვებას.

საჩუქრების საშუალებით, სოციალური პრესტიჟის შეძენა მხოლოდ ტრობრიანის კუნძულის მცხოვრებლებისთვის არ იყო დამახასიათებელი. თუ დავაკვირდებით, ზუსტად იმავე სტიმულებს ამოვიცნობთ ძველი მსოფლიოსა და შუა საუკუნეების იმპერიების პოლიტიკური ელიტების წარმომადგენლების ქმედებაში.

მაგალითად, ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით თარიღდება ე.წ. ამარნას არქივი. ამარნა არის თანამედროვე ეგვიპტური სოფელი, რომლის ადგილასაც ქალაქი ახეტ-ატონი მდებარეობდა. აქ 1887 წელს აღმოაჩინეს უამრავი ლურსმული ფირფიტა, რომელიც უაღრესად საინტერესო მიმოწერას შეიცავს იმ პერიოდის ხუთი დიდი სახელმწიფოს (ეგვიპტის, ხეთების სამეფოს, მითანის სამეფოს, ასურეთსა და ბაბილონის) მეფეებს შორის. მიმოწერაში ასევე ჩართული არიან სხვა უფრო წვრილი სამეფოები.

ძველი ეგვიპტე

ხეთების სამეფო



მითანი სამეფო

ასურეთი

ბაბილონი

როგორც წესი, ამარნას არქივს ხშირად თანამედროვე პოლიტიკურ სისტემას ადარებენ. კერძოდ, პარალელებს ხედავენ იმაში თუ:

- როგორ ფუნქციონირებდა ელჩების ინსტიტუტი;
- როგორი დახვეწილი იყო დიპლომატიური ეტიკეტი და პროტოკოლი;
- როგორ ასრულებდა აქადური საერთაშორისო ენის როლს;
- როგორ ხდებოდა თანამშრომლობა კონფლიქტური სიტუაციის მოსაგვარებლად.

თუმცა, მსგავსებებთან, თვალსაჩინოა პრინციპული განსხვავებაც. ეს განსხვავება, უპირველეს ყოვლისა, საჩუქრების ჰორიზონტალურ გაცვლასთან არის დაკავშირებული. ამარნას არქივი სავსეა იმაზე მინიშნებებით, თუ როგორ უნდა მიმართონ ერთმანეთს და რა ტიპის საჩუქრები უნდა გაცვალონ სხვადასხვა რანგის მონარქებმა. მეფეების ერთი ჯგუფი თავს „დიდ მეფეებად“ მოიხსენიებენ და ერთმანეთს ძმებს უწოდებენ. სხვა მონარქები კი რანგით უფრო დაბლა დგანან.

ეს საინტერესოა!

ჩვენამდე მოაღწია მიმოწერამ ასურეთის მეფე ადადნირარ I-სა და ხეთების მეფე მურსილ III-ს შორის. მიმოწერა ძვ.წ. XIII საუკუნით თარიღდება. ეს ის პერიოდია, როცა ასურეთი იწყებს გაძლიერებას. წერილიდან ჩანს, რომ მეფე ადადნირარის განუზრახავს, „დიდ მეფეთა ძმობაში“ ადგილი იოლად დაემკვიდრებინა. ამიტომ მან მურსილისადმი მიწერილ წერილში საკუთარ თავს „დიდი მეფე“, ხეთების მმართველს კი - „ძმა“ უწოდა. მურსილ III-ის პასუხიდან ჩანს, თუ რამდენად დიდ კადნიერებად მიიჩნეოდა ძველ აღმოსავლეთში „პრესტიჟის ჰორიზონტალური სისტემის“ დარღვევა. ხეთების მეფემ ადადნირარის მკვახედ განუმარტა, რომ (ა) ისინი არ იყვნენ ერთი დედის შვილები; (ბ) ადრე მათ შორის არ არსებობდა სათანადო კეთილგანწყობა; (გ) მათი წინაპრები ერთმანეთს არასოდეს იხსენიებდნენ ძმებად. შესაბამისად, ის ვერ ჩათვლიდა ასურეთის მეფეს „ძმად“.

ეს საინტერესოა!

ამარნას არქივიდან ჩანს, რომ ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოების მონარქები ერთმანეთში მუდმივად ცვლიდნენ საჩუქრებს. ჩანს ისიც, რომ არსებობდა გარკვეული „ეტიკეტი“ იმისა, თუ რომელ მეფეს რომელი მეფისგან რამდენი და რა ტიპის საჩუქარი უნდა მიეღო. ჩვენამდე მოაღწია ძვ.წ. XIV საუკუნით დათარიღებულმა წერილმა, რომელიც ბაბილონის მეფე ბარნაბურიაშ II-მ ეგვიპტის ფარაონს მისწერა. წერილში ის გულისწყრომას გამოთქვამს იმის გამო, რომ ეგვიპტის მმართველმა, წინარე პერიოდთან შედარებით, ცოტა ოქრო გამოაგზავნა საჩუქრად. ასურეთის მეფე ასურუბალიტის წერილიდან კი ჩანს, უკმაყოფილოა იმით, რომ მითანის მეფე ფარაონისგან საჩუქრად იმაზე მეტ ოქროს იღებს, ვიდრე ასურეთის მმართველი (ანუ თავად ასურუბალიტი).

ჩანს, რომ მონარქები ძალიან შეურაცხყოფილად გრძნობდნენ თავს, როცა „საჩუქრების გაცვლის პროტოკოლი“ ირღვეოდა. ეს მათი პრესტიჟის დაქვეითებასთან ასოცირდებოდა.

ამარნას არქივი

საჩუქრები არც თანამედროვე საერთაშორისო დიპლომატიისთვის არის უცხო, თუმცა საჩუქარი დღეს უბრალოდ პროტოკოლური ფორმალობაა. ამარნას პერიოდში კი მას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოაჩენს, ერთმანეთისგან რამდენად განსხვავდებოდა ბრინჯაოს ხანისა და თანამედროვე პოლიტიკური ლიდერების ლოგიკა.

ამარნას პერიოდის პოლიტიკური ლიდერების პრიორიტეტები რიგითობის მიხედვით	**თანამედროვე პოლიტიკოსების** პრიორიტეტები რიგითობის მიხედვით
საჩუქრების გაცვლა და ამით საკუთარი პრესტიჟის დადასტურება	მატერიალური რესურსების დაგროვება ქვეყნისა და საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ
მატერიალური რესურსების დაგროვება საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობების განსახორციელებლად	პროტოკოლური ეტიკეტის დაცვა (მათ შორის, საჩუქრების გაცვლის გზით)

„ვერტიკალური სისტემა“

„საჩუქრების ეკონომიკის“ მეორე თავისებურება შეიძლება აიხსნას სიტყვების - „კორუფცია“, „ქრთამი“, „ნეპოტიზმი“ გამოყენებით. დღეს ეს ნეგატიური კონოტაციის მქონე სიტყვებია. მათი საშუალებით, აღინიშნება ადამიანები, რომლებიც: *საკუთარ თანამდებობას ბოროტად იყენებენ, უკანონოდ იღებენ დამატებით შემოსავლებს, აწინაურებენ მათდამი კეთილგანწყობილ ადამიანებს, საქმეზე წინ აყენებენ პირად ამბიციებს.*

გასაკვირია, მაგრამ წარსულში ყოველივე ეს დანაშაულად არ ითვლებოდა. ანტიკურ პერიოდსა და შუა საუკუნეებში სიტყვა „კორუფცია“ არ არსებობდა, „საჩუქრების ვერტიკალური გაცვლა“ კი იერარქიული კიბის სხვადასხვა საფეხურზე მყოფ ადამიანებს შორის ურთიერთობის ნორმას წარმოადგენდა:

- საჩუქრების გაცემით, იერარქიულად უფრო მაღლა მდგომი ადამიანი საკუთარ სოციალურ პრესტიჟს ამყარებდა, თანაც იერარქიულად უფრო დაბლა მდგომ პიროვნებას არაფორმალურ ვალდებულებებს ახვევდა თავს;
- იერარქიულად უფრო დაბალ საფეხურზე მყოფი ადამიანი კი საჩუქრის მირთმევით ძლევამოსილი პიროვნების კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობდა.

ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში გავრცელებული იყო პატრონ-კლიენტური და ფეოდალური ურთიერთობები. ისინი სწორედ საჩუქრების ამგვარ ვერტიკალურ გაცვლაზე იყო დაფუძნებული. სენიორი იცავდა ვალალს, სამაგიეროდ კი მისგან ერთგულებას ელოდა. პატრონი მფარველობას უწევდა კლიენტს, კლიენტი კი, სამაგიეროდ, პატრონის ინტერესების გატარებაზე ზრუნავდა.

შუა საუკუნეების ფეოდალური ურთიერთობები

„საჩუქრების ეკონომიკის“ სულისკვეთება კარგად გადმოგვცა შოთა რუსთაველმა. დიდი ქართველი პოეტი მკაფიოდ აყალიბებს პრინციპებს, რომელიც გასაღებია ქვეშევრდომთა ერთგულების მოსაპოვებლად:

„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების!
უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების,ვინ ების.
უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების.
მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა, რგულია;
უხვსა ჰმორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია;
სმა-ჭამა - დიდად შესარგი, დება რა სავარგულია?!
რასაცა გასცემ, შენია; რას არა, დაკარგულია!”

ეს პრინციპები საკმაოდ შორს დგას საბაზრო ეკონომიკის პრინციპებისგან, თუმცა ის პრემოდერნულ პერიოდში საკმაოდ ეფექტურად მოქმედებდა. ამ პერიოდში ადამიანი, ცხადია, მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას, ვაჭრობასა და ხელოსნობასაც მისდევდა, მაგრამ დაგროვილი სახსრების ინვესტირებას ახდენდა „საჩუქრების / ადამიანებთან ურთიერთობის სფეროში, რასაც სხვა ადამიანებისგან უკუგებაც მოსდევდა: *„უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების“, „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“*. საჩუქრების „ვერტი-

კალური“ და „ჰორიზონტალური“ გაცვლა მისთვის ცხოვრების წესს წარმოადგენდა.

ცხადია, ეს, უპირველეს ყოვლისა, იმ ადამიანებს შეეხება, რომლებიც აქტიურ სოციალურ ცხოვრებაში იყვნენ ჩართული. მათი რიცხვი სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში მოსახლეობის საერთო რაოდენობის 5-10 პროცენტს არ აღემატებოდა. რაც შეეხება დანარჩენი მოსახლეობის ცხოვრების დონეს, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის ხარისხი არ იყო მაღალი. შესაბამისად, არც მთლიანად მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა არსებობდა. „საჩუქრების ეკონომიკა“ იყო ერთი პიროვნების / ერთი ოჯახის მცდელობა, მაქსიმალურად ეფექტურად განეკარგა მის ხელთ არსებული რესურსები. ამ მხრივ მდგომარეობა იცვლება გვიანდელი შუა საუკუნეებისა და ადრეულ ახალ დროში. ამ პერიოდში ჯერ ევროპაში, შემდეგ კი მსოფლიოს სხვა მხარეებში ძირეულად იცვლება ეკონომიკური სისტემა. პოლიტიკური ელიტების მხრიდან ზრუნვის საგანი ხდება ქვეყნის მთელი მოსახლეობის კეთილდღეობა.

თავი 2. „საბაზრო ეკონომიკა“

საწყისები

თანამედროვე ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა სამმა ისტორიულმა მოვლენამ -„რეფორმაციამ“, „ნაციების ჩამოყალიბებამ“ და „მესამე წოდების ასპარეზზე გამოსვლამ“.

<u>რეფორმაცია</u>

- ისტორიის კურსიდან თქვენ გახსოვთ, რომ რეფორმაცია გულისხმობს კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიის ერთმანეთისგან გაყოფას. ეს იყო რთული და კომპლექსური პროცესი, რომელმაც ეკონომიკურ ცხოვრებასა და სოციალური კაპიტალის მიმართ დამოკიდებულების კუთხითაც ბევრი რამ შეცვალა.

რეფორმაცია

ეს ცვლილებები ყველაზე თანმიმდევრულად აქვს აღწერილი გერმანელ სოციოლოგ მაქს ვებერს ნაშრომში „პროტესტანტიზმის ეთიკა, კაპიტალიზმის სული“.

მაქს ვებერი

მაქს ვებერის აზრით, დასავლეთის ქვეყნების უპირატესობა განაპირობა პროტესტანტულმა ეთიკამ, ანუ შრომის კულტმა, რომელიც პროტესტანტულ თემში არსებობს. პროტესტანტული ეკლესიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ჟან კალვინი ქადაგებდა, რომ „ღვთის სამსჯავროზე“ მხოლოდ ის ადამიანები გადარჩებიან, რომლებიც წარმატებული არიან შრომასა და კაპიტალის დაგროვებაში. ბიზნესში წარმატება კალვინს ღვთისგან ბოძებულ გამორჩეულობის ნიშნად მიაჩნდა.

პროტესტანტულ თემში ჩამოყალიბდა მშრომელი ადამიანის მახასიათებელი, რომელიც

უნდა ყოფილიყო - მომჭირნეობა, ანგარიშიანობა, რაციონალიზმი. სწორედ ეს თვისებები ქმნიდა მის როგორც სოციალურ, ისე მატერიალურ კაპიტალს. შრომის ასეთი კულტი სრულიად უცხო იყო წინარე პერიოდის საზოგადოებისთვის. ვებერი ფიქრობს, რომ სწორედ ამ ფენამ შეიტანა გარდატეხა ახალი დროის ევროპის ჩამოყალიბებაში.

მაქს ვებერის მოსაზრებებს ზოგჯერ ცალმხრივობის გამო აკრიტიკებენ, თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ პროტესტანტებმა მართლაც დიდი წვლილი შეიტანეს თანამედროვე დასავლური ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში. კერძოდ:

- პროტესტანტების ძალისხმევით განხორციელდა რეფორმაცია;
- მათ შეიტანეს განსაკუთრებული წვლილი 30 წლიანი ომის დასრულებაში;
- მათ სახელთან არის დაკავშირებული ჰოლანდიის რევოლუცია;
- პროტესტანტები იყვნენ პილიგრიმი მამები, რომლებმაც დააარსეს ამერიკა;
- პროტესტანტ პურიტანებს მიუძღვით განსაკუთრებული წვლილი ინგლისის რევოლუციის განხორციელებაში.

პურიტანები

ნაცია – სახელმწიფო

ნაცია – XVIII საუკუნეში ყალიბდება ახალი ტიპის საზოგადოებრივი სოლიდარობა, რომელსაც ნაცია სახელმწიფოებს უწოდებენ. ეროვნებები და სახელმწიფოები, რა თქმა უნდა, ამ დრომდეც არსებობდა, თუმცა XVIII საუკუნეში ამ ორი ცნების სიმბიოზმა მათი ერთგვარი რებრენდინგი გამოიწვია და ისტორიის სრულიად ახლებურ განვითარებას ჩაუყარა საფუძველი.

ბენედიქტ ანდერსონი

ტრანსფორმაციის ეს პროცესი ყველაზე უკეთ აქვს აღწერილი ბენედიქტ ანდერსონს, რომელმაც დაწერა ცნობილი წიგნი „წარმოსახვითი საზოგადოება“. ტერმინი „წარმოსახვითი“ აქ გამოკვეთს იმ გარემოებას, რომ, მაგალითად, ბერძნული პოლისის მოქალაქეებისგან განსხვავებით, ნაციის წევრები ერთმანეთს არ იცნობენ, მაგრამ თავს მაინც მოიაზრებენ ერთიანი საზოგადოებრივი ჯგუფის წევრად. მათთვის ნაციის სუვერენიტეტი მთავარ ღირებულებას წარმოადგენს.

ბენედიქტ ანდერსონი (1936-2015) გამოყოფს სამ ფაქტორს, რომელმაც ხელი შეუწყო ნაციებისა და ნაციონალიზმის ჩამოყალიბებას. პირველ რიგში, უნდა ვახსენოთ წიგნის ბეჭდვა. მას საფუძველი ჯერ კიდევ XV საუკუნეში ჩაეყარა, XVIII საუკუნეში კი ძალიან ფართო მასშტაბები მიიღო. პრესა და წიგნების ინდუსტრია ვითარდებოდა ეროვნულ ენებზე, რაც, ცხადია, აძლიერებდა ნაციად ყოფნის განცდა.

მეორე და მესამე ფაქტორები, რომელთაც ახალი ტიპის ნაციების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, დაკავშირებულია კოლონიალიზმთან. ახალი დრო კოლონიალიზმის ეპოქაა. ეს არის პერიოდი, როცა ევროპულ სახელმწიფოებს (ესპანეთს, პორტუგალიას, ჰოლანდიას, ინგლისს, საფრანგეთს) პრაქტიკულად მთელი ამერიკის ტერიტორია კოლონიებად ჰყავთ დანაწილებული. კოლონიებში კი გვხვდებოდა (1) ადგილობრივი (მათ შორის, ევროპული წარმოშობის) მოსახლეობის დისკრიმინაცია;

(2) ადმინისტრაციული სტრუქტურების განვითარება. ანდერსონის აზრით, სწორედ ამან განაპირობა ახალი ტიპის ნაციების ჩამოყალიბება.

პირველად ეს ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში მოხდა. აქაური ტერიტორია ესპანელებს ვიცესამეფოებად და სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებად ჰქონდათ დაყოფილი. ეს პუნქტები, თავდაპირველად, ჩვეულებრივი ადმინისტრაციული ერთეულები იყო, თუმცა თანდათან აქ მცხოვრებმა ესპანელებისგან ჩაგრულმა კრეოლებმა (ანუ შერეული ეთნიკური წარმომავლობის ადამიანებმა) რეალურად შეიძინეს სოლიდარობის განცდა. ამის მიზეზი გახდა პოლიტიკური ელიტა, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ვიცესამეფოებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების ადმინისტრირებაში და რომელსაც ჩამოუყალიბდა მკაფიო ხედვა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლებოდა რეგიონის უკეთ განვითარება. კრეოლების წყალობით, ჩამოყალიბებას იწყებს ნაციები, რომელიც დღემდეა წარმოდგენილი ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის პოლიტიკურ რუკაზე. მათმა უმრავლესობამ დამოუკიდებლობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში მიიღო.

დაახლოებით იმავე პერიოდში, XVIII საუკუნის მიწურულს ხდება აშშ-ს რევოლუცია და საფრანგეთის რევოლუცია. ოდნავ მოგვიანებით კი - 1830-40 იანი წლების რევოლუციები, რომელთაც „ხალხთა გაზაფხულს“ უწოდებენ.

ეროვნული მოძრაობები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დონეზე იყო წარმატებული, თუმცა ნაცია სახელმწიფოს იდეა დღის წესრიგში ავტომატურად აყენებდა ახალი ტიპის ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც არა კონკრეტულ ოჯახებზე, არამედ მთლიანად ნაციის კეთილდღეობაზე იქნებოდა ორიენტირებული.

„მესამე წოდების“ გამოსვლა ასპარეზზე - შუა საუკუნეების ევროპაში არსებობდა „სამწევროვანი საზოგადოების იდეა“. პირველ წოდებას წარმოადგენდა კათოლიკური ეკლესია, მეორეს - მეფე-მთავრები, მესამეს - ძირითადად, ქალაქებში მცხოვრები ვაჭრები და ხელოსნები (გლეხი შუა საუკუნეებში საზოგადოების სრულფასოვან წევრად არ მიიჩნეოდა). **გვიანი შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო არის პერიოდი, როცა საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ერთვება „მესამე წოდება“.**

- XIV საუკუნიდან მათ საკუთარი წარმომადგენლები ჰყავთ საფრანგეთის პარლამენტში / „გენერალურ შტატებში“;
- XVIII საუკუნიდან მათი ინტერესების გამოხატვას იწყებენ განმანათლებლები (ვოლტერი, დიდრო, მონტესკიე და სხვა მოაზროვნეები). ამ დროისთვის ყველა ნათლად ხედავს, რომ „მესამე წოდებას“ განსაკუთრებული წვლილი შეაქვს ქვეყანაში სიმდიდრის შექმნაში, თუმცა ყველაზე ნაკლებად მონაწილეობს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საფრანგეთის რევოლუცია

მესამე წოდება

„მესამე წოდების“ უუფლებობასთან დაკავშირებულმა პრობლემამ, ცხადია, ეკონომიკური აზრის განვითარებაზეც იქონია ზეგავლენა. კერძოდ, ერთმანეთს დაუპირისპირდა მერკანტილისტებისა და ფიზიოკრატების ეკონომიკური სკოლა. მერკანტილისტები, რომლებმაც მოღვაწეობა ჯერ კიდევ XV-XVI საუკუნეებში დაიწყეს, სიმდიდრის მთავარ წყაროდ ოქროს მიიჩნევდნენ, რომლის დაგროვებისთვისაც ყველაზე ეფექტურ გზად ვაჭრობა მიაჩნდათ (ამ მიმართულების ეკონომისტების სახელდება სწორედ ვაჭრობის იდეასთან მათი აფილირების გამო ხდება).

მერკანტილისტები და ფიზიოკრატები

მერკანტილისტებმა საფუძველი ჩაუყარეს პროტექციონისტურ ეკონომიკას. ისინი ყველა საშუალებით ცდილობდნენ, ქვეყანაში გაეზარდათ ოქროს მარაგი. ამიტომ ახალისებდნენ ექსპორტს (ქვეყნიდან საქონლის გატანასა და მის სანაცვლოდ ოქროს შემოტანას) და ცდილობდნენ, შეეზღუდათ იმპორტი (ანუ ხელი შეეშალათ საკუთარი ქვეყნიდან ოქროს მარაგის გადინებისთვის).

ეს საინტერესოა!

ჟან ბატისტ კოლბერი იყო მერკანტილისტების სკოლის ყველაზე ფართოდ ცნობილი ეკონომისტი. ის იყო ფინანსთა მინისტრი „მეფე-მზის“- ლუი XIV-ის სამეფო კარზე. კოლბერმა სახელი გაითქვა იმით, რომ, თანამდებობაზე ყოფნისას, თანმიმდევრულად განახორციელა მერკანტილისტური პოლიტიკა, რამაც ქვეყნის ეკონომიკურ დაწინაურებას შეუწყო ხელი.

ჟან ბატისტ კოლბერი

ლუი XIV

ეს საინტერესოა!

თუკი XVII საუკუნეში მერკანტილისტებს წამყვანი პოზიციები ეკავათ, XVIII საუკუნეში ისინი შეავიწროვეს ფიზიოკატებმა, რომლებიც:

სიმდიდრის მთავარ წყაროდ მიიჩნევდნენ არა ვაჭრობას, არამედ წარმოებას;

მათთვის მთავარი იყო არა ოქროს მარაგი, არამედ მიწა, რომელზეც სოფლის მეურნეობა ვითარდებოდა.

ქართველი ეკონომისტები გამოთქვამენ ვარაუდს, რომ სულხან-საბა ორბელიანი ფიზიოკრატების ზეგავლენას განიცდიდა. ამის დასტურად მათ მოჰყავთ არაკი „ძუნწი და ოქრო“. გაეცანით იგავ-არაკის ტექსტს

ბმული

იმსჯელეთ, რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს ამ არაკს მერკანტილისტებსა და ფიზიოკრატებს შორის არსებულ დავასთან.

ფიზიოკრატების გააქტიურება პირდაპირ არის დაკავშირებული გლეხებისა და „მესამე წოდების“ გააქტიურებასთან. ისინი მათ ყველაზე ძვირფას სოციალურ ელემენტად მიიჩნევდნენ და მწუხარებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ გლეხებს საკუთარი მეურნეობისა და, მასთან ერთად, ქვეყნის განვითარების შესაძლებლობა არ ეძლეოდათ. ფიზიოკრატები ხშირად იყენებდნენ რიჩარდ კანტილიონის სამი რენტის თეორიას, რომელიც აღწერდა გლეხის მძიმე მდგომარეობას. გლეხი თავისი შემოსავლის ერთ ნაწილს აძლევდა მიწათმფლობელს, მეორეს სხვა პროდუქტებში უცვლიდა ვაჭრებსა და ხელოსნებს და მხოლოდ მესამე ნაწილს ახმარდა საკუთარი მეურნეობის განვითარებას. კანტილიონი და სხვა ფიზიოკრატები მიიჩნევდნენ, რომ თუკი ქვეყანაში იქნებოდა ნაკლები გადასახადები და მთავრობა ნაკლებად ჩაერეოდა უბრალო ხალხის საქმეებში, ეს სასიკეთოდ წაადგებოდა ქვეყნის ეკონომიკას.

აღსანიშნავია, რომ ფიზიოკრატები არ იყვნენ უბრალოდ თეორეტიკოსები. მათ რამდენიმეჯერ ჰქონდათ საკუთარი იდეების შესაბამისი

რეფორმების გატარების მცდელობა. ამას ყველაზე მეტად ცდილობდა ჟაკ ტიურგო, რომელიც ეკონომიკის მინისტრი იყო XVIII საუკუნის 70-იან წლებში, მეფე ლუი XVI-ის კარზე.

ჟაკ ტიურგო

ტიურგო მიწათმოქმედებასა და სახელოსნო პროდუქტის წარმოებას სიმდიდრის წყაროდ აცხადებდა და ყველანაირად ცდილობდა ამ ორი სფეროს განვითარებას. საამისოდ მან გააუქმა მონოპოლიები ხორბლით ვაჭრობაზე და შეზღუდა ამქრების საქმიანობა, რომლებიც ხელს უშლიდნენ კონკურენტუნარიანი ბაზრის ჩამოყალიბებას.

ტიურგოს რეფორმებს წარმატება არ მოჰყოლია. მისმა პოლიტიკამ მალე შეაშინა გაბატონებული წოდების წარმომადგენლები და ის 1776 წელს თანამდებობიდან გადააყენეს. მის გადაყენებიდან სულ რაღაც 13 წლის გასვლის შემდეგ დაიწყო საფრანგეთის რევოლუცია, რომელმაც:

- წოდებები ერთმანეთთან გაათანაბრა;
- საფრანგეთში ფრანგი ხალხი ხელისუფლების წყაროდ გამოაცხადა.

ამ ტიპის რევოლუციები ტიპური იყო XIX საუკუნის ევროპისთვის. მათი წყალობით, ყოველ ჯერზე ახლებურად ხდებოდა ეკონომიკური განვითარების მოდელების გადააზრება.

გლობალური ეკონომიკა

რას გვასწავლის ფანქარი და გატეხილი ფანჯარა

გლობალური ეკონომიკის იდეის ავტორად შეიძლება ჩაითვალოს შოტლანდიელი ეკონომისტი, ადამ სმითი (1723 – 1790). მან 1776 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი «კვლევა ერების სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ».

ადამ სმითი

ძირითადი დებულებები:

- ადამიანი არის მშვიდობიანი არსება, რომელიც განუხრელად შრომობს სიმდიდრის შესაძენად / საკუთარი მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- ადამიანებს სჭირდებათ ერთმანეთი, ამიტომ ისინი გამუდმებით ცვლიან საქონელსა და მომსახურებას, შედეგად ყალიბდება ბაზარი;
- თუკი ბაზარი გარე ჩარევებისგან (კერძოდ, სახელმწიფოს ჩარევისგან) თავისუფალია, ის კარგად ფუნქციონირებს: მატერიალური დოვლათი მატულობს, ადამიანები მდიდრდებიან;
- როდესაც გაცვლით ურთიერთობებში სახელმწიფო ერევა, ეს ეკონომიკის განვითარებას აბრკოლებს. ასეთ დროს იზრდება გადასახადები, ჩნდება ბარიერები ადამიანებს შორის, რაც ფასების არაბუნებრივ ზრდას განაპირობებს.

ადამ სმითისა და მისი მიმდევრებისთვის საკვანძო ცნებაა „თავისუფალი ბაზარი“, რომელსაც „უხილავი ხელი“ არეგულირებს. თავისუფალი ბაზრის იდეას ისინი უპირისპირებენ სახელმწიფოს „ხილულ ხელს“, ანუ მისი მხრიდან განხორციელებულ ეკონომიკურ პოლიტიკას.

VS

თავისუფალი ბაზარი „უხილავი ხელი“

სახელმწიფოს მიერ წარმოებული ეკონომიკური პოლიტიკა

ამ კუთხით არსებული დილემების გასააზრებლად, ეკონომისტები ხშირად გვთავაზობენ მოთხრობებს: **„ ფანქარი“** ბმული და **„იგავი გატეხილ ფანჯარაზე“** ბმული გაეცანით მოთხრობას „**ფანქარი**“, უპასუხეთ ქვემოთ დასმულ შეკითხვებს. თითოეული პასუხი დაუკავშირეთ თავისუფალი ბაზრის იდეას:

1. თქვენი აზრით, რატომ ჩამოთვლის ავტორი ხაზგასმით ფანქრის შემადგენელ ნაწილებს - ხე, ლაქი, მარკა, გრაფიტის გული, ლითონი, საშლელი?
2. ჩამოთვალეთ გეოგრაფიული პუნქტები, რომლებიც მოთხრობაში მოიხსენიება;
3. ჩამოთვალეთ ნედლეული და პროდუქტები / პროდუქცია, რომელიც მოთხრობაში მოიხსენიება;
4. ჩამოთვალეთ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, რომლებიც მოთხრობაში მოიხსენიება;
5. ჩამოთვალეთ პროფესიები, რომლებიც მოთხრობაში მოიხსენიება;
6. თქვენი აზრით, რატომ საუბრობს ფანქარი საკუთარ წინამორბედებზე? რატომ ამახვილებს განსაკუთრებულ ყურადღებას გეოგრაფიულ ობიექტებზე, მრავალფეროვან საქმიანობებსა და სხვადასხვა პროფესიის ადამიანებზე?
7. თქვენი აზრით, რატომ გამოკვეთს ავტორი მოთხრობაში პარაგრაფს „არავინ იცის“?
8. თქვენი აზრით, რატომ გამოკვეთს ავტორი მოთხრობაში პარაგრაფს „არავითარი მმართველი გონება“?
9. როგორ გესმით ფანქრის ეს სიტყვები - *„თუ იმ საოცრებას აცნობიერებთ, რის სიმბოლოსაც მე წარმოვადგენ, შეგიძლიათ იხსნათ თავისუფლება, რასაც, სამწუხაროდ, კარგავს კაცობრიობა“?*
10. თქვენი აზრით, რატომ ადარებს ავტორი ღმერთის მიერ ხის შექმნას ფანქრის წარმოების პროცესს?
11. თქვენი აზრით რატომ ათქმევინებს ფანქარს ავტორი ამ სიტყვებს: *„უფრო საოცარი ფაქტია, რომ: არ არსებობს მმართველი გონება, ვინმეს რამეს რომ ჰკარნახობდეს ან იძულებით წარმართავდეს იმ უსასრულო ოპერაციებს, ჩემს წარმოშობას რომ სჭირდება. ასეთი კაცის კვალიც კი არ ჩანს. სამაგიეროდ, უხილავ ხელს ვგრძნობთ“?*

გაეცანით მოთხრობას „იგავი გატეხილ ფანჯარაზე“. უპასუხეთ ქვემოთ დასმულ შეკითხვებს. თითოეული პასუხი დაუკავშირეთ თავისუფალი ბაზრის იდეას:

1. თქვენი აზრით, რატომ გამოაქვს სათაურად ავტორს სიტყვები „ის, რაც ხილულია და ის, რაც დაფარულია“?
2. რატომ ამახვილებს ავტორი ყურადღებას იმაზე, რომ მოთხრობას ჰყავს ორი, და არა სამი პერსონაჟი?
3. თქვენი აზრით, ვის წინააღმდეგ არის მიმართული ავტორის სარკაზმი?

დავალება

შეადარეთ ერთმანეთს მოთხრობებში გამოკვეთილი დილემები. შეეცადეთ, მათზე დაფუძნებით აღწეროთ, რას ნიშნავს „უხილავი ხელი“; რა ზიანი შეიძლება მოუტანოს ეკონომიკას სახელმწიფოს მხრიდან ჩარევამ.

გლობალური ეკონომიკის სტრუქტურა

თავისუფალი ეკონომიკა დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა უბრალოდ იდეად. XVIII – XIX საუკუნეები არის პერიოდი, როცა ევროპულ სახელმწიფოებს დანარჩენი მსოფლიო კოლონიის, ან ნახევრად კოლონიის მდგომარეობაში ჰყავთ მოქცეული. ამდროინდელი ევროპული ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა ეფუძნებოდა მარტივ პრინციპებს:

- მეტროპოლია კოლონიებს იყენებდა ნედლეულის წყაროდ - მაგალითად, ინგლისელებს ბამბა შემოჰქონდათ ინდოეთიდან;

ბამბის პლანტაციები ინდოეთში

- შემოტანილი ნედლეულის საშუალებით, მეტროპოლია ამუშავებდა ფაბრიკა-ქარხნებს - მაგალითად, ინდოეთიდან შემოტანილი ბამბის საშუალებით, ინგლისში ვითარდებოდა საფეიქრო მრეწველობა;

საფეიქრო ქარხნების მუშაობა ინგლისში

- შემდეგ კი ხდებოდა იმავე კოლონიების გამოყენება გასაღების ბაზრად - ინგლისელები ისევ ინდოეთში ყიდდნენ სხვადასხვა სახის ტანსაცმელს;

მეტროპოლიები ყველა საშუალებას ხმარობ-დნენ იმისთვის, რომ საკუთარი კოლონიების ბაზარზე კონკურენტები არ დაეშვათ.

პირველი მსოფლიო ომი

თუმცა მდგომარეობა შეიცვალა პირველი და მეორე მსოფლიო ომების შემდგომ პერიოდში. ამ დროიდან ევროპულმა სახელმწიფოებმა უარი თქვეს კოლონიებზე; დაიწყეს საერთაშორისო ინსტიტუტების განვითარება მომავალი მსოფლიო ომების თავიდან ასაცილებლად.

თანამშრომლობა ყველაზე მეტად ეფექტური ეკონომიკის განვითარების მიმართულებით გამოდგა. დაიწყო გლობალიზაციის პროცესი. დღეს გლობალიზაციაზე მრავალი კუთხით საუბრობენ, თუმცა, უპირველეს ყოვლისა, ეს ტერმინი ეკონომიკურ პროცესებს მიემართება. ეკონომიკური გლობალიზაცია გულისხმობს მსოფლიოს ქვეყნებს შორის ღია ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებას, რომელიც დაეფუძნება „თავისუფალი ბაზრის“ ზემოაღ-წერილ პრინციპებს.

ქვემოთ განვიხილავთ, რამდენად სასარგებ-ლოა და რა გამოწვევების წინაშე დგას თანა-მედროვე ეტაპზე გლობალური ეკონომიკა.

გავეცნობით საერთაშორისო ორგანიზაციებს, სტრუქტურებსა და სისტემებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მის ფუნქციონირებას:

- მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია
- საერთაშორისო სავალუტო ფონდი
- მსოფლიო ბანკი
- ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვი-თარების ორგანიზაცია (OECD)
- “დიდი შვიდიანი” და “დიდი რვიანი”
- დიდი ოცეული G20
- ტრანსნაციონალური კომპანიები
- გლობალური ფინანსური ცენტრები

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO)

„თუ ადამიანი მუსიკოსია, მას შეუძლია, მუსი-კალური ორკესტრის წევრი იყოს და ამა თუ იმ მუსიკალური სიმფონიის გაჟღერებაში თავისი უდიდესი წვლილი შეიტანოს. ეს არის შედარე-ბითი მაგალითი მსოფლიო სავაჭრო ორგანი-ზაციისა, რომელიც წევრებისგან იმართება, წევრები კი ქვეყნების მთავრობებია. ორგანიზა-ცია თავის წევრებს ეკუთვნის და სწორედ ისინი ადგენენ გლობალური სავაჭრო ურთიერთობე-ბის დღის წესრიგს.

*მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევ-რიანება ნიშნავს, რომ ქვეყანა მიიღებს სხვა წევრების სავაჭრო ბაზარზე წვდომას და, ამავდ-როულად, საერთო წესებით იქნება დაცული ვაჭ-რობაში. სამაგიეროდ, წვდომის იგივე უფლება უნდა მიანიჭოს სხვა ქვეყნებსაც, ვინც გაუხსნის ბაზარს და იღებს იმავე საერთო წესების დაცვის ვალდებულებას. ორგანიზაცია შეიქმნა **1995 წელს. რატომ გახდნენ ქვეყნების მთავრობები ამ ორგანიზაციის წევრები?** ეს არის გზავნილი მსოფლიოსთვის, რომ გახსნილი ხართ გლო-ბალური ბიზნესისათვის, ეკონომიკისთვის და უერთდებით იმ საერთაშორისო წესებს, რომ-ლებიც დამკვიდრებულია მსოფლიო ქვეყნებს შორის საერთაშორისო ვაჭრობაში. მნიშვნე-ლობა არ აქვს ქვეყნის ფართობს, ეკონომიკური განვითარების დონეს, არანაირი განსხვავება, დისკრიმინაცია არ არსებობს სავაჭრო პარტ-*

ნიორებს შორის. როგორც მუსიკოსებს ორკესტრში, ყველას აქვს თავისი როლი; წევრი ქვეყნის როლი განსაზღვრულია, აქვს თავისი ადგილი, ხმის უფლება და შეუძლია სავაჭრო დავების, უთანხმოებების მოგვარება. ეს არის ფორუმი მთავრობებისათვის, სავაჭრო ხელშეკრულებებისთვის, მოლაპარაკებისათვის. როგორც ორკესტრში მუსიკალური ინსტრუმენტები მრავალფეროვან ჟღერადობას ქმნიან, ასეთივე მრავალფეროვნებაა ორგანიზაციაში. სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები, განსხვავებული ინტერესები, რომლებიც ერთნაირ წესებს იცავენ, ქმნიან გლობალურ ეკონომიკას, რომელმაც სარგებელი ყველას უნდა მოუტანოს.“

მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაცია

ბმული

ქვემოთ მოცემულ რუკაზე გამოსახულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ყველა წევრი და დამკვირვებელი ქვეყანა, როგორც ბმულზეა ბმული ***აღნიშნული.***



- მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი
- გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებაში მყოფი დამკვირვებლები

WTO-ს ჰყავს 6 რეგიონული კომისია - აფრიკის, ევროპის, წყნარი ოკეანის, აღმოსავლეთ აზიის, შუა აზიისა და სამხრეთ აზიის. შეხვედრები იმართება წელიწადში ერთხელ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)

საერთაშორისო ეკონომიკური სისტემისთვის მნიშვნელოვანია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ეკონომიკა გამართულად ფუნქციონირებდეს. ასეთ შემთხვევაში, ყველა სხვა ქვეყანა მასთან ვაჭრობით მეტ სარგებელს მიიღებს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში, ძირითადად, „მაშველი რგოლის“ როლს თამაშობს. ის დახმარებას უწევს განვითარებად ქვეყნებს ისეთი ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში, როგორებიცაა:

- საბიუჯეტო დეფიციტის აღმოფხვრა;
- მონეტარული პოლიტიკის დაბალანსება;
- ეკონომიკური რეფორმების განხორციელება.

დახმარებას საერთაშორისო სავალუტო ფონდი კრედიტის საშუალებით ახორციელებს, რომლის დასაფარადაც ქვეყანას 4-დან 10 წლამდე პერიოდი ეძლევათ.

ეკონომიკური დეფოლტის საფრთხის წინაშე მყოფი ქვეყნების დახმარებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდი უზრუნველყოფს ეკონომიკური კრიზისების თავიდან არიდებას და გლობალურ თანამშრომლობაზე აგებული ახალი ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბებას.

<u>საიდან მოაქვს სახსრები სავალუტო ფონდს?</u>
ფონდი რესურსებს მოიზიდავს საწევრო-შენატანებით. მისი კაპიტალი შეადგენს 217 მილიარდ დოლარს. ფონდზე მეტი გავლენა აქვთ იმ ქვეყნებს, რომლებსაც მსხვილი საწევრო შეაქვთ.

ორგანიზაცია შეიქმნა 1944 წელს, საერთაშორისო კონფერენციაზე ბრეტონ ვუდსში. ამ ორგანიზაციის ეგიდით შეიქმნა სავალუტო ფონდის მიერ კონტროლირებადი, დოლართან დაკავშირებული გაცვლითი კურსის სისტემა. შესაბამისად, დღეს ორგანიზაცია ხელმძღვანელობს საერთაშორისო მონეტარულ პოლიტიკას.

მსოფლიო ბანკი

მსოფლიო ბანკი (World Bank), საერთაშორისო სავალუტო ფონდის მსგავსად, 1944 წლის ბრეტონ ვუდსის კონფერენციის შემდეგ ჩამოყალიბდა. მისი შტაბბინა მდებარეობს ვაშინგტონში. ორგანიზაციაში 189 წევრი ქვეყანა ერთიანდება. გაერთიანების უმთავრესი მიზნებია:

- დაეხმაროს განვითარებად ქვეყნებს სიღარიბის დაძლევაში;
- ვალის შემსუბუქებაში;
- აფინანსებს სოციალურ და ეფექტურ მმართველობაზე მიმართულ პროექტებს;
- ინვესტირებას უწევს მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისი გარემოს შექმნას.

ბანკი შედგება რამდენიმე ინსტიტუტისაგან. მათ შორის არის რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD) და განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA).

წევრი ქვეყნები წარმოდგენილი არიან მმართველთა საბჭოთი, რომელიც მსოფლიო ბანკის პოლიტიკას ქმნის. წევრი ქვეყნების ფინანსთა მინისტრები წელიწადში ერთხელ იკრიბებიან მსოფლიო ბანკის ჯგუფისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველთა საბჭოს ყოველწლიურ შეხვედრებზე. მსოფლიო ბანკის პრეზიდენტს ირჩევს აღმასრულებელ დირექტორთა საბჭო, ხუთი წლის ვადით. თავის მხრივ, აღმასრულებელ დირექტორთა საბჭო შედგება წევრი ქვეყნების აღმასრულებელი დირექტორებისაგან. დირექტორთა საბჭოს სხდომებს უძღვება პრეზიდენტი.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) შეიქმნა 1961 წელს და ორგანიზაციაში გაერთიანებულია 38 ქვეყანა. მის მუშაობაში ჩართულნი არიან ევროკომისია და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია. ორგანიზაციის უმთავრესი მიზნებია მდგრადი ეკონომიკური ზრდის ტემპის, ცხოვრების მაღალი დონისა და დასაქმების, ფინანსური სტაბილიზაციის შენარჩუნება და მასზე დადებითი ზემოქმედება; მსოფლიოს ვაჭრობის განვითარებაზე ზემოქმედება არადისკრიმინაციული პრინციპების საფუძველზე; ასევე, განვითარებადი ქვეყნების დახმარება, ეკონომიკის სტიმულირებისა და კოორდინირებული ძალისხმევის თვალსაზრისით.



წელიწადში ორჯერ OECD აქვეყნებს ანგარიშებს თავისი ეკონომიკური ასპექტების შესახებ და აანალიზებს წევრი ქვეყნების ეკონომიკურ სიტუაციას არაწევრი ქვეყნებისათვის. ანგარიში ასახავს ცვლილებების ტენდენციას ეკონომიკის მიმართულებით და სიღრმისეულად აშუქებს თითოეული წევრი ქვეყნის ეკონომიკურ საკითხებსა და სტაბილურობას. ანგარიში ქვეყნდება ყოველი წლის მარტში.

ბმული

რუკის ანალიზი - სიღარიბის თანაფარდობა (მოსახლეობა %)

ბმული



„ დიდი შვიდიანი"; ყოფილი „დიდი რვიანი"

„დიდი შვიდიანი" (ყოფილი „დიდი რვიანი" 1997-2014 წლებში) ჩამოყალიბდა 1975 წელს, გლობალური საფინანსო და სავალუტო საკითხების განხილვის მიზნით, რომლის შექმნა დაორგანიზდა საფრანგეთის მიერ, ევროპის სახელმწიფო მეთაურთა დონეზე. შეხვედრები ტარდება ყოველწლიურად, ფინანსთა მინისტრებისა და ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელების მონაწილეობით.

დიდი ოცეული G20

დიდი ოცეული (G20) აკავშირებს მსოფლიოს მთავარ განვითარებულ და განვითარებად ეკონომიკებს და მისი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მომავალი გლობალური ეკონომიკური ზრდისა და კეთილდღეობის ხელშეწყობა, შესაბამისი სტრატეგიის დაგეგმვით. დიდი ოცეულის წევრი ქვეყნები მსოფლიოს მშპ-ს 80%-ს ქმნის, საერთაშორისო ვაჭრობის 75%-ს წარმოადგენს და მსოფლიო მოსახლეობის 60%-ს შეადგენს. დიდი ოცეული მსოფლიოს ეკონომიკის მთავარი სტრატეგიული ეკონომიკური საერთაშორისო ფორუმია, სადაც ერთმანეთს ხვდებიან ფინანსთა მინისტრები და ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელები.

დიდ ოცეულში შედიან ქვეყნები დიდი შვიდეულიდან, ევროპული სახელმწიფოები: იტალია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და საფრანგეთი ცალ-ცალკე ერთეულებად, ხოლო ევროპის დანარჩენი ქვეყნები, რომლებიც მონიშნულია რუკაზე, დიდი ოცეულის წევრად ერთ ერთეულად მიითვლება. 1999 წლიდან დიდი ოცეულის შეხვედრები გადაიქცა ყოველწლიურ სამიტად, რომელშიც მონაწილეობენ სახელმწიფოს მეთაურები და მთავრობები. გარდა სამიტისა, მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს მოლაპარაკებები მსოფლიო ლიდერებს შორის, ეკონომიკური საკითხების გარშემო.

ტრანსნაციონალური კომპანიები

საერთაშორისო ვაჭრობაში, როგორც წესი, განვითარებული ქვეყნები ძვირადღირებული პროდუქციის ექსპორტს ახორციელებენ, ხოლო განვითარებადი ქვეყნები კი უფრო იაფ ნედლეულზე მუშაობენ. ეს ერთგვარ უთანასწორობას იწვევს ვაჭრობაში. ამ უთანასწორობის აღმოსაფხვრელად მუშაობენ საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ გლობალიზაცია დიდ გავლენას ახდენს ვაჭრობაზე, განსაკუთრებით, საერთაშორისო ვაჭრობაზე და ამ მიმართულებით დიდია იმ კომპანიების როლი, რომლებიც რამდენიმე ქვეყანაში მუშაობენ. ამგვარი კომპანიების რიცხვს მიეკუთვნებიან ტრანსნაციონალური კორპორაციები, ანუ ორგანიზაციები, რომლებიც მოქმედებენ ერთზე მეტი ქვეყნის ტერიტორიაზე, მაგალითად, Unilever, McDonalds და Apple.

ტრანსნაციონალური კორპორაცია არის ეკონომიკური პროფილის დიდი საერთაშორისო კომპანია, რომელიც კონტროლს უწევს მსოფლიო მეურნეობის ერთ ან რამდენიმე დარგს. ასეთ კომპანიებს საწარმოები აქვთ რამდენიმე ქვეყანაში.

ტრანსნაციონალურ კორპორაციებს ოფისები და შტაბბინები განვითარებული სამყაროს ქვეყნებში აქვთ, ხოლო წარმოება-ქარხნები - განვითარებად ქვეყნებში, რაც, ასევე, დაკავშირებულია იაფ მუშახელთან.

ქვეყანაში ტრანსნაციონალური კორპორაციების არსებობას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს:

უპირატესობები:

- სამუშაო ადგილების გაჩენა;
- სტაბილური და ფერმერულ მეურნეობაზე საიმედო შემოსავალი;
- განათლების დონის ზრდა და შესაბამისი კომპეტენციებისა და უნარების განვითარება;
- ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში, მაგალითად, ახალი გზები, რაც, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე, ტრანსნაციონალური კორპორაციებისთვის სარგებელია;
- ბუნებრივი რესურსების ათვისება;
- განვითარებული მდგრადი ეკონომიკური ბაზა ქვეყანაში.

ნაკლოვანებები:

- მიუხედავად ინვესტიციების მასშტაბისა, უფრო ნაკლები მუშა ხელია დასაქმებული;
- რიგ შემთხვევებში, ცუდი სამუშაო პირობები;
- ადგილობრივი, ეროვნული კანონების უგულებელყოფა, ბუნებრივი გარემოს დეგრადირება, დაზიანება;
- მოგება რჩება უცხოურ კომპანიებს, და არა ადგილობრივს;
- მცირეა რეინვესტირება ადგილობრივ ტერიტორიაზე;
- წარმოება, ქარხნები ხშირად გამოდის მდგომარეობიდან;
- თუ შრომის ხარჯები გაიზრდება, შესაძლოა, კომპანია სხვაგან გადავიდეს;
- ბუნებრივი რესურსების გადაჭარბებული მოხმარება.

ტრანსნაციონალური კორპორაციები მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ძალაა ეკონომიკურ ინსტიტუტებს შორის. ექსპერტთა ნაწილის ვარაუდით, 300 უმსხვილესი ტრანსნაციონალური კომპანია აკონტროლებს მსოფლიოს პროდუქტიული აქტივების, მინიმუმ, მეოთხედს, რაც, დაახლოებით, 5 ტრილიონ დოლარს შეადგენს. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს ტრანსნაციონალური კომპანიების მასშტაბებსა და გავლენას მსოფლიო წარმოებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ტნკ-ები წარმოადგენს მსოფლიოს ყველაზე მასშტაბურ ეკონომიკურ ძალას, საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებს არ ევალებათ მათი საქმიანობის, ქცევის რეგულირება. ასეთი მიდგომა დადებითად არ აისახება განვითარებად ქვეყნებზე.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთაშორისო ვაჭრობა შესაძლოა სიღარიბის დასაძლევად ძლიერი ინსტრუმენტი იყოს, თუმცა უთანასწორობა, რომელიც კვლავ არსებობს ამ სფეროში, აფერხებს გლობალური სიღარიბის აღმოფხვრის პროცესს.

სტატიის ანალიზი ბმული

ცხრილი 1. მსოფლიოს უმსხვილესი ტნკ-ები შემოსავლის მიხედვით.			
Top 10 Of The Fortune Global 500			
კომპანია	**ქვეყანა**	**შემოსავალი ($ მლნ)**	**მოგება ($ მლნ)**
Walmart	აშშ	514,405	6,670
Sinopet Group	ჩინეთი	414,649	5,845
Royal Dutch Shell	ნიდერლანდები	396,556	23,352
China National Petrolium	ჩინეთი	392,976	2,271
State Grid	ჩინეთი	397,056	8,175
Saudi Aramco	საუდის არაბეთი	355,905	110,975
BP	დიდი ბრიტანეთი	303,738	9,383
Exxon Mobil	აშშ	290,212	20,840
Volkswagen	გერმანია	278,342	14,323
Toyota Motor	იაპონია	272,162	16,982

გლობალური ფინანსური ცენტრები

გლობალური ეკონომიკის ნაწილს წარმოადგენს გლობალური ფინანსები. ამ კონტექსტში კი აუცილებლად უნდა აღინიშნოს საერთაშორისო ფინანსური ცენტრები, სადაც თავმოყრილია ფინანსური ინსტიტუტები, საფონდო ბირჟები და კომერციული ობიექტები. თანამედროვე ფინანსურ ცენტრებს შორის შეგვიძლია გამოვყოთ ლონდონის, ნიუ იორკის, ჰონკონგის ფინანსური ცენტრები. ლონდონი ერთ-ერთი უძველესი ფინანსური ცენტრია. მოგვიანებით, მეორე მსოფლიო ომმა მნიშვნელოვნად დააზიანა არამარტო ქალაქი და ინფრასტრუქტურა, არამედ, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკა. ამიტომ ნელ-ნელა ნიუ იორკმაც მოირგო მნიშვნელოვანი როლი ამ მიმართულებით. არანაკლებ მიმზიდველი და პოპულარული მსოფლიო ფინანსური ცენტრი გახდა ჰონკონგი, რაც უკავშირდება ჩინეთის ეკონომიკის მზარდ ტენდენციებს და მის ეკონომიკაში ინვესტიციების მოზიდვას.

გლობალური ფინანსური ინდექსი უზრუნველყოფს ფინანსური ცენტრების შესახებ ანალიტიკური ინფორმაციის დამუშავებასა და წარმოდგენას, რომლის მიხედვითაც ქვეყნდება ფინანსური ცენტრების სია, რეიტინგისა და ეკონომიკური პროფილების მიხედვით. GFCI-ის (გლობალური ფინანსური ცენტრების ინდექსის) კვლევის მიხედვით, 2021 წლის რეიტინგში პირველი სამი ადგილი ნიუ იორკმა, ლონდონმა და ჰონკონგმა დაიკავა. რაც შეეხება სინგაპურს, მესამე ადგილიდან მეოთხეზე გადაინაცვლა. გლობალური ფინანსური ცენტრების ინდექსის რეიტინგი ბრიტანულმა საკონსულტაციო კომპანიამ Z/Yen-მა შექმნა. შესაბამის კრიტერიუმებზე დაყრდნობით, ანალიტიკოსები აფასებენ 126 მსხვილ ქალაქს. ინდიკატორები მოიცავს როგორც თვისებრივი, ასევე, რაოდენობრივი მონაცემების ანალიზს, რომელიც აერთიანებს ეკონომიკურ და სოციალურ პარამეტრებს და მაქსიმალური ქულა - ინდექსი 800-ია. მაგალითად, ინდექსში პირველ ადგილზე მყოფი ნიუ იორკი 8,8 მლნ მცხოვრებს მოიცავს, მისი ორი მთავარი საფონდო ბირჟის NASDAQ-ისა და NYSE-ს საბაზრო კაპიტალი კი, ჯამში, 50 ტრილიონ დოლარს აღწევს. ლონდონში 9 მილიონი ადამიანია და მისი საფონდო ბირჟის კაპიტალი 4 ტრილიონ დოლარს აჭარბებს. ასევე, უნდა ითქვას, რომ შანხაი უფრო მაღალი ბირჟის კაპიტალით გამოირჩევა, მაგრამ თვითონ ლონდონი გლობალური ეკონომიკისათვის უფრო მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენს.

რეიტინგი	**ქალაქი**	**ქულა**
1	ნიუ იორკი	762
2	ლონდონი	740
3	ჰონკონგი	716
4	სინგაპური	715
5	სან-ფრანცისკო	714
6	შანხაი	713
7	ლოს-ანჯელესი	712
8	პეკინი	711
9	ტოკიო	706

10	პარიზი	705
11	ჩიკაგო	704
12	ბოსტონი	703
13	სეული	702
14	ფრანკფურტი	701
15	ვაშინგტონი	700
16	შენჟენი	699
17	ამსტერდამი	698
18	დუბაი	694
19	ტორონტო	693
20	ჟენევა	692

რა არის ოფშორი?

OFF SHORE, შეიძლება ითქვას, იგივე საგადასახადო „სამოთხე“ ქვეყნის ტერიტორიაზე ან თვითონ ქვეყანაში, სადაც კომპანიები განსაკუთრებული შეღავათებით სარგებლობენ, გულისხმობს: დაბალ გადასახადებს, ფინანსური ანგარიშების მარტივ წესებს, კომპანიის მფლობელის კონფიდენციალურობას, კომპანიის რეგისტრაციასა და ოპერაციების განხორციელებას მარტივი ხერხების გამოყენებით. იმისათვის, რომ ოფშორში კომპანიამ რეგისტრაცია გაიაროს, არ არის აუცილებელი ამ ქვეყნის რეზიდენტი იყოთ ან გქონდეთ ოფისი. ამის გარეშეც შესაძლებელია, ოფშორული ქვეყნის წესებითა და გადასახადებით ისარგებლოთ. ხშირ შემთხვევაში, ეს არის გზა, რომლითაც შეიძლება გაექცე სახელმწიფოს ბიუროკრატიას, მის სამართლებრივ კონტროლსა და გადასახადებს. მსოფლიოში ათობით ასეთი ადგილია. განსაკუთრებით პოპულარულია შემდეგი ოფშორული ქვეყნები და ტერიტორიები: პანამა, ბაჰამის კუნძულები, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები, კვიპროსი, მალტა, კაიმანის კუნძულები, ბარბადოსი, ლუქსემბურგი, ჰონკონგი, მაკაუ, მარშალის კუნძულები და ა.შ. ოფშორში რეგისტრაციისას, კომპანიების მთავარი მოტივაცია, როგორც უკვე ვთქვით, საგადასახადო შეღავათებია, კორპორაციული გადასახადების თვალსაზრისით: მოგებასა და დივიდენდებზე განვითარებულ ქვეყნებში მაღალი გადასახადებია, კაპიტალის მოცულობიდან გამომდინარე. ბიზნესმენებისათვის ოფშორის გამოყენება, რაც მათ კონფიდენციალურობასაც იცავს და ფულის წარმომავლობის გადამოწმების მარტივ, დაბალ სტანდარტებს სთავაზობს, მიმზიდველს ხდის კაპიტალის ასეთი ფორმით მართვას. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ასეთი მოქნილი დამოკიდებულება ფულის „გათეთრების“ შესაძლებლობებსაც ამარტივებს, რადგან დარეგისტრირებული კომპანიებით პიროვნებას ისე შეუძლია ბიზნესის წარმოება, რომ მისი ვინაობა ცნობილი არ იქნება. განსაკუთრებით ხშირად ვინ იყენებს ოფშორს? მოქმედი და ყოფილი პოლიტიკოსები, სახელმწიფო მოხელეები, რომლებსაც ბიზნესის წარმოება ეზღუდებათ ან ეკრძალებათ და საკუთარი კაპიტალის გამოჩენა არ სურთ.



ამერიკის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტმა, „მემკვიდრეობის ფონდმა“ (Heritage Foundation), ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, ქვეყნები სხვადასხვა კატეგორიად დაყო. 2021 წლისათვის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, პირველ ადგილს სინგაპური იკავებს.

ბმული *__რუკის ანალიზი. 2022 წლის მონაცემებით.__*

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, ქვეყნების რეიტინგი 2022 წლის მონაცემებით:

10 წამყვანი ქვეყანა

ადგილი	ქვეყანა	ჯამი	ცვლილება
1.	სინგაპური	84.4	-5.3 ↓
2.	შვეიცარია	84.2	2.3 ↑
3.	ირლანდია	82.0	0.6 ↑
4.	ლუქსემბურგი	80.6	4.6 ↑
5.	ახალი ზელანდია	80.6	-3.3 ↓
6.	ტაივანი	80.1	1.5 ↑
7.	ესტონეთი	80.0	1.8 ↑
8.	ნიდერლანდები	79,5	2.7 ↑
9.	ფინეთი	78.3	2.2 ↑
10.	დანია	78.2	0.2 ↑

ზემოაღწერილი ეკონომიკური სისტემის ეფექტურობისა და ეფექტიანობის შესაფასებლად, მნიშვნელოვანია კონკრეტული კონქტექსტმაგალითების განხილვა. ასეთი მაგალითები, როგორც წესი, მკაფიოდ ავლენს სისტემის ძლიერ და სუსტ მხარეებს. მის წინაშე არსებულ საფრთხეებსა და შესაძლებლობებს.

ქვემოთ განვიხილავთ თანასწორობასთან და ეკონომიკურ კრიზისებთან დაკავშირებულ პრობლემებს, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, გავაანალიზოთ, რამდენად ბედნიერად გრძნობს ადამიანი თავს თანამედროვე ეკონომიკის პირობებში.

ეკონომიკური უთანასწორობა

„ექსტრემალური უთანასწორობა კონფლიქტებს, ძალადობასა და არასტაბილურობას იწვევს. ყველა ბრაზილიელი, განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა და რასისა, უთანასწორობის კრიზისს განიცდის. ეს არის ის, რაც გვაერთიანებს," - კატია მაია, ოქსფამი -ბრაზილიის აღმასრულებელი დირექტორი.

ბრაზილიამ, ქვეყანამ, რომელმაც ბოლო ათწლეულის განმავლობაში წარმოუდგენელი პროგრესი განიცადა ეკონომიკაში, უთანასწორობის შემცირების საპასუხოდ, მილიონობით ადამიანი გამოიყვანა სიღარიბიდან და გააუმჯობესა მათი სოციალური მდგომარეობა. მაგრამ მიუხედავად ასეთი ევოლუციისა, განვითარების ეს ტემპი ძალიან ნელი აღმოჩნდა და კვლავ რჩება ჩვენი პლანეტის ერთ-ერთ უთანასწორო ქვეყნად.

მოდით, ვნახოთ რიცხვები: **75 წელი** - ბრაზილიაში უთანასწორობის მაჩვენებელი მცირდება, თუმცა ქვეყანას 75 წელი სჭირდება, რომ გაერთიანებული სამეფოს შემოსავლების თანასწორობის ამჟამინდელ შედეგებს მიაღწიოს და თითქმის **60 წელი**, რომ ესპანეთის სტანდარტებს გაუტოლდეს. თუ შევადარებთ რეგიონში მეზობელ ქვეყნებს, ბრაზილია 35 წლით ჩამორჩება ურუგვაის და 30 წლით - არგენტინას.

ბრაზილიაში რიგით მოქალაქეს, რომელიც მინიმალურ ხელფასს იღებს თვეში, **19 წელი** მოუწევს მუშაობა, რათა იგივე რაოდენობის თანხა გამოიმუშაოს, რასაც ბრაზილიის მოსახლეობის უმდიდრესი 0,1 % ერთ თვეში იღებს.

28 მილიონი - ბრაზილიაში 28 მილიონმა ადამიანმა დააღწია თავი სიღარიბეს ბოლო 15 წლის განმავლობაში, რაც ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 10%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ 2001-2015 წლებში ქვეყნის მოსახლეობის უმდიდრესი 10 პროცენტი დოვლათის 61%-ს ქმნიდა.

უთანასწორობის შემცირების ამჟამინდელი ტემპით, ბრაზილიაში ქალისა და მამაკაცის ანაზღაურება გათანაბრდება, სავარაუდოდ, **2047 წლისათვის.**

ბრაზილიაში ექვსი უმდიდრესი მამაკაცი ფლობს იმავე სიმდიდრეს, რასაც ქვეყნის ღარიბი მოსახლეობის 50%-ი, რაც, დაახლოებით, 100 მილიონი ადამიანია. ქვეყნის მოსახლეობის უმდიდრეს 5%-ს იგივე შემოსავალი აქვს, რაც დანარჩენი მოსახლეობის 95%-ს. ბრაზილიის უმდიდრესი ექვსი კაცი თუ გააერთიანებს თავის ქონებას და დღეში დახარჯავს ერთ მილიონ რეალს, რაც, დაახლოებით, 319 000 $-ია, მათ ამ ფულის დასახარჯად 36 წელი დასჭირდებათ. საშუალოდ, 16 მილიონი ბრაზილიელი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება. ეს რიცხვები მკაფიოდ მეტყველებს რთულ ეკონომიკურ, სოციალურ და გენდერულ უთანასწორობაზე.

ბრაზილიაში ამგვარი უთანაბრობის მაჩვენებლები გადაუდებელი ღონისძიებების გატარებას საჭიროებს იმ სტრუქტურების მიმართულებით, რაც უსამართლო საგადასახადო სისტემას ან არასაკმარისი ინვესტიციების მოზიდვას უკავშირდება სოციალურ პოლიტიკაში.

წყარო: ბმული

რისი საშუალებით შეგვიძლია დავადგინოთ, **რამდენი მდიდარი ან რამდენი ღარიბია ქვეყანაში? გეფმაინდერი - პრობლემის ანალიზი**: ბმული

„პროფესორი როსლინგი მკაფიოდ აჩვენებს, რამდენად განსხვავებული შემოსავლებით

ცხოვრობენ ადამიანები, რაც შემოსავლების უთანაბრობასთან არის დაკავშირებული. პლანეტის მოსახლეობის ყველაზე ღარიბი ადამიანები დღეში 1 დოლარის ოდენობის, ან ნაკლები შემოსავლით ცხოვრობენ - ასეთია, დაახლოებით, 1 მილიარდი ადამიანი. მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე მეტს კი დღეში 10 დოლარით ან ნაკლები შემოსავლით გააქვს თავი მაშინ, როცა ზოგიერთი ადამიანი დღეში 100 დოლარზე მეტი შემოსავლით ცხოვრობს. შემოსავლებს შორის უზარმაზარი განსხვავებაა ყველაზე მდიდრებსა და ღარიბებს შორის, შემოსავლების ასეთი სხვაობა ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, რომ მხოლოდ უკიდურესად მდიდარი და ღარიბი ადამიანები ცხოვრობენ პლანეტაზე. სინამდვილეში, მსოფლიო მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, შემოსავლების თვალსაზრისით, მათ შორის იკავებს ადგილს.

უთანაბრობის აღმოფხვრის რა გზები არსებობს ეკონომიკური თუ სოციალური მიმართულებით?

როგორ და რისი დახმარებით შეიძლება მოვიპოვოთ ინფორმაცია სიღარიბის შესახებ? რა მაჩვენებლებზე დაყრდნობით ადგენენ სიღარიბის დონესა და სიმდიდრის უთანაბრო განაწილებას? ბმული **მსოფლიოს სიღარიბის ინტერაქტიული რუკის ანალიზი**

უთანასწორობის გაზომვისას, მნიშვნელოვანია ორი ძირითადი პარამეტრის განსაზღვრა: ერთიანი ეროვნული შემოსავალი და ეროვნული სიმდიდრე. ერთიანი ეროვნული შემოსავალი არის ერთი წლის განმავლობაში როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, ქვეყნის გარეთ წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების საერთო ღირებულება, მათი ჯამი. შემოსავლის ფორმები შემდეგია: ინდივიდების შრომით მიღებული შემოსავალი, მაგალითად, ხელფასი ან შემოსავალი (რომელიც მიიღება ინდივიდის სიმდიდრიდან), პროცენტი და დივიდენდები. ეროვნული სიმდიდრე არის მოცემულ ქვეყანაში ფიზიკური პირების საკუთრებაში არსებული ყველა აქტივის ღირებულების ჯამი, დაგროვებული კაპიტალი (მიწა, უძრავი ქონება, დეპოზიტი, ნაღდი ფული და ა.შ.). 2021 წელს გლობალურმა შემოსავალმა 122 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა, გლობალური სიმდიდრე კი ექვსჯერ აღემატება ამ მაჩვენებელს. ასევე, 2021 წლისათვის საშუალო შემოსავალი ზრდასრულზე 23,380 აშშ დოლარს შეადგენდა.

გლობალური სიმდიდრე უფრო არათანაბრად არის განაწილებული, ვიდრე გლობალური შემოსავალი. მსოფლიოს ყველაზე ღარიბი მოსახლეობის ნახევარი ფლობს გლობალური სიმდიდრის 2%-ს, უმდიდრესი მოსახლეობის ნახევარი კი - 98%-ს.

გლობალური შემოსავლისა და სიმდიდრის მიხედვით უთანასწორობა ინდივიდებს შორის ორი მიმართულებით იკვეთება: უთანასწორობა ქვეყნებში - შემოსავლის სხვაობა მდიდარ და ღარიბ მოსახლეობას შორის და რეგიონებს შორის შემოსავლების სხვაობა. ქვეყნებს შორის უთანასწორობა დღეს ისტორიულ მაქსიმუმს აღწევს, მიუხედავად იმისა, რომ განვითარებადი ქვეყნები ბოლო ოთხი ათწლეულის განმავლობაში მეტ-ნაკლებად დაეწივნენ განვითარებულ ქვეყნებს რიგ კრიტერიუმებში.

საშუალო შემოსავალი მსოფლიოს რეგიონებში, 2021



ინტერპრეტაცია: 2021 წელს, ჩრდ ამერიკის საშუალო შემოსავალი მსოფლიო საშუალო შემოსავლის 315%-ია (მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით) **წყარო:** *wir2022.wid.worl/methodology*

როგორია უთანასწორობის ხარისხი მსოფლიოს რეგიონებს შორის? - დიაგრამის მიხედვით, საშუალო შემოსავალი სუბსაჰარის რეგიონში არის 0,3, ანუ გლობალური საშუალო შემოსავლის 31%, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში - 0,5, ანუ გლობალური საშუალოს 50%. ლათინური ამერიკის, აღმოსავლეთ აზიის, რუსეთისა და ცენტრალური აზიის საშუალო შემოსავალი გლობალურ საშუალო შემოსავალს მიახლოებულია. ევროპაში ეს თანაფარდობა ორჯერ აღემატება გლობალურ საშუალოს (215%), ხოლო ჩრდილოეთ ამერიკაში - სამჯერ. ეს ნიშნავს, რომ ჩრდილოეთ ამერიკელები, საშუალოდ, 6-ჯერ და 10-ჯერ მეტს გამოიმუშავებენ, ვიდრე სუბსაჰარული აფრიკის, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონის მოსახლეობა. აღმოსავლეთ აზიის მოსახლეობა გამოიმუშავებს ევროპის მოსახლეობის მსგავსად. ამ შემოსავლებში აუცილებლად გათვალისწინებულია მსყიდველობითი პარიტეტის უნარი, და არა საერთაშორისო ვალუტის საბაზრო გაცვლითი კურსი. მსოფლიოს რეგიონებს შორის სიმდიდრის სხვაობა უფრო დიდია, ვიდრე შემოსავლებს შორის სხვაობა. სუბსაჰარული აფრიკის, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, ლათინური ამერიკის მოსახლეობა ფლობს გლობალური სიმდიდრის საშუალო მაჩვენებლის მხოლოდ 20-50%-ს. აღსანიშნავია, რომ კაპიტალის მოცულობისათვის ღარიბი რეგიონები შედარებით მეტ შემოსავალს გამოიმუშავებენ, ვიდრე მდიდრები, მაგრამ არის ასეთი მოსაზრებაც, რომ ღარიბი ქვეყნები არიან ღარიბები, ვინაიდან დაგროვილ კაპიტალსა და რესურსებს არაეფექტურად იყენებენ, მაგრამ ეს შესაძლოა არც არის სწორი ახსნა, რადგან ღარიბი ქვეყნები შეიძლება ეფექტურად იყენებდნენ კაპიტალს, მაგრამ მათ ძალიან მცირე კაპიტალი აქვთ.



ინტერპრეტაცია: 2021 წელს, ჩრდ ამერიკის საშუალო სიმდირე მსოფლიო საშუალო სიმდიდრის 390%-ია (მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით). ოჯახის წმინდა სიმდიდრე ტოლია ინდივიდების მფლობელობაში არსებული ფინანსური აქტივებისა (მაგ, კაპიტალი ან ბონდები) და არაფინანსური აქტივების (მაგ, სახლი ან მიწა) ჯამის, მათი ვალების გარეშე.

წყარო: wir2022.wid.worl/methodology

დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ადგილზე მცხოვრები ადამიანები უკიდურესად განსხვავებულ პირობებში არიან. ეს განსხვავებები, ძირითადად, ბოლო ორი საუკუნის მანძილზე მიმდინარე ცვლილებების შედეგია. კერძოდ, ზოგიერთ რეგიონში, ქვეყანასა თუ დასახლებაში ცხოვრების პირობები მკვეთრად შეცვალა როგორც დადებით, ასევე, უარყოფით კონტექსტში.

რომელი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები ახდენს გავლენას გლობალურ უთანასწორობასა და სიმდიდრის არათანაბარ გადანაწილებაზე?

მსოფლიო მოსახლეობაში თითოეული ინდივიდის ისტორია ვითარდება გლობალური ცვლილებებისა და არსებული უთანასწორობის ფონზე, რაც დიდწილად განსაზღვრავს კიდეც ინდივიდის კეთილდღეობას, რამდენად ჯანმრთელი, განათლებული, მდიდარი იქნება; თავისთავად, პიროვნების ცხოვრებისეულ არჩევანს დიდი გავლენა აქვს მის კეთილდღეობაზე, მაგრამ არის ერთი სრულიად შემთხვევითი ფაქტორი, რომელსაც ადამიანი ვერ აკონტროლებს და დიდწილად განსაზღვრავს იმ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს, რომელშიც ცხოვრობს - დაბადების დრო და ადგილი. საზოგადოების ნაწილი უსამართლოდ მიიჩნევს, რომ ადამიანები ასეთ განსხვავებულ პირობებში ცხოვრობენ. მსოფლიო მოსახლეობის ნაწილს შეუძლია ისარგებლოს კეთილდღეობით - ჯანსაღი, მდიდარი, ბედნიერი ცხოვრებით, ხოლო დიდი ნაწილი ცხოვრებას სიღარიბესა და მწუხარებაში ატარებს.

„დღევანდელ თაობას შორის არსებული უთანასწორობის შედეგები მომავალი თაობისათვის უსამართლო უპირატესობაა, რომელიც მეტვიდრეობით ერგება. თუ ჩვენს ინტერესს წარმოადგენს, რომ ხვალ ყველას ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა, ამისათვის საჭიროა ვიზრუნოთ დღეს.“

ტონი ატკინსონი,

ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკური მეცნიერების სკოლის პროფესორი

გლობალური უთანასწორობის მასშტაბები არ უკავშირდება იმას, თუ ვინ ხარ, არამედ იმას, თუ სად ხარ. მაგრამ ქვეყნებს შორის უთანასწორობა არ არის ერთადერთი საკითხი. ძალიან მნიშვნელოვანია, უთანასწორობა განხილული იყოს საზოგადოებებში, ლოკალურ დონეზე, გენდერული, სოციალური მდგომარეობის თვალსაზრისით და ა.შ.

მოცემული სქემა გვიჩვენებს საცხოვრებელ პირობებში არსებულ უთანასწორობას ქვეყნებს შორის თანამედროვე მსოფლიოში:

გლობალური უთანასწორობა საცხოვრებელი პირობების მიხედვით

მსოფლიოს ყველაზე ცუდ და კარგ ქვეყნებში



განვიხილოთ ის ასპექტები, რომლებიც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასა და ცხოვრების პირობებზე, ხარისხზე ახდენს გავლენას: ჯანდაცვა, შემოსავლები, განათლება.

ჯანდაცვა: დაბალი ხარისხის ჯანდაცვის სერვისების მქონე ქვეყნებში, დაახლოებით, 60-ჯერ მეტი ბავშვი იღუპება, ვიდრე ძლიერი ჯანდაცვის სისტემის მქონე ქვეყნებში. აფრიკის რეგიონის ზოგიერთ ქვეყანაში დაბადებული ათი ბავშვიდან ერთი ხუთი წლის ასაკამდე იღუპება. თუ განვიხილავთ ევროპისა და აღმოსავლეთ აზიის რეგიონის ქვეყნებს, დაბადებული 250 ბავშვიდან მხოლოდ ერთი იღუპება 5 წლამდე.

განათლება: ქვეყნებში, სადაც ხელმისაწვდომია ხარისხიანი განათლება, მაგალითად, ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში, ბავშვს, რომელიც დღეს შედის სკოლაში, აქვს 15-20 წლიანი ფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა. მაგალითად, ავსტრალიაში სასკოლო განათლების საშუალო ხანგრძლივობა 22,9 წელს შეადგენს, ხოლო განვითარებად ქვეყნებში, სადაც განათლებაზე ნაკლები ხელმისაწვდომობაა, ფორმალური განათლების მაჩვენებელი ხუთ წელს შეადგენს და, ამასთანავე, გაცილებით დაბალია მიღებული განათლების ხარისხი.

რისი საშუალებით შეგვიძლია დავადგინოთ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი მსოფლიოში და სასკოლო განათლების საშუალო ხანგრძლივობა?

ინტერაქციული მსოფლიო რუკის ანალიზი: ბმული

რუკის ანალიზი - სასკოლო განათლების საშუალო ხანგრძლივობა: ბმული

შემოსავლები: აქ ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი ეკონომიკური მაჩვენებლების განხილვა, როგორის არის მშპ ერთ სულ მოსახლეზე. თუ შემოსავლების მიხედვით შევადარებთ უმდიდრეს და უღარიბეს ქვეყნებს, მაგალითად, კატარსა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკას, კატარში მშპ ერთ სულ მოსახლეზე, დაახლოებით, 117 ათასი აშშ დოლარია, ხოლო ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში 661 აშშ დოლარი. მოცემულ შემოსავლებს შორის სხვაობა ძალიან დიდია, თავისთავად, ეს ითვალისწინებს ქვეყნებს შორის გადასახადებს, ფასებს შორის სხვაობას, მსყიდველობით პარიტეტს საერთაშორისო ვალუტის გათვალისწინებით ეროვნულ ვალუტასთან. კატარი მდიდარი ქვეყანაა წიაღისეული რესურსებით, სამართლიანი იქნება, შევადაროთ მდიდარ ქვეყნებს, მაგალითად, აშშ-ს, სადაც ერთ სულ მოსახლეზე მშპ 54,225 აშშ დოლარს შეადგენს, შვეიცარიაში კი - 57,410 აშშ დოლარს. შვეიცარიელს შეუძლია, ერთ თვეში დახარჯოს ის შემოსავალი, რისი დახარჯვაც ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის მოქალაქეს 7 წელიწადში შეუძლია.

მსოფლიო რუკა: მშპ ერთ სულ მოსახლეზე, ქვეყნების მიხედვით, 2020 წლის მონაცემები:

მშპ ერთ სულ მოსახლეზე, 2020 გაზომილია მუდმივ საერთაშორისო $-ში



წყარო: მონაცემები შედგება მსოფლიოს ბანკის რამდენიმე წყაროსგან

ღარიბ ქვეყანაში, სადაც ყოველი მეათე ბავშვი იღუპება, რთულია ბავშვის დაღუპვის შანსი დავიყვანოთ იმ ქვეყნების საშუალო დონის მაჩვენებელზე, სადაც ბავშვებს ხარისხიან ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა აქვთ. კიდევ უფრო მეტია სხვაობა შემოსავლებში, როდესაც მშპ ერთ სულ მოსახლეზე 1000 აშშ დოლარზე ნაკლებია. აღსანიშნავია, რომ უმეტეს ქვეყნებში უკიდურესი სიღარიბე სუფევს.

ვიდეოს ანალიზი: შვედი პროფესორი ჰანს როსლინგი აღწერს იმ უზარმაზარ განსხვავებას, რაც არის მსოფლიოში სიცოცხლის ხანგრძლივობისა და შემოსავლების ურთიერთმიმართების კუთხით. კერძოდ, იმ ქვეყნებში, სადაც მაღალია მშპ ერთ სულ მოსახლეზე, ადამიანები უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ხოლო დაბალი შემოსავლის ქვეყნებში სიცოცხლის ხანგრძლივობაც დაბალია. ამავე დროს, ჯერ კიდევ დიდი განსხვავებაა თანაბარი შემოსავლის მქონე ქვეყნებს შორის, სიცოცხლის ხანგრძლივობის თვალსაზრისით, რაც დამოკიდებულია ფინანსების განაწილებასა და მის გამოყენებაზე.

ბმული

გენდერული თანასწორობა განათლებაში

განათლებაში გენდერულ უთანასწორობაზე საუბრისას, პირველ რიგში, აქცენტი გოგონების სწავლის ბარიერებზე უნდა გაკეთდეს. დღეისათვის ბავშვების სამ მეოთხედს, რომელმაც შესაძლოა სკოლაში ვერასოდეს იაროს, გოგონები წარმოადგენენ. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ, რიგ შემთხვევებში, უთანასწორობა განათლებაში ბიჭებთან დაკავშირებითაც გამოიხატება. ბოლო 25 წლის განმავლობაში გლობალურ დონეზე მსოფლიომ, სკოლებში გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. თუ UNESCO-ს მონაცემებს დავეყრდნობით, სკოლაში დაწყებით და საშუალო საფეხურზე ჩარიცხული გოგონების რაოდენობა 2021 წლისათვის 180 მილიონით გაიზარდა, მათ შორის, საუბსაჰარულ აფრიკაში 69 მილიონით. მიუხედავად ასეთი მზარდი მაჩვენებლებისა, გოგონები კვლავ გარიყულობის ყველაზე მძიმე ფორმების წინაშე დგანან, რაც რამდენიმე ფაქტორის შედეგია - სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ეთნიკური თუ რელიგიური მიკუთვნებულობის, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შეზღუდული შესაძლებლობების და სხვ. ამ ყველაფრის შედეგად, მსოფლიოს 6-დან 11 წლამდე ასაკის ცხრა მილიონი გოგონა ვერასოდეს წავა სკოლაში, მათთან ერთად, დაახლოებით, სამი მილიონი ბიჭი.

სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა მნიშვნელოვნად იკვეთება დასახლებებს შორისაც (სოფელი, ქალაქი). მაგალითად, სიერა ლეონეს განათლების სექტორის 2021 წლის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სოფლად მცხოვრები ღარიბი გოგონების მხოლოდ 5% ამთავრებს საშუალო სკოლას. დაახლოებით, მსგავსი უთანასწორობა ვლინდება ნიგერიის სოფლად მცხოვრები გოგონების განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისითაც. გარდა სკოლისა, გენდერული უთანასწორობა ვლინდება სხვა მიმართულებითაც, როგორიცაა სწავლების ხარისხი, სასკოლო სახელმძღვანელოებსა და სასწავლო რესურსებზე წვდომა და მათი შინაარსი გენდერული თვალსაზრისით. ეს განსხვავებები, ერთი მხრივ, უკავშირდება იმ საგანმანათლებლო შესაძლებლობებს, რომელთაც განათლების სისტემა და პოლიტიკა სთავაზობს ქვეყნის მოსახლეობას, მეორე მხრივ, დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორია მოთხოვნა განათლებაზე საზოგადოებაში, ოჯახებში, ბავშვებში. საბოლოოდ კი, ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ფაქტორი კომპლექსურად ახდენს გავლენას საზოგადოების კეთილდღეობაზე.

პოსტერის წყარო: ბმული

რა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები ახდენს გავლენას უთანასწორობის შემცირებაზე; როგორ შეიძლება გამოიყენო ძალაუფლება უთანასწორობის შესამცირებლად?

განათლებაში უთანასწორობა ბიჭებზეც აისახება, განსაკუთრებით, როდესაც ეს სოციალურ მოლოდინს უკავშირდება და ბიჭები თავს ანებებენ სწავლას, ფულის გამომუშავების მიზნით, ან შესაძლოა საერთოდ არ შევიდნენ სკოლაში იმის გამო, რომ ოჯახს ეხმარებიან. თუ ისევ მივუბრუნდებით სიერა ლეონეს განათლების სექტორის ანგარიშს, ვნახავთ, რომ ბიჭების 67% სწავლას ეკონომიკური მიზეზების გამო ტოვებს, იმავეს აკეთებს გოგონების 53%. ნიგერიის შემთხვევაში, წვიმიანი სეზონი, შეი-

არაღებული კონფლიქტები ქვეყნის ზოგიერთ რაიონში სწავლის დამატებით ბარიერებად განიხილება ბიჭებისათვის.

სუბსაჰარულ აფრიკაში, გოგონების შემთხვევაში, სკოლის ნაადრევად მიტოვების გამომწვევი ფაქტორია ნაადრევი ქორწინება. სწორედ ამ რეგიონში ბევრმა სახელმწიფომ ახლახან გააუქმა რეგულაციები, რაც ორსულ გოგონებს გაკვეთილზე დასწრების შესაძლებლობის გარეშე ტოვებდა. სიერა ლეონემ და მოზამბიკმა ეს ცვლილება 2020 წლისათვის შეიტანეს საგანმანათლებლო კანონმდებლობაში. ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი ინკლუზიური განათლებისაკენ, თუმცა ადგილობრივ დონეზე ფესვგადგმული გენდერული სტერეოტიპები და ნორმები, სუსტ ინსტიტუციურ გადაწყვეტილებებთან ერთად, შეიძლება გენდერული თანასწორობის პოლიტიკისა და სტრატეგიების განხორციელების შემაფერხებელ ფაქტორებად მოგვევლინოს, მაგალითად, ნიგერიაში ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა მხოლოდ 6 %-ია ქალი.

სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა სოფლად და ქალაქად სხვა პარამეტრებითაც შეგვიძლია განვიხილოთ. თუ ისევ სიღარიბეს დავუბრუნდებით, უკიდურესი სიღარიბე, დასახლებების მიხედვით, ძირითადად, სოფლის ფენომენია. ყოველი ხუთი ადამიანიდან ოთხი, რომელიც 1,90 აშშ დოლარს გამოიმუშავებდა და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იყო, 2013 წელს სოფლად ცხოვრობდა, თუმცა ბოლო ათწლეულის განმავლობაში სოფლად სიღარიბე შემცირდა, რაც გლობალურ დონეზე უზარმაზარი პროგრესია სიღარიბის შემცირების კუთხით. მაგრამ ეს ცვლილება მსოფლიოში ყველგან თანაბრად არ აისახა. სხვადასხვა ფაქტორმა, რომელიც დღეს ისევ გამოწვევად რჩება, შესაძლოა გაზარდოს უთანასწორობა დასახლებებს შორის, მათ შორის, ურბანიზაციის პროცესმაც.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ COVID-19 პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა სიღარიბის ზრდა გამოიწვია. პანდემიამ, დაწესებულმა შეზღუდვებმა ე.წ. „ლოკდაუნმა“ არაპროპორციულად იმოქმედა ქალაქზე და მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სოფლად მცხოვრებლებზე. შეზღუდვები მოგზაურობასა და ტრანსპორტზე პირდაპირ აისახა სოფლად მცხოვრები ღარიბი მოსახლეობის საარსებო საშუალებებზე, რადგან იქ მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილი სეზონურ, მობილურ სამუშაოებსა და რემიტანსებზე - უცხოეთიდან ფულად გზავნილებზეა დამოკიდებული. რიგ ქვეყნებში მიგრანტების მასიური დაბრუნება სოფლად სწორედ სამუშაოების დაკარგვის შედეგი იყო. სიღარიბე კვლავ სოფლის ტიპის დასახლებების გამოწვევად რჩება, სიღარიბეში მყოფი ადამიანების 80 % სწორედ სოფლად ცხოვრობს. განვითარებადი ქვეყნები სოფლად მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობით გამოირჩევიან. 2013 წლისათვის სოფლად მცხოვრები მოსახლეობის 18 % უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდა, მაშინ როცა ქალაქში მცხოვრები მოსახლეობის კუთხით ეს მაჩვენებელი 5%-ია. რურალური დასახლებების სიღარიბის მაღალი მაჩვენებლებით გამორჩევა სუბსაჰარული აფრიკა, სადაც სოფლის მოსახალების 50 % უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს.

სოფლის ღარიბი მოსახლეობის მდგომარეობა, საჯარო და სოციალური დაცვის სერვისებზე, ინფრასტრუქტურაზე დაბალი ხელმისაწვდომობის შედეგად, კიდევ უფრო უარესდება. COVID-19 პანდემიამ კიდევ უფრო გაართულა მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, შემოსავლების შემცირებითა და მობილობის შეზღუდვით, მაგრამ არის ერთი საინტერესო გარემოება - სიღარიბე უფრო სწრაფად მცირდება სოფლად, ვიდრე ქალაქებში. გაეროს მიერ ჩატარებული 19 ქვეყნის კვლევის შედეგად, გამოვლინდა, რომ სოფელში სიღარიბის შემცირების მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე ქალაქებში, კვლევაში მონაწილე ყველა ქვეყანაში, გარდა ერთისა. თუმცა უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა კვლავ ძალიან რთულია. ბოლო 30 წლის განმავლობაში, განვითარებადმა ქვეყნებმა მცირე პროგრესი განიცა-

დეს, ყველაზე ღარიბი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების ამაღლების კუთხით.

გარკვეულწილად, შემცირდა სოფელსა და ქალაქს შორის უთანაბრობა, ძირითად სერვისებზე ხელმისაწვდომობისა და მათი გამოყენების შესაძლებლობის თვალსაზრისით - საშუალო საფეხურზე სკოლაში სწავლა, ელექტროენერგიაზე ხელმისაწვდომობა (გაერო, 2020). მიუხედავად იმისა, რომ თუ პროგრესი ამ მიმართულებით ასეთი ტემპით გაგრძელდება, სოფლად და ქალაქად არსებული უთანაბრობის აღმოფხვრასა და ხარვეზების გამოსწორებას შესაძლოა კიდევ 4 ათწლეულზე მეტი დასჭირდეს. არსებული სცენარით, 2030 წლისათვის სოფლები კვლავ ჩამორჩებიან ქალაქებს ამ ასპექტებით.

სოფლად უთანასწორობა, ისეთი ძირითადი ნიშნების მიხედვით, როგორიც არის ბავშვთა ჯანმრთელობა ან განათლებაზე ხელმისაწვდომობა რომ ისევ მაღალია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2020 და 2021 წლის მსოფლიოს სოციალური ანგარიშებიდანაც ჩანს - სოფლად მცხოვრები მდიდარი ოჯახები, რომელთა წევრებსაც აქვთ განათლება, სოციალურ-ეკონომიკური პირობების მიხედვით, ისეთივე დონეზე არიან, როგორც საქალაქო-ურბანული დასახლების ოჯახები. სოფლად მცხოვრებ ქალებს უფრო მეტი დაბრკოლება აქვთ განათლების მიღების, მიწის ფლობის, ანაზღაურებადი სამუშაოს ქონისა და საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, ვიდრე ქალაქად მცხოვრებ ქალებს.

სოფლის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს ეროვნული და რეგიონული კონტექსტები. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სოფლებში სიღარიბის შემცირება არ არის სოფელში, სოფელსა და ქალაქს შორის არსებული სხვადასხვა უთანასწორობის შემცირების გარანტი. მაგალითად, 2000-2010 წლებში ჩინეთში, ინდოეთსა და ინდონეზიაში სოფლად უთანასწორობა გაიზარდა ან უცვლელი დარჩა, ხოლო სოფლად სიღარიბის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა. სოფლის თანასწორი და ინკლუზიური განვითარება მოითხოვს ხარისხიან განათლებას, გამართულ ჯანდაცვის სისტემას, სხვადასხვა საჯარო სისტემაზე ხელმისაწვდომობას, ღირსეული სამუშაოს შესაძლებლობას. ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენება ხელს შეუწყობს უთანასწორობის შემცირებას როგორც სოფლად, ისე ქალაქად. აღნიშნულის მისაღწევად საჭიროა ლოკალური პოლიტიკა ეროვნულ დონეზე. თუ ქვეყნები დანერგავენ პოლიტიკის იმ ფორმას, რომელიც გულისხმობს ინვესტიციას ინფრასტრუქტურასა და საჯარო სერვისების გაუმჯობესებაში (გზების, ელექტრიფიკაციის, სანიტარული ნორმების გაუმჯობესება, სუფთა სასმელი წყლის, განათლების, ჯანდაცვის სერვისებსა და ციფრულ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა), რომელიც წარმატებული პრაქტიკა აღმოჩნდა რიგი ქვეყნებისათვის სიღარიბისა და უთანასწორობის შესამცირებლად, აღმოფხვრის უფსკრულს სოფელსა და ქალაქს შორის. სოფლის მეურნეობის განვითარება (გაზრდილი შემოსავლები, სურსათის უსაფრთხოება) ორჯერ უფრო ეფექტურია სიღარიბის შესამცირებლად, ვიდრე სხვა სექტორებიდან მიღებული სარგებელი (Christiaensen and Martin, 2018). მნიშვნელოვანია მიწისა და ბუნებრივი რესურსების სამართლიანი განაწილება და ხელმისაწვდომობა, რადგან მოსახლეობისა და ეკონომიკის ზრდის პარალელურად, კლიმატის ცვლილება გავლენას ახდენს ბუნებრივ რესურსებზე, რამაც შესაძლოა დამატებითი შეზღუდვები წარმოშვას მიწისა და ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია სამართლებრივი საკითხების კორექტირება, განსაკუთრებით, როდესაც ეს ეხება არაფორმალურ დასაქმებასა და სოფლად გავრცელებული საქმიანობის ფორმებს.

უთანასწორობის აღმოსაფხვრელად, მნიშვნელოვანია, შეწყდეს დისკრიმინაციის ყველა ფორმა, რადგან დისკრიმინაცია უთანასწორობის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ეთნიკური უმცირესობების, მკვიდრი მოსახლეობის, ქალებისა და სხვა ჯგუფების გარიყულობისათვის

რის საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ, **თუ რა იწვევს ქვეყნებს შორის და ქვეყნებს შიგნით სიღარიბეს?** სიმდიდრის უთანასწორობის ამსახველი ინტერაქციული დიაგრამის ანალიზი

რატომ არის გლობალურ და ინდივიდუალურ დონეზე ზოგი ქვეყანა მდიდარი, ხოლო ზოგი - ღარიბი? რატომ მდიდრდებიან მდიდარი ქვეყნები უფრო მეტად, ღარიბი ქვეყნების სულ უფრო გაღარიბების პარალელურად? როგორ შეიძლება ღარიბმა ქვეყნებმა, ერებმა დააღწიონ თავი სიღარიბეს? სტატიის ანალიზი: „გლობალური უთანასწორობა ეკონომიკურ ჭრილში“

„უთანასწორობის დაძლევა საქართველოში“

ჯინის ინდექსი:

რა მეთოდზე დაყრდნობით შეგვიძლია დავადგინოთ უთანასწორობის დონე საზოგადოებაში? ჯინის ინდექსისი რუკის ანალიზი

ჯინის ინდექსისი რუკის ანალიზი

ჯინის ინდექსი მსოფლიო ბანკის მიერ შემოსავლების უთანაბრობის დონეს აფასებს საზოგადოებაში. თუ ყველა შემოსავალი ერთი პირის ხელში მოიყრის თავს, დამყარდება მაქსიმალური უთანასწორობა, სხვები დარჩებიან შემოსავლების გარეშე, ე.ი. ჯინის ინდექსი გაუტოლდება 1-ს, ხოლო თუ შემოსავლები თანაბრად გადანაწილდება, გაზიარდება ადამიანებს შორის, მაშინ ინდექსი 0-ის ტოლი იქნება, ინდექსი იზომება 0-სა და 1-ს შორის. 0 აღნიშნავს, რომ უთანაბრობა არ არსებობს, 1 კი მაქსიმალურ მნიშვნელობას ასახავს. შეიძლება ვთქვათ, რომ რაც უფრო დაბალია ჯინის კოეფიციენტი, მით უფრო მაღალია თანასწორობის ხარისხი შემოსავლების გადანაწილებაში. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების უმეტესობას ჯინის კოეფიციენტი დაბალი აქვს, მაგალითად, დანია - 0,25, ლესოტო - 0632, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა - 0,625, ჰაიტი - 0,608. რაც შეეხება საქართველოს, ჯინის კოეფიციენტი 0,37 შეადგენდა, 2019 წლის მონაცემებით.

ცხოვრების ხარისხი

მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ქვეყნის (ტერიტორიის, ადგილის) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეზე, გარემოს დაცვის ხარისხზე, ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებზე, საზოგადოების ტრადიციებზე, ყოფითი კულტურის დონეზე, ასევე, პოლიტიკური რეჟიმის დემოკრატიულობასა და სამოქალაქო საზოგადოების თავისუფლებაზე.

ცხოვრების ხარისხი - მოსახლეობის მიერ მატერიალური და სულიერი სიმდიდრის მოხმარების დონე და ამ სიმდიდრით მოსახლეობის დაკმაყოფილების ხარისხი.



როგორც ილუსტრაციაზე ვხედავთ, გარდა მატერიალური შემოსავლისა (მშპ ერთ სულ მოსახლეზე), შრომის ანაზღაურების ოდენობისა და შემოსავლებისა, ცხოვრების დონესა და ხარისხს განაპირობებს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა საცხოვრებელი პირობები, თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა, განათლების დონე, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, დასვენებისა და გართობის შესაძლებლობა, ეკოლოგიური პირობები.

როცა ქვეყნების კლასიფიკაციას ახდენენ ცხოვრების ხარისხის მიხედვით, შედეგი ყოველთვის არ ემთხვევა სახელმწიფოთა გადანაწილებას ერთ სულ მოსახლეზე, **ეროვნული შემოსავლის თვალსაზრისით.** მაგალითად, ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე ძალიან მაღალია ნავთობის ექსპორტიორ არაბულ სახელმწიფოებში, მაგრამ ცხოვრების დონის საერთო მაჩვენებლით ისინი საგრძნობლად ჩამორჩებიან შვეიცარიას, ნორვეგიას, ფინეთს, ისლანდიას, ბენილუქსის ქვეყნებს.

არ შეიძლება არ განვიხილოთ **სამომხმარებლო კალათა** და მისი ღირებულება, როდესაც ცხოვრების დონეზე ვსაუბრობთ: სამომხმარებლო კალათა მოიცავს იმ საქონელსა (ნივთებს, სურსათს) და მომსახურებას, რომელსაც შეიძენს ტიპური მომხმარებელი და საცხოვრებელი საარსებო მინიმუმის დასაანგარიშებლად და სხვადასხვა რეგიონში სურსათზე, საქონელსა და მომსახურებაზე არსებული ფასების შესადარებლად გამოიყენება. მაგალითად, საქართველოს შემთხვევაში, იგი ითვალისწინებს 305 დასახელების საქონელსა და მომსახურებაზე სამომხმარებლო ფასებსა და ტარიფებს. ეს გახლავთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სურათის ისეთივე თვალსაჩინო მახასიათებელი, როგორიც რის მშპ, ბიუჯეტი, საგარეო და საშინაო ვალები.

სიცოცხლის ხანგრძლივობა

რამდენიმე სიტყვით შევეხოთ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას, რომელიც ადამიანთა სიკვდილიანობის განზოგადებულ მაჩვენებელს წარმოადგენს. მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი მიუთითებს მოცემული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და/ან ჯანდაცვის სისტემის განვითარების დონეზე. ჯანდაცვასა და სამედიცინო მომსახურებაში არსებული მდგომარეობა, როგორც წესი, პირდაპირ აისახება ქვეყნის ცხოვრების ხარისხზე.

ცხოვრების ხარისხზე განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის **განათლების დონე.** მოსახლეობის განათლების დონის დახასიათებისას, რამდენიმე კრიტერიუმი გამოიყენება, მაგრამ მათ შორის ყველაზე გავრცელებულია წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობის განსაზღვრა.

რა მეთოდებსა და მაჩვენებლებზე დაყრდნობით ვიკვლევთ ცხოვრების ხარისხის ინდექსს და ვადგენთ დონეს? ბმული

რუკა გვიჩვენებს ქვეყნების მიხედვით ცხოვრების ხარიხის ინდექსს. კურსორის ქვეყნებთან მიყვანით, ვიღებთ მაჩვენებელს, რომლითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ და შევაფასოთ, რამდენად მაღალია ან დაბალი ქვეყანაში ცხოვრების ხარისხი. ინდექსი გამოთვლილია შემდეგი ინდექსების გამოყენებით: მსყიდველობითი უნარის ინდექსი (მსყიდველობითი უნარის პარიტეტი - თეორია, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი ვალუტის ერთი ერთეულით უნდა შეგვეძლოს საქონლის ერთი და იმავე რაოდენობის შეძენა ყველა ქვეყანაში), დაბინძურების ინდექსი (დაბალი მაჩვენებელი უკეთესია), **უძრავი ქონების ფასის მიმართება შემოსავალთან** (დაბალი მაჩვენებელი უკეთესია), ცხოვრების ღირებულების ინდექსი (დაბალი მაჩვენებელი უკეთესია), უსაფრთხოების ინდექსი (მაღალი მაჩვენებელი უკეთესია), ჯანმრთელობის დაცვის ინდექსი (მაღალი მაჩვენებელი უკეთესია), **ქანქარისებური, ყოველდღიური გადაადგილების პროცესში დახარჯული დრო** (დაბალი მაჩვენებელი უკეთესია) და კლიმატი (მაღალი მაჩვენებელი უკეთესია). რუკასთან ერთად, წარმოდგენილია ცხრილი ყველა ამ მაჩვენებლით. მაღალი მაჩვენებლები აქვს ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებს - ფინეთს, შვედეთს, დანიას; ცენტრალურ ევროპაში - შვეიცარიას; მაღალია ინდექსი ავსტრალიაში, აშშ-ში.

მაგალითად, შეგვიძლია, განვიხილოთ ისლანდია: **ისლანდიას** ცხოვრების ხარისხის მაღალი ინდექსი აქვს. ისლანდიის მცხოვრებლებს ნაკლებად ადარდებთ ეროვნული უსაფრთხოების საკითხი. ქვეყანას არ გააჩნია ჯარი, ფლოტი და სამხედრო-საჰაერო ძალები. პოლიციელებიც კი არ ატარებენ თან იარაღს. ძალოვანი სტრუქტურებიდან ყველაზე გავლენიანია სანაპირო დაცვა. თუკი ისლანდიელი მამაკაცი ჯარში მსახურობას მოისურვებს, მას შეუძლია, ნორვეგიულ ჯარში იმსახუროს შეთანხმებით, რომელიც 2 ქვეყანას შორისაა დადებული. ისლანდიაში ერთმანეთის მიმართ ნდობის უპრეცედენტოდ მაღალი დონეა. ეს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც აისახება. ქვეყანაში მოგზაურობისას, ხშირად იხილავთ ფერმერული პროდუქტების ფულზე გამცვლელ პუნქტებს. ეს გახლავთ დახლები ეკოპროდუქციით, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია, დამოუკიდებლად გაცვალოს პროდუქტი შესაბამის თანხაზე, არავითარი გამყიდველი, დაკვირვების კამერა და საკონტროლო სისტემა არ არის ირგვლივ. მიუხედავად მწირი რესურსებისა, მცირე ტერიტორიისა და რთული ბუნებრივი პირობებისა, ისლანდია მაინც ახერხებს ეკონომიკურ და სოციალურ წინსვლას და ძალიან ბედნიერი ერია. ისლანდიაში 25-64 წლის მოქალაქეების 77 %-ს მიღებული აქვს სრული საშუალო განათლება; ქალების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 84 წელია, მამაკაცების - 80 წელი. 2019 წლისათვის ერთ სულ მოსახლეზე მშპ მაჩვენებლით მსოფლიოში მე-7 ადგილზე იყო, ევროპაში - მე-5 ადგილზე. გარდა ამისა, ისლანდია ძალიან ეკომეგობრული ქვეყანაა - იდეალური მაგალითია ქვეყნისა, რომელმაც უარი თქვა ნავთობსა და ენერგიის სხვა ტრადიციულ წყაროებზე: ისლანდიაში სახლების, დაახლოებით, 90% თბება ცხელი წყლის საშუალებით, რომელიც ჭაბურღილებიდან მილებს მიეწოდება და საცხოვრებელ ნაგებობებს ათბობს.

რა პარამეტრების საფუძველზეა შემუშავებული ბედნიერების საერთაშორისო ინდექსი და როგორ შეიძლება სახელმწიფომ ქვეყნის ბუნებრივი რესურსები, შესაძლებლობები საზოგადოების კეთილდღეობისათვის გამოიყენოს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემუშავებული მდგრადი განვითარების კონცეფცია მიზნად ისახავს, ეკონომიკური წინსვლითა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით, უზრუნველყოს ადამიანის კეთილდღეობა, ცხოვრების ხარისხი გაიზარდოს იმგვარად, რომ მომავალმა თაობებმა ისარგებლონ ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი.

მდგრადი განვითარების მიმართულებებიდან გამომდინარე, გაერო აქვეყნებს ბედნიერების მსოფლიო რეიტინგს (World Happiness Report), სადაც ქვეყნები კლასიფიცირებულია მოქალაქეთა კეთილდღეობის დონის მიხედვით.

ბედნიერების საერთაშორისო ინდექსის გამოსათვლელად, გამოიყენება 4 ძირითადი მაჩვენებელი:

კეთილდღეობა – როგორ აფასებენ ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეები საკუთარ კეთილდღეობას, რადმენად კარგად გრძნობენ თავს. (1-10 ქულიანი შკალით)

სიცოცხლის ხანგრძლივობა – იმ წლების საშუალო რაოდენობა, რომელიც მოსალოდნელია რომ იცოცხლონ სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებმა.

უთანასწორობა – უთანასწორობა ქვეყნის მოქალაქეებს შორის. (%)

ეკოლოგიური კვალი – ქვეყნის თითოეული მოქალაქის საშუალო ზემოქმედება გარემოზე, გლობალური ნაკვალევის ქსელის მიერ მომზადებული მონაცემების საფუძველზე;

- მოქალაქეების სუბიექტური კმაყოფილების გრძნობა
- სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა
- ე.წ. ეკოლოგიური კვალი
- უთანასწორობა

გამოთვლისას გათვალისწინებულია კეთილდღეობის, ბედნიერების პარამეტრები: *მშპ ერთ სულ მოსახლეზე, სიცოცხლის ხანგრძლივობა, სიუხვე, სოციალური მხარდაჭერა, ცხოვრებისეული გადაწყვეტილებების მიღების თავისუფლება და კორუფციის აღქმა.*

საბოლოოდ, ბედნიერი ქვეყნების რეიტინგი ამ ოთხი ძირითადი მიმართულების პარამეტრებით გამოითვლება, ყველა ამ მაჩვენებლიდან მიიღება საერთო ქულა. კეთილდღეობის მაქსიმალური ქულა შეიძლება 10-ს შეადგენდეს. ფინეთმა, საშუალოდ, 7,63 ქულა დააგროვა, ისლანდიამ - 7,5. ყველაზე წარმატებულად სწორედ სკანდინავიურმა ქვეყნებმა შეძლეს ადამიანებზე ორიენტირებული კეთილდღეობის სახელმწიფოების შექმნა, რაც ყველა სხვა ქვეყნისთვის მისაბაძი მაგალითი უნდა იყოს.





ქვეყნებში მოსახლეობის ცხოვრების დონეს, ხარისხს უფრო ზუსტად გამოხატავს ადამიანური - ჰუმანური განვითარების ინდექსი, განზოგადებული მაჩვენებელი, რომელიც სამ პარამეტრს ეყრდნობა - მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ეკონომიკური); განათლების დონე - იგულისხმება წერა-კითხვის დონე (სოციალური); სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა (დემოგრაფიული). ინდექსი ფასდება 0-დან 1-მდე კოეფიციენტით და ყოფენ ოთხ დონედ: ძალიან მაღალი, მაღალი, საშუალო და დაბალი.



თავისთავად, ერთი პარამეტრის შეცვლაც ძალიან ცვლის მთლიან მაჩვენებელს. მაგალითად, თუ ქვეყანაში მაღალია მშპ ერთ სულ მოსახლეზე და დაბალია განათლების დონე, დაბალი გამოვა კატარის მაჩვენებელი - მშპ მაჩვენებლით ერთ სულ მოსახლეზე ათეულში ხვდება, მაგრამ ჰუმანური განვითარების ინდექსით ათეულშიც ვერ ხვდება და 41-ე ადგილს იკავებს მსოფლიოში. ამ კრიტერიუმებს გაეროს განვითარების პროგრამა ყოველწლიურად ამუშავებს და წარმოადგენს ჰუმანური განვითარების ანგარიშში.

ქვეყნები ჰუმანური განვითარების ინდექსის მიხედვით, 2021 წელი (UNDP):



მსოფლიოს ქვეყნები ყველაზე მაღალი ჰუმანური განვითარების ინდექსის მიხედვით	
ნორვეგია	0.964
შვეიცარია	0.946
ირლანდია	0.942
გერმანია	0.939
ავსტრალია	0.938
ისლანდია	0.939
შვედეთი	0.937
სინგაპური	0.935
ნიდერლანდები	0.933
დანია	0.930
ფინეთი	0.925

დავალება: ისლანდია ერთ-ერთი მდგრადად განვითარებადი ქვეყანა

ეკონომიკური კრიზისები

როგორ ფიქრობთ, რას გულისხმობს ეკონომიკური კრიზისი? თუ დააკვირდებით ეკონომიკურ აქტივობებს, პერიოდულად შესაძლებელია, შენიშნოთ რყევები, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკის აღმავლობასთან ან ვარდნასთან. ეს მახასიათებლები ზოგჯერ მეორდება და ეკონომიკაში გარკვეულ ციკლებს ქმნის. ამ ციკლებში კი აკვირდებიან და სწავლობენ აქტივობებს, ფაქტორებს, თუ რა ახდენს გავლენას ეკონომიკური მაჩვენებლების ვარდნაზე ან აღმავლობაზე. აღნიშნულის კვალდაკვალ ეკონომისტები და პოლიტიკოსები ცდილობენ, ახსნან მსოფლიო კრიზისების გამომწვევი მიზეზები, რათა შექმნან და ჩამოაყალიბონ ეკონომიკის განვითარებისათ-

ვის ხელშემწყობი თეორიები. თუ უშუალოდ ეკონომიკურ კრიზისზე მოვახდენთ ფოკუსირებას, ეს შესაძლოა გამოიხატებოდეს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებით, წარმოების დაცემით, უმუშევარი ადამიანების პროცენტული წილის ზრდით და, საერთო ჯამში, მოსახლეობის ცხოვრების პირობებისა და დონის გაუარესებით.

ეკონომიკური კრიზისისას, ვლინდება ჭარბწარმოება და ნაკლებწარმოება. ჭარბწარმოებისას, კონკრეტულ ბაზარზე მიწოდება აჭარბებს მოთხოვნას, რაც ართულებს პროდუქციის რეალიზებას და იწვევს ამ უკანასკნელის მარაგის ზრდას, რაც, საბოლოოდ, გააკოტრებს სამრეწველო თუ სავაჭრო ფირმებს, რასაც მოჰყვება მთლიანი ფინანსური სისტემის მოშლა, უმუშევრობის ზრდა, ხელფასების შემცირება და სხვ. ნაკლებწარმოების შემთხვევაში, საპირისპირო სიტუაციასთან გვაქვს საქმე, როდესაც მოთხოვნა აჭარბებს მიწოდებას და ვერ კმაყოფილდება მომხმარებლის მოთხოვნები.

დიდი დეპრესიიდან 2008 წლის ეკონომიკურ კრიზისამდე - სიტუაციის ანალიზი: 1929 წელს ნიუ იორკის საფონდო ბაზარმა კრახი განიცადა, რითაც დაიწყო ყველაზე ღრმა და ხანგრძლივი ეკონომიკური კრიზისი.

უნდა ითქვას, რომ ამ კრიზისთან მიმართებით ექსპერტებს შორის დღესაც აზრთა სხვადასხვაობაა, თუ რა მიზეზებმა გამოიწვია დიდი დეპრესია. ნაწილი მათგანი თვლის, რომ საფონდო ბაზარზე აქციების ფასების ვარდნამ საზოგადოებაში შიში და გაურკვევლობა დანერგა, რამაც პირდაპირ იქონია მათ გადაწყვეტილებაზე გავლენა, მაგრამ ამით დიდი დეპრესია ვერ დაიწყებოდა. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი იყო არასწორად გატარებული მონეტარული პოლიტიკა (პოლიტიკა, როდესაც ცენტრალურ ბანკებს ეკონომიკაზე ზემოქმედების საშუალება აქვთ, მონეტარული რეჟიმების გათვალისწინებით: გაცვლითი კურსი, ინფლაცია, მონეტარული თავისუფლება), რასაც მოჰყვა ბანკების გაკოტრება, განსაკუთრებით, 1929-1933 წლებში. ბანკების ასეთმა მდგომარეობამ ხელი შეუშალა სესხების გაცემასა და ფულადი მასის ზრდას. ეკონომიკა შემცირდა 15%-ით, 1929-1933 წლებში უმუშევრობის დონის ზრდით, დეფლაციით (**დეფლაცია** — პროდუქტებისა და მომსახურების ფასების შემცირების გრძელვადიანი პროცესი. დეფლაცია ნიშნავს მოვლენას, როდესაც ინფლაციის წლიური პროცენტი ეცემა ნულს ქვემოთ), რომელმაც აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში 25%-ს გადააჭარბა. კრიზისის დაძლევისათვის, პირველი ნაბიჯები მონეტარული პოლიტიკის ცვლილებას უკავშირდებოდა, ნომინალური ფულის ზრდის ხარჯზე. 1933 წელს დასრულდა დეფლაცია და 1936 წლიდან ეკონომიკის მდგომარეობამ გაუმჯობესება დაიწყო, 1939 წელს კი დიდი დეპრესია ფაქტობრივად დასრულდა.

დოკუმენტური ფილმის ანალიზი:

ბმული

ნავთობი, ანუ „შავი ოქრო“, როგორც მას უწოდებენ, მსოფლიოს ეკონომიკური დღის წესრიგის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია. განსაკუთრებით საყურადღებოა სიტუაცია, რომ ნავთობის ფასის ზრდა ქვეყნების ეკონომიკებზე პირდაპირ ახდენს გავლენას. თავისთავად, მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისებს შორის ერთ-ერთი მაგალითია

ნავთობის კრიზისი, როდესაც 1973 წელს ნავთობზე ფასი 4-ჯერ გაიზარდა და იგივე განმეორდა 1979 წელს.

პირველ ეტაპზე ფასების ზრდა გამოიწვია პოლიტიკურ-იდეოლოგიურმა და ეთნიკურ-რელიგიურმა დაპირისპირებამ ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის, რაც ომში გადაიზარდა და არაბეთის ქვეყნებმა ემბარგო დააწესეს დასავლეთისათვის ნავთობის მიწოდებაზე. ემბარგო ეკონომიკური სანქციების ერთ–ერთი სახეობა და გულისხმობს კონკრეტული სახელმწიფოს მიმართ გატარებულ სადამსჯელო ღონისძიებას, რომლის მიხედვითაც იკრძალება გარკვეული ნაწარმით ვაჭრობა. ემბარგოს მიზანია, ქვეყანა დატოვოს ცალკეული პროდუქციისა და ნედლეულის გარეშე (ძირითადად, სტრატეგიული დანიშნულების საქონელი), რათა არ მისცეს საშუალება, აწარმოოს ის, რაც გარკვეულ საფრთხეს უქმნის ცალკეული ქვეყნების უშიშროებასა და ეკონომიკურ განვითარებას. ზოგჯერ ემბარგო მიზნად ისახავს, შეაცვლევინოს ქვეყანას ამა თუ იმ საკითხის მიმართ აღებული კურსი.

ასევე, მნიშვნელოვანი მიზეზი იყო აშშ-ს მიერ ნავთობის მოპოვების შემცირება და დოლარის გაუფასურება. ნავთობის ფასის ზრდას დიდი გავლენა ჰქონდა მსოფლიო ეკონომიკაზე, რადგან მთავრობებმა სცადეს, დანახარჯების გაზრდით დახმარებოდნენ ეკონომიკას, რათა თავი დაეღწიათ ვარდნისაგან, მაგრამ ნავთობზე გაზრდილმა ფასებმა შეაფერხა პროდუქციის მიწოდება და ამ ღონისძიებებმა არანაირი გავლენა არ იქონია ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. სავარაუდოდ, აქ დიდი ყურადღება უნდა დაეთმოთ წარმოების წახალისებისთვის, შეემსუბუქებინათ გადასახადები და რეგულაციები, რაც წაახალისებდა მწარმოებელს, გაზრდიდა მიწოდებას და შეარბილებდა ნავთობის ფასებით გამოწვეულ არასასურველ ეფექტებს.

რაც შეეხება 1979 წლის ნავთობის კრიზისს, ეს უკვე ირანის ისლამისტური რევოლუციით იყო განპირობებული, რის გამოც ისევ შემცირდა

ნავთობის მიწოდება და გაიზარდა მისი ფასი. საერთო ჯამში, შემცირებული ნავთობის მოპოვებისა და გაზრდილი ფასების საფუძველზე, 5%-ით შემცირდა მსოფლიოს ეკონომიკა. აღნიშნულს კი მოჰყვა მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება, ფასების კონტროლი და სახელმწიფოს ჩარევის შემცირება. ამის შედეგად, გადასახადებსა და ეკონომიკაში და ნავთობით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი დაიძლია.

ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე კრიზისია 2007-2008 წლებში არსებული ფინანსური კრიზისი, რომელიც წარმოიშვა აშშ-ში უძრავი ქონების ბაზრის კოლაფსის შედეგად, რამაც გამოიწვია რამდენიმე მსხვილი საინვესტიციო და კომერციული ბანკის, იპოთეკური კრედიტორების, სადაზღვევო კომპანიების, შემნახველი და სასესხო ასოციაციების წარუმატებლობა ან მარცხი და დაიწყო ეკონომიკური ვარდნა, ყველაზე მძიმე ეკონომიკური ვარდნა დიდი დეპრესიის შემდეგ. 2001 წლიდან აშშ-ში უძრავი ქონების სუბსტანდარტული იპოთეკური დაკრედიტება ჩავარდა, კერძოდ, ბანკებმა სამომხმარებლო კრედიტი უფრო დაბალი ძირითადი განაკვეთით გასცეს, მომხმარებლებმა ისარგებლეს იაფი კრედიტებით ისეთი საქონლის შესაძენად, როგორიცაა ტექნიკა, ავტომობილი, სახლები. ამას კი მოჰყვა სახლებზე ფასების სწრაფი ზრდა (რეალობისგან ძალიან გადაჭარბებული ფასებით). სანამ საცხოვრებელი სახლების ფასები კვლავ იზრდებოდა, მსესხებლებს შეეძლოთ, თავი დაეცვათ მაღალი იპოთეკური გადასახადებისაგან სესხის აღებით, მათი სახლების გაზრდილი ღირებულებით ან გაყიდვით (და მიღებული მოგებით იხდიდნენ იპოთეკას). ბანკებს შეეძლოთ ქონების ათვისება - გაეყიდათ თავდაპირველი სესხი ოდენობაზე უფრო მაღალ ფასად და ეს ბანკისთვის მომგებიანი იყო. ხშირად ბანკები სესხებს გასცემდნენ მცირე აქტივების მქონე კლიენტებზე და იცოდნენ, რომ ამ მსესხებლებს არ შეეძლოთ კრედიტის დაფარვა და რეალურად არ აჩვენებდნენ იმ რისკებს, რაც შეიძლება მოჰყოლოდა ამ საბანკო ვალდებულებებს. საერთო ჯამში, საცხოვრებელი სახლების სესხის წლიური პროცენტი 2.5%-იდან 15%-მდე გაიზარდა, 1990-იანი წლების ბოლოდან 2004-2007 წლებში. საბოლოოდ, იპოთეკური დაკრედიტების ჩავარდნა უარყოფითად აისახა სხვა ქვეყნებზეც, რასაც განვითარებულ ქვეყნებში უმუშევრობის დონის ზრდა მოჰყვა - 5%-დან 9%-მდე, მსოფლიოს ეკონომიკა 3,3%-ით შემცირდა, დაეცა აქციებისა და უძრავი ქონების ფასები. შენელდა ეკონომიკური ზრდის ტემპი, კრიზისიდან გამოსვლა კი 2010 წლიდან დაიწყო და ძირითადი მიდგომა კრიზისის დასაძლევად საბიუჯეტო დახმარების პროგრამები იყო.

ანიმაციის ანალიზი ბმული

არ შეიძლება, არ შევეხოთ COVID 19-სა და გლობალურ კრიზისს, რაც ახალ ვირუსს უკავშირდება. მისმა გლობალურმა გავრცელებამ, რომელიც ჩინეთიდან, კერძოდ, ქალაქ უჰანიდან დაიწყო და, საბოლოოდ, მსოფლიო პანდემიად იქცა, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა როგორც ზოგადად, მსოფლიო ეკონომიკას, ასევე, მოსახლეობის თითოეულ წევრს. განსაკუთრებით ქვეყნებში მშპ-ს ზრდის ტემპზე აისახა. მაგალითად, აშშ, სადაც მშპ 2018 წლამდე ზრდის ტემპით გამოირჩეოდა, 2020 წლისათვის მისი მაჩვენებელი -3,5%-ს გაუტოლდა. მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, პანდემიის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე შემდეგნაირად აისახა - 2019 წელს მსოფლიოს მშპ-ს ზრდის ტემპი 2,33 % იყო, 2020 წელს უკვე უარყოფით მაჩვენებელზე დავიდა - 3,6 %. პანდემიამ გავლენა იქონია უმუშევრობის დონის მატებაზეც მსოფლიოს მასშტაბით, თუ 2018 წელს მისი მაჩვენებელი 5,4% იყო, 2020 წელს 6.5 %- მიაღწია (მსოფლიო ბანკის მონაცემები).

მოქალაქეობა

III თემა

მართვა და ლიდერობა

შესავალი

თავი 1. პოლიტიკა

- ზრუნვა
- ლეგიტიმაცია
- ლიდერობა
- "სოციალური წესრიგი"
- პრაქტიკული / პროექტული დავალება

თავი 2. პოლიტიკური კულტურა

- რა არის პოლიტიკური კულტურა
- პოლიტიკური კულტურის ტიპები
- პოლიტიკური კულტურის სტრუქტურა
- პრაქტიკული/პროექტული დავალება

თავი 3. პოლიტიკა და პოლიტიკური კულტურა - ჩვენი ცხოვრების ნაწილი

- შესავალი
- საჯარო სივრცეები
- **დანართი**. საჯარო სივრცეები ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე
- სოციალური ფენების რეპრეზენტაცია
- მრავალფეროვნების მართვის მოდელები
- **დანართი.** მრავალფეროვნების მართვა და სოციალური რეპრეზენტაცია ისტორიის სხვა-დასხვა ეტაპზე
- პოლიტიკური ცენტრები, პოლიტიკური ელიტები და პოლიტიკური კონფლიქტები
- **დანართი.** პოლიტიკური ელიტები, პოლიტიკური ცენტრები და პოლიტიკური კონფლიქტები ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე:
- ძალაუფლების სიმბოლოები და ძალაუფლების ბერკეტები
- **დანართი**. ძალაუფლების სიმბოლოები და ბერკეტები (ისტორიული მიმოხილვა)
- დასკვნა

შესავალი

ჩვენ ყოველდღიურად ვსაუბრობთ ჩვენ გარშემო მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებსა და პროცესებზე. აღვწერთ, ვხსნით და ვაფასებთ მათ. ვმსჯელობთ:

– რატომ და როგორ ხორციელდება ცვლილებები;

– ვინ და რამდენად ეფექტურად მართავს პროცესებს;

– რა მიზეზები იწვევს სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებს/კრიზისებს;

– მხარს ვუჭერთ ან ვაკრიტიკებთ პოლიტიკური ლიდერების ქმედებებს; განვიხილავთ, რა ახდენს ზეგავლენას მათ გადაწყვეტილებებზე;

– რა არის სასარგებლო და საზიანო ჩვენთვის და ჩვენი საზოგადოებისთვის;

– როგორ შეგვიძლია საკუთარი წვლილი შევიტანოთ მოვლენების განვითარებაში.

თუმცა ერთია ემოციური და ზედაპირული საუბარი და მეორე - მოვლენების/ პროცესების საფუძვლიანი ანალიზი. რატომ ხდება, რომ: ზოგჯერ მსჯელობა დამაჯერებელი და საინტერესო გამოგვდის, ზოგჯერ კი თავად გვიჩნდება უკმარისობის განცდა, საკუთარ ნააზრევთან მიმართებით; ზოგჯერ თანამოსაუბრეების არგუმენტები დამაჯერებლად გვეჩვენება, ზოგჯერ კი მათ ყურადღებასაც არ ვაქცევთ; ზოგჯერ ჟურნალისტებს, საზოგადო მოღვაწეებსა და პოლიტიკოსებს ვეთანხმებით, ზოგჯერ კი მათ განცხადებებს შეურაცხყოფადაც კი ვიღებთ.

დავალება.

გაიხსენეთ, ბოლოს როდის და რა გაიგეთ რომელიმე ომის, დიპლომატიური მოლაპარაკების, საარჩევნო კამპანიის, საზოგადოებრივი მოძრაობის, საპროტესტო გამოსვლების შესახებ. ეს ინფორმაცია განათავსეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

საზოგადოებრივი მოვლენა-პროცესი	**პასუხი**
ბრძოლა, ომი	
დიპლომატიური მოლაპარაკება, ხელშეკრულება	
არჩევნები, საარჩევნო კამპანია	
საზოგადოებრივი მოძრაობა	
საპროტესტო აქცია	

აღწერეთ ერთ-ერთი მათგანი; ახსენით, რა მიზეზებმა განაპირობა მისი ამა თუ იმ მიმართულებით განვითარება; შეაფასეთ მისი მნიშვნელობა. შეაფასეთ საკუთარი თავი - რამდენად საინტერესო და სიღრმისეული გამოდგა თქვენი მსჯელობა?

დავალება.

გაიხსენეთ რომელიმე პოლიტიკოსის, ან საზოგადო მოღვაწის საჯარო გამოსვლა, რომელიც განსაკუთრებით მოგეწონათ, ან არ მოგეწონათ. ახსენით - რატომ დაიმსახურა გამომსვლელმა თქვენი კეთილგანწყობა/არაკეთილგანწყობა. თქვენი არგუმენტები დააჯგუფეთ ორ ნაწილად:

1. ემოციები - რამ აღძრა თქვენში დადებითი ან უარყოფითი ემოციები;

2. შინაარსი - რა იყო დამაჯერებელი ან არადამაჯერებელი, შინაარსობრივი თვალსაზრისით.

ემოციები	შინაარსი

რა სძენს ამ ტიპის საკითხებზე მსჯელობას დამაჯერებლობას? ცხადია, სიტყვა„დამაჯერებელი" და„არადამაჯერებელი" ძალიან სუბიექტურია. სხვადასხვა ადამიანზე სხვადასხვა ტიპის არგუმენტები ზემოქმედებს. ჯერ კიდევ ძვ.წ. IV საუკუნეში არისტოტელე გამოკვეთდა სამ ელემენტს, რომელიც მსჯელობას დამაჯერებლობას სძენს. ეს ელემენტებია: (1) **ეთოსი** - ვინ/რამდენად სანდო ადამიანი საუბრობს; (2) **პათოსი** - რამდენად ემოციურად საუბრობს ადამიანი; (3) **ლოგოსი** - რამდენად დამაჯერებელია მისი არგუმენტები. ქვემოთ განვიხილავთ ცნებებს, რომლებით ოპერირებაც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებსა და პროცესებზე ჩვენს მსჯელობას/ჩვენს არგუმენტებს შინაარსობრივად წონადს გახდის. დაგვეხმარება ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში; თანამედროვეობისთვის აქტუალურ პრობლემებსა და გამოწვევებზე საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბებაში.

დავალება.

თქვენი სიტყვებით განმარტეთ, რას შეიძლება ნიშნავდეს „ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება". იმსჯელეთ, რამდენად უკავშირდება ის არგუმენტირებულ მსჯელობას.

კიდევ სცადეთ

არისტოტელე - ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე ძვ.წ. IV საუკუნეში მოღვაწეობდა. ის იყო პირველი ავტორი, რომელმაც მოახდინა სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების კლასიფიცირება; შემოგვთავაზა განზოგადებული მსჯელობა მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. მაგალითად, საკუთარი თხზულების „პოლიტიკის“ მეხუთე წიგნში არისტოტელე მსჯელობს აჯანყებებისა და სახელმწიფო გადატრიალებების შესახებ. ამბობს, რომ სახელმწიფო გადატრიალებები ორი სახისაა:

1. რომელიც ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ისახავს მიზნად;

2. რომელიც სახელმწიფო წყობის შეცვლას ისახავს მიზნად.

მსჯელობს, რა ტიპის მიზეზები შეიძლება გახდეს მათი განმაპირობებელი ტირანიის, ოლიგარქიისა და დემოკრატიის პირობებში.

არისტოტელეს ნაშრომები კარგი გზამკვლევი იყო ანტიკური ხანის მმართველებისთვის / პოლიტიკური ლიდერებისთვის. მისი მოსწავლე იყო ალექსანდრე მაკედონელი, რომელმაც ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი იმპერია შექმნა.

თავი 1. პოლიტიკა

ზრუნვა

გასულ წლებში თქვენ უკვე შეისწავლეთ საგნები„მე და საზოგადოება“, „ჩვენი საქართველო“ და „მოქალაქეობა“. მათი შესწავლის პროცესში ახორციელებდით პროექტულ დავალებებს, რომლებიც წარმოაჩენდა, თუ როგორ ვზრუნავთ :

- საკუთარ ჯანმრთელობაზე;
- საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების გამოკვეთასა და პროფორიენტაციაზე;
- ჩვენთვის ახლობელ და საყვარელ ადამიანებზე;
- საზოგადოებრივ ჯგუფებზე (ოჯახზე, სკოლაზე, სამეზობლო თემზე), რომლის წევრადაც საკუთარ თავს მოვიაზრებთ;
- საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრაზე.

მეორე მხრივ, ამავე საგნების ფარგლებში სწავლობდით, როგორ ზრუნავს სახელმწიფო / სახელმწიფო ინსტიტუტები მთელი რიგი საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე იმაზე უკეთ, ვიდრე ამას დამოუკიდებლად შევძლებდით. მაგალითად:

- როგორ ზრუნავს პოლიცია უსაფრთხოების დაცვაზე;
- სახანძრო სამსახური - საგანგებო სიტუაციებზე;
- სკოლა - მოსწავლეების განათლებაზე.

დავალება.

გაიხსენეთ, რა პროექტები / აქტივობები განგიხორციელებიათ სკოლაში „ზრუნვის“ იდეის წარმოსაჩენად.

საკლასო აქტივობა:

ნაბიჯი 1. დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში ჩამოთვალეთ თქვენთვის ცნობილი სახელმწიფო ინსტიტუტები;

ნაბიჯი 2. გააერთიანეთ თქვენი ნამუშევრები - შექმენით სახელმწიფო ინსტიტუტების ერთიანი სია;

ნაბიჯი 3. სიის საფუძველზე შექმენით გრაფიკული გამოსახულება, რომელიც სახელმწიფო სტრუქტურების ურთიერთმიმართებას წარმოაჩენს. გრაფიკული გამოსახულება გაამდიდრეთ მინაწერებითა და ილუსტრაციებით.

გიფიქრიათ თუ არა, რომ სიტყვებს „ზრუნვა“ და „პოლიტიკა“ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი აქვთ. პოლიტიკა სხვა არაფერია, თუ არა რაიმე იდეის რეალიზებაზე ზრუნვა, მაგალითად:

- თუკი არსებობს ხარისხიანი განათლების იდეა, პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტები იზრუნებენ მის რეალიზებაზე, ანუ **განათლების პოლიტიკის განხორციელებაზე;**
- თუკი არსებობს კეთილდღეობის ეკონომიკის შეთანხმებული იდეა / მოდელი, მაშინ სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლები იზრუნებენ მის რეალიზებაზე, ანუ **ეკონომიკური პოლიტიკის** განხორციელებაზე;
- თუკი არსებობს ხედვა სოციალური თანასწორობის მისაღწევად, შესაბამისად ჩამოყალიბდება მზრუნველი ელიტებიც, რომლებიც მის რეალიზებაზე იზრუნებენ, ანუ **სოციალურ პოლიტიკას** განახორციელებენ.

სახელმწიფო და მისი ინსტიტუტები წარმოადგენენ ფორმალიზებულ ბერკეტებს პოლიტიკის აღსასრულებლად.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ეტაპზე სიტყვა პოლიტიკა აღარ მიემართება მხოლოდ ოფიციალურ სახელმწიფო სტრუქტურებს. თითოეული ჩვენგანი, მოხალისის, ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრის სტატუსით, შეიძლება ჩართული იყოს სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზებაში, ან სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად ახორციელებდეს პოლიტიკას - ანუ ადვოკატირებას უწევდეს გარკვეულ იდეას.

ეს საინტერესოა!

XIX საუკუნეში საქართველოში ფუნქციონირებდა საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. როგორც ორგანიზაციის სახელი მიგვანიშნებს, მისთვის ზრუნვის საგანს წიგნიერების დონის ამაღლება წარმოადგენდა. ამ პერიოდში საქართველო რუსეთის გუბერნია იყო. რუსეთის იმპერია არ იყო დაინტერესებული ქართული ენის პოპულარიზაციით, ამიტომ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი ორგანიზაციის სახე ჰქონდა. თერგდალეულები წარმოადგენდნენ ელიტას, რომელიც ორგანიზაციის გამართულ მუშაობაზე ზრუნავდა.

დავალება.

იმსჯელეთ, რამდენად მიზანშეწონილია, თუ ვიტყვით, რომ - თერგდალეულები, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მეშვეობით, განათლების პოლიტიკას ახორციელებდნენ.

ეს საინტერესოა!

საინტერესოა, რომ ის, რაც ხშირად პოლიტიკად არის სახელდებული, სულაც არ არის პოლიტიკა. სიტყვები „პოპულიზმი“ და „დემაგოგია“ გამოხატავს იმ პოლიტიკოსთა საქმიანობას, რომლებიც საკუთარი ძალაუფლების შესანარჩუნებლად / განსამტკიცებლად მიმართავენ პოპულისტურ ლოზუნგებს, რომელთა რეალიზების რეალური შესაძლებლობაც ნაკლებად აქვთ.

დავალება.

გაეცანით პოლიტოლოგ ლევან ლორთქიფანიძის სიტყვებს. იმსჯელეთ, რა ნიშნით განასხვავებს ავტორი ერთმანეთისგან ტერმინებს „პოლიტიკა“ და „პოლიტიკური ფარისევლობა“; რამდენად შეგვიძლია, ეს ტერმინი სიტყვა „პოპულიზმის“ სინონიმად აღვიქვათ.

„რაც შეეხება „ოჯახის სიწმინდის“ საკითხს. არა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსში, არამედ კონსტიტუციაში გვიწერია, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის კავშირი. კონსტიტუციის ცვლილებისთვის კი „ორმაგი ვოტუმის“, ორი მოწვევის პარლამენტის 2/3-ის მხარდაჭერა, ინსტრუმენტიცაა გათვალისწინებული.

დღეს ვინმეს მართლა თუ სურს „ოჯახის სიწმინდის“ დაცვა, ოჯახების სოციალურ უზრუნველყოფაზე უნდა საუბრობდეს. „სიწმინდის მცველებს“ უნდა აწუხებდეთ კითხვები: როგორ დავეხმარებით ახლადშექმნილ ოჯახებს ბინის შესყიდვაში? ბავშვის აღზრდაში? როგორი საბავშვო ბაღები იარსებებს ოჯახების გასაძლიერებლად? მოუწევთ თუ არა მშობლებს, თავიანთი შვილებისათვის არითმეტიკისა და წერა-კითხვის შესწავლის მიზნით, რეპეტიტორების დაქირავება, თუ საჯარო სკოლა უზრუნველყოფს ელემენტარულ ცოდნას? და ა.შ.

სამწუხაროდ, დღეს „ოჯახის მცველებს“ ოჯახების სოციალური მხარდაჭერის ინიციატივები არ აინტერესებთ, რაც მაფიქრებინებს, რომ საქმე პოლიტიკურ ფარისევლობასთან გვაქვს“.

ინტერნეტპლიუსი, 9/05.203

– ლეგიტიმაცია

სიტყვა „ლეგიტიმაცია“ გულისხმობს „რაიმე ქმედების ან ფაქტის სამართლიანობისა და კანონიერების აღიარებას“. საქართველოს კანონმდებლობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ *„საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა საქართველოს ხალხი, ხელისუფლება ხორციელდება ხალხისათვის და ხალხის მიერ“*

ბმული

ეს იმას ნიშნავს, რომ მთავრობების, პოლიტიკოსების, პოლიტიკური ელიტების საქმიანობა ვერ ჩაითვლება ლეგიტიმურად, თუკი საზოგადოების მხრიდან არ იქნება აღიარება, რომ მათი საქმიანობა საზოგადო სიკეთეს ემსახურება. ამ ტიპის „აღიარების“ გარეშე, ვერც ერთი ხელისუფლება / პოლიტიკური ელიტა ვერ შეძლებს დიდხანს ძალაუფლების შენარჩუნებას.

საინტერესოა, რომ ქართული ენაში სიტყვა „ძალაუფლება“ ორ ცნებას „ძალას“ და „უფლებას“ აერთიანებს. თავისი ეტიმოლოგიით სიტყვა თითქოს თავად გვეუბნება, რომ გარდა „ძალისა“, მმართველს უნდა ჰქონდეს ამ ძალის გამოყენების ლეგიტიმური „უფლება“.

მიშელ ფუკო XX საუკუნის ცნობილი ფსიქოლოგი და ისტორიკოსია, რომელმაც ძალაუფლების ფენომენი შეისწავლა. ის, ძალა-

უფლებაზე საუბრისას, მის ორ ბუნებას გამოყოფს - რეპრესიულსა და ნორმების დამწესებელს (Normalizing Power). მისი აზრით, ხელისუფლების შესანარჩუნებლად საკმარისი არ არის შიშველი ძალა, საჭიროა, ასევე, იდეები, რომელიც ამ ძალაუფლების ლეგიტიმაციას მოახდენს.



მიშელ ფუკო

– ლიდერობა

ლეგიტიმაციაზე საუბრისას, ყურადღება იმსახურებს ლიდერის / ლიდერობის ცნება. ყოველდღიურ საუბრებში სიტყვები „ლიდერი“, „ხელმძღვანელი“, „უფროსი“, „მმართველი“ ხშირად პრაქტიკულად სინონიმური მნიშვნელობით იხმარება, თუმცა, სიტყვა „ლიდერი“ ბევრად უფრო ღრმა შინაარსს ატარებს. ამ შინაარსის გამოსაკვეთად, მნიშვნელოვანია, ერთმანეთს შევადაროთ სიტყვები „ლიდერი“ და „ბელადი“. რა არის საერთო და განმასხვავებელი მათ შორის?

დავალება.

შექმენით ვენის დიაგრამა. დიაგრამის საშუალებით, წარმოაჩინეთ მიმართება ცნებებს: „ბელადი“ და „ლიდერი“ შორის.

მსგავსება მათ შორის თვალშისაცემია. ორივე ეს სიტყვა სხვადასხვა ჯგუფის / პროცესის მართვასთან ასოცირდება. რაც შეეხება განსხვავებას - განსხვავებას ქმნის იმის ანალიზი, თუ საიდან აქვს მმართველს მმართველობის ლეგიტიმური უფლება.

ყოველდღიურ ცხოვრებაში ძალიან ხშირად ვხვდებით დილემებს იმასთან დაკავშირებით, თუ ვის შეიძლება ვუწოდოთ ლიდერი და ვის არა. მაგალითად, წარმოვიდგინოთ საბრძოლო ქმედებები. ვის შეიძლება უწოდონ ბრძოლის ველზე ჯარისკაცებმა ლიდერი? ვის შეიძლება მიანდონ ოპერატიულ ვითარებაში ბრძოლის ველზე სიტუაციის მართვა? უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, იმას, ვინც კარგად ხედავს ბრძოლის ველს; აქვს სხვაზე მაღალი საბრძოლო სულისკვეთება; იჩენს კრეატიულობას კონკრეტული საბრძოლო ამოცანების გადასაჭრელად.

ადვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ ვითარება, როცა ოფიციალურად ოფიცრის (ან უფრო მაღალი) ჩინის მატარებელი არის პიროვნება, რომელიც გამოირჩევა კრეატიულობითაც, გამოცდილებითაც და საბრძოლო სულისკვეთებითაც. ასეთ დროს ის ჯარისკაცებს უდავოდ აღიარებული ჰყავთ ლიდერად. თუმცა, ასევე, იოლად შეიძლება წარმოვიდგინოთ ვითარება, როცა ოფიციალურად პროცესების ხელმძღვანელად მოაზრებული პიროვნება არ არის საკმარისი გამოცდილების მქონე ადამიანი და ვერ იმსახურებს ჯარისკაცების ნდობა-პატივისცემას. ასეთი ოფიცერი ჯარისკაცებს ფორმალურ ხელმძღვანელობას კი გაუწევს (იმის გამო, რომ ამ პოზიციაზე შტაბის ხელმძღვანელობის მიერ არის დანიშნული), მაგრამ ვერ იქნება ლიდერად აღიარებული ჯარისკაცთა მხრიდან. ორი აზრი არ არის, რომ უფრო ბრძოლისუნარიანი ის სამხედრო შენაერთი იქნება, რომლის პირად შემადგენლობასაც ლიდერი ხელმძღვანელობს.

სამხედრო ოპერაციები

დავალება.

მოიფიქრეთ ზემოთ განხილული სიტუაციის ანალოგია. მაგალითად, გაიხსენეთ რომელიმე მოთხრობა ან მხატვრული ფილმი, რომელიც ლიდერობის პრობლემას ზემოაღწერილ კონტექსტში წარმოაჩენს.

მაშასადამე, გამოდის, რომ, პოლიტიკაზე საუბრისას, „იდეის რეალიზებაზე ზრუნვა“ ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ცნებაა, ვიდრე ძალაუფლების ბერკეტები (ფინანსები, ფორმალური ინსტიტუტები), რომლებსაც პოლიტიკოსები იყენებენ. თუმცა, ამის გაცნობიერებამ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. „ზრუნვა“ არც ისე უპირობოდ დადებითი სიტყვაა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს.

ზრუნვის პროცესს, როგორც წესი, მოსდევს შესაბამისი „სოციალური წესრიგის დამყარება“ იმ ადამიანების მხრიდან, რომლებიც საზოგადოებისთვის სასიკეთო პოლიტიკას ახორციელებენ. რეალურ ცხოვრებაში ძალიან ხშირად ჩნდება შეკითხვა:

- *წესრიგი/რეგულაციები, რომელსაც პოლიტიკოსები გვიწესებენ, კეთილშობილურ იდეაზე მეტად იმ ელიტების მერკანტილურ ინტერესს ხომ არ ემსახურება, რომლებიც პოლიტიკას წარმართავენ/ამ იდეას ახორციელებენ?*

თუკი განვაზოგადებთ, ვნახავთ, რომ ეს შეკითხვა ყველა აჯანყების, რევოლუციისა და სოციალური მღელვარების საფუძველს ქმნის.

დავალება.

ისტორიის კურსიდან გაიხსენეთ რომელიმე რევოლუცია და საზოგადოებრივი მღელვარება. იმსჯელეთ, რა ტიპის „სოციალურ წესრიგს“ აპროტესტებდნენ აჯანყებულები.

– სოციალური წესრიგი

„სოციალური წესრიგის“ ცნება გულისხმობს არამხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრულ წესების დაცვას, არამედ საზოგადოების წევრების მხრიდან აღიარებული მორალური პასუხისმგებლობებისა და „დაუწერელი წესების“ პატივისცემასაც.

სიტყვა წესრიგის მნიშვნელობას ყველაზე უკეთ გამოხატავს მისი ანტონიმები „ქაოსი“, „ანარქია“, „არამართვადობა“. თითოეული მათგანი ნეგატიური ბუნების შეფასებითი

ტერმინებია იმ ადამიანების / ინტერესთა ჯგუფების ლექსიკონიდან, რომლებიც ცხოვრების ამა თუ იმ სფეროს რეგულირებას ცდილობენ.

თქვენ სწავლობთ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც ზრუნავს თქვენს განათლებაზე. გარკვეულ ქმედებებს კანონმდებლობა გიკრძალავთ, მაგალითად, მოგიწევთ დატოვოთ სასწავლებელი თუკი წლის განმავლობაში თქვენს მიერ გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა გადააჭარბებს კანონით დადგენილ ნორმას (ჩატარებული გაკვეთილების საერთო რაოდენობის 30%-ს). თუმცა, გარდა კანონით განსაზღვრული ვალდებულებებისა, თქვენს სასწავლებელში არსებობს მორალური პასუხისმგებლობები და დაუწერელი წესები. ეს წესები კანონმდებლობაში არ არის ასახული, მაგრამ მაინც ახდენს ზეგავლენას თქვენს ქცევაზე. მაგალითად, დაუწერელი წესია ის, რომ „თქვენობით“ მიმართავთ მასწავლებლებს, ითვალისწინებთ მათ მითითებებს.

„სოციალური წესრიგის“ იდეის გააზრებაში დაგვეხმარება ქვემოთ მოცემული კონტექსტ-მაგალითი - „დალაგებული და დაულაგებელი სახლი“

დავალება.

აღწერეთ უფრო დეტალურად თქვენს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული სოციალური წესრიგი. იმსჯელეთ, რა მიზეზებმა განაპირობა მისი ჩამოყალიბება.

პროექტული / პრაქტიკული დავალება

„თუკი მიზნად სახლის დალაგება გვაქვს განზრახული, ჩვენს გონებაში „დალაგებული სახლის იდეა“ აუცილებლად დაუპირისპირდება „დაულაგებელი სახლის“ იდეას; შეიძლება ასევე გაჩნდეს „დალაგებული“, მაგრამ „ალტერნატიული ლოგიკით დალაგებული სახლის“ შესახებ ხედვაც, რომელსაც დაულაგებელს ვერ ვუწოდებთ, მაგრამ ჩვენთვის მაინც მიუღებელია. გაჩნდება, ასევე, ხედვა იმასთან დაკავშირებით, თუ რას გულისხმობს / რა ტიპის ვალდებულებებთან ასოცირდება დალაგების პროცესი.

ასეთი ხედვების ერთობლიობა აყალიბებს „წესრიგის“ მოდელს, რომელიც აუცილებლად გამოკვეთს უმრავლესობებს და უმცირესობებს, ანუ ადამიანებს, რომლებიც კარგად, მეტ-ნაკლებად კარგად, ან ცუდად ეწერებიან „სოციალურ წესრიგში“. ზოგი მეტად იღებს დალაგების პროცესში მონაწილეობას - ზოგი ნაკლებად, ზოგი მეტად უფრთხილდება სისუფთავეს, ზოგი „უდისციპლინოს“ სტატუსს „იმსახურებს“, ზოგი - ლიდერულ თვისებებს ავლენს და სახლის დალაგების პროცესს უდგება სათავეში. „დალაგებული სახლის მოდელს“ სწორედ ეს ადამიანები აწესებენ.

გაეცანით კონტექსტმაგალითს „დალაგებული და დაულაგებელი სახლი“. კონტექსტმაგალითში აღწერილ ვითარებაზე დაფუძნებით, მოიფიქრეთ მოკლე ისტორია ერთ ბინაში მცხოვრებ ადამიანებთან დაკავშირებით. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ პერსონაჟების სახის გამოკვეთას:

- **პერსონაჟი 1.** ის, ვინც სახლის დალაგების პროცესს დიდ დროს უთმობს;
- **პერსონაჟი 2.** ის, ვისაც სახლის დალაგება ეზარება;
- **პერსონაჟი 3.** ის, ვინც სახლის დალაგებასთან ასოცირებულ მორალურ ვალდებულებებს გაგებით ეკიდება;
- **პერსონაჟი 4.** ის, ვინც მიიჩნევს, რომ სახლის დალაგებაზე ლაპარაკს ზედმეტად დიდი ყურადღება ეთმობა.

ნაშრომში / ნაშრომის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ:

რა ტიპის მორალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ თქვენ მიერ მოგონილი მოთხრობის პერსონაჟებს? ***(სამიზნე ცნება - „საზოგადოება“)***

რა ტიპის ბერკეტები არსებობს „სოციალური წესრიგის“ უზრუნველსაყოფად; „დალაგებული სახლის პოლიტიკის“ გასატარებლად. ***(სამიზნე ცნება - „ძალაუფლება“)***

სოციალური წესრიგის უკეთ გასაგებად საჭიროა უფრო ახლოს გავეცნოთ ცნებას - „პოლიტიკური კულტურა“.

თავი 2. პოლიტიკური კულტურა

რა არის პოლიტიკური კულტურა

„პოლიტიკური კულტურა“ გულისხმობს საზოგადოებაში დამკვიდრებულ ხედვასა და ტრადიციას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა / შეიძლება წარიმართოს პოლიტიკის რეალიზების პროცესი. ეს ხედვა და ტრადიცია ეფუძნება პოლიტიკურ ნორმებს, ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს, რომლებიც ადამიანების მოქმედებას განსაზღვრავს. მაგალითად, *ზოგიერთ ქვეყანაში პოლიტიკურ ლიდერებს ნდობის დიდი მანდატი აქვთ, ზოგან კი - ნაკლები; ზოგიერთ ქვეყანაში გამოხატვის უფრო ხმაურიანი ფორმებია მიღებული, ზოგან კი ხმაური არ მიიჩნევა კარგ ტონად.*

სხვადასხვა ქვეყანაში /ისტორიულ პერიოდში შესაძლებელია ძალიან მსგავსი იყოს საზოგადოებრივი პროტესტის საფუძველი, მაგრამ პოლიტიკური კულტურა მოვლენების განსხვავებულ რეჟიმში წარმართვას განაპირობებს. საილუსტრაციოდ, ერთმანეთს ხშირად ადარებენ **„ბოსტონის ჩაის სმას“** და **„მაჰათმა განდის არაწინააღმდეგობრივ მოძრაობას“**. ორივე მათგანი ინგლისელების კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ იყო მიმართული. ორივე შემთხვევაში პოლიტიკური ლიდერები კარგად ხვდებოდნენ, რომ ინგლისის იმპერიის სუსტი წერტილი იყო სავაჭრო მონოპოლიები და სწორედ ამ მიმართულებით ახორციელებდნენ შეტევას *(ამერიკელებიც და ინდოელებიც პროტესტის ნიშნად უარს ამბობდნენ ინგლისური პროდუქტის შეძენაზე).* მიუხედავად ამისა, გამოხატვის ფორმები და მოქმედების სტრატეგია ორივე ქვეყანაში რადიკალურად განსხვავებული გამოდგა *(ბოსტონში 1773 წელს ინდოელებად გადაცმული ბოსტონელები ვესტ-ინდოეთის კომპანიის ნავებში შეიპარნენ და ჩაი ზღვაში გადაყარეს; მაჰათმა განდიმ კი არაძალადობრივი პროტესტის პრინციპები ჩამოაყალიბა, რომლებიც ძალიან კარგად გაითავისა ინდოეთის ინდუისტურ ტრადიციებზე აღზრდილმა მოსახლეობამ).*

ბოსტონის ჩაის სმა

მაჰათმა განდის წინააღმდეგობის მოძრაობა

დავალება.

ისტორიის კურსიდან გაიხსენეთ, რა იცით „ბოსტონის ჩაის სმისა“ და „მაჰათმა განდის არაძალადობრივი პროტესტის“ შესახებ.

პოლიტიკური კულტურის იდეის გასააზრებლად საუკეთესო გზა არის სხვადასხვა ტიპის პოლიტიკური კულტურის გამოკვეთა და მათი ერთმანეთთან შედარება.

ფრანგი სოციოლოგი ემილ დიურკჰაიმი წერდა - *„შედარება ერთ-ერთი მეთოდი კი არა, არამედ თავად სოციოლოგიაა“. ფრანგი ისტორიკოსი ფერნან ბროდელი აღნიშნავს - „იცხოვრებს ფრანგი ორ წელიწადს ინგლისში და ბევრს ვერაფერს გაიგებს ინგლისზე, სამაგიეროდ, ამ პერიოდში, ძალიან ბევრს გაიგებს საფრანგეთზე“.*



ემილ დიურკჰაიმი

იმსჯელეთ, რაზე მიანიშნებს ემილ დიურკჰაიმისა და ფერნან ბროდელის სიტყვები. **რატომ**

მიაჩნიათ მათ მსგავსი საზოგადოებრივი/სოციალური მოვლენების ერთმანეთთან შედარება სასარგებლოდ?

გაიხსენეთ, სად გიმოგზაურიათ. მოგზაურობის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების საფუძველზე შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალება - *შეარჩიეთ და ერთმანეთს შეადარეთ რომელიმე სოციალური ფაქტი, მოვლენა, პროცესი, რომელსაც საქართველოშიც და უცხოეთშიც შეხვედრიხართ (შესაძლოა, შედარებისთვის შეარჩიოთ ძალიან ყოფითი, ცხოვრებისეული საკითხი, მაგალითად, გარემოს მოვლა-პატრონობა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობა და სხვ. ასევე, შეეცადეთ, გამოკვეთოთ ელემენტები, რომლებიც ამ ორი ქვეყნის პოლიტიკურ კულტურას განასხვავებს).*

	საქართველო	საზღვარგარეთის რომელიმე ქვეყანა
კრიტერიუმი 1		
კრიტერიუმი 2		
კრიტერიუმი 3		
კრიტერიუმი 4		
კრიტერიუმი 5		

კიდევ სცადეთ

– პოლიტიკური კულტურის ტიპები

მკვლევართა უმრავლესობა პოლიტიკური კულტურის სამ ტიპს გამოყოფს:

1. პატრიარქალური კულტურა;

2. მორჩილების კულტურა;

3. მონაწილეობის კულტურა.

ქვემოთ მოცემული ცხრილი მათ შორის არსებულ განსხვავებებს წარმოაჩენს:

პატრიარქალური კულტურა	მორჩილების კულტურა	მონაწილეობის კულტურა
საზოგადოებას არ აქვს ინტერესი პოლიტიკის მიმართ	ხალხს პოლიტიკა აინტერესებს - რაღაც მაინც იციან მასთან დაკავშირებით	ხალხი არათუ ინტერესდება პოლიტიკით, არამედ ქვეყნის „აქციონერადაც“ კი გრძნობს თავს.
საზოგადოება ადგილობრივ ლოკალურ ლიდერებზე კონცენტრირდება (უფრო ფართო სურათი არ აინტერესებს)	ხალხმა იცის პოლიტიკური ლიდერებისა და ფორმალური სტრუქტურების შესახებ	ხალხი აქტიურად მონაწილეობს პოლიტიკურ ცხოვრებაში
ხალხის თვალში ხელისუფლება არ არის ლეგიტიმური	ხალხი აღიარებს არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას; ხელისუფლებას ცნობს ლეგიტიმურად	ხალხი აქტიურად ცდილობს ხელისუფლებაზე ზემოქმედებას
ხალხს აქვს მწირი ცოდნა სოციალურ სივრცეებთან დაკავშირებით	სოციალური სივრცეები ასრულებს „სოციალიზაციის აგენტის“ როლს	საჭიროებებიდან გამომდინარე, ხალხი თავად ქმნის ახალ სოციალურ სივრცეებს

პოლიტიკური კულტურის თითოეული ტიპი უამრავ ვარიაციას მოიცავს. ამ მრავალფეროვნების გააზრებაში დაგვეხმარება **სამოქალაქო მონაწილეობის კიბე :**



კიბე წარმოაჩენს მონაწილეობის პროცესის ფორმასა და შინაარსს. გამოკვეთს სამ საფეხურს (და მათთან დაკავშირებულ ტიპურ ოპერაციებს - მანიპულირება, კონსულტირება, ძალაუფლების დელეგირება და სხვ.):

1. არამონაწილეობა;

2. სიმბოლური მონაწილეობა;

3. მოქალაქეთა მონაწილეობა.

„მონაწილეობის კიბის“ თითოეული საფეხური თითქოს ერთმნიშვნელოვნად სამოქალაქო მონაწილეობის იდეას განასახიერებს, თუმცა საფეხურებზე დაკვირვება გვაჩვენებს, თუ რამხელა განსხვავება არსებობს ფორმალურად დაანონსებულ და რეალიზებულ იდეას შორის; რამდენად ადვილია შეცდომის დაშვება მოვლენებს შორის მხოლოდ გარეგან მსგავსებებზე ორიენტირებისას.

სხვადასხვა ქვეყნის კულტურებს შორის არსობრივი განსხვავებების წარმოჩენაში დაგვეხმარება პოლიტიკური კულტურის სტრუქტურაზე (შემადგენელ ნაწილებზე) მსჯელობა.

– პოლიტიკური კულტურის სტრუქტურა

რა ნიშნით განსხვავდება ერთმანეთისგან სხვადასხვა ქვეყნის/ეპოქის პოლიტიკური კულტურა? ქვემოთ ჩამოთლილია შეკითხვები, რომლებზე პასუხიც ამ განსხვავებების წარმოჩენაში დაგეხმარებათ:

- ვინ არიან ელიტები, რომლებიც პოლიტიკურ პროცესებს წარმართავენ? რა საზოგადოებრივ დაკვეთას ასრულებენ ისინი?
- როგორ ხდება პოლიტიკური ელიტების გამოკვეთა? როგორ ხდება მათ რიგებში თაობათა ცვლა? ძალაუფლების გადაცემა?
- რა ითვლება პრივატულად და რა საჯაროდ; რა მოიაზრება საჯარო სივრცეებად?
- როგორია სხვადასხვა სოციალური ფენის რეპრეზენტაცია საჯარო სივრცეებში?
- რა მოიაზრება ცენტრად და რა პერიფერიად?
- რა მოიაზრება ძალაუფლების სიმბოლოებად?
- რა ტიპის პოლიტიკური მითები და სტერეოტიპები არსებობს?
- რა ცნებებს ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა? რა ღირებულებები / და დამოკიდებულებები უკავშირდება ამ ცნებებს?

დავალება.

შეეცადეთ, ზემოთ ჩამოყალიბებული კრიტერიუმების საფუძველზე დაახასიათოთ თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური კულტურა. გამოთქვით ვარაუდი, რა შეიძლებოდა ყოფილიყო განსხვავებული განვლილ ისტორიულ პერიოდებში, (მაგალითად, საბჭოთა პერიოდში).

ქვემოთ განვიხილავთ, როგორ იცვლებოდა პოლიტიკური კულტურა უძველესი დროიდან თანამედროვე პერიოდამდე. ყურადღებას გავამახვილებთ როგორც კონკრეტულ ისტორიულ მოვლენებზე / კონტექსტმაგალითებზე, ისე ეპოქის ზოგად მახასიათებლებზე.

პროექტული / პრაქტიკული დავალება

შეარჩიეთ ერთ-ერთი ისტორიული მოვლენა (თითოეულ პარაგრაფთან მიმართებით მითითებულია, კონკრეტული ეპოქის რომელ ისტორიულ მოვლენებს შორის შეგიძლიათ გააკეთოთ არჩევანი).

შექმენით კედლის გაზეთი, რომელშიც პრობლემასთან დაკავშირებით დამოუკიდებელ ექსპერტთა მოსაზრებები იქნება ჩამოყალიბებული. გაზეთში წარმოდგენილი უნდა იყოს შვიდი ექსპერტის მოსაზრება. ქვემოთ ჩამოთვლილია ამ ექსპერტების პრიორიტეტები:

ექსპერტი 1. არსებობს სახელმწიფო ინტერესები. მათზე ზეწოლა იწვევს ტერიტორიულ და სხვა ტიპის კონფლიქტებს;

ექსპერტი 2. კონფლიქტი არის პოლიტიკური ელიტების რაციონალური არჩევანი, განპირობებული მათი (და არა ქვეყნის „გეოპოლიტიკური“) ინტერესებით;

ექსპერტი 3. ელიტები არჩევანს აკეთებენ საზოგადოების დაკვეთით; მისი წევრების ისტორიულ მეხსიერებაზე, მისწრაფებებზე დაფუძნებით (ანუ აქ სიმძიმის ცენტი გეოპოლიტიკიდან და ელიტების არჩევანიდან გადადის კონკრეტულ მომენტში, კონკრეტული საზოგადოების დაკვეთაზე).

ექსპერტი 4. ელიტები მოქმედებენ საზოგადოების დაკვეთით. ეს დაკვეთა კი გამოწვეულია არა სიტუაციურ ფაქტორებზე (ისტორიული მეხსიერება, კონკრეტულ მომენტში ხალხის მისწრაფებები), არამედ კულტურის თავისებურებებზე - საზოგადოების წევრების ღირებულებებსა და სტერეოტიპებზე;

ექსპერტი 5. კონფლიქტი შესაძლებელი ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ მას გარკვეული ფუნქცია აკისრია/გარკვეული როლი აქვს საერთაშორისო პოლიტიკური სივრცისთვის/ უფრო მსხვილი (რეგიონული, მსოფლიო მასშტაბის მოთამაშეებისთვის);

ექსპერტი 6. კონფლიქტის მასაზრდოებელია მსოფლიო მნიშვნელობის იდეური წანამძღვრები, რომლებიც იწვევს კონფლიქტის მხარეთა გამოკვეთასა და მათი დღის წესრიგის ფორმირებას;

ექსპერტი 7. კონფლიქტი შესაძლებელია იმიტომ, რომ მხარეებს მისი წამოწყების/წარმოების შესაძლებლობა აქვთ, ან ჰგონიათ, რომ აქვთ. ეს შესაძლებლობა არის „ბაზისი“, რომელიც შემდეგ „იდეური ზედნაშენის“ წარმოქმნას განაპირობებს (აქ სიმძიმის ცენტრი იდეური წანამძღვრებიდან გადადის მატერიალურ შესაძლებლობებზე).

ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ:

- რომელი საზოგადოებრივი ჯგუფები მონაწილეობენ კონფლიქტში; რა გავლენას ახდენს კონფლიქტი მათზე / კოლექტივების წევრებზე (სამიზნე ცნებები - „საზოგადოება;“ „მოვლენა/ პროცესი“)
- ძალაუფლების რა ბერკეტებს იყენებენ კონფლიქტის მონაწილე მხარეები საკუთარი მიზნების მისაღწევად; როგორი იყო ქვეყნისთვის ეპოქისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური კულტურა **(სამიზნე ცნება - ძალაუფლება)**

ინსტრუქცია პრაქტიკული / პროექტული დავალების შესასრულებლად

წლის განმავლობაში საჭიროა, მინიმუმ, სამი პროექტული/პრაქტიკული დავალების განხორციელება. თითოეული დავალებისთვის უნდა შეარჩიოთ ერთი კონქტექსტმაგალითი (იხ. ცხრილის მეორე სვეტი). სასურველია, მაგალითები შეირჩეს პროპორციულად - ერთი მაგალითი ბლოკიდან - პატრიარქალური კულტურა, მეორე - ბლოკიდან მორჩილების კულტურა, მესამე კი - მონაწილეობითი კულტურა.

პოლიტიკური კულტურის ტიპი	კონტექსტმაგალითები
პატრიარქალური კულტურა	▶ ურუქაგინას რეფორმები ლაგაშში ▶ ჰამურაბი და ჰამურაბის კანონები ▶ ქადეშის ბრძოლა ▶ ეხნატონის რელიგიური რეფორმა
მორჩილების კულტურა	▶ ასურეთის იმპერია ახალასურულ პერიოდში ▶ კონსტანტინე დიდი და ქრისტიანობა ▶ ქართლის გაქრისტიანება ▶ იუსტინიანე I, ხოსრო I და „დიდი ომიანობა ეგრისში“ ▶ ინვესტიტურისთვის ბრძოლა ▶ პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა
მონაწილეობის კულტურა	▶ მაჰათმა განდი და წინააღმდეგობის მოძრაობა ▶ ბრძოლა სეგრეგაციის წინააღმდეგ ▶ გამოსვლები ვიეტნამის ომის წინააღმდეგ ▶ ბრძოლა აპართეიდის წინააღმდეგ ▶ გამოსვლები ქართული ენის დასაცავად 1978 წელს; ▶ 9 აპრილი და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა

ქვემოთ მოცემული მასალა მოიცავს პოლიტიკური კულტურის ძირითადი ელემენტების ანალიზს. მისი გაცნობა პრაქტიკული / პროექტული დავალებების შესრულებაში დაგეხმარებათ:

➲ *რა მოიაზრება დღეს საჯარო სივრცედ? სად შეუძლია ადამიანს საკუთარი თავის გამოხატვა?*

➲ *რომელი სოციალური ფენების / ჯგუფების რეპრეზენტაცია ხდება საჯარო სივრცეების საშუალებით?*

➲ *ვინ არიან ელიტები; პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც საჯარო პოლიტიკას წარმართავენ? რა მოიაზრება ცენტრად და რა პერიფერიად?*

➲ *რა მოიაზრება ძალაუფლების სიმბოლოდ? რა ბერკეტების გამოყენებით ხდება პოლიტიკის რეალიზება?*

➲ *რა ცნებებს ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა საჯარო პოლიტიკაში? რა ღირებულებები და დამოკიდებულებები უკავშირდება მათ?*

თავი 3. პოლიტიკა და პოლიტიკური კულტურა - ჩვენი ცხოვრების ნაწილი

შესავალი

პოლიტიკა და პოლიტიკური კულტურა ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მის შესახებ ყოველდღიურად ვსაუბრობთ:

- აღვწერთ და ვაფასებთ ხალხის ჩართულობას პოლიტიკურ პროცესებში;
- პოლიტიკური კულტურის ელემენტებზე დაყრდნობით, ვხსნით, რატომ წარიმართა ესა თუ ის მოვლენა ამგვარი (და არა სხვანაირი) გზით;
- ვმსჯელობთ პოლიტიკური ლიდერების ძლიერ და სუსტ მხარეებზე; მათ წარმატებებსა და წარუმატებლობებზე.

თუმცა, ერთია ემოციური და ზედაპირული მსჯელობა და მეორეა პოლიტიკური პროცესების, როგორც მთლიანი სისტემის, აღქმა. ქვემოთ განვიხილავთ ელემენტებს, რომლებიც ჩვენი გარემომცველი პოლიტიკური კულტურის თავისებურებებს წარმოაჩენს.

საჯარო სივრცეები

- *რა მოიაზრება დღეს საჯარო სივრცედ? სად შეუძლია ადამიანს საკუთარი თავის გამოხატვა?*

ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც ძალიან მკვეთრად არის გავლებული ზღვარი პირად და საჯარო სივრცეებს შორის. მკაფიოდ ვიცით, რომელ სივრცეებში ვართ ხელშეუხებელი; ვიცით, სად და როგორ შეგვიძლია საკუთარი აზრის დაფიქსირება.

დავალება.

ყოველდღიურად გავიგებთ ფრაზებს: „ეს ჩემი პირადი საქმეა“; „ნუ იჭრები ჩემს პირად სივრცეში“. გაიხსენეთ, როდის და რა ვითარებაში გაგიგიათ ეს ფრაზები.

გაიხსენეთ ერთი მაგალითი - სად, როდის და როგორ გამოგიხატავთ საკუთარი პოზიცია რომელიმე საზოგადოებრივ პრობლემასთან დაკავშირებით.

საჯარო სივრცეების მრავალფეროვნება ჩვენი პოლიტიკური კულტურის გამორჩეულად მნიშვნელოვანი ელემენტია. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, საკუთარი პოზიცია დავაფიქსიროთ:

- **ამხანაგობებში** – ჩვენი სამეზობლო თემისთვის აქტუალურ საკითხებზე;
- **კლუბში** - სადაც ჩვენი მეგობრები და თანამოაზრეები არიან გაერთიანებული;
- **სოციალურ ქსელში** - სადაც პრაქტიკულად ყველა ტიპის საზოგადოებრივი პრობლემა განიხილება;
- **სამსახურში** - რომელიც წარმოადგენს სივრცეს კონკრეტული სფეროს გასავითარებლად;
- **მიტინგებზე და მანიფესტაციებზე** - რომელიც საჯარო პოლიტიკისთვის აქტუალურ საკითხს შეეხება.\;
- არ არის განსაკუთრებულად რთული არც **მასმედიის** ყურადღების მიქცევა - საგაზეთო სტატიის გამოქვეყნება, ტელე, ან რადიო ინტერვიუს ჩაწერა და სხვ;

- ადვილად შეგვიძლია გავხდეთ რომელიმე **პოლიტიკური პარტიის** წევრი და საკუთარი მოსაზრებების აქტუალიზებისთვის პარტიული რესურსი გამოვიყენოთ;
- ასევე, შეგვიძლია გავხდეთ რომელიმე **ადგილობრივი, ან საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრი** (იგულისხმება როგორც პროფესიული ორგანიზაციები, ისე რაიმე იდეის ადვოკატირებისთვის შექმნილი ორგანიზაცია).

აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, მონაწილეობა მივიღოთ:

ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობაში - საკრებულოს არჩევნებში; დასახლების საერთო კრებისა და საკრებულოს მუშაობაში:

საჯარო პოლიტიკაში - პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნებსა და რეფერენდუმებში მონაწილეობის გზით.

თანამედროვე პოლიტიკური კულტურისთვის დამახასიათებელ მრავალფეროვნებას უფრო მეტად შევიგრძნოთ, თუკი მათ განვლილ ისტორიულ ეპოქებს შევადარებთ (იხ. დანართი **საჯარო სივრცეები სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში**). თუმცა, აღსანიშნავია, რომ დღეს საჯარო სივრცეების მრავალფეროვნება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ადამიანს იოლად შეუძლია პოლიტიკასა და მისი განხორციელების პროცესზე ზემოქმედება. ამას რამდენიმე გარემოება აბრკოლებს:

ა) ცენზურა - მიუხედავად იმისა, რომ „სიტყვის თავისუფლება“ დღეს პრაქტიკულად ყველს მხრიდან აღიარებული პრიორიტეტია, მთავრობები, „საჭიროების შემთხვევაში“, არც ცენზურას ერიდებიან. დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არც თუ იშვიათი პრაქტიკაა სოციალური ქსელების დაბლოკვა და პრესასა და ტელევიზიის სარედაქციო კოლეგიაზე ზეწოლა.

ბ) აღსანიშნავია, რომ დღეს მთავრობებსა და სხვადასხვა ძალებს „ცენზურა“ ოფიციალური აკრძალვების გარეშეც იოლად შეუძლიათ განახორციელონ საჯარო სივრცეებში „ცრუ ინფორმაციის“ საშუალებით. „ცრუ ინფორმაცია“ შეიძლება ვუწოდოთ ინფორმაციის ნაკადს, რომელიც სპეციალურად მსმენელის/მკითხველის შეცდომაში შესაყვანად ვრცელდება. საამისოდ, საჯარო სივრცეში დღეს ტროლები, ბოტები და მთელი რიგი სხვა სერვისები გამოიყენება. ისინი, რიგ შემთხვევაში, ცილს სწამებენ ადამიანს; რიგ შემთხვევაში - ორაზროვნებას აჩენენ საკითხებზე, რომელთა მიმართებითაც საზოგადოების სოლიდარობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ცალკე საუბრის თემაა პროპაგანდა, რომელიც მიზანმიმართულად წარმართავს საინფორმაციო კამპანიას ხელისუფლებათა სასარგებლოდ და „ჰიბრიდული ომი“, რომელსაც ერთი ქვეყანა მიზნობრივად აწარმოებს მეორე ქვეყნის მოსახლეობის შეცდომაში შესაყვანად / მისი მოსახლეობის სოლიდარობის შესასუსტებლად.

ზემოჩამოთვლილი ბერკეტების ეფექტურობის შედეგია ის, რომ ადამიანები ხშირად კარგავენ საზოგადოებაზე პოზიტიური ზემოქმედების იმედს და საჯარო სივრცეების მიმართ სკეპტიკურად ხდებიან განწყობილი. ეს, რა თქმა უნდა, ყველაზე ცუდია, რაც კი შეიძლება მოხდეს.

თანამედროვე ეტაპზე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისთვის, უპირველეს ყოვლისა, ინფორმაციასთან მუშაობის ცოდნაა საჭირო. ამ კუთხით საზოგადოების წევრების ფართოდ აღჭურვის შემთხვევაში კი „ცრუ ინფორმაციას“, „პროპაგანდას“ და „ჰიბრიდულ ომს“ სულ უფრო ნაკლებად ექნება შანსი წარმატების მისაღწევად. დღეს ცოდნის ცალკე სფეროდაც კი ყალიბდება „წიგნიერება“ და „მედიაწიგნიერება“, რომლებიც სწორედ ინფორმაციასთან დამოკიდებულების კულტურის განვითარებაზე ორიენტირდება. ამ ტიპის ცოდნაზე უარის თქმა არაფრით შეიძლება, ვინაიდან ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც:

- ▷ ფუნქციონირებს გლობალური საინფორმაციო სივრცე;
- ▷ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები აქტიურად მონაწილეობს ცხოვრების ყველა სფეროში;
- ▷ გაზრდილია ადამიანების რიცხვი, რომლებიც ინფორმაციისა და ტექნოლოგიის მიმართულებით მუშაობენ;

გაზრდილია საინფორმაციო პროდუქციისა და მომსახურების ხვედრითი წილი ეკონომიკაში.

ყოველივე ეს ინფორმაციასთან მუშაობის ცოდნას მოითხოვს (ალბათ ისევე, როგორც ნადირობის ცოდნას ითხოვდა პირველყოფილი საზოგადოების წევრის ცხოვრება). საჭიროა, თითოეულ ჩვენგანს ჰქონდეს სტრატეგიები, რომლებიც შეგვაძლებინებს ინფორმაციის ხარისხობრივ ანალიზს:

- ▷ ყალბი და ავთენტური ინფორმაციის ერთმანეთისგან გარჩევა;
- ▷ პირველხარისხოვანი და მეორეხარისხოვანი ფაქტების ერთმანეთისგან გარჩევა;
- ▷ სხვადასხვა ფორმით მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმება;
- ▷ ინფორმაციის სხვადასხვა ნიშნით დახარისხება.

ამ კუთხით კომპეტენციების განვითარება საზოგადოებას ბევრად გააძლიერებს და საჯარო სივრცეების ბევრად ქმედითად გამოყენების შესაძლებლობას მისცემს.

დანართი. საჯარო სივრცეები ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე

პირველყოფილი საზოგადოება *მონადირეები და შემგროვებლები*	პირველყოფილ საზოგადოებაში პირადი და საჯარო სივრცე ერთმანეთისგან პრაქტიკულად არ იყო გამიჯნული. ადამიანები მონადირეობასა და შემგროვებლობას მისდევდნენ და მცირე, 20-30 წევრისგან დაკომპლექტებულ ჯგუფებად ცხოვრობდნენ. ასეთ ჯგუფებში ერთმანეთს ყველა ადამიანი იცნობდა. სხვა მსგავს ჯგუფებთან კი მათი კონტაქტი მინიმალური იყო. ასეთი ტიპის კლანები ერთ დიდ ოჯახს უფრო მოგვაგონებდნენ, ვიდრე რთულ კომპლექსურ საზოგადოებას.
ბრინჯაოს ხანა 	ბრინჯაოს ხანაში ლურსმული ფირფიტები და ეგვიპტური იეროგლიფები წარმოაჩენენ სივრცეებს, რომლებიც ადამიანებს საკუთარი თავის გამოხატვისა და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობას აძლევდა. ასეთი სივრცე, უპირველეს ყოვლისა, იყო ტაძარი, რომელიც რამდენიმე გვაროვნულ თემს ქალაქად / მსხვილ დასახლებულ პუნქტად აერთიანებდა. ტაძარი წარმართავდა ღვთისმსახურების პრაქტიკას (შესაწირი, დღესასწაულები), უზრუნველყოფდა „ღმერთებთან დიალოგს“, რომელთა ნების გაგებასა და აღსრულებას ამ პერიოდის ადამიანისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. გარდა ამისა, ტაძრის გარშემო ერთმანეთს ხვდებოდა და მოსაზრებებს უზიარებდა ბევრი ადამიანი, რომელსაც სხვა ვითარებაში ნაკლებად ჰქონდა ერთმანეთთან კომუნიკაციის შესაძლებლობა. თვითგამოხატვისთვის შედარებით ნაკლებ შესაძლებლობას იძლეოდა სასახლე. აქ, ძირითადად, მეფის მოხელეები იკრიბებოდნენ, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს მოხელეები მჭიდრო კავშირს ინარჩუნებდნენ ფართო საზოგადოებასთან. შუმერულ ქალაქებში (ურუქი, ური, ლაგაში და სხვა) ფუნქციონირებდა უხუცესთა საბჭოები, რომლებსაც ქალაქის მმართველი უთანხმებდა გადაწყვეტილებებს. ერთ-ერთი ასეთი „სხდომა“ აღწერილია ძვ.წ. III ათასწლეულში დაწერილ უძველეს ეპიკურ პოემაში „გილგამეშის ეპოსი“. აქ ერთმანეთს უხუცესთა და მოყმეთა საბჭო უპირისპირდება. ამ ტიპის საბჭოები, სავარაუდოდ, პროფესიულ გაერთიანებებს უფრო წარმოადგენდა, სადაც, მაგალითად, ვაჭრები და მეომრები ერთიანდებოდნენ. შედარებით ნაკლები სოლიდარობა უნდა ჰქონოდა ალბათ ერთმანეთში ხელოსნებსა და მიწათმოქმედებს. ბრინჯაოს ხანაზე საუბრისას, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს პატრიარქალური საზოგადოებაა. რაც იმას ნიშნავს, რომ მონაწილეობის ზემოჩამოთვლილი ფორმებით საზოგადოების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი სარგებლობდა. მოსახლეობის უმეტესობამ, გვაროვნული თემის წევრებმა, არც იცოდნენ, რომელი პოლიტიკური გაერთიანების ნაწილი იყვნენ და არც იმ ფაქტებზე ჰქონდათ წარმოდგენა, რომლებსაც დღეს ისტორიის წიგნებში ვკითხულობთ.

ანტიკურობა

ანტიკური და გვიანანტიკური ხანა (ძვ.წ. I - ახ.წ. I ათასწლეულები) მოძღვრებების / მონოთეისტური რელიგიების ეპოქაა. ამ პერიოდის რელიგიები/ მოძღვრებები - კონფუციანელობა, ბუდიზმი, ჯაინიზმი, ზოროასტრიზმი, იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი, მანიქეველობა და სხვ. ხელს უწყობდა ბევრად უფრო შეკრული რელიგიური თემის შექმნას, ვიდრე ტაძარი ბრინჯაოს ხანაში. ამ თემის წევრები საუბრობდნენ არა მხოლოდ ღმერთების ნებასა და საჭიროებებზე, არამედ დოგმებზე, რომელთაც მათთვის მშობლიური რელიგია/მოძღვრება ქადაგებდა. თუკი ბრინჯაოს ხანაში ერთი ღვთაების კულტი უმეტესად ერთ ქალაქში/დასახლებაში გვხვდებოდა, მონოთეისტური მოძღვრებები უკვე ძალზე ვრცელ ტერიტორიას მოიცავდნენ და მრავალ ქალაქსა და სახელმწიფოს აერთიანებდნენ. რელიგიურ პრაქტიკას ჰქონდა ბევრად ინტენსიური ხასიათი, შესაბამისად, ის თემის წევრებს პრაქტიკულად ყველა ცხოვრებისეულ საკითხთან მიმართებით აძლევდა თვითგამოხატვის შესაძლებლობას.

ოდნავ განსხვავებულ რელიგიურ თემს წარმოადგენდა ბერძნული პოლისები (ათენი, თებე, სპარტა, კორინთო და სხვ.). ისინი, ბრინჯაოს ხანის ქალაქების მსგავსად, ლოკალურ სივრცეს იკავებდნენ, თუმცა, მის წევრებს ჰქონდათ ბევრად მაღალი სამოქალაქო სოლიდარობა. ქალაქის მცხოვრებლები, პრაქტიკულად, ერთ რელიგიურ თემს წარმოადგენდნენ. ისინი რეგულარულად მონაწილეობდნენ რელიგიურ პრაქტიკაში - პატივს მიაგებდნენ, უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივ ღვთაებას, თუმცა იზიარებდნენ მითებს ოლიმპიური რელიგიის სხვა ღმერთების (ზევსი, პოსეიდონი, ჰადესი და სხვ.) მიმართაც. ოლიმპიური თამაშები, უპირველეს ყოვლისა, რელიგიური რიტუალი იყო. ბერძნული პოლიტიკური კულტურის თავისებურება იყო მონაწილეობა პოლისის მართვასთან და საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამ კუთხით, ყველაზე კარგად ცნობილი მაგალითია ათენის აგორა და რომის ფორუმი, რომლებიც ანტიკური დემოკრატიის სიმბოლოს წარმოადგენენ. თუმცა დემოკრატიის ცნება ათენში და სხვა ბერძნულ პოლისებში დღევანდელისგან განსხვავებულად ესმოდათ. ბერძნებისთვის დემოკრატია იყო ოლიგარქიისა და მონარქიისგან განსხვავებული მმართველობის ფორმა, ჩვენთვის კი ეს არის ცნება, რომელიც ინდივიდის თავისუფლებასთან ასოცირდება და ცხოვრების ყველა სფეროში ეძებს პიროვნების თავისუფალი განვითარების შესაძლებლობას. დღეს ისტორიკოსები სულ უფრო მეტად იხრებიან აზრისკენ, რომ ანტიკურ ხანაში განსხვავებები ხმელთაშუაზღვისპირეთისა და ახლო აღმოსავლეთის საზოგადოებებს შორის არც ისეთი დიდი იყო, როგორც ამას ანტიკური ხანის ბერძენი ისტორიკოსები წარმოაჩენენ (მაგალითად, ჰეროდოტოსი, რომელმაც ბერძენ-სპარსელთა ომები აღწერა). ეს განსხვავებები (კერძოდ, ფართო საზოგადოების მონაწილეობა პოლისის მართვაში) განპირობებული იყო პოლისების დაქსაქსულობით და მათ შორის ხშირი სამხედრო დაპირისპირებით (რაც ზრდიდა ქალაქისთვის თითოეული ჰოპლიტის/მეომრის მნიშვნელობას). ეს განსხვავებები სულ

უფრო ნაკლებად ჩანს იმ დროიდან, როცა ალექსანდრე მაკედონელის იმპერია შეიქმნა (ძვ.წ. IV საუკუნე) და როცა რომი მსოფლიო დონის იმპერია გახდა. ელინისტური იმპერიები (მაგალითად, სელევკიდების სამეფო, პროლემაიოსების ეგვიპტე) და იმპერიის ხანის რომი და ბიზანტია თავისი დროისთვის ტიპური იმპერიები არიან, რომლებიც ბევრით აღარაფრით

	განსხვავდებიან პართიისგან, სასანიანთა სპარსეთისგან და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან ასოცირებული იმპერიებისგან. ანტიკურ ხანაში აღარ გვაქვს საფუძველი, ვისაუბროთ პატრიარქალურ პოლიტიკურ კულტურაზე. აქ უკვე ვხედავთ მორჩილების კულტურის ნიშნებს - როცა რელიგიური თემის თითქმის ყველა წარმომადგენელს მკაფიოდ აქვს გაცნობიერებული, რომელი მოძღვრების მიმდევარია. თუმცა ის შემოიფარგლება მორჩილებით და პრეტენზიას არ აცხადებს კულტმსახურების ლიდერებთან უფლებრივ თანასწორობაზე.
შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო 	შუა საუკუნეები, ანტიკურობის მსგავსად, მონოთეისტური მოძღვრებებისა და რელიგიების ხანაა. თუმცა, ამ პერიოდში ჩნდება თვითგამოხატვის ბევრად უფრო მრავალფეროვანი საშუალებები. ამ პერიოდში „სამწვროვანი საზოგადოების“ თითოეულ წოდებას საკუთარი საჯარო სივრცეები უყალიბდება: სასულიერო წოდებისთვის ასეთი სივრცე იყო მონასტრები, რომლებიც შუა საუკუნეებში თეოლოგიის კერებად / საგანმანათლებლო ცენტრებად გადაიქცნენ. აქ ბერები და წვრილი სამღვდელოება გამუდმებით მსჯელობდა ეკლესიისთვის საჭირბოროტო საკითხებზე, უმაღლესი ეკლესიის უმაღლესი იერარქები კი მართავდნენ საეკლესიო კრებებს, რომლებიც მთელ ქრისტიანულ სამყაროზე ახდენდა ზეგავლენას. მეომრების წოდებისთვის (მეფე-მთავრები, წვრილი რაინდები). საჯარო სივრცე იყო ფეოდალის სასახლე / ციხე-კოშკი და რაინდების ტურნირები. ასევე, საჯარო შეიძლება ვუწოდოთ ჯვაროსნული ლაშქრობების მსგავს სამხედრო კომპანებს, რომლებიც საერო ფეოდალთა კლასის სოლიდარობას მნიშვნელოვნად განამტკიცებდა. ამ სივრცეებში, გარდა იმისა, რომ ფეოდალებს ჰქონდათ უშუალო კომუნიკაცია, ასევე, ერთმანეთს ხვდებოდნენ ფეოდალთა მრავალრიცხოვანი მსახურები (საჭურველთმტვირთველები, მოახლეები, ჯამბაზები, ჰეროლდები და სხვ.). ისინი განიხილავდნენ სხვადასხვა ტიპის ჭორებს, რაც, საბოლოოდ, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. მესამე წოდებისთვის (ქალაქში მცხოვრები ვაჭრები და ხელოსნები) საჯარო სივრცე იყო, ერთი მხრივ, მათი პროფესიული გილდიები და ამქრები, მეორე მხრივ კი, ქალაქის რატუშა, რომელიც შუა საუკუნეების ევროპის ქალაქებში კომუნის/თვითმმართველობის სიმბოლოს წარმოადგენდა. გარდა ამისა, შუა საუკუნეებში არსებობდა სივრცეები, რომლებიც სხვადასხვა ქალაქისა და ქვეყნის ვაჭრებისა და ხელოსნების შეხვედრის ადგილს წარმოადგენდა. მაგალითად, ასეთი სივრცეები იყო ბაზრობები/იარმარქტები, რომლებიც პერიოდულად ეწყობოდა მნიშვნელოვან გზაჯვარედინებზე. ზემოთქმულის გარდა, შუა საუკუნეებში საჯარო სივრცის სტატუსს არც ის სივრცეები კარგავდა, სადაც სხვადასხვა წოდების წარმომადგენლები ხვდებოდნენ ერთმანეთს. ა) ამ კუთხით, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვახსენოთ ეკლესია, სადაც ყველაზე მძიმე დროსაც კი იმართებოდა წირვა-ლოცვა. ტაძარი იყო ადგილი არამხოლოდ ლიტურგიისთვის, არამედ სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის გასავრცელებლად;

ბ) ცალკე უნდა ვახსენოთ პროცესიები - მრავალრიცხოვანი ხალხის მსვლელობა რაიმე სამგლოვიარო, ან საზეიმო ფაქტის აღსანიშნავად;

გ) პილიგრიმობა - საკრალურ ადგილებზე, მაგალითად, იერუსალიმში „წმინდა მიწაზე“ მოგზაურობა ლოცვის აღსავლენად;

დ) უნივერსიტეტები - რომელიც XII – XIII საუკუნიდან ჩნდება და სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდებისთვის ქმნის საკომუნიკაციო სივრცეს;

ე) ცალკე ხსენების ღირსია „წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები“, როგორიც არის, მაგალითად, პარლამენტი ინგლისში და გენერალური შტატები საფრანგეთში. ესენი იყო საკანონმდებლო ორგანოები, რომლებშიც პრობლემურ საკითხებს სამივე წოდების წარმომადგენლები განიხილა

ვდნენ. XIII-XIV საუკუნიდან ისინი სულ უფრო მზარდ როლს თამაშობენ პოლიტიკურ ცხოვრებაში. აღსანიშნავია, რომ ინგლისისა და საფრანგეთის რევოლუცია სწორედ პარლამენტისა და გენერალური შტატების სხდომას მოჰყვა შედეგად.

აღსანიშნავია ისიც, რომ XV საუკუნიდან უკვე განვითარებას იწყებს წიგნის ბეჭდვის კულტურა. თანდათან ჩნდება პრესა, რაც კიდევ უფრო ინტერაქტიურს ხდის შუა საუკუნეებისა და ადრეული ახალი დროის მოსახლეობის საზოგადოებრივ ცხოვრებას.

მიუხედავად საჯარო სივრცეების მრავალფეროვნებისა, შუა საუკუნეები მაინც მორჩილების, და არა მონაწილეობის პოლიტიკურ კულტურას განასახიერებს. ეს არის პერიოდი, როცა ყოველდღიური ყოფა და პოლიტიკური კულტურა უშუალოდ არის შეზრდილი რელიგიასთან,

რომელიც დოგმების მიმართ უპირობო მორჩილებას ქადაგებს. საჯარო სივრცეებში გამოთქმული მოსაზრებებისთვის ლიმიტს მკაფიოდ აწესებდა ინკვიზიცია. ხშირად გამოიყენებოდა ექსკომუნიკაციისა და ინტერდიქტის პრაქტიკა:

ა) ექსკომუნიკაცია - გულისხმობდა მწვალებლობაში შემჩნეული ადამიანის ეკლესიიდან განკვეთას;

ბ) ინტერდიქტი კი - იმ რეგიონში წირვა-ლოცვის შეწყვეტას, სადაც ერესი გავრცელდა.

ახალი დრო

ახალი დრო, უპირველეს ყოვლისა, ნაცია-სახელმწიფოებისა და ნაციონალიზმის ხანაა. ნაციონალიზმი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში სამხრეთ ამერიკის ესპანურ კოლონიებში იწყებს ჩამოყალიბებას, XIX საუკუნეში კი ის მსოფლიოს ფაქტობრივად ყველა კუთხეში იმკვიდრებს ადგილს. ნაციის სახით ჩნდება ახალი ტიპის ეთნო-სოციალური ორგანიზმი, რომელიც საჯარო სივრცეებს ბევრად უფრო ინტერაქტიურს ხდის. მაგალითად:

- XIX საუკუნის საპარლამენტო ცხოვრებას ახლოს ვერ დავაყენებთ პოლიტიკურ აქტივობასთან, რომელიც შუა საუკუნეების წოდებრივ-წარმომადგენლობით ორგანოებს (მაგალითად, გენერალურ შტატებს) ახასიათებდათ;
- XIX საუკუნეებში პრესისა და ლიტერატურის ზეგავლენა საზოგადოებაზე ვერ შეედრება ეფექტს, რომელიც შუა საუკუნეებში წერილობით კულტურას ჰქონდა;

▷ ისევე, როგორც საზოგადოების კონსოლიდაციის კუთხით XIX საუკუნის ომებს ვერ შევადარებთ შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელ სამხედრო კომპანიებს. ნაციონალიზმის ეპოქაში არმიაში საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლებს იწვევდნენ და მათ მოქალაქეობრივ აღზრდაზე ზრუნავდნენ, შუა საუკუნეებში კი ომი საერო ფეოდალთა პრივილეგიას წარმოადგენდა.

რატომ გამოიწვია ნაცია სახელმწიფოებმა და ნაციონალიზმმა უკვე არსებული საჯარო სივრცეების ახალი ძალით ამოქმედება? საქმე ისაა, რომ ნაცია წარმოადგენდა ხალხის სოლიდარობის ახალ მექანიზმს, რომლისგანაც მმართველები იღებდნენ ლეგიტიმაციას. თუკი XVII საუკუნეში ლუი XIV-ს თამამად შეეძლო ეთქვა, „სახელმწიფო ეს მე ვარ“ (იმიტომ რომ ის საკუთარი ხელისუფლების ლეგიტიმაციის წყაროდ მხოლოდ ღმერთს მიიჩნევდა), აშშ-სა და საფრანგეთის რევოლუციების შემდეგ თანდათან ჩნდება კონსტიტუცია, სადაც მკაფიოდ აღინიშნება, რომ „ხელისუფლების წყაროა ხალხი“ და რომ ხალხი (და არა ღმერთი) ირჩევს/ნიშნავს მმართველებს საზოგადოებრივი პრობლემების გადასაჭრელად. ასეთი ტრანსფორმაცია მოქალაქეებს ავტომატურად აქცევს „ქვეყნის აქციონერებად“ და მათ, „როგორც აქციონერებს“, ქვეყნის მართვაში აქტიური მონაწილეობის მიღებისკენ „მოუწოდებს“.

სოციალური ფენების რეპრეზენტაცია - *რომელი სოციალური ფენების/ჯგუფების რეპრეზენტაცია ხდება საჯარო სივრცეების საშუალებით?*

ტერმინი „სოციალური რეპრეზენტაცია“ გულისხმობს იმის განხილვას, თუ რამდენად ისმის სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის/ სოციალური ფენის ხმა სახელმწიფო საჯარო სივრცეებში. ეს საკითხი პირდაპირ უკავშირდება „მრავალფეროვნების მართვას” - რამდენად იძლევა არსებული „სოციალური წესრიგი“ სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის წევრების / უმცირესობების მხრიდან თვითგამოხატვის შესაძლებლობას?

დღეს ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც „სოციალური რეპრეზენტაციის“ პრობლემა ძალიან აქტუალურია. ფართო დისკუსიის საგანია მთელი რიგი საკითხები, რომლებზეც წინა ისტორიულ პერიოდებში ყურადღებას ნაკლებად ამახვილებდნენ:

<u>გენდერული თანასწორობის იდეა</u> - გენდერულ თანასწორობაზე მსჯელობას დიდი ხნის ტრადიცია აქვს. თუკი თავდაპირველად ეს პრობლემა ქალების საარჩევნო უფლებებზე და, ზოგადად, კაცებისა და ქალების თანაბარ უფლებებზე მსჯელობას გულისხმობდა, დღეს ყურადღება მახვილდება ფაქტორებზე, რომლებიც ქალების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას აფერხებს, მაგალითად: *(ა) ეკონომიკური ძალადობა ქალებზე; (ბ) საჯარო სივრცეებში მათთვის სათანადო ადგილის დათმობა (მაგალითად, დისკუსია პარლამენტში გენდერულ კვოტებთან დაკავშირებით); (გ) სკოლის, მაგალითად, ისტორიის, სახელმძღვანელოებში ქალებისა და კაცების დაბალანსებულად წარმოჩენა; (დ) ქალების გენდერული დისკრიმინაცია და სხვ;*

▷ <u>მოხუცების მიმართ დამოკიდებულება</u> - დღეს ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც დიდი ყურადღება ექცევა ხანდაზმულ ადამიანებზე ზრუნვას. სახელმწიფოების აბსოლუტური უმრავლესობა ზრუნავს პენსიებზე და მოხუცთა მხარდამჭერი სერვისების განვითარებაზე. საჯარო სივრცეებში კი აქტიურად განიხილება „ეიჯიზმთან“ (ანუ ხანდაზმული ადამიანების დისკრიმინაციასთან) დაკავშირებული პრობლემები;

▷ <u>დამოკიდებულება ბავშვების მიმართ</u> - დღეს ფართო განხილვის საგანია ბავშვების მიმართ დამოკიდებულება. გამოიკვეთა „ედალტიზმის ცნება“, რომელიც გულისხმობს ბავშვებისა და მოზარდების უფროსების მხრიდან ასაკობრივი ნიშნით დისკრიმინაციას. დისკრიმინაციაში კი იგულისხმება ქმედებები, რომლებსაც ბევრი ადამიანი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს, *მაგალითად, მოზარდების კუთხეში დაყენება, მათ მიმართ განუწყვეტელი საყვედურები (მოზარდები ძალიან ბევრ ისეთ საკითხთან მიმართებით იღებენ შენიშვნას, რაზეც უფროსები, როგორც წესი, ერთმანეთთან კომუნიკაციისას ყურადღებას არ ამახვილებენ);*

▷ <u>შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები</u> – ისტორიის არც ერთ ეტაპზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონდე ადამიანებს, ფაქტობრივად, არ ჰქონდათ სოციალური რეპრეზენტაცია. საჯარო სივრცეებში მათი გამოჩენა არ იკრძალებოდა, მაგრამ დიდად არ იყო წახალისებული. თანამედროვე ეტაპზე კი სახელმწიფო მიზანმიმართულ პოლიტიკას ატარებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში შშმ პირების ჩართულობის ხელშესაწყობად. მაგალითად, განათლების სამინისტროები ხარჯავენ დიდ რესურსს იმისთვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეები თავს რეალიზებულად გრძნობდნენ საჯარო სკოლებში;

▷ სოციალურად დაუცველი პირები - დღეს სახელმწიფოები დიდ რესურსს ხარჯავენ სოციალური პრობლემების მქონე ადამიანების დასახმარებლად, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

▷ <u>სექსუალური უმცირესობები</u> - თანამედროვე ეტაპზე ცხარე დისკუსიას იწვევს სექსუალური

უმცირესობების სოციალური რეპრეზენტაციის საკითხი, მაგალითად, უნდა იყოს თუ არა დაშვებული მათი მხარდამჭერი დემონსტრაციები.

▷ **„ალტერნატიული მეცნიერება“** - დღეს ზოგჯერ სოციალურ რეპრეზენტაციას ითხოვენ ინტერესთა ჯგუფები, რომელთა მოსაზრებებიც ბოლომდე ვერ ეწერება კლასიკური მეცნიერების ჩარჩოში. მაგალითად, არსებობს დისკუსია იმასთან დაკავშირებით, სკოლაში ადამიანის წარმოშობის მხოლოდ ევოლუციონისტური თეორია უნდა ისწავლებოდეს, თუ ყურადღება კრეაციონიზმზეც უნდა გამახვილდეს. მეცნიერები ხშირად იმასაც აპროტესტებენ, რომ საჯარო სივრცეში (მაგალითად, კინემატოგრაფიაში) რეპრეზენტაცია აქვს არქეო-ასტრონავტულ თეორიას, რომელიც უძველესი ცივილიზაციის განვითარებას უცხოპლანეტელებს უკავშირებს;

▷ ეროვნული, ენობრივი და რელიგიური უმცირესობები - მიუხედავად იმისა, რომ კაცობრიობამ გამოიარა ნაციონალიზმის ეპოქა, დღემდე არ არსებობს მკაფიო შეთანხმება იმასთან დაკავშირებით, თუ რას არის ნაცია - ემთხვევა ის სახელმწიფოს ყველა მოქალაქეს, თუ ეს სახელი მხოლოდ ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებთან მიმართებით უნდა გამოვიყენოთ (დანარჩენებს კი ეთნიკური უმცირესობები უნდა ვუწოდოთ). დღეს ადამიანის უფლებათა დამცველები ზრუნავენ არა მხოლოდ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვაზე, არამედ იმაზეც, რომ უმცირესობებს ჰქონდეთ სოციალური რეპრეზენტაცია (მაგალითად, სასკოლო სახელმძღვანელოებში ასახული იყოს მათი როლი ქვეყნის განვითარებაში);

▷ რელიგიური უმცირესობები - თანამედროვე ეტაპზე რელიგიასთან დაკავშირებით სხვა ტიპის პრობლემაც ჩნდება. არსებობს მცდელობები, რელიგიად დარეგისტრირდეს მიმდინარეობები, რომლებსაც, კლასიკური გაგებით, ძნელად თუ ვუწოდებთ რელიგიას. ეს კი ბევრი მორწმუნე ადამიანის გაღიზიანებას იწვევს.

„სოციალურ რეპრეზენტაციასთან“ დაკავშირებული გამოწვევები აქტუალურს ხდის **„მრავალფეროვნების მართვის“** პოლიტიკას. თანამედროვე მსოფლიოში მრავალფეროვნება დამახასიათებელია ნებისმიერი საზოგადოებისთვის. მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ ხერხდება ამ მრავალფეროვნების სათანადოდ მიღება და დაფასება. მრავალფეროვნება (იქნება ეს რელიგიური, ეთნიკური, ეროვნული, ენობრივი, თუ რამე სხვა ნიშნის მიხედვით) საჭიროებს ამ სხვაობების აღქმისა და პოზიტიურად მიღების უნარს, რომელიც გამორიცხავს კონფლიქტს, ძალადობას, ადამიანის უფლებების შელახვას და ხელს უწყობს ჰარმონიული, ინტერკულტურული საზოგადოების ჩამოყალიბებას, ხოლო **ინტერკულტურული** კი მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვუწოდოთ საზოგადოებას, თუ განსხვავებულ ჯგუფებს შორის ინტერაქცია მაღალია.

დავალება.

ნებისმიერი საზოგადოების მრავალფეროვნებაში ყოველთვის გამოიყოფა გარკვეული ნიშნის ადამიანების ერთობლიობა, რომლებიც ქმნიან ერთი ნიშნის ქვეშ გაერთიანებულ ფორმალურ თუ არაფორმალურ ჯგუფებს. ამ ჯგუფების გავლენისა და ჯგუფში შემავალი ადამიანების რაოდენობების მიხედვით, ყალიბდება ე.წ. „უმრავლესობები“ და „უმცირესობები“, „დომინანტი“ და „არადომინანტი“ ჯგუფები. საზოგადოებრივი მშვიდობისთვის, ჰარმონიისთვის, თანასწორობისთვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ ურთიერთობენ ერთმანეთთან „უმცირესობები“ და „უმრავლესობები“. ამავე დროს ძალიან მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ ესა თუ ის ადამიანი, კონტექსტის მიხედვით, შეიძლება ხან უმრავლესობას ეკუთვნოდეს, ხან - უმცირესობას.

იატაკზე ცარცით გაავლეთ ხაზი. მას შემდეგ, რაც სათითაოდ ამოიკითხავთ (მასწავლებელი ან კლასის რომელიმე წევრი) მახასიათებელთა ჩამონათვალს, ის მოსწავლეები, რომლებიც მასწავლებლის მიერ დასახელებული შინაარსის მატარებლები არიან, გადაკვეთენ იატაკზე გავლებულ ხაზს. მაგალითად, ყველა...

- ვისაც ჯინსი აცვია
- ვისაც ცისფერი თვალები აქვს
- ვინც კლასში სხვა მოსწავლეებზე უფროსია
- ვინც ნამყოფია ევროპის სხვა ქვეყნებში
- ვინც რეგულარულად კითხულობს გაზეთებს
- ვინც ოდესმე აღმოჩენილა დისკრიმინაციის მსხვერპლი
- ვისაც ღარიბი მეგობრები ჰყავს
- ვისაც დევნილი მეგობრები ჰყავს
- ვისაც ბებია არ ჰყავს
- ვისაც სჯერა ცრურწმენების და ა.შ.

იმსჯელეთ:

- აღმოაჩინა თუ არა რომელიმე თქვენგანმა თავი იმ მოსწავლეების ჯგუფში, რომელთანაც, მისი აზრით, არაფერი ჰქონდა საერთო?
- როგორია, იყო დიდი ჯგუფის ნაწილი, რომლის წევრებთანაც საერთო რამ გაკავშირებს?
- როგორია, იყო მარტო და არავისთან არაფერი გქონდეს საერთო?
- რა იგრძენით, როდესაც უმრავლესობიდან უმცირესობაში გადახვედით, ან პირიქით - უმცირესობიდან უმრავლესობაში აღმოჩნდით?

აქტივობის განსხვავებული ვარიანტები:

- მას შემდეგ, რაც მასწავლებელი დაასახელებს ერთ რომელიმე მახასიათებელს, შეგიძლიათ მოძებნოთ კლასში ამ ნიშნით თქვენი მსგავსი სხვა მოსწავლეები, შექმნათ ჯგუფი და რამდენიმე წუთის განმავლობაში განიხილოთ, რა გაქვთ საერთო ერთმანეთთან, მაგალითად, რას ანიჭებთ უპირატესობას, ან როგორ იქცევით ამა თუ იმ სიტუაციაში.
- სხვადასხვა მახასიათებლის გააზრების შემდეგ, შეგიძლიათ, გაიხსენოთ თქვენთვის საინტერესო ეპოქა მსოფლიოს ან საქართველოს ისტორიიდან. დაფიქრდეთ, ვინ წარმოადგენდა უმცირესობას ან უმრავლესობას მოცემულ ეპოქაში და რა განსაზღვრავდა მათ შორის არსებულ დამოკიდებულებას?

კულტურული მრავალფეროვნების მართვის მოდელები

რაც უფრო მრავალფეროვანია საზოგადოება, მით უფრო საინტერესო გამოცდილებებს სთავაზობს ინდივიდებს. ის, რაც წინა ეპოქებში შეუძლებელი იყო, დღეს ჩვენი ყოველდღიურობაა - თანამედროვე ადამიანი არათუ მყისიერად იღებს მსოფლიოში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციას, არამედ ყოველდღიურად ცდილობს, იყოს აქტიური მომხმარებელი იმ პროდუქტების, შესაძლებლობების, რაზეც მისი იდენტობის სტრუქტურის მიღმაც მიუწვდება ხელი - ისარგებლოს სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულოს მრავალფეროვნებით, საყოფაცხოვრებო ნივთებითა და რესურსებით, მიიღოს ესთეტიკური სიამოვნება ხელოვნების ნიმუშებით და თავადაც გააზიაროს საკუთარი. იმის მიხედვით, თუ როგორ იმართება საზოგადოებაში არსებული მრავალფეროვნება, დგინდება, თუ როგორია დემოკრატიული განვითარების ხარისხი. ზოგადად, კულტურული სხვაობების მართვის შემდეგი მოდელები არსებობს:

- ასიმილაციის მოდელი
- ინტეგრაციის მოდელი
- მულტიკულტურული მოდელი
- ინტერკულტურული მოდელი

ასიმილაციის მოდელი – ასიმილაციის მოდელი ადამიანისგან ან ადამიანთა ჯგუფებისგან გულისხმობს საკუთარი კულტურული თვითმყოფადობის - სხვა ადამიანისგან ან ჯგუფებისგან განმასხვავებელი საკუთარი ნიშნების დათმობას და სხვა კულტურასთან შერწყმას, დამსგავსებას. კულტურული ასიმილაციის პროცესი შეიძლება სხვადასხვა მიზეზით იყოს გამოწვეული, რომელთა შორისაა იძულებითი, ნებაყოფლობითი, გამიზნული, გაუაზრებელი მიზეზები. ხშირად ასიმილაცია გამოწვეულია კონფლიქტებისგან თავის არიდების, სოციალური სარგებლის მიღების, თვითგადარჩენის მოტივით და ა.შ.

დავალება.

მოდელის მაგალითები თქვენი გამოცდილებიდან, ფილმიდან, წიგნიდან ან საქართველოს თუ მსოფლიო ისტორიიდან.

ინტეგრაციის მოდელი - ამ მოდელის მიზანია განსხვავებულ კულტურათა ინტეგრაცია საერთო კულტურასთან. ინტეგრაციის მოდელის მიხედვით, აუცილებელია სხვაობათა თვითმყოფადობის დაფასება და ყველა კულტურული ჯგუფის მშვიდობიანი და თანაბარუფლებიანი ჩართულობა ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ ინსტიტუტებში. აქ არ დგას დომინანტ კულტურასთან სხვაობათა ასიმილაციის საკითხი, თუმცა, სამწუხაროდ, ამ მოდელში ვერც თანასწორობა მიიღწევა. ღირებულებათა ანალიზის ფონზე თუ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ჩართულობის ხარისხიდან გამომდინარე, ამ მოდელის მიხედვით, უპირატესობა ყოველთვის უმრავლესობას / დომინანტ ჯგუფებს ენიჭება.

დავალება.

დაფიქრდით და გაიხსენეთ ინტეგრაციის მოდელის მაგალითები თქვენი გამოცდილებიდან, ფილმიდან, წიგნიდან ან საქართველოს თუ მსოფლიო ისტორიიდან.

მულტიკულტურული მოდელი - ამ მოდელის დროს გამორიცხულია ასიმილაციური თუ დისკრიმინაციული პროცესები. მულტიკულტურული მოდელის მთავარი მახასიათებელი პატივისცემისა და ტოლერანტობის უნარების განმტკიცებაა, უმრავლესობასა და უმცირესობას შორის; ხელი ეწყობა ნდობის გაჩენასა და საზოგადოებრივ პროცესებში თანასწორი ჩართულობის უზრუნველყოფას, თანაბრად დაცულია ყველას უფლებები და კანონის უზენაესობა.

დავალება.

დაფიქრდით და გაიხსენეთ მულტიკულ-ტურული მოდელის მაგალითები თქვენი გამოცდილებიდან, ფილმიდან, წიგნიდან ან საქართველოს თუ მსოფლიო ისტორიიდან.

ინტერკულტურული მოდელი - მულტიკულ-ტურალიზმის მსგავსად, ინტერკულტურული მოდელის მთავარი მახასიათებელი თანაბა-რუფლებიან გარემოში განსხვავებული ჯგუ-ფების ჰარმონიული თანაცხოვრებაა. თუმცა, თუკი მულტიკულტურალიზმის მიღწევა გან-სხვავებულ ჯგუფებს შორის მინიმალური ინტე-რაქციის პირობებშიც შეიძლება, ინტერკულტუ-რალიზმი მთავარ აქცენტს სწორედ ინტენსიურ კომუნიკაციაზე - კულტურათა რეპრეზენტაციის საერთო ფორმების ძიებაზე აკეთებს.

დავალება.

დაფიქრდით და გაიხსენეთ ინტერკულტუ-რული მოდელის მაგალითები თქვენი გამოც-დილებიდან, ფილმიდან, წიგნიდან ან საქა-რთველოს თუ მსოფლიო ისტორიიდან.

აღსანიშნავია, რომ განსხვავებულობის მიმ-ღებლობას ართულებს მოდერნული პოლიტი-კური კულტურა, რომელიც ეროვნულ დონეზე „სოციალური წესრიგის“ დამყარებაზეა ორი-ენტირებული. სახელმწიფო საკუთარ თავზე იღებს ეროვნული კულტურის რეპრეზენტა-ციას, ეს კი უკვე ბუნებრივად წარმოქმნის პრო-ბლემებს განსხვავებულობის მიმღებლობისა და რეპრეზენტაციის თვალსაზრისით.

ეს საინტერესოა!

ეს საინტერესოა. მიშელ ფუკო (1926 – 1984) არის ფრანგი მეცნიერი, რომელმაც მრა-ვალი ნაშრომი მიუძღვნა თანამედროვე კულტურის შესწავლას. 1960 წელს მან გამო-აქვეყნა ნაშრომი „სიგიჟე და შეურაცხა-დობა: სიგიჟის ისტორია კლასიკურ ეპო-ქაში“. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ შუა საუკუნეებში სულიერად დაავადებულები მიიჩნეოდნენ უბრალოდ განსხვავებულ ადამიანებად, ან სულაც გან-საკუთრებული უნარის პატრონებად. მათ არავინ დევნიდა; არავინ ცდილობდა მათ „გამოსწორებას“. მოდერნულმა ცივილი-ზაციამ კი XVII-XVIII საუკუნეებიდან საკუთარ თავზე აიღო ამ ადამიანების „ნორმალი-ზება“. საგიჟეების სახით, შეიქმნა მათ დახ-მარებაზე ორიენტირებული ინსტიტუტი, რომლის მიმართაც მიშელ ფუკო ძალიან სკეპტიკურად არის განწყობილი. საგიჟეებში ის რეპრესიის მექანიზმს უფრო ხედავს, ვიდრე ადამიანების მხარდაჭერის შესაძ-ლებლობას.

დანართი. მრავალფეროვნების მართვა და სოციალური რეპრეზენტაცია ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე.

პირველყოფილი საზოგადოება 	პირველყოფილ საზოგადოებაში არ არსებობდა არც მრავალფეროვნება, არც მრავალფეროვნების მართვის პრობლემა. 20-30 წევრისგან დაკომპლექტებული ჯგუფის/კლანის წევრებს ერთმანეთთან ბევრი მოგონება აკავშირებდათ (ისინი ხომ ყოველდღიურ რეჟიმში ერთად იბრძოდნენ გადარჩენისთვის). მათ ერთმანეთთან არაფერი ჰქონდათ გასაყოფი - ამ პერიოდში კერძო საკუთრებაც კი არ არსებობდა. გამომდინარე აქედან, სრული თანასწორობა სუფევდა როგორც ქალებსა და კაცებს, ისე სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის წევრებს (მაგალითად, მოხუცებსა და ახალგაზრდებს) შორის. სხვა 20-30 წევრით დაკომპლექტებულ კლანებთან/ჯგუფებთან ურთიერთობაც არ იყო დაძაბული. მათთან საზღვრებიც კი არ იყო მკაცრად გავლებული - იოლად ხდებოდა ადამიანების გადანაცვლება ერთი ჯგუფიდან მეორეში. მით უფრო, არ იკვეთებოდა „კულტურული სხვა“, ანუ ერთმანეთს არასოდეს ხვდებოდნენ განსხვავებული კულტურის მატარებელი ადამიანები.
ნეოლითი და ბრინჯაოს ხანა 	უმრავლესობები და უმცირესობები და, მათთან ერთად, მრავალფეროვნების მართვის პრობლემა გაჩნდა მას შემდეგ, რაც ადამიანებმა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა ისწავლეს. ეს მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში ძვ.წ. XI – VI ათასწლეულებში მოხდა. ამ დროიდან თანდათან ჩნდება: ➲ ოჯახი და კერძო საკუთრება - ოჯახები იწყებენ მატერიალური დოვლათის დაგროვებას; ➲ დასახლებები, სადაც უკვე რამდენიმე ათასი ადამიანი ცხოვრობს; ➲ ომები - გარკვეული ჯგუფები ძალისმიერი მეთოდებით ცდილობენ მატერიალური რესურსების ხელში ჩაგდებას. შესაბამისად, თანდათანობით იკვეთება მრავალფეროვნების პრობლემაც. საზოგადოებაში სულ უფრო მეტად იზრდება კაცების როლი, ჩნდებიან მდიდრები და ღარიბები, წარჩინებულები და მდაბიოები და სხვ. ყველა ეს პროცესი უკვე მკაფიოდ ხელშესახებია ბრინჯაოს ხანაში, როცა ეგვიპტესა და შუამდინარეთში ყალიბდება პირველი ცივილიზაციები. ამ დროიდან, უკვე წერილობითი წყაროების საშუალებით, ვიცით, რა სოციალური ფენები არსებობდა და როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ მათ მიმართ. დავიწყოთ იმის აღნიშვნით, რომ ამ პერიოდის ოჯახი არ იყო თანასწორი ადამიანების კავშირი. ოჯახის მამა მიიჩნეოდა უპირობო ავტორიტეტად - შესაბამისად, ბავშვებსა და ქალებს არ ჰქონდათ სოციალური რეპრეზენტაცია. ბავშვებს სრულფასოვან ადამიანებად არც აღიქვამდნენ. დაფიქსირებულია შემთხვევები, როცა ოჯახის მამა მათ მონობაშიც კი ყიდდა ვალების გასასტუმრებლად.

ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში ოჯახები გვაროვნულ თემში ერთიანდებოდნენ. გვაროვნული თემიც არ იყო თანასწორობის საუკეთესო მაგალითი. აქაც იკვეთებოდნენ უფრო წარჩინებული და გავლენიანი ოჯახები, რომლებიც უფრო სუსტებს ავიწროებდნენ. ამ პერიოდში უკვე არსებობდნენ მონები, თუმცა, მათი რაოდენობა ბრინჯაოს ხანაში არ იყო დიდი. მონების რიცხვს, ძირითადად, სამხედრო ტყვეები და მატერიალურ სიდუხჭირეში ჩავარდნილი ადამიანები ავსებდნენ.

შედარებით უკეთესი იყო იმ ადამიანების ცხოვრების პირობები, რომლებმაც თემი მიატოვეს და აქტიურ ცხოვრებას - ვაჭრობას, ხელოსნობას, ან მეომრობას მიჰყვეს ხელი; ან კი მწერლების (იგულისხმება ლურსმული ფირფიტების შემქმნელები) და სხვა სტატუსით ტაძრის/სასახლის ბიუროკრატიული აპარატის ნაწილი გახდნენ. ისინი (ვაჭრები, მეომრები და ბიუროკრატები) სრულფასოვან მოქალაქეებად მიიჩნეოდნენ და ერთგვარ „კერძო სექტორს“ ქმნიდნენ, რომლის ურთიერთობაც „ტაძართან“ და „სასახლესთან“ სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად ეწყობოდა. ზოგჯერ „სასახლე“ მათ ზედმეტი გადასახადებით ავიწროებდა, ზოგჯერ კი ისინი ქალაქში საკმაოდ სტაბილურად გრძნობდნენ თავს. ეს განსაკუთრებით ითქმის ვაჭრებზე. არ იქნება გადაჭარბება, თუ ვიტყვით, რომ შუამდინარული ცივილიზაცია ურუქელი ვაჭრების ბიზნესაქტივობების შედეგად ჩამოყალიბდა. მათ ძვ.წ. IV ათასწლეულში სავაჭრო პუნქტები გახსნეს წინა აზიის სხვადასხვა მხარეში. ამით ხელი შეუწყვეს ისეთ რთულ გაცვლით ოპერაციებს, რომლებმაც ტიგროსისა და ევფრატის ხეობაში, სადაც ხე და ქვაც კი არ მოიპოვებოდა, უაღრესად განვითარებული ცივილიზაციის შექმნა გახადა შესაძლებელი.

დამოუკიდებელი აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ ბრინჯაოს ხანაში უკვე ერთმანეთს მკაცრად დაუპირისპირდა ქალაქური და ნომადური ცხოვრების წესი. ლურსმული ფირფიტები იცნობს ცნება „მართუს“. ის აღნიშნავს სირიის სტეპებში მცხოვრებ მომთაბარე ტომებს. შუამდინარეთის მცხოვრებლები მათ „ველურებად’ მიიჩნევდნენ. შესაძლოა ამის მიზეზი იყო ისიც, რომ შუმერულ ქალაქებს ძალიან ხშირად ემუქრებოდა საფრთხე მომთაბარეებისგან. მომთაბარეები გახდნენ კიდეც ბრინჯაოს ხანის ცივილიზაციების საბოლოოდ განადგურების მიზეზი. ჯგუფებმა, რომლებსაც ეგვიპტური წყაროები „ზღვის ხალხებს“ უწოდებს, მოშალეს სავაჭრო გზები, რომლებიც ამ პერიოდში მთავარ სავაჭრო არტერიას წარმოადგენდა. მეცნიერები ფიქრობენ, რომ სწორედ ეს გახდა ძვ.წ. XII - XI საუკუნეებში ძალიან კომპლექსური ბრინჯაოს ხანის ცივილიზაციის განადგურების მიზეზი.

დავალება. ზემოთ მოცემულ ტექსტზე დაფუძნებით, შექმენით გრაფიკული გამოსახულება, რომელიც ბრინჯაოს ხანის საზოგადოებისთვის ტიპურ სოციალურ ფენებსა და მათ შორის მიმართებებს წარმოაჩენს.

ამდენად, პირველყოფილი საზოგადოებისგან განსხვავებით, ბრინჯაოს ხანის საზოგადოება საკმაოდ მრავალფეროვანი სოციალური ფენებისგან შედგება. ამ პერიოდში გვხვდებოდა კონფლიქტები ჰეგემონიისთვის/გავლენის მოსაპოვებლად, მაგრამ არავინ ცდილობდა უმცირესობების განადგურებას, ასიმილირებას, ან განდევნას.

რაც შეეხება სოციალური ფენების რეპრეზენტაციას, ამ კუთხით მონოპოლია სასახლესა და ტაძარს ჰქონდა მოპოვებული. როგორც წესი, ამ

	პერიოდის სახვითი ხელოვნების ნიმუშები და წარწერები წარმოადგენენ „ტაძრის მფლობელი ღმერთების“ სადიდებელს, ან მეფეებს, რომლებიც აგებენ უზარმაზარი ქალაქების კედლებს, ზიქურათებს, სარწყავ არხებს; აწარმოებენ მასშტაბურ ომებს. საერთაშორისო მიმოწერაშიც, რომელზეც გარკვეული ცნობები შემოგვრჩა ძვ.წ. II ათასწლეულის ამარნას არქივის წყალობით, საუბარია ცალსახად მეფეებზე, და არა იმ ხალხზე, რომელსაც ეს მეფეების მართავენ. გამამთლიანებელი „ეროვნული კულტურა“ მაშინ დღევანდლისგან ფრიად განსხვავებულად ესმოდათ.
ანტიკურობა / რკინის ხანა 	„განსხვავებულობის პოლიტიკის“ თვალსაზრისით, გაცილებით მკაცრი იყო ბრინჯაოს ხანის მომდევნო პერიოდი ანტიკურობა/რკინის ხანა. ამ პერიოდში, ერთი მხრივ, მონოთეისტური რელიგიების, მეორე მხრივ კი - ვრცელი ტერიტორიული იმპერიების გაჩენამ გააძლიერა „დაკვეთა“ იმპერიის შიგნით ერთფეროვან მოსახლეობაზე. ამიტომ არის, რომ ანტიკური ხანის ისტორიას ლაიტმოტივად გასდევს სხვადასხვა ტიპის უმცირესობების დევნა-შევიწროება. <u>ვხვდებით გენოციდის შემთხვევებს</u> - მაგალითად, სპარტას სახელმწიფოში, რომელიც შედგებოდა გაბატონებული სპარტელი მებრძოლებისგან და ჰილოტებისგან, წყაროებმა შემოგვინახეს ცნობები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიზნობრივად ანადგურებდნენ სპარტელები ჰილოტებს, რათა მათი პოპულაცია „საჭიროზე მეტად“ არ გამრავლებულიყო; <u>ვხვდებით ასიმილაციის / საკუთარ ფესვებსა და ტრადიციებზე მოწყვეტის მცდელობებს</u> - მაგალითად, მასობრივ დეპორტაციებს, რომლის ყველაზე ცნობილი ნიმუშია ძვ.წ. 598–539 წლების ებრაელების „ბაბილონის ტყვეობა“. <u>განსხვავებული მრწამსის ადამიანების დევნას</u> - მაგალითად, შეურიგებელ ბრძოლას, რომელსაც ადგილი ჰქონდა IV-VII საუკუნეებში სამების დოგმატთან დაკავშირებით. <u>დევნას განსხვავებული შეხედულებების გამო</u> - მაგალითად, ძველ საბერძნეთში ძალიან ხშირად რომელიმე (მაგალითად, დემოკრატიული) პარტიის გამარჯვებას განსხვავებული იდეის მატარებელი ადამიანების სრული განადგურება მოსდევდა. <u>ვხვდებით ადამიანების დიდი ჯგუფის სრულ მორალურ და ფიზიკურ განადგურებას</u> - ანტიკურობა არის პერიოდი, როცა ყველაზე მეტად ვრცელდება მონათმფლობელობა. მონათმფლობელებს მონების მიმართ ჰქონდათ დაუნდობელი დამოკიდებულება. <u>ვხვდებით უკომპრომისო დაპირისპირებას კულტურულ-ცივილიზაციური დაპირისპირების გამო</u> - მაგალითად, დაპირისპირება ევროპასა და აზიას შორის, რომელსაც ბერძენ-სპარსელთა ომებმა დაუდო სათავე. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ სწორედ ანტიკურ (უფრო სწორად, გვიანანტიკურ) ხანას ემთხვევა საქართველოში სპარსელებისა და არაბების მხრიდან მაზდეანობისა და ისლამის ნაძალადევად გავრცელების მცდელობები, რომელიც ხატოვნად აღწერა იოანე საბანისძემ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „აბო ტფილელის წამება“. ზემოხსენებული მაგალითიც ადასტურებს, რომ

	ანტიკური ხანის პოლიტიკური ელიტები, ბრინჯაოს ხანის მმართველებისგან განსხვავებით, აქტიურ ზომებს მიმართავდნენ „განსხვავებულობის ფენომენის წინააღმდეგ“. აქვე უნდა ითქვას, რომ ანტიკურ ხანაში ოჯახს კვლავაც პატრიარქალური სტრუქტურა ჰქონდა, თუმცა, გარკვეული პროგრესი ჩანს „სოციალური რეპრეზენტაციის“მიმართულებით. თუკი ბრინჯაოს ხანის ხელოვნება და ლიტერატურა ცალსახად მეფეების საქმეთა წარმოჩენას ემსახურება, ანტიკურ ხანაში მოსახლეობის ფართო ფენები ექცევა მწერლების, მხატვრებისა და არქიტექტორების ყურადღების ცენტრში.
შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო 	შუა საუკუნეებში გამოიკვეთა სამი წოდება: 1. სასულიერო პირები, რომლებიც ლოცულობენ; 2. საერო ფეოდალები, რომლებიც იბრძვიან; 3. ქალაქის მოსახლეობა, რომელიც დოვლათს აწარმოებს. გლეხები შუა საუკუნეებში „სრულფასოვან მოქალაქეებად“ არ მიიჩნეოდნენ. თუმცა, წოდებებისა და წოდებების მიღმა დარჩენილი ჯგუფების ეს ჩამონათვალი სრულად არ წარმოაჩენს შუა საუკუნეების საზოგადოების მრავალფეროვნებას. თითოეული ეს წოდება კიდევ უფრო წვრილ სოციალური ფენებად იშლებოდა: ▶ სასულიერო პირები იყოფოდნენ მონასტრებში მცხოვრებ ბერებად და მღვდლებად, რომლებიც ყოველდღიურ რელიგიურ პრაქტიკას ეწეოდნენ; ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდში სასულიერო წოდების რიცხვს შეემატნენ სარაინდო ორდენები (მაგალითად, ტამპლიერები და ჰოსპიტალიერები), რომლებიც საბრძოლო და სასულიერო ფუნქციებს აერთიანებდნენ; ▶ საერო ფეოდალები, მაგალითად, ევროპაში ატარებდნენ გრაფის, ჰერცოგის, ბარონის და სხვა ტიტულებს, რომელთა შორისაც არსებობდა იერარქიული დამოკიდებულება; ▶ ქალაქის მოსახლეობაში ცალკე იკვეთებოდა ქალაქის პატრიციატი, გარდა იმისა, რომ ცალ-ცალკე აქტორებად გამოდიოდნენ სხვადასხვა პროფილის ამქრების ხელოსნები; ▶ თვით გლეხებიც კი არ წარმოადგენდნენ ერთგვაროვან სოციალურ ფენას. შუა საუკუნეებში თითოეული წოდების სოციალური რეპრეზენტაციის კარგი საშუალებები არსებობდა (არქიტექტურა, საგმირო პოეზია, სასულიერო ლიტერატურა, პროცესიები და სხვ.). ამ საშუალებების აბსოლუტური უმრავლესობა პირველ და მეორე წოდებას ემსახურებოდა (ანუ მეფე-მთავრებსა და სასულიერო პირებს), თუმცა არც მესამე წოდება რჩებოდა ყურადღების გარეშე. ამის დასტურია სახალისო მოთხრობების კრებული „მელიას რომანი“. რომანის მთავარი პერსონაჟი მელია რეინარი „მესამე წოდების“ ადამიანს განასახიერებს. მოთხრობებში ის მოხერხებულად ატყუებს სხვა ცხოველებს, (მაგალითად, მგელ იზენგრენს), რომლებიც სხვა წოდებების სიმბოლოს წარმოადგენენ. საქალაქო კულტურას წარმოადგენს, ასევე, უნივერსიტეტები. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ შუა საუკუნეები იყო პერიოდი, როცა ძალიან მრავალფეროვან საზოგადოებრივ ჯგუფებს შეეძლოთ თავისუფლად ეარსებათ. მათ სახელმწიფო და ეკლესია არც გამოხატვის ფორმებში ზღუდავდა და არც სოციალურ რეპრეზენტაციას უშლიდა.

გამონაკლისს წარმოადგენდნენ მხოლოდ ერეტიკოსები და ებრაელები. მათ ინკვიზიცია სასტიკად უსწორებდა ანგარიშს. თუმცა, ინკვიზიციაზე საუბრისას, არ უნდა დავივიწყოთ ერთი გარემოება - ინკვიზიცია ყველაზე მეტად აქტიური ხდება XVI-XVII საუკუნეებში, ანუ შუა საუკუნეების ძალიან გვიანდელ ფაზაში. სწორედ ამ პერიოდებს უკავშირდება მისი ისტორიის ისეთი განთქმული ფურცლები, როგორებიცაა ფილიპე II-ის მმართველობა და „კუდიანებზე ნადირობა“. XVI-XVII საუკუნე არის ეპოქა, როცა მთელ მსოფლიოში ახალი ტიპის სახელმწიფოები „დენთის იმპერიები“ ყალიბდება (ოსმალეთი, სეფიანთა სპარსეთი, მინის ეპოქის ჩინეთი, ჰაბსბურგთა იმპერია ევროპაში). ასეთი ტიპის იმპერიები ახალი ძალით ცდილობდნენ ხელისუფლების ცენტრალიზაციას და „სოციალური წესრიგის“ დამყარებას. ამ მისწრაფებებით „დენთის იმპერიები“ მოდერნთან შეიძლება მეტ საერთოს პოულობდეს, ვიდრე შუა საუკუნეებთან, რომელიც სხვადასხვა სოციალურ ფენას ავტონომიური განვითარებისთვის სივრცეს ნაკლებად უზღუდავდა.

მოდერნი



მოდერნი არის პერიოდი, როცა წინა პლანზე გამოდის ინდივიდი. „ინდუსტრიული რევოლუციის“ შედეგად, ინგრევა „დიდი ოჯახის“ ტრადიციები და წყვილები უფრო ეგალიტარულ საწყისებზე იწყებენ ოჯახური ურთიერთობების მშენებლობას. ჩნდება „საბავშვო ბაღები“, საჯარო სკოლები და ბავშვებზე ზრუნვის სხვა საშუალებები, ქალები კი თანდათან მოიპოვებენ საარჩევნო უფლებებს; ასევე, იწყება მოძრაობები მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების მხარდასაჭერად. ამ ეპოქაში კვლავაც ბევრი პრობლემა ჩანს გენდერული და სხვა ტიპის თანასწორობის თვალსაზრისით, თუმცა „სოციალური წესრიგი“ აშკარად ორიენტირებულია წინა საუკუნეებში „კადრს მიღმა“ დატოვებული საზოგადოებრივი ჯგუფების წინ წამოწევაზე.

მეორე მხრივ, აღსანიშნავია ისიც, რომ მოდერნი ნაციონალიზმის ეპოქაა. ამ პერიოდში კონსოლიდაციის პროცესს დიდი რეპრესიებიც მოსდევს. სწორედ ამ დროს მკაფიოდ იკვეთება „ნაციონალური კულტურის იდეა“, მთავრობები და კულტურის სფეროში მოღვაწე ელიტები ყველანაირად ცდილობენ „ეროვნული კულტურის“ უნიფიცირებულ და ფართო საზოგადოებისთვის გასაგებ სტანდარტებამდე დაყვანას. ამის შედეგია დიალექტების, ეთნიკური უმცირესობების, არასასურველი ნიშნების მქონე ადამიანების დევნა.

ამავე პერიოდში „განსხვავებულობის ასიმილატორულ-საინტეგრაციო პოლიტიკის“ საწარმოებლად ახალი იარაღი ჩნდება ისტორიული მეცნიერების სახით. ჩნდება გაბმული (უძველესი დროიდან დღემდე) ერის ისტორიის წერის პრაქტიკა, სადაც ძალიან მკაფიოდ აისახება სახელისუფლებო ელიტების ხედვა/დაკვეთა „ეროვნული კულტურის“ მახასიათებლების შესახებ.

- **პოლიტიკური ცენტრები, პოლიტიკური ელიტები, პოლიტიკური კონფლიქტები -** ***ვინ არიან ელიტები, რომლებიც საჯარო პოლიტიკას წარმართავენ? რა ტიპის კონფლიქტებში იყვნენ ისინი ჩართული?***

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებზე მსჯელობისას, როგორც წესი, განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ პოლიტიკური ცენტრების, ელიტებისა და კონფლიქტების დახასიათებას. მოვლენათა ახსნისა და შეფასებისას, აზრთა სხვადასხვაობას სწორედ ამ კომპონენტებისადმი განსხვავებული დამოკიდებულება იწვევს. ადამიანები, პოლიტიკურ პროცესებზე მსჯელობისას, ხშირად განსხვავებულად აფასებენ:

- ამა თუ იმ პოლიტიკური ცენტრის / ცენტრების როლსა და მნიშვნელობას;
- ამა თუ იმ პოლიტიკოსის / პოლიტიკური ელიტის ინტერესებს;
- ამა თუ იმ კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებს, მნიშვნელობასა და მის კავშირს სხვა მოვლენებთან.

დავალება.

გაიხსენეთ თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ერთ-ერთი კონფლიქტი. ერთ გვერდზე დაწერეთ ყველაფერი ის, რაც ამ კონფლიქტის შესახებ გსმენიათ. დააკვირდით, ახსენებდით თუ არა საუბრისას პოლიტიკურ ცენტრებს, პოლიტიკურ ელიტებსა და პოლიტიკურ კონფლიქტებს.

ყველა მოქალაქის, ჟურნალისტის, საზოგადო მოღვაწის, ექსპერტის, მეცნიერისა და პოლიტიკოსის მსჯელობის სტილი უნიკალურია, თუმცა შეიძლება გამოიკვეთოს რამდენიმე ტიპის არგუმენტაცია, რომელსაც, როგორც წესი, სოციალურ-პოლიტიკური პროცესების ახსნისთვის იყენებენ:

მოსაზრება 1. ყველა პოლიტიკურ ცენტრს (სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციას/ალიანსს, იმპერიას და ა.შ.) აქვს საკუთარი ინტერესები. კონფლიქტები ხდება იმ შემთხვევაში, როცა მხარეები/პოლიტიკური ცენტრები ნაკლებად ითვალისწინებენ / ან პირდაპირ ზეწოლას ახდენენ ამ ინტერესებზე. ასეთ სტილში მსჯელობისას, როგორც წესი, ხშირად იყენებენ ტერმინს „გეოპოლიტიკა“.

დავალება.

გაიხსენეთ, გსმენიათ თუ არა თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე რომელიმე კონფლიქტთან მიმართებით მსგავსი მსჯელობა.

მოსაზრება 2. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა არჩევანს აკეთებენ პოლიტიკური ელიტები. კონფლიქტი ყოველთვის მათი რაციონალური არჩევანია. არჩევანს კი ისინი აკეთებენ საკუთარ, მეტად ცვალებად ინტე-

რესებზე დაყრდნობით და არა ისეთი ტიპის კატეგორიებზე დაფუძნებით, როგორიცაა გეოპოლიტიკა, ქვეყნის ინტერესები, თუ იმპერიული სახელმწიფოს მისია.

დავალება.

იმსჯელეთ, რა განსხვავებებს ხედავთ პირველ და მეორე მოსაზრებას შორის. გსმენიათ თუ არა თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე რომელიმე კონფლიქტთან მიმართებით მსგავსი მსჯელობა.

მოსაზრება 3. ყველაფერი დამოკიდებულია ფართო საზოგადოების დაკვეთაზე, და არა ელიტებზე. ელიტები აკეთებენ იმას, რასაც მათგან საზოგადოება მოელის. საზოგადოების მოლოდინები კი განპირობებულია:

ან კონკრეტულ მომენტში ხალხის განწყობით, რომლის შექმნაშიც გადამწყვეტ როლს ასრულებს ისტორიულ მეხსიერებაზე მიმართული და დროის კონკრეტულ მონაკვეთში პოპულარული ლოზუნგები;

ან პოლიტიკური კულტურის თავისებურებით - უპირველეს ყოვლისა კი, ღირებულებებითა და სტერეოტიპული წარმოდგენებით.

მაშასადამე, თუკი პირველ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გეოპოლიტიკას, მეორე შემთხვევაში კი პოლიტიკური ელიტების ინტერესებს, მესამე შემთხვევაში განმსაზღვრელია ხალხის / ფართო საზოგადოების განწყობა.

მოსაზრება 4. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ასპარეზზე ძალთა განლაგებას. მასშტაბური კონფლიქტი ხდება იმიტომ, რომ ის:

ან გარკვეულ როლს თამაშობს საერთაშორისო სისტემის განვითარებაში/რეგულირებაში/ ფუნქციონირებაში;

ან ხელსაყრელია რეგიონული / მსოფლიო მასშტაბის მოთამაშეებისთვის.

ამ მოსაზრების მიხედვით, მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების გასაღებია საერთაშორისო ვითარება, და არა კონკრეტული ლოკალური ელიტა, საზოგადოება, ან პოლიტიკური ტრადიცია.

დავალება.

იმსჯელეთ, რა პრინციპულ განსხვავებას ხედავთ პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე მოსაზრებას შორის.

მოსაზრება 5. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იდეურ წანამძღვრებს. არასწორია მოსაზრება, რომ უკვე არსებული პოლიტიკური ცენტრები და პოლიტიკური ელიტები საკუთარ ინტერესებს არგებენ სხვადასხვა ტიპის იდეებს/იდეოლოგიებს. სინამდვილეში, სწორედ პოლიტიკური იდეები ცვლის საზოგადოებრივ სივრცეში ძალთა კონფიგურაციას - აყალიბებს ახალ/ახალი ტიპის პოლიტიკურ ცენტრებსა და პოლიტიკურ ელიტებს. ძალთა განახლებული კონფიგურაცია კი აყალიბებს კონფლიქტის მხარეებს და განსაზღვრავს მათ დღის წესრიგს.

დავალება.

შეადარეთ ერთმანეთს მე-5- და მე-6 მოსაზრება. იმსჯელეთ, რომელი მათგანი გეჩვენებათ უფრო დამაჯერებლად.

მოსაზრება 6. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. კონფლიქტები იწყება იმიტომ, რომ მხარეებს აქვთ განცდა, რომ მათი წარმოების/წარმატებით დასრულების შესაძლებლობა აქვთ. სხვადასხვა პოლიტიკურ ცენტრს, როგორც წესი, განსხვავებული მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობები აქვს. ეს რომ ასე არ იყოს, კონფლიქტები არ იარსებებდა.

ამ მოსაზრების მიხედვით, გამოდის, რომ მსოფლიოში ძალთა განლაგებას მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განაწილება ქმნის, და არა იდეური წანამძღვრები.

დავალება.

იმსჯელეთ, როგორ გესმით ოტო ფონ ბისმარკის ფრაზა: „მე მტრის შესაძლებლობები მაინტერესებს, და არა მისი განწყობა“. როგორ ფიქრობთ, ზემოჩამოთვლილთაგან რომელ მოსაზრებას უფრო შეესაბამება ის.

გაეცანით დანართს - **პოლიტიკური ელიტები, პოლიტიკური ცენტრები და პოლიტიკური კონფლიქტები ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე.** მოცემული მასალის საფუძველზე, შეავსეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი. იმსჯელეთ, რატომ და როგორ იცვლიდა სახეს პოლიტიკური ცენტრები, პოლიტიკური ელიტები და პოლიტიკური კონფლიქტები ისტორიული ეპოქების მიხედვით. მსჯელობისას, თქვენი არგუმენტები დაუკავშირეთ ზემოთ წარმოდგენილ მოსაზრებებს (მოსაზრება 1,2,3,4,5,6).

	პოლიტიკური ცენტრები	პოლიტიკური ელიტები	პოლიტიკური კონფლიქტები
ბრინჯაოს ხანა			
ანტიკური ხანა			
შუა საუკუნეები			
მოდერნი			
პოსტმოდერნი			

კიდევ სცადეთ

დანართი. პოლიტიკური ელიტები, პოლიტიკური ცენტრები და პოლიტიკური კონფლიქტები ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე:

პირველყოფილი საზოგადოება 	პირველყოფილ საზოგადოებაში არ იყო არც პოლიტიკური ელიტები, არც პოლიტიკური ცენტრები, არც პოლიტიკური კონფლიქტები. ეს შეიძლება უცნაურად ჟღერდეს, იმის გათვალისწინებით, რომ ქვის ხანაზე საუბრისას, ხშირად ვიყენებთ ტერმინს „ტომი“. „ტომის“ ხსენებაზე კი წარმოვიდგენთ საზოგადოებრივ ჯგუფს: ▶ რომელიც აერთიანებს რამდენიმე გვარს; ▶ რომელსაც მართავს ტომის ბელადი, ან უხუცესთა საბჭო; ▶ რომელსაც ტერიტორიული და სხვა სახის კონფლიქტები აქვს მეზობელ ტომებთან. ამგვარი მცდარი წარმოდგენის დამკვიდრებას ხელი შეუწყო „ვესტერნებმა“, ფენიმორ კუპერის მოთხრობებმა და XIX საუკუნის ეთნოგრაფიულმა კვლევებმა. შეიქმნა განცდა, რომ ჩრდილოეთ ამერიკის პრერიების მკვიდრი მოსახლეობის ყოფა დაახლოებით ისეთი იყო, როგორ ჩვენი წინაპრების ცხოვრება ქვის ხანაში. *ილუსტრაციები ფილმიდან „უკანასკნელი მოჰიკანი“* სინამდვილეში, ძველ ქვის ხანაში (პალეოლითში) ადამიანები 20-30 წევრით დაკომპლექტებულ ჯგუფებად ცხოვრობდნენ და ამ ჯგუფებს/კლანებს მინიმალური კავშირი ჰქონდათ ერთმანეთთან. მათი კომუნიკაცია იყო ძალიან მშვიდობიანი. ადამიანები მარტივად გადადიოდნენ ერთი ჯგუფიდან მეორეში. არ არსებობდა „კულტურული სხვა“ (ერთმანეთის გვერდიგვერდ მცხოვრები კლანების ცხოვრების წესი ერთმანეთისგან პრაქტიკულად არ განსხვავდებოდა). მათ შორის საზღვრებიც კი ძალიან პირობითად იყო - ადამიანი განუწყვეტლივ იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს, ამიტომ მას არც რომელიმე ადგილის მიმართ უყალიბდებოდა მიჯაჭვულობის განცდა.
ნეოლითი და ბრინჯაოს ხანა 	მდგომარეობა შეიცვალა მას შემდეგ, რაც ადამიანმა დაიწყო ბინადარი ცხოვრება. ის წლის განმავლობაში ერთსა და იმავე ადგილას რჩებოდა და გეგმავდა მოსავალს. თავდაპირველად, ეს ადგილი იყო სოფლის ტიპის დასახლება. მოგვიანებით კი ტაძრის გარშემო ორგანიზებული ქალაქი. „ურბანულმა რევოლუციამ“, ანუ ქალაქის ტიპის დასახლებების გაჩენამ, ცხადია, ჩამოაყალიბა თავისებური პოლიტიკური კულტურა - საკუთარი პოლიტიკური ცენტრებით, პოლიტიკური ელიტებითა და პოლიტიკური კონფლიქტებით. ბრინჯაოს ხანისთვის დამახასიათებელია რამდენიმე ტიპის კონფლიქტი:

ა) <u>კონფლიქტი ტაძარსა და სასახლეს შორის</u> - შუამდინარული ქალაქები წარმოადგენს ამა თუ იმ ღმერთის ტაძრის გარშემო გაერთიანებული გვაროვნული თემების ერთობას. პირველ ეტაპზე ტაძარი უპირობოდ ცენტრი იყო. მის გარშემო იყრიდა თავს როგორ სამხედრო საქმესა და ვაჭრობაში ჩართული ელიტური ჯგუფები, მის ბაზაზე ავითარებდა, ასევე, ბიუროკრატიულ აპარატს მმართველი დინასტია. თუმცა თანდათანობით „ტაძარი“ და „სასახლე“ (ანუ მმართველი დინასტიის სამოხელეო აპარატი) ცალკე ერთეულად ჩამოყალიბდა. შუამდინარეთში ქალაქის/სასახლის მმართველებს სხვადასხვა სახელით („ენსი“, „ლუგალი“ და „იშაკუ“) იხსენიებდნენ. ისინი, უმეტეს შემთხვევაში, ტაძართან შეთანხმებით განაგებდნენ ქალაქი-სახელმწიფოს საქმეებს, თუმცა, ლურსმულმა ფირფიტებმა მათ შორის კონფლიქტის შესახებაც შემოგვინახეს ინფორმაცია. *მაგალითად, რამდენიმე ფირფიტამ შემოინახა ინფორმაცია ძვ.წ. XXIV საუკუნეში შუმერის ქალაქ ლაგაშში მომხდარ მოვლენებზე, როდესაც, ტაძრის მხარდაჭერით, მეფე ურუქაგინამ დაამხო მმართველი (მეფე ურ-ნანშეს) დინასტია. წყაროებიდან ჩანს, რომ სოციალური უკმაყოფილება არასამართლიანმა ფისკალურმა პოლიტიკამ გამოიწვია.*

ბ) <u>კონფლიქტი ვაჭრებს, მეომრებსა და მმართველ დინასტიას შორის</u> - შუმერულ ქალაქებში ყოველთვის იდგა ხელისუფლების კონტროლის პრობლემა. III ათასწლეულში წამყვან ქალაქებში ურუქი, ური, ლაგაში და სხვ. ძლიერი „კერძო სექტორი“ არსებობდა, რომლის შევიწროებასაც გაძლიერებული მმართველი დინასტია ცდილობდა. *მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი კონფლიქტი ასახულია უძველეს ეპიკურ ჰოემაში „გილგამეშის ეპოსი“. ჰოემის ერთ ეპიზოდში აღწერილია, თუ როგორ იზრდება გილგამეშის გავლენა; როგორი უმართავი ხდება მისი მოქმედება (ის ძალიან აწუხებს მოსახლეობას, ურუქის მფარველ ქალღმერთ ინანასთანაც კი მოსდის კონფლიქტი). ამის გამო მოსახლეობა ღმერთებს სთხოვს დახმარებას. მეორე ეპიზოდში კი ჩანს კრება, სადაც უხუცესთა საბჭო (ვაჭრები) მხარს არ უჭერს სამხედრო კამპანიის წარმოებას. როგორც ჩანს, ვაჭრები დიდად არ ემხრობოდნენ ომს, რომელიც ქვეყანას აჩანაგებდა და მმართველი დინასტიის პოზიციებს უკიდეგანოდ აძლიერებდა.*

აღსანიშნავია, რომ „გილგამეშის ეპოსში“ აღწერილის მსგავსი კონფლიქტები სულ უფრო ნაკლებად ჩანს ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან. ალბათ იმიტომ, რომ ამ დროისთვის მმართველმა დინასტიებმა უფრო კომფორტულად იგრძნეს თავი. ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში სამხრეთი და ჩრდილოეთი შუამდინარეთი გააერთიანეს ჯერ აქადის, შემდეგ კი ურის III დინასტიამ. ძვ.წ. II ათასწლეულში კი ახლო აღმოსავლეთში ჩამოყალიბდა ხუთი მეგა სახელმწიფო (ბაბილონი, ასურეთი, ხეთების სამეფო, მითანის სამეფო, ძველი ეგვიპტე), რომელთა შესახებაც ეგვიპტეში აღმოჩენილი ამარნას არქივი გვიამბობს. თითოეული ეს სახელმწიფო რეგიონის ყველა ქალაქსა და დასახლებას აერთიანებდა. *მაგალითად, სამხრეთ შუამდინარეთის ყველა ქალაქი ძვ.წ. II ათასწლეულიდან ბაბილონის მეფეების გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. ამ დროიდან სახელოვანი ისტორიის მქონე ური, ურუქი, ლაგაში და ნიფური მხოლოდ პერიფერიული ქალაქების სტატუსს დასჯერდნენ - მათი ღმერთები ბაბილონის მფარველ ღვთაება მარდუქს ემორჩილებოდნენ, მათი პოლიტიკური ელიტებიც რეგიონის მთავარ ქალაქში ცდილობდნენ თვითრეალიზებას.*

<u>გ) კონფლიქტები ქალაქებსა და სახელმწიფოებს შორის</u> - ბრინჯაოს ხანაში, პოლიტიკური ელიტების საშინაო დაპირისპირების გარდა, ვხვდებით კონფლიქტებს ჯერ ქალაქ-სახელმწიფოებს, შემდეგ კი რეგიონულ სახელმწიფოებს შორის.ძვ.წ. III ათასწლეულში შუმერული ქალაქ-სახელმწიფოს პოლიტიკურ ელიტებს შორის მუდმივი დაძაბულობა სუფევდა. *ამის კარგი მაგალითია ქალაქი ლაგაში და ქალაქი უმა, რომლებიც გუედენას ოლქის გამო საუკუნეების განმავლობაში ებრძოდნენ ერთმანეთს.* ამ პერიოდში შუმერული ქალაქ-სახელმწიფოები მართალია ქალაქ ქიშის უზენაესობას აღიარებდნენ, მაგრამ მაინც დამოუკიდებელ პოლიტიკურ სუბიექტებს წარმოადგენდნენ. მდგომარეობა იცვლება ძვ.წ. II ათასწლეულიდან. ამ დროიდან არათუ პატარა ქალაქები, არამედ მთლიანად შუამდინარეთიც აღარ წარმოადგენს პოლიტიკური მოვლენების ცენტრს. ბაბილონის მეფეები „დიდი ხუთეულის“ შემადგენლობაში კი შედიოდნენ, მაგრამ აქ მათი პოზიცია არ იყო მყარი. ძვ.წ. II ათასწლეულში პოლიტიკურ ჰეგემონიად ეგვიპტისა და ხეთების სამეფოები გვევლინება. ამ პერიოდის პოლიტიკური ისტორიის მოვლენების შესახებ ძალიან საინტერესო მასალა შემორჩა ეგვიპტეში 1882 წელს აღმოჩენილ ამარნას არქივში. აქ ჩანს დიპლომატიური მოლაპარაკებები, საჩუქრების გაზიარება, ბრძოლები და ყოფითი ურთიერთობები. *ამ პერიოდის საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკურ მაგალითად ქადეშის ბრძოლა მიიჩნევა. ეს იყო დაპირისპირება ხეთებსა და ეგვიპტელებს შორის, რომელიც ისტორიაში უძველესი საზავო მოლაპარაკებით დასრულდა. ჩვენამდე მოაღწია ზავის შესახებ ტექსტის როგორც ეგვიპტურმა, ისე ხეთურმა ვერსიამ.*

<u>დ) კონფლიქტი ნომადებსა და საქალაქო დასახლებებს შორის</u> - „ურბანულმა რევოლუციამ“ ძვ.წ. IV ათასწლეულში შუამდინარეთი აქცია უნიკალურ სივრცედ, სადაც განვითარებული ქალაქების ქსელი არსებობდა. ამ ქალაქების ცხოვრების სტილი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მეზობლების, მაგალითად, სირიის სტეპებსა და ჩრდილოეთ შუამდინარეთში მცხოვრები მომთაბარეების ცხოვრების წესისგან. მომთაბარეებს შუმერული ფირფიტები „მართუს“ სახელით იხსენიებენ და ცდილობენ, თავი მათგან შორს დაიჭირონ. სამაგიეროდ, მომთაბარეთა პოლიტიკური ელიტები შუამდინარეთს ეტანებოდნენ და გამუდმებით ცდილობდნენ აქაურ ქალაქებში მმართველი დინასტიის ადგილის დაკავებას. მიუხედავად მომთაბარეების ასეთი აქტივობისა, უნდა აღინიშნოს, რომ ისინი დიდად ვერ აფერხებდნენ ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციების განვითარებას.

პირიქით, ბრინჯაოს ხანაში თანდათანობით იზრდება ცივილიზაციის არეალი. თუკი ძვ.წ. IV ათასწლეულში ის დიდი მდინარეების არეალით შემოიფარგლებოდა (ნილოსი ეგვიპტეში, ტიგროსი და ევფრატი შუამდინარეთში, ხუთმდინარეთი ინდოეთში), ძვ.წ. II ათასწლეულში ის უკვე მთელ ახლო აღმოსავლეთს მოიცავს. ამ პერიოდში ყალიბდება სავაჭრო ურთიერთობების არაჩვეულებრივად ფართო ქსელი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა დანიიდან წითელ ზღვამდე და ბრიტანეთის კუნძულებიდან ავღანეთამდე ტერიტორიას. ჩამოყალიბდა სისტემა, რომელსაც ისტორიკოსები ხშირად თანამედროვე გლობალიზაციას ადარებენ. ამ სისტემის ცენტრს წარმოადგენდა ე.წ. „დიდი ხუთეულის“ სახელმწიფოები - პერიფერიას და ნახევრად პერიფერიას კი მომიჯნავე რეგიონები.

ანტიკურობა / რკინის ხანა

ანტიკური ხანა ვრცელი ტერიტორიული იმპერიების ეპოქაა. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად იცვლება პოლიტიკური კულტურის კონფიგურაცია - ცვლილებას განცდის ცენტრისა და პერიფერიის იდეა; იწყება ახალი ტიპის კონფლიქტები:

ა) <u>კონფლიქტი ცივილიზაციებს შორის</u> - ანტიკურ ხანას უკავშირდება მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი დრამატული ეპიზოდი ბერძენ-სპარსელთა ომები (აქემენიანთა სპარსეთისა და ბერძნული პოლისების დაპირისპირება). ეს კონფლიქტი გამორჩეულია არა მხოლოდ დინამიკური ეპიზოდებით (მარათონის ბრძოლა, 300 სპარტელის გმირობა, სალანისის ბრძოლა და სხვა), არამედ იმითაც, რომ მას შედეგად ორ განსხვავებულ მსოფლმხედველობრივ საფუძველზე დაფუძნებული ისტორიულ-კულტურული სივრცის შექმნა მოჰყვა. ბერძენი ავტორები ყველანაირად ცდილობდნენ, საკუთარი ცივილიზაცია პროგრესული ელემენტების მატარებლად წარმოეჩინათ და სპარსელებისგან მისი განსხვავება გამოეკვეთათ. თანამედროვე გადასახედიდან ჩანს, რომ ამ ტიპის მცდელობებში ბევრი რამ იყო გადაჭარბებული, მაგრამ ფაქტია, რომ ამ პერიოდის პოლიტიკური ელიტების ეს პროპაგანდა წარმატებული გამოდგა. თანამედროვე ხედვა ევროპული და აზიური კულტურის ერთმანეთისგან განსხვავებულობის შესახებ სწორედ ამ პერიოდიდან იღებს სათავეს.

ანტიკურ ხანაში დამოუკიდებელი ცივილიზაციის ფორმატში ვითარდებოდა ხმელთაშუაზღვისპირეთი, ახლო აღმოსავლეთი (ჯერ სპარსეთის,

შემდეგ კი არაბთა სახალიფოს ეგიდით), ინდოეთი და ჩინეთი. ცალკე კულტურულ-ისტორიულ სივრცეს ქმნიდა ევრაზიის სტეპები, რომლების მიმართაც ანტიკური ხანის ავტორებისა და თანამედროვე ისტორიკოსების მოსაზრებები ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება.

ბ) <u>კონფლიქტი „ბარბაროს“ მეზობლებთან</u> - ანტიკურ ხანაში არსებობას აგრძელებდა საქალაქო და ნომადური ცხოვრების წესი განსხვავებულობის შესახებ. ეს კონფლიქტი ამ პერიოდში ბევრად მწვავე ხდება. ძველი ბერძნები და რომაელები მეზობელ ხალხებს „ბარბაროსების“ სახელით იხსენიებდნენ და ცდილობდნენ, საკუთარი ელინობისთვის (რჩეულობისთვის) ხაზი ყოველთვის გაესვათ. მათი ამგვარი დამოკიდებულება სხვადასხვაგვარ შედეგს იღებდა - „ბარბაროსული“ ტომების პოლიტიკური ელიტები ხან ბერძნულ-რომაული კულტურის გავლენის ქვეშ ექცეოდნენ (ანუ ელინიზაციას განიცდიდნენ), ხან კი საკუთარ სამყაროს იაზრებდნენ სამყაროს ცენტრად. ანტიკურ ხანაში ევრაზიის სტეპებში ყალიბდება ნომადური იმპერიები (ჰუნების სამეფო, თურქების ჰაკანატი და სხვ.). თანამედროვე ისტორიკოსები მათ დამოუკიდებელ ცივილიზაციად მიიჩნევენ, რომლებმაც ისტორიაში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშეს.

გ) <u>კონფლიქტი სხვადასხვა რელიგიის/მოძღვრების მიმდევრებს შორის</u> - ანტიკურ და გვიანანტიკურ ხანაში ჩამოყალიბდა მონოთეისტური რელიგიები და მოძღვრებები. მათ შორის მალევე გაჩნდა კონკურენცია. რელიგიური თემების ელიტები ყველაფერს აკეთებდნენ მრევლის გასამრავლებლად. ამ მხრივ ყველაზე წარმატებული მაგალითია ქრისტიანობა, რომელიც რამდენიმე საუკუნეში მსოფლიო რელიგიად იქცა. ანტიკური ისტორია ნაკლებად წარმატებულ რელიგიებსაც იცნობს, მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ მანიქეველობა. მისი დამფუძნებელი მანი ახ.წ. III საუკუნეში

ირანის შაჰმა სიკვდილით დასაჯა. ამის შემდეგ მის მიმდევრებს განუწყვეტლივ დევნიდნენ. მიუხედავად ამისა, მთელი ათასი წლის მანძილზე მანიქეველები მაინც ინარჩუნებდნენ თვითმყოფადობას და სხვადასხვა ფორმით ახერხებდნენ საკუთარი რელიგიის განვითარებას.

დ) <u>შიდა დაპირისპირებები</u> - ანტიკური ხანა არის პერიოდი, როცა საზოგადოების ყველა ფენა ცდილობს სასურველი სოციალური წესრიგის დამყარებას. განსხვავებით ბრინჯაოს ხანისაგან, ამ პროცესში აქტიურად ერთვებიან ღარიბი და ყველაზე დაუცველი ადამიანები. ამაში მათ ან ჰოლისის მოქალაქის სტატუსი, ან რელიგიური თემის წევრობა ეხმარებათ.

ანტიკური ისტორია იცნობს ძალიან დრამატულ ისტორიებს, როცა ხმელთაშუაზღვისპირეთის ქალაქებში ერთმანეთს ტირანიის, ოლიგარქიისა და დემოკრატიის მომხრეები უპირისპირდებოდნენ. *ამის კლასიკური მაგალითია რომის რესპუბლიკა, სადაც ძვ.წ. 133- 30 წლებში სამოქალაქო ომები მიმდინარეობდა. ამ ომის დაწყების მიზეზი გახდა სახალხო ტრიბუნ ტიბერიუს გრაჩუსის მკვლელობა, რომელიც პატრიციების კუთვნილი „ზედმეტი“ მიწების თავისუფალი გლეხებისთვის გადაცემის მოწოდებით გამოდიოდა. ამ ტიპის დაპირისპირება ზოგჯერ ქალაქებს შორის სამხედრო დაპირისპირების მიზეზიც ხდებოდა. მაგალითად, ძვ.წ. 331 – 304 წლებში ბერძნულ პოლისებს შორის გაჩაღდა პელოპონესის ომები. ამ ბრძოლაში ერთი დაპირისპირებული მხარე (ათენი) დემოკრატიის პრინციპებს იცავდა, მეორე კი (სპარტა) - ოლიგარქიას.*

არანაკლებ დრამატულია ანტიკური ისტორიის ის ეპიზოდები, როცა სასურველი სოციალური წესრიგისთვის ბრძოლა რელიგიურ საბურველში იყო გახვეული. მონოთეისტური რელიგიების/მოძღვრებების/სწავლებების დოგმატების თავისებურად ინტერპრეტირება ყველა ადამიანს შეუძლია. ანტიკურ და გვიანანტიკურ ხანაში ამ ტიპის ინტერპრეტაციები მხოლოდ კამათში ჭეშმარიტების პოვნის მიზნით არ ხდებოდა. ხშირი იყო შემთხვევა, როცა სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები სხვადასხვა რელიგიური ლიდერის (და მისი სწავლების) გარშემო ჯგუფდებოდნენ და განსხვავებული მოსაზრების მიმართ შეურიგებელ ბრძოლას იწყებდნენ. ამის საუკეთესო მაგალითია IV-VII საუკუნეებში მიმდინარე დისკუსია სამების დოგმატთან დაკავშირებით, რომელთან დაკავშირებული პრობლემების დასაძლევად შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევა გახდა საჭირო.

ე) <u>რომელი ქალაქია იმპერიის ცენტრი?</u> - ანტიკურ ისტორიაში გაჩნდა ახალი ტიპის კონფლიქტი ქალაქების სტატუსთან დაკავშირებით. ამ პერიოდის იმპერიები ვრცელ ტერიტორიაზე იყვნენ განფენილი, სადაც მრავალი ქალაქი ვითარდებოდა. ამ ქალაქების პოლიტიკური ელიტები სულაც არ იყვნენ წინააღმდეგი მათ ქალაქს ცივილიზაციის ცენტრის სტატუსი ჰქონოდა. ამ მხრივ მწვავე დაპირისპირებებს ჯერ კიდევ ძვ.წ. I ათასწლეულის ასურეთის იმპერიაში ჰქონდა ადგილი, თუმცა საუკეთესო მაგალითია რომისა და კონსტანტინოპოლის დაპირისპირება. *330 წელს პირველმა ქრისტიანმა კონსტანტინემ ბოსფორის სრუტესთან ქალაქი კონსტანტინოპოლი დააარსა, რომელიც მალევე იქცა რომის იმპერიის ცენტრად. IV-V საუკუნეებში რომი თანდათან კნინდებოდა, კონსტანტინოპოლი კი სწრაფად იკრებდა ძალებს. იმპერიის ცენტრის აღმოსავლეთისკენ გადანაცვლებამ სასტიკი მღელვარება გამოიწვია. სწორედ ეს მღელვარება გახდა თანდათანობით ცენტრალური და დასავლეთ ევროპის დამოუკიდებელ ისტორიულ სინამდვილედ ჩამოყალიბების მიზეზი.*

შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო

შუა საუკუნეების ისტორია გამოირჩევა მრავალფეროვანი კონფლიქტებით ელიტურ ჯგუფებს შორის:

ა) <u>მეფეების დაპირისპირება ბარონებთან</u> - ფეოდალები დაინტერესებული იყვნენ სამეფო ხელისუფლების სისუსტით, მეფეები კი ესწრაფოდნენ ხელისუფლების ცენტრალიზაციას. *ამის კლასიკური მაგალითია კაპეტინგების დინასტია საფრანგეთში. მათ მეფობა დაიწყეს ვითარებაში, როცა საკუთარ დომენს, ილ დე ფრანსსაც (პარიზის რეგიონში) კი ვერ აკონტროლებდნენ, თუმცა მოღვაწეობა დაასრულეს ძლიერი ცენტრალიზებული სამეფოს შექმნით. მათი მემკვიდრეობა განავითარა მათმა შემცვლელმა ვალუებისა და ბურბონების დინასტიებმა, რასაც XVII-XVIII საუკუნის საფრანგეთში მეფეების აბსოლუტური ძალაუფლების დამყარება მოჰყვა.*

შუა საუკუნეები ფეოდალური დაქსაქსულობის ეპოქაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ლოკალური ცენტრები თავს სულაც არ გრძნობენ ლოკალურ ცენტრებად. მაგალითად, ნორმანდიის, აკვიტანიის, ბრეტანის მცხოვრებლებისთვის საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრი იყო ნორმანდია, აკვიტანია და ბრეტანი, და არა პარიზი, სადაც მეფის რეზიდენცია მდებარეობდა. ისინი, რა თქმა უნდა, მეფის ხელისუფლებასა და მისი ცენტრის მნიშვნელობას სცნობდნენ, მაგრამ ამის გამო საკუთარ მხარეს სულაც არ აღიქვამდნენ პერიფერიად.

ასე იყო კლასიკურ/განვითარებულ შუა საუკუნეებში (XI-XII საუკუნეებში), თუმცა XIII-XIV საუკუნეებიდან, ცენტრალური სამეფო ხელისუფლების გაძლიერებასთან ერთად, ლოკალური ცენტრები თანდათან პროვინციის სტატუსს სჯერდებიან.

ბ) <u>საერო და სასულიერო წოდების დაპირისპირება</u> - *ამ კუთხით კონფლიქტის თვალსაჩინო მაგალითია ინვესტიტურისთვის ბრძოლა XI–XII საუკუნეებში. ამ დაპირისპირების სიმბოლოდ იქცა გერმანიის იმპერატორ ჰაინრიხ IV-ის ვიზიტი რომის პაპ გრიგორი VII-თან კანოსას ციხე-სიმაგრეში, როცა რომის პაპმა სამი დღის განმავლობაში არ მიიღო და თოვლში ფეხშიშველი ალოდინა გერმანის იმპერატორი.*

აქვე უნდა ითქვას, რომ შუა საუკუნეებში არსებობდა ხედვა ერთიან ქრისტიანულ სამყაროზე. ეს ხედვა ავტომატურად აჩენდა აზრს, რომ ქრისტიანულ სამყაროში ყველა სივრცე ერთნაირად მნიშვნელოვანი არ არის. იკვეთებოდა ხუთი დიდი საპატრიარქოს/ხუთი წმინდა ადგილის (რომის, კონსტანტინოპოლის, იერუსალიმის, ანტიოქიისა და ალექსანდრიის) განსაკუთრებული მნიშვნელობა. ევროპის მოსახლეობისთვის განსაკუთრებული როლი ჰქონდა რომს - რომის პაპების რეზიდენციას.

გ) <u>რაინდები და ქალაქები</u> - შუა საუკუნეების ევროპაში ქალაქები ხშირად ცდილობდნენ ფეოდალებისგან დამოუკიდებლობის მოპოვებას. საამისოდ ისინი მეფეებს სთხოვდნენ კომუნის/ავტონომიურობის სტატუსის მინიჭებას. მეფეები ქალაქების ძლიერების გამოყენებას ცდილობდნენ ფინანსების მოსაპოვებლად და საკუთარი გავლენის გასაზრდელად. შუა საუკუნეები და ახალი დრო არის პერიოდი, როცა „მესამე წოდება“ (ანუ ვაჭრებისა და ხელოსნების წოდება) თანდათან ძლიერდება. *ეს საუკეთესოდ ჩანს საფრანგეთის მაგალითზე:*

- *თუკი XI-XII საუკუნეების „მესამე წოდების“ აქტივობა ქალაქების მხრიდან კომუნის მოთხოვნით შემოიფარგლებოდა, XIV საუკუნეში მათ „გენერალურ შტატებში“ (საფრანგეთის პარლამენტში) სათათბირო ხმის უფლება მიიღეს;*
- *“ასწლიანი ომების დროს” პარიზელი ვაჭრების ლიდერმა ეტიენ მარსელმა ხელისუფლების კონტროლის პრაქტიკის დაწესებაც კი სცადა;*
- *XV-XVI-XVII საუკუნეებში „მესამე წოდება“ ვერ ახერხებდა მობილიზებას და „გენერალური შტატების“ ინსტრუმენტად გამოყენებას;*
- *XVIII საუკუნეში კი მან განმანათლებლების (დიდროს, ვოლტერის, მონტესკიეს) სახით იდეური წინამძღოლი შეიძინა. 1789 წელს სწორედ ეს დაეხმარა „გენერალურ შტატებს”, დაეწყო საფრანგეთის რევოლუცია, რომელმაც მთელ ევროპაში შეცვალა სოციალურ-პოლიტიკური გარემო.*

ცალკე ხსენების ღირსია „ჰანზის კავშირი“ და იტალიური ქალაქები. გერმანიისა და იტალიის (ეს ორი სახელმწიფო შუა საუკუნეებში გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერიის ნაწილს წარმოადგენდა) დაქსაქსულობამ, იმპერატორისა და პაპის ხელისუფლების სისუსტემ ქალაქებს შესაძლებლობა მისცა, სრული დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ. „ჰანზის კავშირი“ ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვაში ფლობდა მონოპოლიას. იტალიურ ქალაქებს კი, უპირველეს ყოვლისა, ვენეციასა და გენუას ხმელთაშუაზღვისპირეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან ჰქონდა სავაჭრო კავშირები. ქალაქებისა და მათი ლიდერობის იდეას ბოლო მოუღო, ერთი მხრივ, დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა, რომლებმაც XVII საუკუნიდან ჩრდილოეთსა და ხმელთაშუაზღვისპირეთს მნიშვნელობა დაუკარგეს; მეორე მხრივ კი, „დენთის იმპერიების“ შექმნამ, რომლებიც წინარე პერიოდის მონარქებზე ბევრად ეფექტურად ახერხებდნენ ძალების კონსოლიდაციას. ვენეციის უკიდურესი დასუსტება ერთ-ერთ „დენთის იმპერიასთან” - ოსმალეთთან ჭიდილმა გამოიწვია.

მიუხედავად ზემოთქმულისა, აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეები არის ეპოქა, როცა ციხე-სიმაგრე ბატონობს სოფლის ტიპის დასახლებაზე. შემთხვევითი არ არის, რომ ამ პერიოდის ერთ-ერთი სიმბოლოა გამაგრებული ციხე-კოშკები. ისინი, ერთი მხრივ, სტრატეგიული სამხედრო მნიშვნელობის პუნქტებს, მეორე მხრივ კი, საზოგადოებრივი აქტივობის ცენტრებს წარმოადგენდნენ. საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრს წარმოადგენდა, ასევე, ეკლესია-მონასტრები. ქალაქებს შუა საუკუნეებში, დღევანდელთან შედარებით, ბევრად ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა. აქ მოსახლეობის მხოლოდ ხუთი პროცენტი ცხოვრობდა. თუკი დღეს ქალაქი უპირობო ცენტრია (სხვა ტიპის დასახლება კი - პერიფერია), შუა საუკუნეებში ის ერთ-ერთ პერიფერიულ სივრცედ მოიაზრებოდა. ცხადია, გამონაკლისია რომი, პარიზი და ლონდონი, სადაც რომის პაპებისა და ძლევამოსილი მეფეების რეზიდენცია მდებარეობდა.

დ) <u>გლეხთა აჯანყებები</u> - გლეხები შუა საუკუნეებში საზოგადოების სრულფასოვან წევრად არ მიიჩნეოდნენ. ამას გლეხების მხრიდან განსაკუთრებული პროტესტი არ მოსდევდა, თუმცა, რიგ შემთხვევებში, ადგილი ჰქონდა მათ აჯანყებებს. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი აჯანყება მოხდა საფრანგეთში 1346 წელს. ისტორიაში ის ჟაკერიის სახელით შევიდა.

ე) <u>კონფლიქტი ცივილიზაციებს შორის</u> - ანტიკურობის მსგავსად, შუა საუკუნეების ისტორიაც იცნობს ცივილიზაციებს შორის დაპირისპირებას. ამის გამორჩეული მაგალითია ჯვაროსნული ლაშქრობები, რომელმაც ერთმანეთს აღმოსავლეთქრისტიანული, დასავლეთქრისტიანული და ისლამური ცივილიზაცია დაუპირისპირა.

ევროპაში ცოდნა ქრისტიანული სამყაროს მიღმა არსებული ქვეყნების შესახებ თანდათან იზრდებოდა. ეს პროცესი ძალიან დააჩქარა „დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა". მეცნიერები მიიჩნევენ, რომ სწორედ მათი წყალობით ჩამოყალიბდა მსოფლიო ერთიან სოციო-პოლიტიკურ სისტემად, სადაც რიგმა ქვეყნებმა „ცენტრის", რიგმა ქვეყნებმა - „პერიფერიის", რიგმა ქვეყნებმა კი - „ნახევრადპერიფერიის სტატუსი დაიმკვიდრეს. ამ პერიოდშივე იწყებს ჩამოყალიბებას ევროპოცენტრიზმის, ანუ ევროპული ცივილიზაციის განსაკუთრებულობის იდეა, რომელიც დღემდე არ კარგავს აქტუალობას.

ვ) <u>კონფლიქტი ერთი და იგივე სოციალური ფენის წარმომადგენლებს შორის</u> - შუა საუკუნეებში მწვავე კონფლიქტები მიმდინარეობდა ერთი და იმავე წოდების წარმომადგენლებს შორის - რაინდები გამუდმებით ესხმოდნენ თავს ერთმანეთს, ქალაქები გამუდმებით იბრძოდნენ გავლენის სფეროების გასაფართოებლად (მაგალითად, შეგვიძლია გავიხსენოთ იტალიური ქალაქების - ვენეციის, გენუისა და პიზის დაპირისპირება), თუმცა დაპირისპირება ყველაზე მწვავე აღმოჩნდა სასულიერო წოდების წარმომადგენლებს შორის. ამ მხრივ საეტაპო მნიშვნელობა აქვს რეფორმაციას, რომელიც 1517 წელს მარტინ ლუთერის ძალისხმევით დაიწყო. ლუთერმა ვიტენბერგის ეკლესიაში გამოაკრა „95 თეზისი", რომლის საშუალებითაც ის კათოლიკური სამღვდელოების უკეთურ საქციელს ამხელდა. ლუთერს სულაც არ სურდა ახალი რელიგიური მიმდინარეობის დაარსება, მიუხედავად ამისა, მის ქმედებას „რელიგიურ საბურველში გახვეული რევოლუციის" დაწყება მოჰყვა. ერთმანეთს დაუპირისპირდა დაბალი და უმაღლესი სამღვდელოება, ორად - პროტესტანტულად და კათოლიკურად გაიყო კათოლიკური ეკლესიის ერთიანი სივრცე. ამან კი ხელი შეუწყო არა მხოლოდ ეროვნული ეკლესიის, არამედ ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებასაც.

ზ) <u>დაპირისპირება სახელმწიფოებს შორის</u> - გვიანი შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო არის პერიოდი, როდესაც მნიშვნელოვანი გარდატეხა ხდება სახელმწიფოს რაობის, მისი ფუნქციის გააზრების თვალსაზრისით. ამ დროიდან სახელმწიფოები თანდათან ყალიბდებიან ეროვნული კონსოლიდაციის ინსტრუმენტად. რეფორმაცია ამ კუთხითაც საეტაპო მნიშვნელობის მოვლენად მიიჩნევა. ცვლილებების ხასიათს კარგად წარმოაჩენს 1555 წლის აუგსბურგის რელიგიური ზავი, რომლის შინაარსსაც კარგად გამოხატავს სიტყვები: „ვისიც ქვეყანაა, რჯულიც მისია" - ანუ ნებისმიერი სახელმწიფოს მმართველ ელიტას თავად შეუძლია გადაწყვიტოს, მისი ქვეყანა რომელი რელიგიის მიმდევარი იქნება.

მოდერნი და პოსტმოდერნი

ქალთა ემანსიპაცია მე-19 საუკუნეში

ბერლინის კედელი, 1989

სახელმწიფოებრიობის შემდგომი განვითარება მოსდევს ნაციონალიზმის ეპოქას. მისი წყალობით ყალიბდება ნაცია სახელმწიფოები, სადაც ჩამოყალიბებას იწყებს ახალი ტიპის ელიტური ჯგუფები. ეს არის **პოლიტიკურ-ადმინისტრაციული, კულტურული, სამხედრო და ეკონომიკური ელიტა.**

ა) <u>პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ელიტა</u> - ნაციონალიზმი შექმნა ბიუროკრატიამ, რომელიც აბსოლუტიზმის ხანის მონარქების სამსახურში იდგა. მათ თანდათანობით თავი გაიაზრეს ფართო საზოგადოების (და არა მხოლოდ მეფეების) მსახურად და მმართველებისთვის იწყეს ქვეყნის/ნაციის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების შეთავაზება. XIX საუკუნე ხუთ დიდ მონარქს შორის (ინგლისის მეფე, პრუსიის მეფე, ავსტრიის მეფე, საფრანგეთის მეფე, რუსეთის მეფე) „საღვთო კავშირის“ ეპოქაა, თუმცა ეს

მონარქები ქვეყანას საკუთარი წინამორბედებისგან განსხვავებულად მართავდნენ. ისინი ყოველთვის ითვალისწინებდნენ ბიუროკრატიული ელიტების აზრს, რომლებიც, როგორც წესი, ყველაზე უკეთ გრძნობდნენ ქვეყანაში არსებულ ვითარებას.

ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული ელიტისა და მათი პროექტების წარმატებას დიდად შეუწყო ხელი ბეჭდვითი მედიისა განვითარებამ და ურბანიზაციამ:

- “ინდუსტრიულმა რევოლუციამ“ გამოიწვია დიდი ოჯახის ტრადიციების მოშლა და დიდი რაოდენობის მოსახლეობის ქალაქებში თავმოყრა. ქალაქში თავმოყრილი ადამიანები ძალიან იყვნენ დამოკიდებული სახელმწიფო პოლიტიკაზე, შესაბამისად, საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხების მიმართ დიდ ინტერესს ამჟღავნებდნენ;
- XIX საუკუნეში საუკუნეში ძალიან ბევრ ქვეყანაში მკვიდრდება საყოველთაო საჯარო განათლება. შედეგად იზრდება წერა-კითხვის მცოდნე ადამიანების რიცხვი. ეს ადამიანები აქტიურად ეცნობიან პრესას, რომელზეც დიდი ზეგავლენა აქვს ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციულ ელიტას.

ბ) <u>სამხედრო ელიტა</u> - ნაციონალიზმის ეპოქაში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა არმიას. ბევრი ადამიანი არმიაში (და არა სკოლაში) ეცნობოდა ერთიან ნაციონალურ კულტურას. არმიაში სამხედრო წვრთნასთან ერთად მათ სამოქალაქო აღზრდასაც აქცევდნენ ყურადღებას. XIX საუკუნეში არმია გაწვევის საფუძველზე კომპლექტდებოდა. აქ ერთმანეთს ხვდებოდნენ ქვეყნის სხვადასხვა მხარისა და სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები, ყალიბდებოდა სოლიდარობის განცდა. არმია იყო სოციალიზაციის უმნიშვნელოვანესი აგენტი.

არმიის როლის ზრდა სამხედრო ელიტის აღზევებასაც იწვევდა. პროფესიონალ ოფიცრებს ჩამოუყალიბდათ საკუთარი ხედვა ქვეყნის განვითარებასთან დაკავშირებით, სადაც მთავარი იყო დისციპლინა და ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესებზე კონცენტრაცია. სამხედრო ელიტა ყოველთვის გამოდიოდა სეპარატიზმის წინააღმდეგ და ყოველთვის იდგა კონსერვატორული ღირებულებების სადარაჯოზე.

გ) <u>ზრუნვა ხალხზე - მშრომელთა ელიტა</u> - ნაციონალიზმი ომების ეპოქაა, თუმცა ამავდროულად არის სოციალური პროგრამების ეპოქაც. სამხედრო

მოსამსახურეებს/ქვეყნის დამცველებს სჭირდებოდათ პენსია და სამედიცინო დახმარება. იმ ადამიანებს კი, რომლებიც საკუთარი შრომით არმიას ზურგს უმაგრებდნენ, სჭირდებოდათ საოჯახო საქმეებში მხარდაჭერა. ასე შეიქმნა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში საბავშვო ბაღები ფაბრიკა-ქარხნებში დასაქმებული ქალების მხარდასაჭერად; ასე ჩამოყალიბდა პროფკავშირები იურიდიულ-ფინანსურ-პოლიტიკურ საკითხებში ნაკლებად ჩახედული მუშების უფლებების დასაცავად.

სოციალური სერვისების განვითარებას მოსდევდა ახალი ტიპის ელიტების ჩამოყალიბება, რომლებიც არასოდეს იყვნენ კმაყოფილი ხალხის მდგომარეობით და გამუდმებით ავსებდნენ რევოლუციურად განწყობილი პოლიტიკური პარტიების რიგებს.

დ) <u>კაპიტალისტური ელიტა</u> - კაპიტალისტები ნაციონალიზმის ეპოქაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ. ამ პერიოდში ქვეყნის ბედს მათი საწარმოების ეფექტურობა განსაზღვრავს. ძლიერ არმიასთან ერთად, ქვეყანას განვითარებული მრეწველობა სჭირდება მოწინავე სახელმწიფოებს შორის ადგილის დასამკვიდრებლად. ამის გამო კაპიტალისტებს გარკვეული დამოკიდებულებები უყალიბდებათ სახელმწიფოს მიმართ, ჩნდება ელიტები, რომლებიც ამ ინტერესების ლობირებას ცდილობენ.

მათი პროექტებისთვის მთავარი მტერი იყო მემამულეები, რომლებიც ფეოდალური წარსულიდან გამოყოლილ ბევრ პრივილეგიას ფლობდნენ. ისინი კრიტიკულად იყვნენ განწყობილი საბიუჯეტო ხარჯების (მაგალითად, არმიისა და ადმინისტრაციის სასარგებლოდ) ზრდის მიმართაც. ამ თვალსაზრისით, XIX საუკუნის ეკონომიკური ელიტები თანამედროვე ბიზნეს-ფინანსური სექტორის წინაპრებად გვევლინებიან.

ე) <u>კულტურული ელიტა</u> - ნაციონალიზმის ეპოქა არის პერიოდი, როცა განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეროვნული კულტურის განვითარებას და მის სათანადო რეპრეზენტაციას. გამომდინარე აქედან, ქვეყანაში იზრდება მწერლების, მეცნიერების, მსახიობებისა და კულტურული ელიტის სხვა წარმომადგენლების როლი.

აღსანიშნავია, რომ კულტურული ელიტების მნიშვნელობა ძალიან დიდი იყო იმ ქვეყნებში, რომლებიც XIX საუკუნეში კოლონიის, ან ნახევრად კოლონიის სახით არსებობდნენ. ამ ქვეყნებს არ შეეძლოთ მეტროპოლიასთან სამხედრო და ეკონომიკური კუთხით დაპირისპირება, საკუთარი ქვეყნის წარსულითა და ღირსშესანიშნაობებით კი ნამდვილად შეეძლოთ თავის მოწონება. ასეთ ქვეყნებში მწერლები და პუბლიცისტები ნამდვილ ეროვნულ გმირებად ჩამოყალიბდნენ. მათი შემოქმედება აღვივებდა ეროვნულ სულისკვეთებას, ხელს უწყობდა საზოგადოების კონსოლიდაციას. *ამის კარგი მაგალითია თერგდალეულები. შემთხვევითი არ არის, რომ ილია ჭავჭავაძეს დღემდე ვუწოდებთ „ერის მამას“ და „საქართველოს უგვირგვინო მეფეს“*.

საერთაშორისო კონფლიქტები - საერთაშორისო კონფლიქტები მოდერნული და პოსტმოდერნული პერიოდის „სავიზიტო ბარათია“. ორი საუკუნის განმავლობაში კაცობრიობამ იხილა ორი მსოფლიო ომი, „ცივი ომი“ და კიდევ უამრავი წვრილი კონფლიქტი, რომელმაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად, კონფლიქტების ასეთი დიდი მასშტაბი საერთაშორისო ურთიერთობების სისტემამაც განაპირობა. მისი ჩამოყალიბების გზაზე პირველი ნაბიჯი იყო 1648 წლის ვესტფალიის ზავი, რომელმაც ევროპაში 30 წლიანი ომის შედეგები შეაჯამა. თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა ვესტფალიის ზავის შედეგად ჩამოყალიბებული კავშირ-ურთიერთობების განვითარების შედეგს წარმოადგენს:

ეტაპი 1. XVII-XVIII საუკუნეებში აბსოლუტისტური მონარქიები (ავსტრიელი ჰაბსბურგები, ფრანგი ბურბონები, რუსი რომანოვები და სხვ.) ვესტფალიის ზავის მიერ მოხაზულ კონტურებში აწარმოებდნენ სამხედრო კონფლიქტებს (ესპანეთის მემკვიდრეობისთვის ომი, ავსტრიის მემკვიდრეობისთვის ომი, „შვიდწლიანი ომი“ და სხვ.);

ეტაპი 2. XVIII–XIX საუკუნის მიჯნაზე მოხდა საფრანგეთის რევოლუცია, რომელსაც მოჰყვა ნაპოლეონის ომები. მიუხედავად ნაპოლეონის სამხედრო წარმატებებისა, ეს ომები მარცხით დასრულდა. 1815 წელს მოწვეულ იქნა ვენის კონგრესი; შეიქმნა „საღვთო კავშირი“, რომელიც რევოლუციური იდეების წინააღმდეგ იყო მიმართული. „საღვთო კავშირში“ ხუთი დიდი მონარქია - ავსტრია, ინგლისი, საფრანგეთი, პრუსია და რუსეთი შედიოდა;

ეტაპი 3. ვენის კონგრესის შედეგების გარკვეულ დონეზე გადასინჯვა გამოიწვია XIX საუკუნის 60-იან წლებში იტალიისა და გერმანიის გაერთიანებამ. მას შედეგად მოჰყვა ახალი ტიპის ალიანსების - ანტანტასა და „სამთა კავშირის“ ჩამოყალიბება, რამაც ევროპა პირველ მსოფლიო ომამდე მიიყვანა;

ეტაპი 4. პირველი მსოფლიო ომის შედეგები შეაჯამა ვერსალის საზავო ხელშეკრულებამ. ამიტომ ამ პერიოდში სახელმწიფოთა შორის დამკვიდრებულ კავშირ-ურთიერთობებს ვერსალის სისტემას უწოდებენ. ეს სისტემა არ გამოდგა წარმატებული, მან კაცობრიობას მეორე მსოფლიო ომი მოუტანა;

ეტაპი 5. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ყალიბდება სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების ბანაკი. მათ შორის იწყება „ცივი ომი“, რომელსაც თან ახლავს არაერთი სისხლისმღვრელი კონფლიქტი (კორეის ომი, ვიეტნამის ომი, ავღანეთის ომი და სხვ). „ცივი ომის“ პერიოდში განვითარების თითქოს ორიგინალურ გზას ირჩევენ ე.წ. „მესამე სამყაროს“ ქვეყნები. XX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო დეკოლონიზაცია, შესაბამისად, გაჩნდა უამრავი სახელმწიფო, რომელიც დღეს „მესამე სამყაროს“ ნაწილად მოიაზრება.

დავალება. ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ ეტაპს დაუკავშირეთ თქვენთვის ცნობილი ახალი ისტორიის მოვლენები.

თანამედროვე პოლიტიკურ სისტემაზე საუბარი შესაძლებელია 1991 წლიდან, როცა დაიშალა საბჭოთა კავშირი და დასრულდა „ცივი ომი“. ეს ეტაპი ხასიათდება დემოკრატიის პრინციპების ფართოდ აღიარებითა და კაცობრიობის შედარებით მშვიდობიანი განვითარებით. მიუხედავად ამისა, თანამედროვე ეტაპზე თვალს ვადევნებთ საკმაოდ არაერთმნიშვნელოვან პროცესებს, რომელთა ზუსტად სახელდებაც კი არ არის იოლი.

ა) პროცესების ერთი ტიპის არსი კარგად ჩამოაყალიბა ფრანგმა ფილოსოფოსმა ბერნარ ანრი ლევიმ წიგნში „იმპერია და ხუთი ხელმწიფე“. იმპერიას

ავტორი აშშ-ს უწოდებს, თუმცა იქვე ბევრ დროს ხარჯავს იმის ასახსნელად, რომ ამერიკა მეტად თავისებური, წარსული ეპოქებისგან ფრიად განსხვავებული იმპერიაა. ის არის პროგრესული პროცესების ფლაგმანი, რომელიც ხელს უწყობს დემოკრატიული ღირებულებების დაცვასა და რეალიზებას.

„ხუთ ხელმწიფეში“ კი ბერნარ-ანრი ლევი მოიაზრებს ჩინეთს, ირანს, რუსეთს, თურქეთსა და საუდის არაბეთს. ავტორის აზრით, ეს არის ქვეყნები, რომლებიც დღეს მსოფლიო პოლიტიკური წესრიგის შეცვლას ცდილობენ. მათ ერთმანეთთან ცოტა საერთო აქვთ, თუმცა, თითოეული მათგანი ესწრაფვის:

- წინარე პერიოდის იმპერიული დიდების დაბრუნებას;
- დემოკრატიის პრინციპების გადასინჯვას;
- მსოფლიოს გავლენის სფეროებად დაყოფას.

წიგნში ბერნარ-ანრი ლევი წუხს იმის გამო, რომ აშშ თანდათანობით სულ უფრო თმობს პოზიციებს და ნაბიჯებს დგამს იზოლაციონისტური პოლიტიკისკენ, მიუხედავად იმისა რომ მას ყველა საშუალება აქვს, დემოკრატიის პრინციპები დაიცვას და მთელ მსოფლიოს განვითარების გეზი მისცეს.

ბ) პროცესების მეორე ჯგუფის სიმბოლოდ შეიძლება წარმოვიდგინოთ ბრექსიტი. ამ სახელით იხსენიებენ რეფერენდუმის შედეგებს, რომლის წყალობითაც დიდმა ბრიტანეთმა 2016 წელს ევროკავშირი დატოვა. ამის მიზეზი იყო:

- ევროკავშირის ბიუროკრატიისადმი უნდობლობა; მისი წევრობისთვის გაწეული ხარჯების არამიზნობრიობა;
- მიგრანტების პრობლემა, რომელიც ევროკავშირის მხრიდან თავსმოხვეულ პოლიტიკად იყო აღქმული.

ბრექსიტი ადასტურებს, რომ, გლობალიზაციის პროცესის დომინანტობის მიუხედავად, თანამედროვე პოლიტიკური ელიტები სულ უფრო მეტად ესწრაფვიან, თავი აარიდონ რთულ საერთაშორისო ალიანსებს, რომლებიც გარკვეულწილად ზღუდავს სახელმწიფოების სუვერენიტეტს. შეზღუდვად აღიქმება საერთაშორისო პოლიტიკის ნორმების ერთგულება, რაც ქვეყნის შიგნით ზოგიერთ საზოგადოებრივ ჯგუფს ეროვნული ინტერესების დაჯნინებაზე საუბრის შესაძლებლობას აძლევს.

გ) ცალკე შეიძლება ვისაუბროთ სეპარატიზმის პრობლემაზე, ანუ ახალი პოლიტიკური ცენტრებისა და პოლიტიკური ელიტების გაჩენაზე. დღეს ყველა ქვეყანა იყოფა რაიონულ ცენტრებად, რომლებიც დედაქალაქს/ცენტრალურ ხელისუფლე ბას ემორჩილება. ბევრ რეგიონს აქვს ავტონომია, ზოგიერთი ქვეყანა კი სულაც ფედერაციული პრინციპით არის მოწყობილი. მიუხედავად ამისა, მსოფლიოში მატულობს რეგიონების რიცხვი, რომლებიც სულ უფრო ესწრაფვიან თვითგამორკვევას. ამის მაგალითები დღეს ყველა კონტინენტზე მოიძებნება. თითოეული მსგავსი კონფლიქტი ცალკე შესწავლას მოითხოვს, თუმცა თვალსაჩინოა ზოგადი პრობლემაც, რომელიც საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპის დაცვას უკავშირდება.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ ახალი და უახლესი ისტორია არის პერიოდი, როცა ეროვნული ნიშნით ჩამოყალიბებული სახელმწიფოები თავს ერთიანი პოლიტიკური სივრცის ნაწილად მოიაზრებენ. ამას დადებითი შედეგებიც მოსდევს და უარყოფითიც. დადებით შედეგია ის, რომ სახელმწიფოები იზიარებენ საერთაშორისო სამართლის ნორმებს, თუმცა, მეორე მხრივ, აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყნებს შორის ხშირი ინტერაქცია პოლიტიკური კონფლიქტების ალბათობასაც ზრდის.

ძალაუფლების სიმბოლოები; მმართველობითი სტრუქტურები

- რა მოიაზრება ძალაუფლების სიმბოლოდ? რა ბერკეტების გამოყენებით ხდება პოლიტიკის რეალიზება?

არსებობს „სოლიდარობა“ და არსებობს „მმართველობითი სტრუქტურა“ (ფორმალური და არაფორმალური ბერკეტების ერთიანობა, რომელიც საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების მართვისთვის არის საჭირო). სოლიდარობა ერთმნიშვნელოვნად კარგი სიტყვაა - რა შეიძლება იყოს იმაზე უკეთესი, თუ არა გარკვეული ღირებულებების გარშემო გაერთიანებული ადამიანების ჯგუფი, რომელიც მიზანმიმართულად მოქმედებს კეთილშობილური მიზნის მისაღწევად. თუმცა, ამ მიზნისკენ სვლას ორგანიზება/მართვა სჭირდება. ეს არ არის რთული, როცა საქმე მცირერიცხოვან ჯგუფებს შეეხება, თუმცა მრავალრიცხოვან კოლექტივში პროცესების მართვასთან დაკავშირებული პრობლემები მრავლად იჩენს თავს. ეს პრობლემები შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს:

1) პირველი ნაწილის შინაარსს კარგად მიესადაგება ნიკოლო მაკიაველის სიტყვები **„მიზანი ამართლებს საშუალებას“**. მმართველობითი სტრუქტურების სათავეში მყოფი ხალხი ხშირად არის დილემის წინაშე - რა „წითელი ხაზების“ გადაკვეთა შეიძლება ან არ შეიძლება დასახული მიზნის მისაღწევად; თუკი მიზანი კეთილშობილურია, შეიძლება თუ არა ყველა საშუალებით მის მიღწევაზე ზრუნვა? მაგალითად, რამდენად გამართლებულად შეიძლება ჩაითვალოს რეპრესიები, რომელსაც საბჭოთა პერიოდის მმართველები სოციალური თანასწორობის იდეის მისაღწევად ჩადიოდნენ? თანამედროვე სამყაროში, სადაც მთავარი ღირებულებაა ადამიანი, ამ შეკითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი შეიძლება არსებობდეს - ვერც ერთი მიზანი ვერ ჩაითვლება კეთილშობილურად, თუკი მისი რეალიზებისთვის ადამიანების დამცირება და ფიზიკური განადგურებაა საჭირო. ეს იმას ნიშნავს, რომ მმართველობითი სტრუქტურები, კონკრეტული საზოგადოების ინტერესებთან/კონკრეტული საქმის ლოგიკასთან ერთად, უნივერსალურ ჰუმანურ პრინციპებსაც უნდა ითვალისწინებდნენ.

დავალება.

იმსჯელეთ, თქვენი აზრით, რამდენად ითვალისწინებს ამ პრინციპს თქვენთვის ცნობილი ქვეყნების პოლიტიკური კულტურა?

დავალება.

იმსჯელეთ, როგორ გესმით დათა თუთაშხიას მიერ ნათქვამი სიტყვები - „ჯერ წესია საქმე და შემდეგ საქმეა საქმე“. შეადარეთ ის ნიკოლო მაკიაველის სიტყვებს „მიზანი ამართლებს საშუალებას“.

ნიკოლო მაკიაველი XV-XVI საუკუნეების იტალიაში მოღვაწობდა. მან დაწერა თხზულება „მმართველი“, სადაც ის საკმაოდ ხისტად და ცივად საუბრობს, რა სჭირდება ხელისუფალს ძალაუფლების შესანარჩუნებლად და დასახული მიზნის მისაღწევად. მისმა ასეთმა პირდაპირობამ საზოგადოება შოკში ჩააგდო. ამის გამო მისი წიგნები კათოლიკურმა ეკლესიამ აკრძალული ლიტერატურის სიაში შეიტანა. მიუხედავად ამისა, მაკიაველის „მმართველი“ მაინც რჩება საეტაპო მნიშვნელობის ნაწარმოებად. მას დღემდე იყენებენ პოლიტიკურ მეცნიერებებში.



2) მმართველობასთან დაკავშირებული მეორე პრობლემის აღსაწერად შეგვიძლია გამოვიყენოთ რომაული გამონათქვამი - „ვინ უდარა-

ჯებს დარაჯებს?“. ეს სიტყვები მიემართება საჯარო მოხელეებს, რომლებიც არაკეთილსინდისიერად იყენებენ საკუთარ თანამდებობას. ეს კი საზოგადოებაში სახელმწიფოს მიმართ ნდობას ანელებს. თანამედროვე ეტაპზე პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში გაისმის ბრალდება მმართველობითი სტრუქტურების მოუქნელობასთან და კორუმპირებულობასთან დაკავშირებით. რა არის ამის მიზეზი? კონკრეტული ადამიანების არაკომპეტენტურობა და მორალური პრობლემები, თუ სახელმწიფოს, როგორც სისტემის, გაუმართაობა/“დრომოჭმულობა“?

დავალება.

ისტორიამ შემოინახა არაერთი თხზულება, რომელშიც ავტორები (მაგალითად, პლატონი, თომას მორი) იდეალურ სახელმწიფოს აღწერენ. ასეთი ტიპის თხზულებებს ხშირად უტოპიებს უწოდებენ იმის გამო, რომ ისინი, ობიექტურ რეალობაზე მეტად, ავტორების სურვილებს წარმოაჩენენ. უტოპიები ძალიან უყვართ კინორეჟისორებსაც.

შეეცადეთ, შექმნათ უტოპიის თქვენეული ვერსია - ჩამოაყალიბეთ, თქვენი აზრით, როგორ იქნებოდა იდეალური სახელმწიფო.

დღეს ხშირად კამათობენ იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება მმართველობითი სტრუქტურების შემდგომი განვითარება:

- ▷ უნიტარული მმართველობა უფრო ეფექტურია, თუ ფედერაციული?
- ▷ რა უნდა შედიოდეს ადგილობრივი და რა - ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაში?
- ▷ უნდა ერეოდეს თუ არა სახელმწიფო ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირებაში?

პარალელურად, მეცნიერებს შორის დავის საგანია ისიც, თუ რა ბედი ელის სამომავლოდ ნაცია-სახელმწიფოს - *დარჩება მას უბრალოდ სიმბოლური მნიშვნელობა, თუ, პირიქით, მისი როლი გაიზრდება იმის გამო, რომ გლობალურ სამყაროში განსხვავებულ ჯგუფებს ერთმანეთთან ექნებათ გამწვავებული კონკურენცია?*

თანამედროვე ეტაპზე თითქოს იგრძნობა სახელმწიფოს როლის შესუსტება:

ა) სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ადამიანების ძალისხმევით იქმნება გლობალური კულტურები და სუბკულტურები. თითქოს ყალიბდება ინტერნაციონალური კულტურული ელიტები;

ბ) სულ უფრო იზრდება საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების როლი;

გ) იკვეთება მთელი პლანეტისთვის აქტუალური გლობალური ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პრობლემები. ეს ბევრ ადამიანს აფიქრებინებს, რომ სამომავლოდ ტრანსნაციონალური თანამშრომლობა კიდევ უფრო გაძლიერდება, რაც სახელმწიფო ინსტიტუტების უკიდურეს დასუსტებას გამოიწვევს, ძალაუფლების ბერკეტები კი სულ უფრო და უფრო მეტად გადაეცემათ საერთაშორისო ორგანიზაციებს.

თუმცა, არსებობს მეორე მოსაზრებაც. მისი ავტორები ყურადღებას ამახვილებენ ტენდენციებზე, რომლებიც თანამედროვე ეტაპზე,

პირიქით, ზრდის სახელმწიფოს ფუნქციას და აძლიერებს მოქალაქეების შეკვეთას ძლიერ სახელმწიფოზე. შეიძლება ამის დასტური იყოს რადიკალური მემარჯვენე ძალების მზარდი რეიტინგი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში.

თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფო სულ უფრო ერევა ეკონომიკაში:

- იცავს საკუთარი მრეწველებისა და ფერმერების ეკონომიკურ ინტერესებს;
- განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევს მრეწველობის ტრადიციული დარგების განვითარებას;
- „ტაბუს“ ადებს მაღალი ტექნოლოგიების წარმოების შესახებ ცოდნას (ზუსტად ისე, როგორც შუა საუკუნეებში ჩინელები ცდილობდნენ, სხვა ქვეყნებს არ გაეგოთ აბრეშუმის წარმოების ტექნოლოგია);
- აიძულებს ტრანსნაციონალურ კომპანიებს, ქვეყნისთვის სასარგებლო პროექტები განახორციელონ;
- ხელს უწყობს რეგიონული ეკონომიკური კავშირების განვითარებას.

გვაქვს საფუძველი, ვიფიქროთ, რომ სამომავლოდ სახელმწიფოს აქტივობა კიდევ უფრო მეტად გაძლიერდება, რამაც ნაციონალიზმის ახალი ტალღა შეიძლება გამოიწვიოს. ამის მიზეზია მიგრაციები. განვითარებული ქვეყნების საზოგადოება მათზე დღესაც მტკივნეულად რეაგირებს, არადა სამომავლოდ, კლიმატური და სოციალური პრობლემების გამო, მოსალოდნელია ვითარების კიდევ უფრო მეტად გამწვავება. საილუსტრაციოდ გამოდგება პალესტინელი ლტოლვილების პრობლემა, რომელთა მიღებაც არც ერთ ქვეყანას არ სურს.

აღსანიშნავია ისიც, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებს ძალიან უჭირთ მთელ მსოფლიოში „გლობალური წესრიგის“ დამყარება. აქედან გამომდინარე, არსებობს საფრთხე, რომ სამომავლოდ კიდევ უფრო გამრავლდეს კონფლიქტის კერები და უსაფრთხოების ნაკლები გარანტიები ჰქონდეთ სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით სუსტ ქვეყნებს.

დავალება.

ფუტუროლოგია არის მეცნიერების დარგი, რომელიც მომავლის პროგნოზირებას ცდილობს. წარმოიდგინეთ თავი ფუტუროლოგად. გამოთქვი ვარაუდი - როგორი იქნება სახელმწიფოსა და საერთაშორისო ინსტიტუტების როლი სამომავლოდ. პასუხი დააბუთეთ.

დანართი. ძალაუფლების სიმბოლოები და მმართველობითი ბერკეტები (ისტორიული მიმოხილვა)

პირველყოფილი საზოგადოება	პირველყოფილ საზოგადოებაში არ არსებობდა ძალაუფლების სიმბოლოები და ბერკეტები. 20-30 ადამიანით დაკომპლექტებულ საზოგადოებაში, რომლის წევრებიც ერთმანეთს კარგად იცნობდნენ, გადაწყვეტილებების მიღებისა და რეალიზებისთვის არ იყო საჭირო სახელისუფლებო ინსტიტუტები და სხვა მმართველობითი ბერკეტები. საზოგადოების წევრებს შორის მეტ ნდობასა და გავლენას იმსახურებდნენ ადამიანები, რომლებსაც სხვებზე უკეთ გამოსდიოდათ ნადირობა და შემგროვებლობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლიდერი იყო ის, ვინც სხვაზე მეტ სამსახურს უწევდა კლანის წევრებს.
ნეოლითი და ბრინჯაოს ხანა	მმართველობითი სტრუქტურები და ძალაუფლების სიმბოლოები ჩნდება მას შემდეგ, რაც იზრდება საზოგადოებრივი ჯგუფების ზომა. ეს თანდათანობით ხდება გამყინვარების დასრულების შემდგომ პერიოდში: ადამიანები ჯერ სახლდებიან ფლორითა და ფაუნით მდიდარ გეოგრაფიულ არეალში; სწავლობენ მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას, მეთნეობასა და მეტალურგიას. ძვ.წ. IV ათასწლეულში კი ქმნიან საქალაქო ტიპის დასახლებებს. სწორედ ამ დროიდან შემორჩენილია წერილობითი წყაროები და გამოსახულებები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, ვიმსჯელოთ - როგორ იყო მმართველობა ორგანიზებული ბრინჯაოს ხანაში. დავიწყოთ იმის აღნიშვნით, რომ ბრინჯაოს ხანაში ხელისუფლების ცნება ჩვენგან განსხვავებულად ესმოდათ. შუმერულ მითებში დაცულია ლეგენდა ქალაქ ერიდუზე, სადაც „ციდან დაეშვა სამეფო ხელისუფლება“. ძველი აღმოსავლეთის ხალხები მიიჩნევდნენ, რომ სამყარო იყო „ღმერთების სარბიელი“, რომლებმაც ცივილიზაცია გარკვეული პირობების სანაცვლოდ უბოძეს ადამიანებს. ქურუმი და მეფე, უპირველეს ყოვლისა, ღმერთის მსახური იყო. მათი მთავარი ფუნქცია იყო ხალხისთვის ღმერთების ნება ეცნობებინათ; უფრო კი - ისინი ღვთაებათა რისხვისგან ეხსნათ. ასეთი ხედვა, ცხადია, ძალაუფლების სიმბოლოებზეც ახდენდა ზეგავლენას. ყველა შუმერულ ტაძარში იდგა ზიქურათი. ეს იყო პირამიდის მსგავსი მაღალი შენობა, რომლის ბოლო სართულიც ღმერთების სადგომად მიიჩნეოდა. ხელისუფლების ერთ-ერთ სიმბოლოს წარმოადგენდა საკანონმდებლო ძეგლები, რომელიც ასევე ღმერთების სახელით გამოიცემოდა. ამ კუთხით ყველაზე ცნობილი ნიმუშია ჰამურაბის კანონები, რომელიც ძვ.წ. XVII საუკუნეში შეიქმნა. აქ მეფე ჰამურაბი ღვთაება შამაშის სახელით საუბრობს და ჩამოთვლის კანონებს, რომლებიც ქალაქ ბაბილონის მცხოვრებლებმა უნდა დაიცვან. აღსანიშნავია ისიც, რომ ბრინჯაოს ხანის მმართველები თავს ხშირად იწონებდნენ დიადი საქმეებით. ისინი მართავდნენ სამხედრო ოპერაციებს, აშენებდნენ ტაძრებს, სასახლეებს, ქალაქის კედლებსა და სარწყავ არხებს. ქმნიდნენ წარწერებსა და ჩანაწერებს, სადაც დეტალურად აღნიშნავდნენ, რა მატერიალური რესურსი და ფიზიკური ძალისხმევა დასჭირდა ჩანაფიქრის განხორციელებას. ეს წარწერები და ჩანაწერები, რა თქმა უნდა, იყო ძალაუფლების გარკვეული სიმბოლო. ის ქალაქის მცხოვრებლებს ყოველდღიურად ახსენებდა, რამდენად ყოვლისშემძლე ხელისუფალი მართავდა მათ ქვეყანას.

	რაც შეეხება ძალაუფლების რეალიზებას, ლურსმულ ფირფიტებში ხშირად იხსენიება სასახლის მოხელეები, რომლებიც, როგორც ჩანს, ურიგოდ არ უძღვებოდნენ საკუთარ საქმეს. ამ პერიოდში პრაქტიკულად მხოლოდ მათ და ქურუმებს შეეძლოთ წერა-კითხვა. ხშირად ისინი ერთადერთი ხიდიც კი იყვნენ ტაძარს, სასახლესა და ფართო საზოგადოებას შორის.
ანტიკურობა / რკინის ხანა	ანტიკურობა არის პერიოდი, როცა ჩნდება მონოთეისტური რელიგიური მოძღვრებები. მონოთეისტურ მოძღვრებათა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ არა მხოლოდ ქრისტიანობა, ისლამი და იუდაიზმი, არამედ მაზდეანობა, ბუდიზმი, კონფუციანელობა, დაოიზმი და თვით მარდუქისა და ასურის კულტიც კი (ბაბილონსა და ასურეთში). რელიგიების მოძღვრებებად გარდაქმნამ, ცხადია, ძალაუფლების ფენომენის გააზრებასა და რეპრეზენტაციაზეც იქონია გავლენა. ხელისუფლების ზეციური წარმომავლობა არავის უარუყვია, მაგრამ მასთან ერთად ზეციურთან ნაზიარებად მიიჩნეოდა რელიგიური თემის ყველა წევრი; გარემომცველი სამყარო კი აღქმული იყო კოსმოსური ჰარმონიის მიწიერ გამოვლინებად (ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო, ბრინჯაოს ხანასთან შედარებით, სადაც ადამიანი ღმერთების უბრალო მსახური იყო). მაგალითად, ქრისტიანული რელიგია გვიანდელი პერიოდის რომის იმპერიას ხედავდა ზეციური წესრიგის მიწიერ განსახიერებად. აღსანიშნავია ისიც, რომ მონოთეისტურ რელიგიებში აღარ იყო მიღებული მმართველის ღმერთთან გაიგივება. ყოველივე ზემოთქმული ანტიკური სამყაროს ძალაუფლების სიმბოლოებზეც აისახა. ამ პერიოდის ტაძრები და საჯარო სივრცეები ხდება ხალხის თავშეყრის ადგილები. არქიტექტურა კი აღარ არის ძველებურად მონუმენტური (მასში სულ უფრო ხშირად ვხედავთ უბრალო ადამიანებს). ანტიკურობა გამორჩეულია იმით, რომ ამ პერიოდში ჩნდება სპეციალური ნაშრომები, რომლებიც განიხილავს შემდეგ საკითხებს : ▷ როგორია მართვის ყველაზე ეფექტური ფორმა - ამ კუთხით ბერძენი და რომაელი მოაზროვნეები (პლატონი, არისტოტელე, პოლიბიოსი და სხვ.) ერთმანეთს უპირისპირებდნენ დემოკრატიას, ოლიგარქიასა და ტირანიას; ▷ როგორი უნდა იყოს იდეალური სახელმწიფო - ძვ. წ. IV საუკუნეში პლატონმა დაწერა თხზულება ჩაძირულ ატლანტიდასთან დაკავშირებით. აქ მან ჩამოაყალიბა საკუთარი ხედვა იდეალურ სახელმწიფოსთან დაკავშირებით, სადაც მმართველები ფილოსოფოსები უნდა ყოფილიყვნენ. დასასრულ, უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდის მმართველებს საკუთარი ძალაუფლების რეპრეზენტაციის ახალი იარაღი გაუჩნდათ მონეტების სახით. მონეტა პირველად ძვ.წ. VI საუკუნეში მოჭრეს. მანამდე გაცვლის საშუალებას ოქროს და ვერცხლის ზოდები წარმოადგენდა. რაც შეეხება ბიუროკრატიას, ანტიკურ ისტორიას უკავშირდება არაერთი ადმინისტრაციული რეფორმა, როცა მონარქები /პოლიტიკურ ლიდერები ცდილობდნენ მმართველობითი სტრუქტურების რეორგანიზებას.

მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი რეფორმა ახ.წ. III-IV საუკუნეებში გაატარეს იმპერატორებმა - დიოკლეტიანემ და კონსტანტინემ. აღსანიშნავია, რომ წყაროებში ჩანს საზოგადოების მხრიდან ძალიან ცუდი დამოკიდებულება

ბიუროკრატების მიმართ, რომლებიც მათი რეფორმის შედეგად დაწინაურდნენ. მაგალითად, ცნობილი ისტორიკოსი ამიანე მარცელინე გოთებსა და რომს შორის ადრიანოპოლის ბრძოლის გაჩაღების მიზეზად რომაელი მოხელეების სიხარბეს ასახელებს. მისი აზრით, სწორედ მოხელეთა სიხარბემ განაპირობა ის, რომ რომაელებთან მეგობრობის მაძიებელი გოთები იმპერიის მტრებად იქცნენ.

შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო

ფილიპე IV

ლუი IX

ძალაუფლების ბერკეტებისა და სიმბოლოების თვალსაზრისით, შუა საუკუნეები ძალიან „ორიგინალური“ ეპოქაა. ეს არის პერიოდი, როცა მეფეებს პრაქტიკულად არ ჰქონდათ ინსტრუმენტები საკუთარი პოლიტიკის გასატარებლად - უჭირდათ თანხების მობილიზება, ჯარის შეკრება, გადასახადების აკრეფა, ქვეშევრდომების ინფორმირება. ამ ვითარებაში უცნაურად დიდი ძალა შეიძინა „ფიცმა“. ამა თუ იმ ტერიტორიის კონტროლი მეფეს მხოლოდ მასთან ფიცით დაკავშირებული ადამიანების ხელით შეეძლო.

შუა საუკუნეები არის პირად ურთიერთობებზე დაფუძნებული სისტემა. ვასალი ფიცს დებდა სიუზერების წინაშე, რომ იქნებოდა მისი ინტერესების გამტარებელი და წელიწადში 40 დღის განმავლობაში გაუწევდა მას სამხედრო დახმარებას; სამაგიეროდ კი - მისგან იღებდა მიწის ნაკვეთს, მფარველობასა და მხარდაჭერას.

ხელდასხმის ამ პროცესს, რომელსაც, როგორც წესი, შესაბამისი ცერემონიაც მოსდევდა, ეწოდებოდა ინვესტიტურა. შემთხვევითი არ არის, რომ შუა საუკუნეების ევროპაში ერთ-ერთი ყველა მწვავე კონფლიქტი სწორედ „ინვესტიტურისთვის ბრძოლად“ იწოდება. ეს იყო დაპირისპირება „გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერიის“ იმპერატორებსა და რომის პაპებს შორის, ეპისკოპოსების დანიშვნის უფლების მოსაპოვებლად. შემთხვევითი არც ის არის, ამ პერიოდის ერთ-ერთი „სავიზიტო ბარათია“ ორდალიები - პრაქტიკა, რომელიც ადამიანის დამნაშავეობა-უდანაშაულობას ადგენდა ფიზიკური სასჯელების მიმართ მისი გამძლეობის მიხედვით.

ყოველივე ზემოთქმული, ძირითადად, განვითარებული შუა საუკუნეების (XI-XII საუკუნეების) რეალობას ასახავს. XIII საუკუნიდან მედიევალური ცივილიზაცია თანდათან იცვლის სახეს. მეფეები პოულობენ ძალას, რათა იბრძოლონ ცენტრალური ხელისუფლების გასაძლიერებლად და ფეოდალური დაქსაქსულობის აღმოსაფხვრელად. ამ დროიდან ისინი პირად ფიცებზე არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, დღევანდელი გაგებით, სამართლებრივ პროცედურებს. მათი იურისტები/ლეგისტები იწყებენ რომაული სამართლის რეცეფციას/აღდგენას და მისი საშუალებით გაძლიერებული სამეფო ხელისუფლების დაცვას. საამისოდ, ისინი არც კანონით მანიპულირებას ერიდებოდნენ.

მაგალითად, ლეგისტებით იყო გარემოცული საფრანგეთის ცნობილი მეფე ფილიპე IV ლამაზი (1285-1314). მის სახელთან არის დაკავშირებული ძალიან ბევრი კონფლიქტი (მაგალითად, რომის პაპებთან და ტამპლიერებთან), რომლის ფარგლებშიც ის ყველანაირად ცდილობდა, საკუთარი უსამართლო

	გადაწყვეტილებებისთვის სამართლებრივი სარჩული მიეცა (ადგენდა დაკითხვის ოქმებს, კანონის ენაზე ასაბუთებდა მოწინააღმდეგეების მიმართ პრეტენზიებს). თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ფილიპე IV-ის ბაბუა იყო ლუი IX (1214-1270). საკუთარი შვილიშვილისგან განსხვავებით, ის ისტორიაში სამართლიანი მეფის სიმბოლოდ იქცა, ეროვნულ დონეზე საკანონმდებლო ურთიერთობების მოწესრიგების გამო.
მოდერნი 	XVIII საუკუნის მიწურულიდან და XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან ძალაუფლების მთავარ სიმბოლოდ და ბერკეტად იქცა **ნაცია სახელმწიფო.** ამ პერიოდიდან სახელმწიფომ სრულიად ახალი სახე შეიძინა - თუკი მანამდე სახელმწიფო ამა თუ იმ დინასტიის, ქალაქის ან რელიგიური თემის ინსტრუმენტი იყო, ნაციონალიზმის ეპოქაში გადაიქცა მთელი ერის ინტერესებზე ორიენტირებულ მმართველობით მექანიზმად. ამან, ცხადია, ზეგავლენა მოახდინა სახელმწიფო სტრუქტურებზეც და სახელმწიფო სიმბოლიკაზეც. ამ ცვლილებების შედეგებს ჩვენ ყოველდღიურად ვხედავთ, მაგალითად, მაშინ, როდესაც: ა. ვუყურებთ პოლიტიკურ რუკას. რუკაზე ჩანს დამოუკიდებელი სახელმწიფოები, რომლების სახელწოდებაც, უმეტეს შემთხვევაში, აქ მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების თვითსახელს ემთხვევა; ბ. თვალს ვადევნებთ ოლიმპიადებსა და სხვა სპორტულ ფორუმებს და ვხედავთ, როგორ ამაყად შეჰყურებენ სპორტსმენები საკუთარი ქვეყნის დროშასა და გერბს; როგორი პატივისცემით უსმენენ ჰიმნს, რომელშიც სიმბოლურად, ისევ და ისევ, ერისთვის/ეთნიკური ჯგუფებისთვის მნიშვნელოვანი მესიჯებია კოდირებული. ასევე, ყურადსაღები ფაქტია თანამედროვე სახელმწიფოების მმართველობითი სტრუქტურა. დღეს ყველ ქვეყანაში შევხვდებით სამინისტროებსა და დეპარტამენტებს, რომლებიც ჯანდაცვაზე, განათლებაზე, ეკონომიკასა და ხალხის კეთილდღეობისთვის აქტუალური სხვა პრობლემების გადაჭრაზე ზრუნავენ (წინარე ისტორიულ პერიოდში ამის ანალოგს ძნელად ვიპოვით). არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ დღეს „ხელისუფლების წყაროა ხალხი“. ამის გამოა, რომ დღეს ყველა მთავრობა ძალას არ იშურებს იმისთვის, რომ საკუთარი თავი ხალხის არჩეულად და მისი ინტერესების დამცველად წარმოაჩინოს. თვით დიქტატორული რეჟიმებიც კი, რომლებიც დიდად არ სწყალობენ დემოკრატიის პრინციპებს, რეგულარულად ატარებენ არჩევნებს და ცდილობენ დემოკრატიული პროცესების ჩარჩოს ფორმალურად დაცვას.

▷ დასკვნა

პოლიტიკასა და პოლიტიკურ კულტურაზე საუბარი არ იქნება სრული, თუკი არ ვისაუბრებთ იდეებსა და ღირებულებებზე, რომლებიც პოლიტიკურ სისტემას ამთლიანებს. მათ შესახებ დეტალურად წიგნის მეოთხე თემაში - „კულტურა და გლობალიზაცია“ ვისაუბრებთ, აქ კი მხოლოდ ისტორიული ეპოქებისთვის საკვანძო მნიშვნელობის მატარებელი ცნებების დასახელებით შემოვიფარგლებით:

პირველყოფილი საზოგადოება	სული
ბრინჯაოს ხანა	ტაძარი
ანტიკურობა / რკინის ხანა	მოძღვრება
შუა საუკუნეები	წოდება
მოდერნი	ერი / ნაცია
პოსტმოდერნი	დემოკრატია; მდგრადი განვითარება

დავალება.

დაახასიათეთ ისტორიული ეპოქები მეორე სვეტში დასახელებული ცნებების საშუალებით.

მოქალაქეობა

IV თემა

კულტურა და გლობალიზაცია

შესავალი

თავი 1. იდენტობა, კულტურა, ისტორიული ეპოქა

- იდენტობა
- კულტურა
- ისტორიული ეპოქა

თავი 2. კულტურულ-მსოფლმხედველობრივი ტრანსფორმაცია

- დისკურსი
- ნარატივი
- კონსტრუქტი „კულტურათა დიალოგი“

თავი 3. პრემოდერნული, მოდერნული და პოსტმოდერნული კულტურა

- ცვლილებები
- განსხვავებები
- დანართი. მდგრადი განვითარება

შესავალი

- როგორ განვსაზღვრავთ საკუთარ ადგილს სამყაროში? როგორია ჩვენი პასუხი შეკითხვაზე - „ვინ ვარ მე?“ ?
- როგორი დამოკიდებულება გვაქვს ჩვენ გარშემო მიმდინარე მოვლენებისა და პროცესებისადმი? როგორ აღვწერთ, ვხსნით და ვაფასებთ მათ?
- რის გამოსწორებას მივიჩნევთ საჭიროდ სამყაროს გასაუმჯობესებლად?
- რა არის საჭირო საკუთარი თავისა და გარემომცველი რეალობის შესამეცნებლად?
- წიგნის მეოთხე თემის შინაარსის გასათავისებლად მნიშვნელოვანია სამი საკვანძო ცნების ურთიერთდაკავშირებულად გააზრება: იდენტობა, კულტურა, ისტორიული ეპოქა. გავეცნოთ თითოეულ მათგანს.



თავი 1. იდენტობა, კულტურა, ისტორიული ეპოქა

იდენტობა

თითოეული ადამიანი განსხვავებულ ნიშან-თვისებათა სრულიად უნიკალურ ერთობლიობას, „იდენტობის უნიკალურ ფორმულას“ წარმოადგენს. რა ქმნის ამ მრავალფეროვნებას?

კულტურული იდენტობის წყაროებს უწოდებენ ნიშნებს, რომლებიც ერთ ადამიანს (ან ადამიანთა ერთ ჯგუფს) სხვა ადამიანისგან (ან ადამიანთა ჯგუფისგან) განასხვავებს. მათ, როგორც წესი, სამ ჯგუფად ყოფენ:

პირველი ჯგუფი - **კულტურის სუბიექტური კომპონენტები** აერთიანებს ისეთ ნიშნებს/ მახასიათებლებს, რომლებიც ფიზიკურად / ვიზუალურად არ ჩანს. ასეთი ასპექტებია: დამოკიდებულებები, ღირებულებები, რწმენები, ქცევის წესები და ნორმები, სოციალური როლები და სხვ. ადამიანის ბუნების/თვითმყოფადობის ყველაზე დიდ ნაწილს სწორედ სუბიექტური ასპექტები ქმნის. თუკი ადამიანს აისბერგს შევადარებთ, კულტურის სუბიექტური კომპონენტები აისბერგის უხილავი ნაწილი იქნება.

აისბერგი

დავალება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩამოწერეთ თქვენი, როგორც პიროვნების, იდენტობის სუბიექტური მახასიათებლები. გამოკვეთეთ, ამ თვალსაზრისით რა განგასხვავებთ სხვა ადამიანებთან.

დამოკიდებულება	
ღირებულება	
რწმენა	
ქცევის წესი /ნორმა	
სოციალური როლი	

მეორე ჯგუფი - **კულტურის ობიექტური კომპონენტები** მოიცავს ადამიანისთვის ან ადამიანთა ჯგუფისთვის დამახასიათებელ თვალსაჩინო, მატერიალურად ხელშესახებ ან ისეთ ელემენტებს, რომლებიც სისტემური, სტრუქტურირებული, მკაფიო ნიშნებით ვლინდება, მაგალითად, ენას, რომელზეც ლაპარაკობენ; ტრადიციებსა და რიტუალებს, რომელთაც იცავენ; ტანსაცმელს, საკვებს და სხვ. ყველა ეს ელემენტი ადვილად შესამჩნევი და თვალსაჩინოა. როგორც წესი, პირველ რიგში სწორედ ისინი იგულისხმება, როცა საუბარია კულტურულ განსხვავებებზე.

დავალება

ქვემოთ მოცემული ცხრილის საშუალებით, დაახასიათეთ თქვენი იდენტობის ობიექტური კომპონენტები. ამ ნიშნების მიხედვით გამოკვეთეთ თქვენი მსგავსება და განსხვავება სხვა ადამიანებთან.

ენა	
ტრადიციები და რიტუალები	
ჩაცმის სტილი	
გარეგნობა	

მესამე ჯგუფი - **კულტურის სოციალური კომპონენტები** მოიცავს ადამიანისთვის ან ადამიანთა ჯგუფისთვის დამახასიათებელ ისეთ ნიშნებს, რომლებიც ურთიერთობებში, სოციალურ ინტერაქციაში ვლინდება, მაგალითად, კომუნიკაციური უნარები.

დავალება

ჩამოწერეთ თქვენი, როგორც პიროვნების, იდენტობის განმსაზღვრელი სოციალური მახასიათებლები.

თითოეული ზემოჩამოთვლილი ელემენტი ჩვენი იდენტობის ფორმირებაში მონაწილეობს, თუმცა პასუხს შეკითხვაზე - „ვინ ვარ მე?“, როგორც წესი, მხოლოდ რამდენიმე მათგანზე დაფუძნებით ვაყალიბებთ, იმის გათვალისწინებით, თუ რა ღირებულებების მატარებელი ვართ; რა არის ჩვენთვის მთავარი და რა - ნაკლებად მნიშვნელოვანი. ამ პრიორიტეტების, ცხადია, თავად გამოვკვეთთ, თუმცა, ჩვენს გადაწყვეტილებებზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს კულტურა, რომლის წევრადაც/“შვილადაც“ თავს მოვიაზრებთ. ტერმინი „კულტურული იდენტობის წყაროები“ უკვე თავადაც მიანიშნებს მჭიდრო კავშირზე, რომელიც ადამიანის იდენტობასა და მისთვის მშობლიურ კულტურას შორის არსებობს.

დავალება

ჩამოწერეთ თქვენი პრიორიტეტები. იმსჯელეთ თქვენს იდენტობაზე იმის მიხედვით, თუ რით იწონებთ თავს, რა გაინტერესებთ ყველაზე მეტად.

დავალება

ახსენით, როგორ გესმით გამონათქვამი - „ადამიანი არის ის, რაზეც ლაპარაკობს“.

კულტურა

კულტურა, უპირველეს ყოვლისა, არის <u>გამამთლიანებელი იდეა.</u> მაგალითად, თუკი რაიმე კლუბში ვწევრიანდებით (იქნება ეს ფეხბურთის კლუბი თუ ფანტასტიკის ჟანრის ფილმების მოყვარულთა წრე), კლუბის სხვა წევრებთან ჩვენი გამაერთიანებელი, უპირველეს ყოვლისა, არის კლუბის იდეა - ის, რაც ამ კლუბს სხვა კლუბებისგან და სხვა საზოგადოებრივი ჯგუფებისგან განასხვავებს. ამ იდეის გათავისება ჩვენს ცხოვრების წესზეც ახდენს გავლენას, მაგალითად, განსაზღვრავს ჩვენს დამოკიდებულებას მთელი რიგი საკითხებისადმი (კულტურის სუბიექტური კომპონენტები), ჩვენს ჩაცმის სტილს (კულტურის ობიექტური კომპონენტები) და მეტყველების მანერასაც კი (კულტურის სოციალური კომპონენტები). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კლუბის იდეასთან ერთად, იქმნება ორიგინალური კულტურა, რომელიც კლუბის წევრების იდენტობის ფორმირებაზე/განვითარებაზე ახდენს ზეგავლენას.

დავალება

დაასახელეთ, რომელი კლუბის წევრი ხართ, ან ყოფილხართ. გამოკვეთეთ, რა იყო ამ კლუბის წევრების გამამთლიანებელი იდეა. იმსჯელეთ, რამდენად ახდენდა/ახდენს კლუბი ზეგავლენას თქვენს ცხოვრების წესზე. მსჯელობისას გამოიყენეთ ტერმინები: კულტურის სუბიექტური ელემენტები, კულტურის ობიექტური ელემენტები, კულტურის სოციალური ელემენტები.

თუმცა, ერთი საკითხია საუბარი რამდენიმე ადამიანით დაკომპლექტებულ კლუბზე და მეორეა, როცა საქმე ეხება ქვეყანას, რელიგიასა და სხვა იდეებს, რომლებიც ძალიან ბევრ ადამიანს აერთიანებენ (ანუ როცა ვსაუბრობთ ისეთ ცნებებზე, როგორებიცაა „საქართველოს კულტურა“, „ქრისტიანული კულტურა“ და სხვ.).

გამამთლიანებელი იდეები განაპირობებს კულტურის მთელი რიგი ელემენტების შექმნას, რომლებიც ამ იდეის მატარებელი ადამიანებისთვის ხდება „კულტურული იდენტობის წყარო“. მაგალითად:

ა) <u>ღმერთის იდეა</u> ქმნის ღვთისმსახურების რიტუალებს (ობიექტური კომპონენტი); განსაზღვრავს, რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ქრისტიანს მთელი რიგი ცხოვრებისეული საკითხებისადმი (სუბიექტური კომპონენტი); ზეგავლენას ახდენს ადამიანის კომუნიკაციაზე სხვა ადამიანებთან (სოციალური კომპონენტი).

ბ) <u>ერისა და სახელმწიფოს იდეა</u> განაპირობებს ეროვნული მნიშვნელობის ტრადიციების, მაგალითად, დღესასწაულებისა და ჩაცმის სტილის ჩამოყალიბებას (ობიექტური კომპონენტი); ხელს უწყობს წარსულში მომხდარი მოვლენების მიმართ ჩვენი დამოკიდებულების ფორმირებას იმის გათვალისწინებით, თუ რა არის მნიშვნელოვანი და სასარგებლო ჩვენი ერისთვის (სუბიექტური კომპონენტი); ზეგავლენას ახდენს ჩვენს კომუნიკაციაზე სხვადასხვა ადამიანთან, მაგალითად, იმის გათვალისწინებით, ჩვენი თუ სხვა ერის წარმომადგენელს ვესაუბრებით (კულტურის სოციალური კომპონენტი).

გ) <u>ადამიანის უფლებების იდეა</u> ქმნის სამართალწარმოებისთვის საჭირო წესებს (ობიექტური კომპონენტი); განსაზღვრავს ჩვენს წარმოდგენას იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის სამართლიანი და რა არის უსამართლო (სუბიექტური კომპონენტი); ზეგავლენას ახდენს ჩვენს გამოხატვის ფორმებზე კონკრეტულ ვითარებაში, მაგალითად, მაშინ, როცა ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტს ვხედავთ (სოციალური კომპონენტი).

ისტორიული ეპოქა

დღეს ჩვენ ვცხოვრობთ კომპლექსურ საზოგადოებაში, სადაც გამამთლიანებლის როლს ზემოთნახსენები სამივე იდეა **„რელიგია“**, **„ერი-სახელმწიფო“ და „ადამიანის უფლებები“** ასრულებს. თუმცა, ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად ვხვდებით ღია ან ფარულ დისკუსიას - როგორი უნდა იყოს პრიორიტეტების იერარქია; რელიგია, სახელმწიფო, თუ ადამიანი უნდა წარმოადგენს პირველი რიგის პრიორიტეტს.

- <u>სეკულარული და თეოკრატიული სახელმწიფოს იდეა</u> - დღეს სახელმწიფოების უმეტესობა სეკულარულია (ანუ ეკლესია არ განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკას), თუმცა, ვხვდებით თეოკრატიულ სახელმწიფოებსაც, რომლებიც იმართება ან სასულიერო პირების მიერ, ან რელიგიურ დოქტრინებზე დაფუძნებით.
- <u>სახელმწიფო პოლიტიკის იდეა</u> - ნაციონალიზმის ეპოქაში სახელმწიფო მიჩნეული იყო ერის ინტერესების გამტარებლად. დღეს კი ხშირად შევხვდებით დისკუსიას მის როლთან დაკავშირებით, მაგალითად, უნდა ერეოდეს თუ არა სახელმწიფო საზოგადოებრივ ცხოვრებაში (მაგალითად, ეკონომიკაში, კულტურაში)? სახელმწიფო აქტიურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას უნდა ატარებდეს, თუ უბრალოდ კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების დაცვაზე აგებდეს პასუხს?

აიათოლა ხომეინი (1902–1989) იყო ირანელი შიიტი სასულიერო მოღვაწე. მისი ლიდერობით, 1979 წელს ირანში მოხდა ისლამური რევოლუცია, რის შედეგადაც თეოკრატიული სახელმწიფო ჩამოყალიბდა.

პარადიგმული განსხვავება სხვადასხვა ტიპის მსოფლმხედველობას შორის/ პრიორიტეტების იერარქია:

ნაციონალიზმი	თეოკრატია	დემოკრატია
ნაცია	რელიგია	ადამიანის უფლებები
ადამიანის უფლებები; რელიგია	ნაცია; ადამიანის უფლებები	ნაცია; რელიგია

ამ ტიპის საკითხებზე მსჯელობა <u>არ არის</u> უბრალო კამათი საჯარო პოლიტიკის პრინციპებთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში, სასწორზე დევს ამა თუ იმ კულტურის / ცივილიზაციის მთელი შინაარსი და მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივა.

მეცნიერები გამოყოფენ სამ ეპოქას, როცა პრიორიტეტების იერარქია სხვადასხვაგვარად იყო გააზრებული:

- **პრემოდერნი (უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე პერიოდი)** - როდესაც კულტურის ტიპის განმსაზღვრელია რელიგია. ადამიანები ერთიანდებიან ამა თუ იმ კულტის ან მოძღვრების გარშემო;

დავალება

ისტორიის კურსიდან გაიხსენეთ, რა იცით ძველი აღმოსავლეთის ხალხების რელიგიის, ქრისტიანობის, ისლამის, იუდაიზმის, ბუდიზმის, კონფუციანელობის შესახებ. იმსჯელეთ, რა ზეგავლენა ჰქონდა ამ რელიგიებს / მოძღვრებებს ძველი მსოფლიოსა და შუა საუკუნეების ცივილიზაციის ფორმირებაზე.

მოდერნი (XVIII საუკუნიდან მსოფლიო ომების ჩათვლით პერიოდი) - როდესაც კულტურის ტიპის განმსაზღვრელია ნაცია-სახელმწიფო. ადამიანები ერთიანდებიან ნაცია-სახელმწიფოს ფარგლებში;

დავალება

ისტორიის კურსიდან გაიხსენეთ, რა იცით ჰოლანდიის, ინგლისის, აშშ-ს, საფრანგეთის, „და სხვა ქვეყნების რევოლუციების“ შესახებ.

პოსტმოდერნი (XX საუკუნის 60-70-იანი წლების შემდგომი პერიოდი) - როდესაც კულტურის ტიპს განსაზღვრავს ადამიანის მაქსიმალურად ინდივიდუალური/ორიგინალური პერფორმანსი. ხდება ადამიანის გათავისუფლება სახელმწიფოსა და საზოგადოების ზეწოლისგან.

თითოეულ ამ ეპოქას მესამე თავში უფრო კონკრეტულად ვახასიათებთ. ახლა კი უნდა განვიხილოთ, რატომ და როგორ იცვლიან სახეს დროთა განმავლობაში კულტურები.

თავი 2. კულტურულ-მსოფლმხედველობრივი ტრანსფორმაცია

კულტურის გამამთლიანებელ იდეებზე მსჯელობისას, მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ეს იდეები არ არის სტატიკური. ისინი განუწყვეტლივ იხვეწება, ფართოვდება და მდიდრდება; მათ განვითარებასთან ერთად კი ვითარდება კულტურაც. განვითარების ამ პროცესის დანახვაში დაგვეხმარება ცნებები - „დისკურსი“, „ნარატივი“, „კონსტრუქტი“ და „კულტურათა დიალოგი“.

დისკურსი

კულტურის გამამთლიანებელ იდეასთან მიმართებით, ყოველთვის იკვეთება საკითხები, რომლებზეც საზოგადოების წევრები აქტიურად მსჯელობენ, მაგალითად:

ა) ქრისტიანები ხშირად განიხილავენ, რა შეიძლება ჩაითვალოს ცოდვად;

ბ) ერთ სახელმწიფოში მცხოვრები მოქალაქეები მსჯელობენ, რა არის სასარგებლო და რა - საზიანო სახელმწიფო ინტერესებისთვის;

გ) ადამიანის უფლებათა დამცველები აანალიზებენ, რა საშუალებებით შეიძლება ადამიანის უფლებათა უფრო ეფექტურად რეალიზება.

მსჯელობის ეს პროცესი <u>არ წარმოადგენს</u> უბრალო ინტელექტუალურ სავარჯიშოს. ის ყოველთვის მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოებისთვის აქტუალურ კონკრეტულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენასთან, ინსტიტუტებთან, სოციალურ აქტივობებთან, ახალი ცოდნის შექმნასთან და სოციალური პრობლემების გადაჭრასთან. მაგალითად, როდესაც ვსაუბრობთ განათლების რეფორმაზე, ეს საუბარი:

- *ყოველთვის ეხმიანება კონკრეტულ ინიციატივებს, რომელთაც სამინისტრო ახორციელებს; ან საზოგადოების გარკვეული ჯგუფების მოსაზრებებს;*
- *ახლებურად წარმოაჩენს საგანმანათლებლო ინსტიტუტების, მაგალითად, სკოლის ძლიერ და სუსტ მხარეებს;*

- *ყოველთვის ასოცირდება ახალი ტიპის პედაგოგიური ცოდნისა და გამოცდილების შექმნასთან;*
- *კონკრეტული, მაგალითად, მასწავლებლების ხელფასებთან და სკოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრასთან.*

ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ განათლების რეფორმის შესახებ მსჯელობა ყოველთვის უკავშირდება საქართველოს იდეას - კერძოდ, ემსახურება ჩვენი ქვეყნის აწმყო მდგომარეობის შეფასებასა და მომავლის პერსპექტივის განხილვას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, განათლების რეფორმის (და სხვა სოციალური პრობლემების) შესახებ მსჯელობა ყოველთვის ეხმიანება ილია ჭავჭავაძის მიერ გამოკვეთილ დისკურსს - „რანი ვიყავით, რანი ვართ, რად შეიძლება ვიქმნეთ“. ასეთი ტიპის საუბრები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს და საქართველოს იდეის/კულტურის შემდგომ განვითარებას განაპირობებს.

კულტურის გამამთლიანებელი იდეა	დისკურსი	დისკურსის შემადგენელი ერთ-ერთი საკითხი	ძირითად თემასთან დაკავშირებული კონკრეტული სოციალური პრობლემები
საქართველო	„რანი ვიყავით, რანი ვართ, რად შეიძლება ვიქმნეთ“	ზოგადი განათლების რეფორმა საქართველოში	• ახალი ცოდნისა და გამოცდილების შექმნა პედაგოგიკის მიმართულებით; • სკოლის, როგორც ინსტიტუციის, განვითარება; • საგანმანათლებლო სფეროში ჩართული ადამიანების მხარდაჭერა; • სამინისტროსა და საზოგადოებრივი ჯგუფების ინიციატივების შეფასება.

ტერმინით - „დისკურსი“ მეცნიერები ზემოაღწერილის მსგავს მსჯელობის პროცესს აღნიშნავენ. მათი შესწავლა არის საუკეთესო გზა ამა თუ იმ კულტურის გასაგებად/მისი ორიგინალობის გასააზრებლად; მის განვითარების/ტრანსფორმაციის პროცესის წარმოსაჩენად.

დავალება

გაიხსენეთ, რომელი საზოგადოებრივი მოვლენის/პროცესის განხილვაში მიგიღიათ მონაწილეობა. შეეცადეთ, ზემოთ მოცემული ცხრილი გამოიყენოთ ამ პრობლემის კავშირების წარმოსაჩენად სხვა, უფრო მასშტაბურ და უფრო ვიწრო პრობლემებთან.

იდეა და დისკურსი კულტურის გამამთლიანებელი და მისი განვითარების მამოძრავებელი ძალაა. რაც უფრო მრავალფეროვანი დისკურსები უკავშირდება კულტურის გამამთლიანებელ იდეას, მით უფრო ძლიერია ამ იდეის გარშემო გაერთიანებული კულტურა და ამ კულტურის მატარებელი საზოგადოება.

ვინ და როგორ უწყობს ხელს გამამთლიანებელი დისკურსებისა და, მასთან ერთად, კულტურის განვითარებას? ამ პროცესში, ნებით თუ უნებლიეთ, თითოეული ჩვენგანია ჩართული, ვინაიდან ყოველდღიურად:

- უშუალოდ ვმონაწილეობთ საზოგადოებისთვის აქტუალური პრობლემების განხილვაში;
- ერთმანეთს ვუყვებით ცხოვრებისეულ ამბებსა და ისტორიებს, რომელთა საშუალებითაც საკუთარ დამოკიდებულებებს გამოვხატავთ ცხოვრებისეული პრობლემების მიმართ.

კულტურის განვითარების პროცესში ჩვენი წვლილის უკეთ დასანახად უნდა გავიაზროთ კიდევ ერთი ცნება „ნარატივი“.

ეს საინტერესოა!

თერგდალეულებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ საქართველოს ისტორიაში. მათი წყალობით, საქართველოს იდეას დაუკავშირდა XIX საუკუნისთვის აქტუალური სოციალურ-პოლიტიკური საკითხები:

- <u>საყოველთაო განათლება</u> - რომ არა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, საჯარო საყოველთაო განათლება გაიგივდებოდა რუსული ენის სწავლასთან;
- <u>საბანკო სექტორისა და მრეწველობის განვითარება</u> - რომ არა თერგდალეულების მოღვაწეობა საქართველოში, ვერ ჩამოყალიბდებოდა ეროვნული ბურჟუაზია, რომელიც საკუთარ კაპიტალს მიმართავდა ქვეყნის განვითარებაზე;
- <u>ბეჭდვითი მედიის განვითარება</u> - ბეჭდვითი მედია XIX საუკუნეში მთავარი იარაღი იყო ნაციონალიზმის იდეების გასავრცელებლად. რომ არა თერგდალეულები, საქართველოში ვერ განვითარდებოდა ქართულენოვანი ჟურნალ-გაზეთები, ეს კი გამოიწვევდა პოლიტიკური კულტურიდან ქართული ენის განდევნას.

ამ კუთხით არსებულ პრობლემებს ხატოვნად წარმოაჩენს ილია ჭავჭავაძე „მგზავრის წერილებში“: *„როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე, - ვიფიქრე. რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე? ვინ იცის: იქნება მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემომაქციოს, როგორც უცხო ნიადაგზედ გადარგულსა და აღზრდილსა? იქნება ზურგიც არ შემომაქციოს... იქნება მიმიღოს კიდეც და, როგორც თავისი შვილი, გულზედაც მიმიკრას და ხარბად დამიგდოს ყური, მაგრამ მე შევძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით გულისტკივილი მოვურჩინო, დავრდომილი აღვადგინო, უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო; იმ სიტყვით ვასმინო, რომ არის მრავალი ქვეყნები, ჩვენზედ უფრო უბედურად გაჩენილნი, მაგრამ უფრო ბედნიერად მცხოვრებნი; და ის თვითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება რომ ყოველს კაცში არა ჟოლავდეს, ერთ დიდ ცეცხლად შევაგროვო ჩემის ქვეყნის გაციებულის გულის გასათბობლად“.*

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თერგდალეულებმა საქართველოს იდეა (და, მასთან ერთად, ქართული კულტურა) გააძლიერეს ახალი ტიპის დისკურსებით. ამის შედეგად, ადგილობრივი საზოგადოება გამთლიანდა, გაძლიერდა და მზად აღმოჩნდა ქარტეხილებისთვის, რომელიც მას XX საუკუნის პირველ ნახევარში დაატყდა თავს.

თერგდალეულები

ნარატივი

კონკრეტული კულტურის დახასიათებისას, როგორც წესი, პირველ რიგში, ახსენდებათ მასთან დაკავშირებული მატერიალური კულტურის ძეგლები *(მაგალითად, ძველი ეგვიპტის ხსენებაზე ყველას გაახსენდება პირამიდები, შუამდინარეთის ხსენებაზე -ზიქურათები, ჩინეთის ხსენებაზე - ჩინეთის დიდი კედელი), სინამდვილეში კი, მის თავისებურებას ყველაზე უკეთ წარმოაჩენს ამბები/ისტორიები, რომლებსაც ამ კულტურის მატარებელი ადამიანები ერთმანეთს უყვებიან.*



ყოველდღიურად ჩვენ ბევრ ისტორიას ვყვებით, ვისმენთ და ვეცნობით. ეს ისტორიები სულ სხვადასხვა ტიპის მოვლენებს შეეხება, თუმცა, ყველა მათგან აქვს რამდენიმე საერთო მახასიათებელი:

- ყველა მათგანი (იქნება ეს კომიქსი, მოთხრობა, ნოველა, რომანი, ზღაპარი თუ ზეპირი ისტორია) მოწოდებულია თხრობის ფორმატში, ანუ წარმოაჩენს მოვლენათა მწყობრ თანმიმდევრობას;
- ყველა მათგანს ჰყავს პერსონაჟები, რომლებსაც მოყოლილი ისტორიის ფარგლებში უწევთ გარკვეული დაბრკოლების გადალახვა;
- ყველა მათგანი მოიცავს: შესავალს, სადაც ვეცნობით იდეასა და ამბის მთავარ პერსონაჟებს; განვითარებას/ძირითად ნაწილს, სადაც ვეცნობით სიუჟეტსა და ძირითად პრობლემას და დასკვნას, სადაც ხდება ავტორის ნათქვამის შეჯამება.

თუმცა, ეს არ არის ყველაფერი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ყველა ნარატიული/თხრობითი ტექსტი წარმოაჩენს გარკვეულ თვალსაზრისს. ეს თვალსაზრისი კი, როგორც წესი, წარმოაჩენს ამა თუ იმ საზოგადოებისთვის აქტუალურ სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემას.

XIII საუკუნეში იტალიელი პოეტი დანტე ალიგიერი ამბობდა, რომ ტექსტი შეიცავს ოთხ შრეს:

დანტე ალეგიერი

1. სიტყვის პირდაპირი აზრი	ანუ ახალი ინფორმაცია, რომელსაც ტექსტი გადმოგვცემს.
2. ალეგორია	მთხრობლის მიერ მოყვანილი ანალოგიები, მაგალითები. მაგალითების არსსა და მნიშვნელობას კარგად გამოხატავს სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების კრებულის სათაური „სიბრძნე სიცრუისა“.
3. ზნეობრივ-მორალური ასპექტი	მინიშნებები „კარგსა და ცუდზე“, „სამართლიანსა და უსამართლოზე“ და ამ კუთხით აქტუალურ მორალურ დილემებზე.
4. უზენაესი საზრისი	მინიშნებები კულტურის გამამთლიანებელ მთავარ იდეაზე.

ამ კრიტერიუმებით, დანტე და შუა საუკუნეების სხვა მოაზროვნეები ბიბლიას არჩევდნენ, თუმცა, ზემოაღწერილ ასპექტს თითოეული ადამიანის მიერ მოყოლილი ამბავი შეიცავს. საილუსტრაციოდ, განვიხილოთ იუმორისტი მსახიობის ზურაბ შევარდნაძის მიერ მოყოლილი ისტორია.

ა) **სიტყვის პირდაპირი აზრი** - ტექსტიდან ვიგებთ, რომ ავტორმა ბავშვობა გაატარა გურიაში. სწავლა კი განაგრძო გერმანიაში. ჩანს ისიც, რომ უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ავტორმა კავშირები შეინარჩუნა თავის ევროპელ მასპინძელთან. ტექსტში იხსენიება გერმანიასა და საქართველოში მცხოვრები კონკრეტული ადამიანების ცხოვრებასთან დაკავშირებული წვრილმანი ფაქტები;

ბ) **ალეგორია** - ტექსტში გვხვდება უამრავი შელამაზებული, იუმორისტული პასაჟებით გაჯერებული ამბავი/მიკროისტორია, მაგალითად, ფრაუ ბარბარას გარდაცვალებასთან და გერმანელი პროფესორის გურიაში ვიზიტთან დაკავშირებით. ამ ისტორიებს ავტორი ქართულ და გერმანულ/ევროპულ კულტურას შორის კონტრასტების წარმოსაჩენად გვიყვება;

გ) **ზნეობრივ-მორალური ასპექტი** - ტექსტში მოყვანილი თითოეული მიკროისტორია წარმოაჩენს ზნეობრივ-მორალურ დილემებს. კერძოდ, მოხუცებისადმი სიყვარულს უპირისპირებს მათდამი გულგრილ დამოკიდებულებას; მეზობლების მხრიდან ერთმანეთის უპირობო დახმარებას - მათ შორის ცივ დამოკიდებულებას;

დ) **უზენაესი საზრისი** - მთლიანი ტექსტი მიმართულია ჩვენი ქვეყნის კულტურის ძლიერი მხარეების ჩვენებაზე. ის წარმოაჩენს ავტორის თვალსაზრისს იმასთან დაკავშირებით, რომ გლობალიზაციის პირობებში თვითმყოფადობის შენარჩუნება არის ძალიან მნიშვნელოვანი. ტექსტის ბოლოს, შეჯამების სახით, ავტორი ამას ხაზგასმით აცხადებს.

დავალება

გაიხსენეთ, სად და როდის გსმენიათ ტერმინი „ნარატივი“.

გაიხსენეთ რომელიმე საინტერესო ისტორია. განიხილეთ ის ზემოთ წარმოჩენილი პრინციპით. განხილვისას ყურადღება გაამახვილეთ ავტორისეულ თვალსაზრისზე/მსოფლმხედველობაზე და ფორმებზე, რომლის საშუალებითაც ის საკუთარ სათქმელს გადმოგვცემს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ტერმინით „ნარატივი“ აღვნიშნავთ ადამიანის თვალსაზრისს ამა თუ იმ პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც ის საინტერესოდ მოყოლილი ამბების/ისტორიების სახით გადმოგვცემს. ამგვარი ისტორიების მოყოლა, როგორც წესი, აღძრავს ემოციებს. ეს კი მსჯელობას, საზოგადოებისთვის/კულტურისთვის საკვანძო გამამთლიანებელ და მამოძრავებელ იდეებ-

თან დაკავშირებით, ხდის უფრო დინამიკურს და საინტერესოს.

კონსტრუქტი. „კულტურათა დიალოგი“

კულტურის განვითარებას „კულტურათა დიალოგი“ განაპირობებს. ამ ტერმინით აღვნიშნავთ კომუნიკაციას სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს შორის. ამ ტიპის კომუნიკაცია ყოველთვის ძალიან საინტერესო და სასარგებლოა. ადამიანებს ყოველთვის მოსწონთ სხვადასხვა კულტურის ერთმანეთთან შედარება - მათ შორის მსგავსებებისა და განსხვავებების აღმოჩენა. ამ ტიპის აღმოჩენები ამრავალფეროვნებს დისკუსიას კულტურის გამამთლიანებელ იდეებთან დაკავშირებით.

თუკი გავიხსენებთ ზემოთ განხილულ ვიდეორგოლს ქართველი სტუდენტის გერმანიაში ვიზიტთან დაკავშირებით, დავინახავთ, რომ სიტყვა „მეზობელი“ ცნობილია როგორც მთხრობლისთვის, ისე მისი გერმანელი მასპინძლებისთვის, თუმცა, ამ სიტყვაში ისინი ოდნავ განსხვავებულ შინაარსს დებენ. ავტორი, რომელსაც ბავშვობა გურიის ერთ-ერთ პატარა სოფელში აქვს გატარებული, მეზობლებს უახლოეს ადამიანებად მიიჩნევს (მათ, პრაქტიკულად, ოჯახის წევრებისგან არ განასხვავებს), გერმანიის დიდ ქალაქში მცხოვრები მისი მასპინძლებისთვის კი იგივე სიტყვა (მეზობელი) აღნიშნავს ადამიანებს, რომლებიც უბრალოდ ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში ცხოვრობენ. ტექსტში ჩანს ძალიან საინტერესო „დიალოგი კულტურებს“ შორის. მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს ერთმანეთის ბოლომდე არ ესმით, ეს „დიალოგი“ მაინც თბილი ადამიანური ურთიერთობებით არის აღსავსე.

ეს საინტერესოა!

რა არის გამოსახული სურათზე - იხვი თუ კურდღელი?

ეს სურათი 1892 წელს შეიქმნა ერთ-ერთი გერმანული იუმორისტული ჟურნალისთვის. მოგვიანებით, ის ფსიქოლოგიური ექსპერიმენტებისთვის გამოიყენეს იმის წარმოსაჩენად, რომ ადამიანები მარტო თვალებით კი არა, “გონებითაც ხედავენ”. ადამიანს საკუთარი გამოცდილების ნაკადი ჰკარნახობს, რა როგორ აღწეროს, ახსნას და შეაფასოს.

ექსპერიმენტის შედეგად, აღმოჩნდა, რომ შვეიცარიელი ბავშვები სააღდგომო პერიოდში სურათზე უფრო კურდღელს ხედავენ, ოქტომბერში კი (იხვებზე ნადირობის პერიოდში) - იხვს.

დავალება

შეადარეთ ჩვენი ქვეყნისა და რომელიმე სხვა ქვეყნის კულტურა. შეეცადეთ, გამოკვეთოთ ორი ან სამი განმასხვავებელი ნიშანი. განსხვავებებზე საუბრისას, შეეცადეთ, გამოიყენოთ კურდღლისა და იხვის ანალოგია.

„კულტურათა დიალოგი“ ყოველთვის ძალიან საინტერესოა. ამ დროს იქმნება ახალი ცოდნა, ახალი მნიშვნელობებით იტვირთება ჩვენთვის უკვე ცნობილი სიტყვები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხდება ახალი **ცოდნის კონსტრუირება.**

ატმოსფერულ ნალექს - „თოვლს“ ჩვენ ერთი სიტყვით აღვნიშნავთ, მაშინ როცა ესკიმოსები მის აღსაწერად რამდენიმე ათეულ სიტყვას იყენებენ. ამ სიტყვებს შორის განსხვავებების გამოკვეთა ავტომატურად იწვევს ცოდნის გაღრმავებას თოვლთან დაკავშირებით.

ესკიმოსები

არანაკლებ საინტერესოა სიტყვა-კონსტრუქტები, რომლებიც ადამიანების ურთიერთობებს/საზოგადოებრივ ცხოვრებას ასახავს. კერძოდ:

- სანათესავო სტრუქტურას;
- საზოგადოებრივ ჯგუფებს;
- ადამიანის პიროვნულ თვისებებს;
- კომუნიკაციის ფორმებს;
- ამა თუ იმ საკითხისადმი დამოკიდებულებებს.

მაგალითად, ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ არცთუ იშვიათად ვიყენებთ სიტყვას „თათქარიძეობა“ (ან უბრალოდ შემოვიფარგლებით სახელების „ლუარსაბი“ და „დარეჯანი“ მიზნობრივად ხსენებით). ეს ცნება შემუშავებულია ილია ჭავჭავაძის მოთხრობის - „კაცია-ადამიანის“ გავლენით, სადაც ავტორმა ლუარსაბ თათქარიძისა და მისი მეუღლის, დარეჯანის სახით აღწერა არაადეკვატური პიროვნებები, რომლებსაც დაკარგული აქვთ სოციალური ფუნქცია. თავად ილია ჭავჭავაძე მათ ასე აფასებს: „რა იცოდნენ ამათ (ე. ი. ლუარსაბმა და დარეჯანმა), რომ თავისის ქცევით, თავისის ცხოვრებით არისხებდნენ ღმერთსა, რომელსაც თავისი სული ამათთვის შთაუბერია.

— ვაჟო! მე ვარისხებ ღმერთსაო? — გეტყოდათ გაოცებით ლუარსაბი: — წირვა-ლოცვას მე არ ვაკლდები, კაცი მე არ მამიკლავს და კაცისათვის მე არ მამიპარავს, — რაზედ ვარისხებ ღმერთსა?

მართალი ხარ, ჩემო ლუარსაბ, შენ კაცი არ მოგიკლავს, კაცისთვის არ მოგიპარავს, ერთის სიტყვით — რაც არ უნდა გექნა, არ გიქნია — ესეც კარგია: უარარაობას ეგა სჯობია. მაგრამ ეხლა ეს უნდა გკითხო: რაც უნდა გექნა, ის კი გიქნია?“

ავტორს ისიც გაცნობიერებული აქვს, რომ მისი მოთხრობის პერსონაჟები სოციალურ ფენომენს განასახიერებენ: *„ვინც ლუარსაბის სახეში თავის-თავს იცნობს, ვინც ლუარსაბზედ დაწერილს თავის-თავზედ მიიღებს, ის, რასაკვირველია, ლაფის სროლას დამიწყებს და „გიჟიას“*

დაუძახებს ამ მოთხრობის უხეირო დამწერსა. ეს კარგად იცოდნენ, რომ ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო ჭირზედა ვწერთ“.

„საზოგადო ჭირი“, რომელზეც ილია ჭავჭავაძე წერს, მას არ აღმოუჩენია. სხვადასხვა დროს მწერლები ხშირად აღწერდნენ არაადეკვატურ, უნიათო, ზარმაც, უფუნქციო ადამიანებს. ამ მხრივ ყველაზე კარგად ცნობილი მაგალითია ფრანსუა რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელი“. თუმცა, ერთია მსგავსება ამ ნაწარმოებებისთვის საკვანძო იდეებს შორის და მეორეა - კონტექსტით განპირობებული განსხვავებები. კონტექსტს მეცნიერები უწოდებენ „გარემოს, ფონს, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია ამა თუ იმ ფაქტის, მოვლენის ასახსნელად, უკეთ გასაგებად“ (Ganmarteba.ge ქართული ლექსიკონი). კულტურებს შორის განსხვავებების აღქმა სწორედ კონტექსტის გაგებით შეიძლება ლუარსაბის სახით, ილია ჭავჭავაძემ შექმნა უბოროტო, მაგრამ უნიათო და უფუნქციო ადამიანის უნიკალური სახე. იდეის დონეზე, „კაცია-ადამიანის“ შინაარსის გაგება ყველას შეუძლია, მისი სიღრმისეული აღქმა კი მხოლოდ მას, ვინც კარგად იცნობს XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის კონტექსტს.

კადრი ფილმიდან „კაცია ადამიანი?!“

„გარგანტუა პანტაგრუელი“

იგივე შეიძლება ითქვას ცნებაზე „შემოდგომის აზნაურები“, რომელიც ჩვენს რეალობაში დავით კლდიაშვილის მოთხრობების წყალობით დამკვიდრდა. განზოგადებულად თუ ვიტყვით, ეს სიტყვა აღნიშნავს საკმაოდ უნივერსალურ ფენომენს - ადამიანებს, რომელთა ამბიციებიც აღემატება მათ რეალურ შესაძლებლობებს. თუმცა, თუკი უკეთ გავეცნობით დავით კლდიაშვილის ნაწარმოებებისა და შესაბამისი პერიოდის საქართველოს ისტორიის კონტექსტს, დავინახავთ, რომ „შემოდგომის აზნაურები“ ამბიციურზე მეტად ტრაგიკული/გარემოებების მსხვერპლი ადამიანები არიან. მათ აზნაურის სტატუსი „ავალდებულებთ“, თავი მოჰქონდეთ თავმომწონედ, რის გამოც ხშირად აღმოჩნდებიან უხერხულ სიტუაციებში. ამ სიტუაციებზე მხოლოდ მას შეიძლება გაეცინოს, ვინც კარგად იცნობს ჩვენი ქვეყნის კულტურას.



ეს საინტერესოა!

ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ენაში ჩნდება სიტყვები, რომელთა გადათარგმნაც ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული.

გაეცანით ვიდეორგოლს ბმული

სიუჟეტის ავტორები ეძებენ სიტყვებს, რომლების ზუსტი თარგმანიც ინგლისურ ენაში არ მოიძებნება.

სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს, როგორც წესი, უჭირთ ერთმანეთის გაგება. მათთვის რთულია იმ კონტექსტის გაგება, რომელიც, გარკვეულწილად, მნიშვნელობას უცვლის ერთი შეხედვით ყველასათვის გასაგებ სიტყვა-კონსტრუქტებს. მიუხედავად ამისა, ერთსა და იმავე ისტორიულ პერიოდში მცხოვრებ ადამიანებს ბევრად უკეთ ესმით ერთმანეთის, ვიდრე დიდი ხნის წინ განვლილი ისტორიული ეპოქების.

დავალება

იმსჯელეთ, როგორ გესმით და რამდენად ეთანხმებით არაბული ანდაზის შინაარსს: „ადამიანები საკუთარ დროს უფრო ემსგავსებიან, ვიდრე საკუთარ მშობლებს“.

საილუსტრაციოდ გავეცნოთ ნაწყვეტს „ქართლის ცხოვრებიდან“.

ქართლის ცხოვრება

თამარ მეფე

ივანე ჯავახიშვილი

თამარ მეფის ისტორიკოსი ყუთლუ არსლანის დასის გამოსვლის შესახებ (ადაპტირებული ტექსტი):

„და მოხდა უცხო მოსაგონებელი ამბავი. ***ჯორისა და სახედრის მსგავსად ორბუნებოვანმა*** *ყუთლუ არსლანმა* ***ბიჭთათვის*** *დამახასიათებელი მზაკვრობით, რაღაც სპარსთაგან განაგონი წესის შემოღება მოინდომა. ითხოვა ისნის ველზე, სოღდებილის სანახებში, კარავის დადგმა, სადაც შეკრებილი ადამიანები გადაწყვეტდნენ, მეფის სახელით რა ბრძანებები გაცემულიყო; ვინ შეერისხათ და წყალობა ვისთვის მიეცათ. კარავში შეკრებილ ადამიანებს თავიანთი გადაწყვეტილებების შესახებ მეფე თამარისთვის უნდა ეცნობებინათ, რომელსაც შემდეგ ამ გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე უნდა ეზრუნა.*

„უკლებელმან გონებითა და საუნჯემან სიბრძნისამან“ მეფე თამარმა ძალიან იწყინა და გაიკვირა ეს შემოთავაზება. ის მიხვდა, რომ ისნის კარავი მომასწავლებელი იყო „დასასრულისა ჴელმწიფობისა ჰატრონისასა მიმცემელი“. მეფემ მოინდომა ხელში ჩაეგდო მეჭურჭლეთ-უხუცესი ყუთლუ არსლანი, მისი თანამზრახველები და ერთგული ჰირები. მან შეიპყრო ყუთლუ, რომელსაც ამ დროისთვის უკვე საკუთარი თავის ამირსპასალარად გამოცხადება და ქალაქ ლორეს საკუთარ რეზიდენციად ქცევა ჰქონდა განზრახული.

როდესაც ყუთლუ არსლანის დაპატიმრების ამბავი მისმა თანაშეფიცულებმა და ამ უკეთურების გზაზე მისმა სხვა თანაშემწეებმა, თუ გამყოლებმა გაიგეს, შეიკრიბნენ და თამარს ***„განუდგნენ“****. ითხოვდნენ ყუთლუ არსლანის უვნებლად გათავისუფლებას; მოემზადნენ იმისთვის, რომ ისანს შემოსდგომოდნენ, ვინაიდან ფიქრობდნენ, რომ „ჴელი საუფლო და მკლავი მაღალი შემწე“ მათ მხარეს იყო და ყველა შემწინააღმდეგებელის დამხობას შეძლებდნენ. მეფისთვის ცუდ რაიმეს მოასწავებდა ყუთლუ არსლანის მომხრეების განზრახვა, ისევე როგორც აბიათარ მღვდელისა და იოაბ სპასპეტის განწყობა, რომლებიც სოლომონის ძმას, ორნიას ენათესავებოდნენ.*

ამის გამო თამარმა ამბოხებულებთან ორი საპატივცემულო ქალბატონი წარგზავნა - ხუაშაქი ცოქალი, ქართლის ერთავთ-ერისთავის, რატის დედა და კრავაი ჯაყელი სიმძივარების დედა. უბრძანა მათ, ფიცით მოემხრო აჯანყებულები, ისე რომ არაფერში დაედანაშაულებინა ისინი.

დიდებულები პატრონის ბრძანებას დაჰყვნენ, მისულებს თაყვანი სცეს, დაუსჯელობის ფიცი მიიღეს მათგან და ერთგულების პირობა დადეს.“

ისტორიის კვლევისას, მთავარი პრობლემა არის იმის გარკვევა, თუ რას გულისხმობს ისტორიული წყაროს ავტორი ამა თუ იმ სიტყვა-კონსტრუქტში (იხ. ტექსტში ფერით გამოყოფილი ცნებები). ისტორიკოსებს, როგორც წესი, განსხვავებული მოსაზრებები აქვთ მათ შინაარსთან დაკავშირებით. აღსანიშნავია ისიც, რომ მათ ინტერპრეტაციებზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ის ეპოქა და კულტურა, რომელშიც თავად ცხოვრობენ.

გავეცნოთ, რას წერს ივანე ჯავახიშვილი ზემოთ აღწერილი მოვლენის (ყუთლუ არსლანის დასის) გამოსვლის შესახებ: *„როგორც დავრწმუნდით, ამ დასს სურდა, რომ **საქართველოს სახელმწიფო** მართვა-გამგეობა ერთ პირს, მეფეს კი არ ჰქონოდა ხელთ და ქვეყნის მართვა-გამგეობა მარტო მისი განსაკუთრებული უფლება კი არ ყოფილიყო, არამედ რომ იმ **დაწესებულების** უფლებად ქცეულიყო, რომელიც „კარავში“ უნდა მოწყობილიყო... თუ საქმის ამ ვითარებასა და პოლიტიკურ პროგრამას თანამედროვე იურიდიული ტერმინოლოგიით დავახასიათებთ, ეს, დაახლოებით, იმას უდრიდა, რომ საქართველოს მანამდე არსებული **მონარქიული წეს-წყობილება რესპუბლიკურად უნდა შეცვლილიყო**... ამ მოძრაობის შემდეგ საქართველოს სახელმწიფოებრივობაში ახლად შემოსული ტერმინოლოგია, - „თანადგომა და ერთნებაობა“, „გამორჩევა“-ც ამ დასისგან სახელმწიფო წეს-წყობილებისათვის იმ სამაგალითო სამყაროს გზას მიგვანიშნებენებს, სადაც ასეთი **რესპუბლიკური სულისკვეთება** და დაწესებულებანი სუფევდენ... ამგვარად ცხადი ხდება, რომ ყუთლუ-არსლანის **დასის პოლიტიკური პროგრამა** არამცთუ არავითარი სპარსული წესის მიმბაძველობა არ ყოფილა, არამედ თვით **ქართული სოციალური ბრძოლის** განვითარებასა და შედეგს წარმოადგენდა“ (**ივ. ჯავახიშვილი, „თხზულებები თორმეტ ტომად. ტომი VII, გვ.141-142).***

თვალის ერთ გადავლებითაც ჩანს, რომ ისტორიკოსი XII საუკუნეში მომხდარი მოვლენების აღსაწერად ბევრ ისეთ სიტყვა-კონსტრუქტს/ცნებას იყენებს, რომლებსაც თამარის ეპოქის მცხოვრებლები ვერ გაიგებდნენ; ან თანამედროვე მკითხველისგან განსხვავებულად გაიგებდნენ. ეს სიტყვებია, მაგალითად, „მონარქიული და რესპუბლიკური წეს-წყობილება“, „საქართველოს სახელმწიფო მართვა-გამგეობა“. ამ სიტყვებს უპრობლემოდ გაიგებს თანამედროვე ტიპის კულტურის ნებისმიერი წარმომადგენელი, შუა საუკუნეებში კი მათი აღქმა ბევრ სირთულესთან იქნებოდა დაკავშირებული. ზემოაღწერილი ისტორიის მონაწილეები, რა თქმა უნდა, სულ სხვა სიტყვებითა და სულ სხვა აქცენტებით ახსნიდნენ შემდეგი სიტყვების მნიშვნელობას - „კარავი“, „გამორჩევა“, „ბიჭი“ და სხვ.

დავალება

ყუთლუ არსლანის დასის გამოსვლის შესახებ ზემოთ მოყვანილ მაგალითზე დაყრდნობით, იმსჯელეთ, რა დამატებით სირთულეებს ხვდებიან ისტორიკოსები წარსულში არსებული კულტურების შესწავლისას.

ერთსა და იმავე ისტორიულ პერიოდში არსებულ კულტურებს შორის „დიალოგი“ ისტორიის განუყოფელი ნაწილია. „რკინის ფარდისა“ და სხვა მსგავსი ტიპის ბარიერების არსებობის შემთხვევაშიც კი ერთმანეთის მოსაზღვრე კულტურების წარმომადგენლები მუდმივად ცვლიან ცოდნასა და გამოცდილებას. ამის გამო მათ შორის ყალიბდება ტიპოლოგიური მსგავსებები, რომლებიც ისტორიული ეპოქის სახეს განსაზღვრავს. მაგალითად, თანამედროვე ადამიანი იოლად გაიგებს ყველაფერს, რაც შეეხება: დემოგრაფიას, ეკონომიკურ განვითარებას, ტექნოლოგიურ პროგრესს, სახელმწიფო მოწყობას, საერთაშორისო პოლიტიკას, მეცნიერებას, გლობალურ კლიმატცვლილებასა და თანამედროვე სამყაროსთვის აქტუალურ სხვა გამომწვევებს.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ თანამედროვე ეტაპზე კულტურებმა თვითმყოფადობა დაკარგეს? რა თქმა უნდა, არა. ფრანგი ისტორიკოსი ფენრან ბროდელი ამბობდა, რომ *„მინის ეპოქის ჩინეთი და ვალუას ეპოქის საფრანგეთი (ანუ შუა საუკუნეებში არსებული სახელმწიფოები) ბევრად უფრო ჰგავს ერთმანეთს, ვიდრე მაო ძე დუნის ჩინეთი და საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკა (ანუ XX საუკუნის მეორე ნახევარში არსებული სახელმწიფოები).*

ამ კუთხით არსებულ დილემებზე მსჯელობისას, ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ ორი ცნება: „დიფუზია“ და **„აკულტურაცია“**.

ა) მაგალითად, ფურცელი გამოიგონეს ჩინეთში, ძვ.წ. I ათასწლეულში. დღეს კი მას მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იყენებენ. სამეცნიერო ტერმინებით რომ ვთქვათ, მოხდა კულტურის ამ ელემენტის დიფუზია ჩინეთიდან დანარჩენ მსოფლიოში.

ბ) ქრისტიანობა გაჩნდა ახ.წ. I საუკუნეში რომის იმპერიის განაპირა პროვინცია პალესტინაში. დღეს კი ქრისტიანებს მსოფლიოს ყველა კონტინენტზე შევხვდებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ახ.წ. I ათასწლეულში მოხდა ქრისტიანობის იდეის დიფუზია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

დიფუზია გულისხმობს კულტურებს შორის კულტურის ელემენტების გავრცელებას, რომელიც ხორციელდება ვაჭრობის, მოგზაურობის, მისიონერთა და ინტელექტუალთა მოღვაწეობის, ამა თუ იმ ტერიტორიაზე ხალხთა მნიშვნელოვნი ნაკადის მიგრაციის გზით. დიფუზიის გზით ვრცელდება როგორც მატერიალური კულტურის ძეგლები, ისე იდეები და მსოფლმხედველობები:

ამა თუ იმ კულტურის წიაღში ახალი იდეების შეღწევას/დიფუზიას ხშირად მოსდევს დინამიკური სოციალური პროცესები. მაგალითად, შეგვიძლია გავიხსენოთ, რა პროცესები სდევდა თან ქრისტიანობის გავრცელებას რომის იმპერიაში. ამის მიზეზი არის ის, რომ პოლიტიკური ელიტები ახალ იდეებს ერთმანეთთან შიდა დაპირისპირებისას იყენებენ. ასეთ დროს ხშირად ადგილი აქვს მცდელობას, კულტურა გაიგივებულ იქნეს ერთ, ან ორ კულტურის ელემენტთან, მაგალითად, რომის იმპერიაში არსე-

ბობდნენ პოლიტიკური ელიტები, რომლებიც ქრისტიანობას „იმპერიისთვის ანტისხეულად“ აცხადებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ თავად ქრისტიანი მამები იმპერიის პატრიოტები იყვნენ და „რომის იმპერიაში“ ხედავდნენ ზეციური წესრიგის მიწაზე რეალიზების შესაძლებლობას.

კულტურის ახალი ელემენტების გათავისება კულტურის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია. ამა თუ იმ ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების/სოციალური პროცესების შესწავლისას, ყოველთვის მნიშვნელოვანია ყურადღების შემდეგ საკითხებზე გამახვილება:

- რა წარმოადგენს კულტურისთვის ახალ ელემენტს; რა არის ცვლილებების წყარო?
- რატომ არის საზოგადოება პოზიტიურად ან ნეგატიურად განწყობილი კულტურის ახალი ელემენტების მიმართ?
- არის თუ არა კულტურის ახალი ელემენტი ადაპტირებადი?

თუ საზოგადოება/პოლიტიკური ელიტები ახალ ელემენტებს კულტურის გამამთლიანებელ იდეას უკავშირებენ, ამ შემთხვევაში კულტურა განაგრძობს განვითარებას. თუკი ისე მოხდა, რომ კულტურამ რაიმე იდეის, ან ინოვაციის აკომოდაცია ვერ შეძლო, ეს შესაძლებელია საზოგადოების იზოლაციის, დასუსტების, ან მისი აკულტურაციის მიზეზი გახდეს.

ტერმინით „აკულტურაცია“ მეცნიერები აღნიშნავენ პროცესს, როცა ერთი ხალხის კულტურა სრულად ანაცვლებს/ასპარეზიდან განდევნის სხვა ხალხის კულტურას. ეს, ცხადია, ტრაგიკული მოვლენაა. მისი წყალობით, ისტორიის ასპარეზს ტოვებს ერთ-ერთი უნიკალური „პერსონაჟი“. ასიმილაციასა და აკულტურაციაზე მსჯელობისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეთნიკური ჯგუფის, იმპერიისა და სხვა ტიპის საზოგადოებრივი ჯგუფის „თვითსახელს“, ანუ სიტყვა-კონსტრუქტს, რომლითაც თავად ჯგუფის წევრები საკუთარ ერთობას აღნიშნავენ და რომელიც კულტურის გამამთლიანებელი იდეის როლს ასრულებს.

ვითარებაში, როცა ჯგუფის წევრები „თვითსახელს“ კვლავაც უკავშირებენ საკუთარ იდენტობას და სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს მიმართავენ მის სასარგებლოდ, შეუძლებელია საქმე გვქონდეს ასიმილაციასთან ან აკულტურაციასთან. ყველა სხვა შემთხვევაში, საქმე გვაქვს მსოფლმხედველობრივ ტრანსფორმაციებთან, რომლებიც, პირიქით, ამდიდრებს და აძლიერებს კულტურას.

ქვემოთ მოცემულია მაგალითები, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყანაში მომხდარ მსოფლმხედველობრივ ტრანსფორმაციებს წარმოაჩენს.

პრემოდერნული საზოგადოება	მოდერნული საზოგადოება	პოსტმოდერნული საზოგადოება
▸ ბუდიზმის ჩამოყალიბება და გავრცელება; ▸ კონფუციანელობა, დაოიზმი და ლეგიზმი; ▸ ათენური დემოკრატია; ▸ ქრისტიანული რევოლუცია; ▸ მანიქეველობა; ▸ ისლამის ჩამოყალიბება და გავრცელება.	▸ ჰოლანდიის რევოლუცია; ▸ ინგლისის რევოლუცია; ▸ აშშ-ს რევოლუცია; ▸ საფრანგეთის რევოლუცია; ▸ ნაპოლეონის ომები; ▸ „ხალხთა გაზაფხული“; ▸ „მეიძის რესტავრაცია“ იაპონიაში; ▸ თერგდალეულები; ▸ რუსეთის რევოლუცია.	▸ ბრძოლა სეგრეგაციის წინააღმდეგ; ▸ 1968 წლის სტუდენტების გამოსვლები საფრანგეთში; ▸ გამოსვლები ვიეტნამის ომის წინააღმდეგ; ▸ ბრძოლა აპართეიდის წინააღმდეგ; ▸ საბჭოთა კავშირის დაშლა.

პროექტული / პრაქტიკული დავალება

მდგრადი განვითარების მიზნებს უწოდებენ 17 პრიორიტეტს, რომელზეც შეთანხმდნენ გაეროს წევრი ქვეყნები.

მათი 2030 წლისთვის რეალიზება აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევა თანამედროვე ცივილიზაციის გადასარჩენად/შემდგომი განვითარების ხელშესაწყობად.

შეარჩიეთ სამი კონტექსტმაგალითი (კალათიდან - „პრემოდერნული საზოგადოება“, „მოდერნული საზოგადოება“, „პოსტმოდერნული საზოგადოება“ მხოლოდ ერთ მაგალითი). შექმენით მდგრადი განვითარების მიზნების ტიპის დოკუმენტი იმ საზოგადოებისთვის, რომელსაც ეს კონტექსტმაგალითები წარმოადგენენ.

ნაშრომში / ნაშრომის პრეზენტაციისას გამოკვეთეთ:

- *რომელი საზოგადოებრივი ჯგუფებისთვის არის აქტუალური თქვენ მიერ შემუშავებული მიზნები / პრიორიტეტები?* ***(სამიზნე ცნება - საზოგადოება)***
- *როგორ / რა ბერკეტების გამოყენებით შეიძლება მოხერხდეს თქვენ მიერ გამოკვეთილი მიზნების / პრიორიტეტების რეალიზება?* ***(სამიზნე ცნება - ძალაუფლება)***
- *რა ლოკალური და გლობალური პროცესები შეუწყობს / შეუშლის ხელს თქვენ მიერ გამოკვეთილი მიზნების/პრიორიტეტების მიღწევას; რა მოვლენებმა და პროცესებმა განაპირობა მათი გამოკვეთა ?****(სამიზნე ცნება - მოვლენა / პროცესი)***

თავი 3. პრემოდერნული, მოდერნული და პოსტმოდერნული კულტურა

პარადიგმული ცვლილებები

კულტურულ-მსოფლმხედველობრივ ტრანსფორმაციებზე მსჯელობისას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდატეხები, რომლებმაც ძირეულად შეცვალეს ადამიანის აზროვნების სტილი. ასეთი მასშტაბის გარდატეხები ისტორიაში მოხდა ორჯერ: XVIII-XIX საუკუნეებში და XX საუკუნის მეორე ნახევარში. აქედან გამომდინარე, გვაქვს საფუძველი, ვისაუბროთ სამი ტიპის კულტურაზე:

პრემოდერნული კულტურა	**მოდერნული**	**პოსტმოდერნული**
მსოფლმხედველობის საფუძველია - „რელიგია“ და „მმართველი დინასტია“	მსოფლმხედველობის საფუძველია - „ნაცია“	მსოფლმხედველობის საფუძველია: „ადამიანის უფლებები“ და „მდგრადი განვითარება“

ტერმინი **„პრემოდერნი“** მოიცავს ეპოქებს, როცა მსოფლმხედველობის საფუძველს რელიგია წარმოადგენდა. ამ პერიოდის ადამიანი გარემომცველ სამყაროს აღწერდა, ხსნიდა და აფასებდა რელიგიური კატეგორიებით.

XVIII-XIX საუკუნეებში ჩამოყალიბდა კულტურები, რომელთა გამამთლიანებელი იდეა იყო ნაცია (მანამდე ისტორიის მთავარ იდეას რელიგია, რელიგიური თემი და საგვარეულო დინასტიები წარმოადგენდნენ).

ტერმინები „ახალი ისტორია“ და **„მოდერნული ცივილიზაცია“** გულისხმობს შემდეგ შინაარსსა და ქრონოლოგიურ ჩარჩოებს:

<u>ადრეული მოდერნი</u> - XVII-XVIII საუკუნეები. „აბსოლუტიზმისა“ და „განმანათლებლობის“ ეპოქა;

განმანათლებლები: ვოლტერი, დენის დიდრო და შარლ ლუი მონტესკიე

ლუი IX

– <u>კლასიკური პერიოდი</u> - „ხანგრძლივი XIX საუკუნე“. საფრანგეთის რევოლუციის დაწყებიდან (1789 წლიდან) მსოფლიო ომებამდე პერიოდი (1914–1918 პირველი მსოფლიო ომი; 1939–1945 მეორე მსოფლიო ომი);

– <u>გვიანდელი მოდერნი</u> - მსოფლიო ომებიდან XX საუკუნის 60-იან წლებამდე (საზოგადოებრივი მოძრაობები 50-60-იანი წლების საფრანგეთში, აშშ-ში და სხვა ქვეყნებში), ან 1991 წლამდე (საბჭოთა კავშირის დაშლამდე) პერიოდი.

1968 წელს სტუდენტების გამოსვლები პარიზში

მარტინ ლუთერ კინგი და სეგრეგაციის წინააღმდეგ ბრძოლა ა.შ.შ. - ში

ვიეტნამის ომის წინააღმდეგ გამოსვლები ა.შ.შ. - ში

საბჭოთა კავშირის დაშლა

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან კი ჩამოყალიბებას იწყებს იდეები, რომლებიც თითქოს პლანეტის ყველა კულტურას/მთელ მოსახლეობას აერთიანებს. 1914 წლიდან 1945 წლამდე პერიოდში კაცობრიობამ გამოიარა ორი მსოფლიო ომი. 1945 წლიდან 1991 წლამდე კი ის ვითარდებოდა „ცივი ომის“ პირობებში, როდესაც ძალიან ხელშესახები იყო ბირთვული ომის საფრთხე. მსოფლიო ომებით გამოწვეულმა საშინელებებმა განაპირობა კულტურულ-მსოფლმხედველობრივი ტრანსფორმაციები, რომლებმაც ძირეულად შეარყია **მოდერნული ცივილიზაციის** საფუძვლები.

ახალ ისტორიულ ეპოქას ადამიანები სხვადასხვა სახელით იხსენიებენ - „პოსტმოდერნი“, „მეტამოდერნი“, „უახლესი ისტორია“, „ტექნოლოგიური რევოლუცია“, „პოსტინდუსტრიული პერიოდი“, „გლობალიზაციის ეპოქა“, „საინფორმაციო საზოგადოება“. თითოეული ეს ტერმინი თანამედროვე საზოგადოების სხვადასხვა მახასიათებელს წამოსწევს წინ:

- ტერმინი **„პოსტმოდერნი“** გამოხატავს ღირებულებით და მსოფლმხედველობრივ განსხვავებებს თანამედროვეობასა და მოდერნულ ცივილიზაციას შორის;

- ტერმინი **„მეტამოდერნი“**, მოდერნსა და დღევანდელობას შორის განსხვავებებთან ერთად, მემკვიდრეობასაც წარმოაჩენს;

ჟან ბოდრიარი, ჟაკ დერიდა, ზიგმუნტ ბაუმანი

– ტერმინი **„უახლესი ისტორია“** გამოკვეთს ამ პერიოდის მოვლენების უშუალო კავშირს თანამედროვეობასთან;

რუსეთ-უკრაინის ომი

ისრაელ-პალესტინის ომი

– ტერმინი **„ტექნოლოგიური რევოლუცია“** წინ წამოსწევს ტექნიკური პროგრესის მნიშვნელობას, რომელსაც გამორჩეული ადგილი უჭირავს თანამედროვე პერიოდში და რომლის ანალოგიც ისტორიაში ძნელად მოიძებნება;

– ტერმინი **„პოსტინდუსტრიული საზოგადოება“** ყურადღებას ამახვილებს ეკონომიკურ პროცესებზე, კერძოდ, პრიორიტეტების გადანაცვლებაზე წარმოების სფეროდან მოხმარების სფეროზე;

– ტერმინი **„გლობალიზაციის ეპოქა“** მიგვანიშნებს ეკონომიკურ-პოლიტიკურ-სოციალურ-კულტურულ პროცესებზე, რომელთა წყალობითაც დღეს მსოფლიოს ქვეყნებს მჭიდრო ურთიერთობა და საერთო ინტერესები აქვთ;

– ტერმინი **„საინფორმაციო საზოგადოება“** გამოკვეთს თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში ინფორმაციისა და ინფორმაციასთან მუშაობის ცოდნის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

დავალება.

თქვენი აზრით, ჩამოთვლილთაგან რომელი ტერმინი გამოხატავს უფრო ზუსტად თანამედროვე მსოფლიოს სულისკვეთებას? პასუხი დაასაბუთეთ. მსჯელობისას მოიყვანეთ მაგალითები.

დანართი. მდგრადი განვითარების მიზნები

დანართში განხილულია თანამედროვე მსოფლიოსთვის აქტუალური გამოწვევები, რომლებთან გამკლავებაც მსოფლიოს ყველა ქვეყნის ძალების გამთლიანებას მოითხოვს.

◉ კლიმატის ცვლილების გამომწვევი ფაქტორები

გიფიქრიათ, როგორ შეიცვალა დედამიწაზე კლიმატი მას შემდეგ, რაც თქვენ დაიბადეთ? თქვენი ცხოვრების მანძილზე უფრო მეტად დათბა, ვიდრე მთელი სამრეწველო რევოლუციის დასაწყისიდან, ტემპერატურა გაიზარდა 0.75-ით სამრეწველო რევოლუციის შემდეგ და ტემპერატურის ამ ნაწილმა თქვენი ცხოვრების განმავლობაში, დაახლოებით, 0.5 გრადუსით მოიმატა. რა მოხდება შემდეგ? ეს დამოკიდებულია ნახშირბადის ემისიაზე. როგორ შეიცვლება დედამიწის კლიმატი? ეს დამოკიდებულია ემისიის მიმდინარე ტენდენციაზე. თქვენი საპენსიო ასაკის დადგომისას, ტემპერატურის ზრდის ასეთი ტენდენციით, დედამიწაზე 1,5-2,8 გრადუსით მოიმატებს ტემპერატურა, ეს კი მეტია, ვიდრე მთელი სამრეწველო რევოლუციის განმავლობაში დაფიქსირებული ცვლილება და, ამავე დროს, ბევრად აღემატება ტემპერატურის მატების უსაფრთხო ზღვარს - 1,5 გრადუსს. გამოდის, რომ თქვენი სიცოცხლის ბოლოს დათბობამ შესაძლოა მიაღწიოს 4,3 გრადუსს. შედარებისათვის, 4 გრადუსით დათბობა, ბოლო გამყინვარების პერიოდიდან მოყოლებული დღემდე, საკმარისი აღმოჩნდა პლანეტის კლიმატის გარდაქმნისათვის. ბავშვი, რომელიც დღეს დაიბადება, თავის ცხოვრების მანძილზე 6.3°C-მდე ტემპერატურის მატებას ნახავს. ეს კი საკმარისია კატასტროფული შედეგების მისაღებად ჩვენს პლანეტაზე. ემისიების შემცირების გარეშე, ტემპერატურა საგრძნობლად გაიზრდება სამომავლოდ, რაც კიდევ უფრო დააჩქარებს იმ ბუნებრივ პროცესს, რაც დედამიწის კლიმატის ცვლილების ციკლთან არის დაკავშირებული (გლობალური დათბობისა და გამყინვარების პერიოდი). გასათვალისწინებელია ისიც, ზოგიერთი კვლევის თანახმად, შესაძლოა კლიმატი ასე ადვილად არ შეიცვალოს, თუმცა მოქმედება აუცილებელია, რაც გულისხმობს ემისიების რაოდენობის შემცირებას ატმოსფეროში, რათა ტემპერატურის მატება არ აღემატებოდეს 1,5 გრადუსს.

(იხ. ინტერაქტიული დიაგრამა: კლიმატის ცვლილება: *რამდენად მოიმატებს ტემპერატურა ჩემი სიცოცხლის მანძილზე?* ბმული



დაჩქარებულმა ინდუსტრიამ, ადამიანის სამეურნეო საქმიანობამ, ბუნებრივ პროცესებთან ერთად, ბოლო ორასი წლის განმავლობაში დააჩქარა კლიმატის ცვლილების პროცესი, რაც ძალიან სწრაფად და შედარებით მოკლე დროში ვლინდება, ვიდრე ეს კლიმატის ცვლილების ბუნებრივ ციკლს ახასიათებს. ამიტომ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ატმოსფეროში გამოფრქვეული ე.წ. „სათბურის აირების“ კონცენტრაციის მატება, მათი რაოდენობრივი ზრდა გამოწვეულია ნამარხი ნახშირწყალბადების (ნავთობი, ნახშირი, გაზი) წვით. ამის შედეგად, ძლიერდება სათბურის ეფექტი, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს დედამიწის კლიმატზე. სათბურის ეფექტის წარმოქმნაში, ძირითადად, მონაწილეობს CO2-ი (ნახშირორჟანგი), წყლის ორთქლი, აზოტის ოქსიდი, მეთანი. რაც მეტია ამ აირების კონცენტრაცია ატმოსფეროში, მით უფრო მეტი მზის ენერგია გადაიქცევა სითბოდ. წარსულშიც ატმოსფეროში ნახშირორჟანგის კონცენტრაციის მატება-შემცირებას ემთხვეოდა დათბობისა და აცივების პერიოდები.

NOAA-ს მონაცემებით, გლობალურ ტემპერატურაზე დაკვირვების ანგარიშის თანახმად, 2019 წელი იყო ერთ-ერთი ყველაზე თბილი წელი 140 წლიანი ტემპერატურების ჩანაწერების მიხედვით. დედამიწაზე გლობალური წლიური ტემპერატურა გაიზარდა, საშუალოდ, 0,07°C (0,13°F)-ით 1880 წლიდან. 1880-იანი წლების შემდეგ ტემპერატურის 2/3 1975 წლის შემდეგ გაიზარდა, სწორედ ტემპერატურის ზრდის ეს მოკლე პერიოდი მიანიშნებს, რომ გლობალურად კლიმატის ცვლილება ადამიანის საქმიანობასთან არის დაკავშირებული, რაც წიაღისეულის ჭარბ მოხმარებას და წარმოებას უკავშირდება, და არა დედამიწის კლიმატის ცვლილების ბუნებრივ ციკლს.

იანვარი-დეკემბერი	ანომალია		რეიტინგი (140 წლიდან)		რეკორდი		
	°C	°F			წელი (წლები)	°C	°F
გლობალურად							
ხმელეთი	+1.42 ± 0.14	+2.56 ± 0.25	ყველაზე თბილი	2nd	2016	+1.54	+2.77
			ყველაზე ცივი	139th	1884	-0.72	-1.30
	Ties: 2015						
ოკეანე	+0.77 ± 0.16	+1.39 ± 0.29	ყველაზე თბილი	2nd	2016	+0.79	+1.42
			ყველაზე ცივი	139th	1904	-0.46	-0.83
ხმელეთი და ოკეანე	+0.95 ± 0.15	+1.71 ± 0.27	ყველაზე თბილი	2nd	2016	+0.99	+1.78
			ყველაზე ცივი	139th	1904	-0.45	-0.81

წყარო: ბმული

ატმოსფეროს სხვადასხვა კვლევითი ცენტრის მონაცემები აჩვენებს, რომ გასული 140 წლის განმავლობაში პლანეტის ზედაპირი, საშუალოდ, სულ უფრო თბებოდა. იხ. წყარო: ბმული



დედამიწის ზედაპირის ტემპერატურაში მომხდარი ანომალიები 1880-2020 წლებში. იხ. წყარო: ბმული

2021 წლის 9 აგვისტოს, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით, გაეროს მთავრობათაშორისი მეცნიერთა პანელის რიგით მეექვსე ანგარიში გამოქვეყნდა ბმული. ანგარიში კლიმატის ცვლილების შესახებ აქამდე გამოქვეყნებულ და განხორციელებულ კვლევებს ეყრდნობა, რომლის თანახმადაც, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით, არანაირი ორაზროვნება აღარ არსებობს და გლობალურად ტემპერატურის მომატების ერთმნიშვნელოვან ფაქტორად ადამიანის საქმიანობა

დასახელდა. ანგარიშის მიხედვით, დათბობა იმაზე სწრაფი ტემპი მიმდინარეობს, ვიდრე არსებული ტენდენციების მოდელირება აჩვენებდა და მკაფიოდ გამოიხატება დედამიწის სხვადასხვა რეგიონში ბუნებრივი კატასტროფების გამოვლინებით - სითბური ტალღების გაძლიერება, მეოთხე, მეხუთე კატეგორიის ციკლონებით, წყალდიდობებით, გვალვებით, მსოფლიოს ოკეანის წყლის დონის მატებით, ზეწრული და მთის მყინვარების დნობით, თოვლის საფარის შემცირებით, ფირნის ხაზის ზემოთ აწევით.



ნახშირორჟანგის ემისია 1850-2022 წლებში. წყარო: ბმული

2019 წელს, ადამიანის საქმიანობის შედეგად, ატმოსფეროში ჯამურად 40 მილიარდი ტონაზე მეტი ნახშირორჟანგი გაიფრქვა, ეს მაჩვენებელი 2020 წელს უმნიშვნელოდ შემცირდა, კოვიდპანდემიის პერიოდში დაწესებულმა რეგულაციებმა საერთაშორისო გადაზიდვებზე, ტრანსპორტზე, ქვეყნების მიერ ეროვნულ დონეზე დაწესებულმა ღონისძიებებმა 14,5 %-ით შეამცირა ნახშირორჟანგის ნაკვალევი. სასურველი იქნებოდა, რომ ეს შედეგი პანდემიით გამოწვეული შეზღუდვებით არ დამდგარიყო. ბმული

რა ფაქტორები ქმნის დედამიწის კლიმატს? კლიმატის ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანესია გეოგრაფიული განედი, თავს მხრივ, მზის რადიაცია, მზის სითბოს გადანაწილება დედამიწაზე, კონტინენტის განფენილობა და სიდიდე, სანაპირო ზოლიდან დაშორება. დიდი მნიშვნელობა აქვს მზის რადიაციის არეკვლისა და შთანთქმის მაჩვენებლებს, მაგ. ყინულით დაფარული ტერიტორია ინტენსიურად აირეკლავს მზის სხივებს, ხოლო ხმელეთი, თავისი განსხვავებული საფარითა და ზედაპირით, უფრო შთანთქავს მზის რადიაციას; ასევე, გათბობის პროცესში, ჯერ თბება ხმელეთს ზედაპირი, რომელიც შემდგომში ათბობს ჰაერის მასებს. ოკეანესა და ხმელეთს სითბოს გაცემა და შენარჩუნება განსხვავებულად შეუძლიათ. ზღვისპირა კლიმატი მკვეთრად განსხვავდება კონტინენტური კლიმატისაგან - კონტინენტური უფრო მეტად სიმშრალისაკენაა მიდრეკილი. საერთო ჯამში, დედამიწის ზედაპირზე მზის სითბური ენერგიის არათანაბარი გადანაწილებისა და შთანთქმის შედეგად, ატმოსფეროში იქმნება ენერგიის ბალანსი. მზის ენერგიის 100% მოდის დედამიწაზე, მზიდან წამოსული ენერგიის 50 % შთაინთქმება დედამიწის ზედაპირის მიერ,

30 % კი უკან აირეკლება, 20% ღრუბლების მიერ შთაინთქმება. თავის მხრივ, კლიმატის ჩამოყალიბებაში დიდ როლს ატმოსფეროს ქიმიური შემადგენლობა თამაშობს. აირები, განსხვავებული ფიზიკური თვისებების გამო, სხვადასხვა ინტენსივობით შთანთქავენ მზის გამოსხივებას, ამიტომ ატმოსფეროში აირების კონცენტრაციის ცვლილება გავლენას ახდენს კლიმატზე.

ასევე, მნიშვნელოვანია, გავარჩიოთ ცნებები - ამინდი და კლიმატი. ამინდი არის ატმოსფეროს ქვედა ფენების მუდმივად ცვალებადი მდგომარეობა დროის გარკვეულ მონაკვეთში და კონკრეტულ ადგილზე. ატმოსფეროს ქვედა ფენებში, კერძოდ, ტროპოსფეროში ყალიბდება ამინდი. ატმოსფეროს ამ ფენას „ამინდის სამზარეულოსაც“ უწოდებენ. სწორედ აქ ყალიბდება ისეთი მეტეოროლოგიური მოვლენები, როგორებიცაა ქარი, ნალექები, ტემპერატურის ცვლილება და ა.შ. ამინდზე მსჯელობისას, აღვწერთ ისეთ პარამეტრებს, როგორებიცაა ტემპერატურა, ნალექების ინტენსივობა, ქარის სიჩქარე და სხვ. თუ კლიმატის ცნებაზე შევაჩერებთ ყურადღებას, ესე იგი, ვგულისხმობთ ატმოსფეროს ქვედა ფენებში ამინდის მდგომარეობის ამსახველ გასაშუალოებულ მაჩვენებელს დროის შედარებით ხანგრძლივ პერიოდში. კლიმატზე მსჯელობისას, იყენებენ ისეთ პარამეტრებს, როგორებიცაა: საშუალო წლიური ტემპერატურა, ნალექების წლიური რაოდენობა, ტემპერატურის წლიური მაქსიმუმი, მინიმუმი და სხვ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1992 წელს მიიღო კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია, რომლის მიზანია ატმოსფეროში სათბურის აირების კონცენტრაციის სტაბილიზება. მნიშვნელოვანია, რომ აირების კონცენტრაცია დასაშვებ ნორმაზე უნდა დარეგულირდეს იმგვარად, რომ კლიმატის ცვლილებისადმი ეკოსისტემამ ადაპტაცია შეძლოს. აღნიშნული კონვენცია მონაწილე მხარეებისაგან/ქვეყნებისგან, მათ შორის, საქართველოსაგან მოითხოვს ინფორმაციის შეგროვებასა და შესაბამისი ანგარიშების წარდგენას შემდეგი აირების შესახებ: ნახშირორჟანგი (CO2); მეთანი (CH4); აზოტის ქვეჟანგი (N2O); ჰიდროფტორნახშირბადები (HFC); პერფტორნახშირბადები (PFC); გოგირდის ჰექსაფტორიდი (SF6). ასევე, უნდა აღინიშნოს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შექმნილი საქართველოს ჰაერის ხარისხის მონიტორინგი, რომელიც კონკრეტული ქალაქების ჰაერის ანალიზის საფუძველზე გვაწვდის ინფორმაციას სათბურის აირების კონცენტრაციის მაჩვენებელზე ჰაერში. იხ. ბმული:

ბმული

ატმოსფეროს ჰაერში ნახშირორჟანგის კონცენტრაციის შემცირების მიზნით, გლობალური მასშტაბით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი იყო კიოტოს ოქმი, რომელიც კლიმატის ცვლილების მთავრობათშორისი პანელის მესამე კონფერენციაზე 1997 წელს მიიღეს და ძალაში შევიდა 2005 წელს. კიოტოს ოქმი ეკონომიკურად ძლიერ, მდიდარ ქვეყნებს (35 ქვეყანა) ავალდებულებდა, 5 %-ით შეემცირებინათ გამონაბოლქვი, 1990 წლის მდგომარეობასთან შედარებით. რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, კიოტოს ოქმი მათ ამ ვალდებულებას არ აკისრებდა. კიოტოს ოქმით დავალდებულებული ქვეყნები ვაჭრობდნენ დაბინძურების კრედიტებით, რაც გულისხმობდა სათბურის ეფექტის აირების შემცირებას, დადგენილ კვოტასთან მიმართებით, ასევე, კრედიტებს იღებდნენ კლიმატის ცვლილების შედეგების პრევენციისა და აღმოფხვრის ღონისძიებების გატარებით. კიოტოს ოქმის შეფასება შესაძლოა ორი მიმართულებით განვიხილოთ: პირველი - ქვეყნებში ამაღლდა ინტერესი კლიმატის ცვლილებისადმი და საკუთარ სტრატეგიებში გაითვალისწინეს ეს მიმართულება; მეორე - ქვეყნებს შორის, რომლებმაც ვალდებულება აიღეს სათბურს აირების შემცირებაზე, ნაწილმა ვერ შეამცირა ატმოსფეროში მათი კონცენტრაცია და ვერც საჭირო კრედიტები მოაგროვა. კიოტოს ოქმის ორაზროვანი შეფასების საპასუხოდ, 2016 წელს შემუშავდა მსოფლიოს პარიზის შეთა-

ნხმება, რამაც ჩაანაცვლა კიოტოს ოქმი და მიზნად ისახავს, გლობალური ძალისხმევის გაძლიერებით, შეარბილოს კლიმატის ცვლილების საფრთხეები და შეზღუდოს გლობალური ტემპერატურის ზრდა 2 გრადუსამდე. უფრო მკაფიოდ რომ ვთქვათ, საჭიროა ტემპერატურის 1,5 გრადუსის ლიმიტის დაჭერა, რაც შეაფერხებს კლიმატის ცვლილებასა და მოსალოდნელ საფრთხეებს, რომლებიც შესაძლოა ბუნებრივ კატასტროფებად იქცეს.

პარიზის ხელშეკრულების მიხედვით, ვალდებულებას იღებენ როგორც განვითარებული, ასევე, განვითარებადი ქვეყნები და ეროვნულ დონეზე განზრახული აქვთ, შეიტანონ საკუთარი კონტრიბუცია ატმოსფეროში სათბურის აირების ემისიების შემცირების გზით. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ პარიზის ხელშეკრულების ხელმომწერმა ქვეყნებმა უნდა წარადგინონ ანგარიშები გეგმის შესრულების შესახებ.



როგორ მივედით კლიმატის კრიზისამდე? ამ კითხვის საპასუხოდ უნდა გავიხილოთ, კლიმატის ცვლილებაზე ზეგავლენას ძირითადად რომელი სექტორები ახდენენ - განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ენერგიის წყაროდ ნავთობს, ბუნებრივ აირს, ნახშირს იყენებენ. ამ კატეგორიის სექტორებია ენერგეტიკა და ტრანსპორტი, მიუხედავად იმისა, რომ ელექტროენერგიის გამომუშავების მაჩვენებელი თვითგანახლებადი ენერგიის წყაროებიდან (ქარი, მზე, ზღვის ტალღების ენერგია, ბიომასა) სულ უფრო მზარდია, გლობალურად მაინც მაღალი

რჩება ტრადიციული ენერგიის წყაროების გამოყენებით ენერგიის მიღება. დიდი რაოდენობით ნახშირორჟანგის ემისიის წყაროა ტრანსპორტი, განსაკუთრებით, საერთაშორისო გადაზიდვებით, ავიაციით, ავტოტრანსპორტით. კლიმატის ცვლილებისას, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მოსახლეობის ზრდის ტენდენციაც, რაც იმას ნიშნავს, რომ უფრო მეტი საკვების წარმოებაა საჭირო. ამის პარალელურად კი ბუნებრივი ტერიტორიების ათვისება ხდება, რაც გულისხმობს ტყეების გაჩეხვას, ჭარბტენიანი ტერიტორი-

ების ამოშრობას, სულ უფრო და უფრო მეტი ტერიტორიის ათვისებას სასოფლო სამეურნეო საქმიანობისათვის. სოფლის მეურნეობიდან სათბურის აირების ემისიების რაოდენობით ლიდერობს მეცხოველეობის დარგი, კერძოდ, ის გვევლინება მეთანის წყაროდ. მსოფლიოს სასოფლო სამეურნეო მიზნით გამოყენებული მიწების ნახევარი კი სწორედ მეცხოველეობის განვითარებისთვისაა განკუთვნილი. მოსახლეობის მუდმივად მზარდ მოთხოვნას ხორცსა და რძის პროდუქტებზე, თავისთავად, პირუტყვის რაოდენობის ზრდა მოჰყვება.

მეთანის წყაროდ გვევლინება ნარჩენები და საყოფაცხოვრებო, სამრეწველო ჩამდინარე წყლები, განსაკუთრებით, მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურის ნაგავსაყრელები (წყარო: ბმული

მარადმზარალი ნიადაგების ლღობა ასევე მნიშვნელოვან წყაროდ მიიჩნევა კლიმატის ცვლილების მიმართულებით. გაეროს კლიმატის ცვლილების მთავრობათშორისმა მეცნიერთა ჯგუფმა, ფაქტობრივად, ახლახან დაიწყო მარადმზრალი ნიადაგების ლღობის ფაქტორის შეტანა კლიმატის ცვლილების პროგნოზებში. შეიძლება ითქვას, კიდევ არ აქვთ ბოლომდე შესწავლილი, რა შეიძლება მოჰყვეს „პანდორას საყინულეს“ გახსნას.

ამონარიდი National Geographic საქართველოს ელექტრონული ჟურნალიდან სტატია „მიწისქვეშა საფრთხე“, 2020 წელი, ოქტომბერი (ბმული: ბმული).

„მრავალწლოვანი მზრალობა არის ქვენიადაგი, რომელიც გაყინულია მთელი წლის განმავლობაში. მის თავზე მოქცეულია ოთხ მეტრამდე ტალახი და მცენარეული დეტრიტი, იგივე აქტიური ფენა. ის, ჩვეულებრივ, ლღვება ყოველ ზაფხულს და კვლავ იყინება ზამთარში, რაც მზრალ ნიადაგს ჰაერში მომატებული ტემპერატურისგან იცავს, მაგრამ 2018 წლის გაზაფხულზე ნიკიტას ზედამხედველობის ქვეშ მომუშავე გუნდმა აღმოაჩინა, რომ ზედაპირთან ტალახი სულ აღარ გაიყინა ჩერსკიში, თანაც გრძელი და ბნელი პოლარული ღამის პერიოდში. ეს გაუგონარი ამბავი იყო: ციმბირში იანვარი ისე საშინლად ცივია, რომ შეიძლება ამოისუნთქოთ და იქვე წკარუნიც ჩაგესმათ – ის გაიყინა. ამ ხმას მკვიდრი იაკუტები „ვარსკვლავების ჩურჩულს“ ეძახიან. საბჭოელები მძიმე თვითმფრინავებსაც კი სვამდნენ მდინარე კოლიმას ყინულოვან საფარზე. 75 სანტიმეტრ სიღრმეზე მდებარე ნიადაგი, წესით, გაყინული უნდა დახვედროდათ, ამის ნაცვლად კი რბილ და სველ მასას წააწყდნენ.“

შეჯამებისათვის, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კლიმატის კრიზისი, რომელიც კლიმატის ცვლილების დაჩქარებული ტემპის საფუძველზე ჩამოყალიბდა, შემდეგ სექტორებს შეგვიძლია დავუკავშიროთ: ენერგეტიკა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა (მიწათსარგებლობა, სატყეო მეურნეობა, მეცხოველეობა) და ადამიანის საქმიანობას: ტყის გაჩეხვა, ნარჩენები, საწვავის მოხმარება, ატმოსფეროში ოზონდამშლელი ნივთიერებების გაფრქვევა.

რა შედეგები მოჰყვება კლიმატის ცვლილებს პლანეტაზე? ყველაზე დიდი საფრთხე ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენებისა და კატასტროფების გააქტიურებაა, რასაც სულ უფრო მზრდი ტენდენცია ექნება (წყალდიდობა, წყალმოვარდნა, ქარიშხლები, სითბური ტალღები, ზვავები, მეწყრები და ა.შ.). ბიომრავალფეროვნების შემცირება და იმ ეკოსერვისებზე, რომლითაც ადამიანები ეკონომიკურ და სულიერ სარგებელ იღებენ, შემცირდება წვდომა და გამოყენების შესაძლებლობა; პოლარული ყინულებისა და მთის მყინვარების დნობა, მსოფლიოს ოკეანის დონის მატება, რასაც ზღვისპირა დასახლებების, პორტების კარგვა მოჰყვება და პირდაპირ

იქონიებს გავლენას მოსახლეობის მიგრაციებსა და მისი თანმდევ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე; გაუდაბნოება და ნაყოფიერი ნიადაგების კარგვა, ნიადაგების დეგრადაცია.



სახელმწიფოების მოწყვლადობა კლიმატის ცვლილების მიმართ

კლიმატის ცვლილების შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: 1. მითების ანალიზი ბმული

2. ბმული

3. პრაქტიკული დავალება: el.ge

ბმული

ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფები

ჩვენს პლანეტაზე უამრავი ბუნებრივი საფრთხეა, რომელთა ნაწილი, შესაძლოა, ბუნებრივ კატასტროფად იქცეს და უარყოფითად აისახოს ადამიანის საქმიანობასა და მის საცხოვრებელ გარემოზე. შესაძლოა გიფიქრიათ, თუ რატომ სახლდებოდნენ ადამიანები და ახლაც რატომ სახლობენ ასე მჭიდროდ ისეთ ადგილებზე, სადაც ხშირია სხვადასხვა ბუნებრივი კატასტროფა. ჰოლანდიელი ვულკანოლოგის, ვან ბიომიოლენის მოსაზრებით, „მიუხედავად იმისა, რომ ვულკანების ამოფრქვევას, როგორც წესი, თან ნგრევა და მსხვერპლი ახლავს, ვულკანები მოსახლეობისათვის მაინც ერთ-ერთი ხელსაყრელ ფაქტორად რჩება“. დასკვნების გასაკეთებლად, შესაძლოა ერთ საინტერესო მაგალითი განვიხილოთ: 2018 წლის ივნისში ჰავაის კუნძულებზე ვულკან კილაუეას ამოფრქვევამ 2018 წელს ჰავაის სოლიდური ზარალი მიაყენა. თუმცა, მეცნიერება აღმოაჩინეს, რომ ბუნებრივი კატასტროფის შედეგად, კუნძულმა სარგებელიც მიიღო, კერძოდ, ჰავაის ტერიტორია 350 ჰექტრით გაიზარდა და უფრო საინტერესო და მდიდარი გახდა. ვულკან კილაუეას ამოფრქვევა აშშ-ის მეცნიერებისათვის ახალი დაკვირვების საგანია. ლავა, 24 ნაკადულის სახით, 36 კილომეტრზე გავრცელდა. დაზიანდა 700 სახლი და ინფრასტრუქტურა. გასათვალისწინებელია, რომ გაციებული ლავა მდიდარია მინერალებით. მეცნიერთა შეფასებით, რამდენიმე წელიწადში აქ ტროპიკული მცენარეები გაიზრდება. ჰავაის მოსახლეობას კი თავისი გეგმები აქვს ახალი ტერიტორიის ასათვისებლად - განავითარებენ ინფრასტრუქტურას, დააგებენ გზას და გაიყვანენ ელექტროენერგიას. ლავის ნაკადების შესწავლა ვულკანის ჩაქრობის პირველივე დღეებში დაიწყო, თუმცა ხელისშემშლელი ფაქტორი კვამლი იყო, რომელიც ცხელი ლავისა და წყლის შეხების შედეგად წარმოიქმნა. ახლა კი ჰავაის ახალი ტერიტორიის შესწავლა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

ამ მაგალითით ბუნებრივი კატასტროფის ერთგვარ დადებით მხარეს ვხედავთ, მაგრამ ხშირად სხვადასხვა ბუნებრივი კატასტროფა ადამიანებს ეკომიგრანტებად აქცევს და იძულებულები ხდებიან, დატოვონ საცხოვრებელი ადგილი, რაც სოციალურ-ეკონომიკურ პრო-

ბლემებს უქმნის ქვეყნებს. უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში მზარდი ტენდენციები იკვეთება იმ ოჯახების რაოდენობის კუთხით, ვინც ეკომიგრანტად იქცა და იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ საცხოვრებელი ადგილი (ინტერაქტიული რუკის ანალიზი ბმული; გარდა ამისა, ბუნებრივი კატასტროფები მნიშვნელოვან დამაბინძურებელ ფაქტორსაც წარმოადგენენ გარემოსთვის და თავიანთი წვლილი შეაქვთ ბუნების სხვადასხვა კომპონენტის დაბინძურების თვალსაზრისით. ბუნებრივ სტიქიურ მოვლენებსა და პროცესებს თავისი გავრცელების კანონზომიერება აქვთ და განსხვავდებიან წარმოშობის მიხედვით.



უნდა აღინიშნოს, რომ სტიქიური მოვლენა კატასტროფად მაშინ განიხილება, როდესაც ის ადამიანს მასშტაბურ უარყოფით შედეგებს მოუტანს, მაგალითად, მიწისძვრა ბუნებრივი პროცესია, მიუხედავად მისი სიძლიერისა, არ განიხილება ბუნებრივ კატასტროფად, თუ ის დასახლებულ ადგილზე არ მოხდა. თუ მიწისძვრას მოჰყვება თემის ან საზოგადოების ფუნქციონირების სერიოზული რყევა/ნგრევა, რაც ფართომასშტაბიან ადამიანურ მატერიალურ, ეკოლოგიურ, ეკონომიკურ დანაკარგებს გულისხმობს, სწორედ მაშინ მიეცემა ბუნებრივი კატასტროფის სტატუსი. დღეს ხშირია ჰიდრომეტეოროლოგიური სტიქიური მოვლენები: ტროპიკული შტორმები, ქარიშხლები, გვალვა, წყალდიდობები და სხვ. World Watch Institute მონაცემების თანახმად, 1980-იან წლებში ბუნებრივი კატასტროფების წლიური მაჩვენებელი 300 იყო, 1990-იან წლებში 480-მდე გაიზარდა, ხოლო ბოლო ათწლეულში 620-ს მიაღწია (წყარო: ბუნებრივი კატასტროფები ბმული).

დეგრადირებული გარემო უფრო აძლიერებს სტიქიური მოვლენების ეფექტს. განვიხილოთ ტროპიკული ციკლონი, მას სამი ძირითადი საფეხური აქვს: წარმოშობა, მომწიფება, დაშლა, რაც უწყვეტად მიმდინარეობს დედამიწის ცალკეულ რაიონებში. ციკლონები ძლიერდება, იშლება, შესაძლოა დასუსტებულმა მიაღწიოს კონტინენტამდე, ისევ დაბრუნდეს ოკეანის ან ზღვის ზედაპირზე და ისევ გაძლიერდეს. ტროპიკული ციკლონები დამახასიათებელია ინდონეზიისათვის, იაპონიისათვის, სამხრეთ კორეისათვის; სწორედ მასთან არის დაკავშირებული წყალდიდობები და წყალმოვარდნები.

ბუნებრივი კატასტროფების ინტენსივობა იზრდება ჩვენი ქვეყნის მასშტაბითაც, რაც ამავდროულად უკავშირდება ქვეყნის მთიან რელიეფსა და კლიმატურ თავისებურებებს. ასევე, ინტენსივობას ზრდის ადამიანის უარყოფითი ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე - ტყეების მასშტაბური გაჩეხით, მოპოვებითი მრეწველობით, გადამეტებული ძოვებით, მზარდი ურბანული პროცესებით, მდინარის აუზში უნებართვო სამეურნეო საქმიანობით. საქართველოში სტიქიური მოვლენები ემორჩილებოდნენ ციკლურობას. 90-იანი წლებიდან ასეთ მოვლენები თითქმის ყოველ წელს ვლინდება და გამოვლინების ინტერვალები

შემცირებულია; მაგალითად, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს წყაროზე დაყრდნობით, „1967-2009 წლების პერიოდში გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური ხასიათის სტიქიამ მოიცვა ქვეყნის ტერიტორიის 70%, სტიქიის რისკის არეალში აღმოჩნდა 3 ათასზე მეტი დასახლებული პუნქტი, სხვადასხვა ხარისხით დაინგრა ან დაზიანდა 400 ათასზე მეტი საცხოვრებელი სახლი და ნაგებობა. 1,5 მილიონი ჰექტარი მიწის სავარგული, 550 კმ-ზე მეტი სიგრძის საავტომობილო გზა. ეკომიგრანტების სტატუსით გადასახლებულ იქნა 60 ათასამდე ოჯახი. აღნიშნულ პერიოდში მომხდარმა სტიქიურმა მოვლენებმა ქვეყანას 14 მილიარდი აშშ დოლარზე მეტი ზარალი მიაყენა, დაიღუპა ათასზე მეტი, მათ შორის, 1987 წლიდან დღემდე 600-მდე ადამიანი.“

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანი საკუთარი საქმიანობით ცვლის ბუნებრივ გარემოს, რაც სხვადასხვა სახის მოვლენებით ვლინდება. ამ პრობლემებს შორის აქტუალურია ტექნოგენური კატასტროფები. გარემოს დამაბინძურებლებს შორის განსაკუთრებული ადგილი ფაბრიკა-ქარხნებიდან ატმოსფეროში და მსოფლიო ოკეანეში მოხვედრილ მავნე ნივთიერებებს უკავია, რომელიც ხვდება ადამიანის კვებით ჯაჭვში და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ შეუქცევად პროცესებს იწვევს.

ტექნოგენური კატასტროფების განვითარებაში დიდი როლი სწორედ რომ ადამიანს აკისრია, რადგან სწორედ ბუნებრივი კომპლექსების ცვლილება ადამიანის მხრიდან ტექნიკისა და ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით მიმდინარეობს.

2010 წლის 20 აპრილს მექსიკის ყურეში ლუიზიანას შტატის სანაპიროებთან კომპანია BP-ს კუთვნილი ჭაბურღილის პლატფორმის Deepwater Horizon-ის აფეთქებამ მისი ჩაძირვა გამოიწვია. ბმული

სპეციალური სამსახური ხანძრის ჩაქრობას 36 საათის განმავლობაში ცდილობდა. კატასტროფის შედეგად, 11 ადამიანი დაიღუპა, ოკეანეში 5 მილიონი ბარელი ნავთობი ჩაიღვარა. ნავთობის გადინების შეჩერება 4 აგვისტოს შეძლეს. ავარიის შედეგად, ოკეანის ეკოსისტემა მნიშვნელოვნად დაზიანდა და ნავთობის ჩაღვრის ერთ-ერთ მასშტაბურ შემთხვევად შეფასდა, ამავდროულად, მეცნიერებმა პლატფორმაზე მომხდარი აფეთქება აშშ-ის ისტორიაში ყველაზე დიდ ტექნოგენურ კატასტროფად შეაფასეს.

ტექნოგენური კატასტროფების განვითარების ისტორიაში ერთ-ერთ მასშტაბურ ტექნოგენურ კატასტროფად ითვლება 1986 წლის 26 აპრილს უკრაინის ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი აფეთქება. აფეთქებას გარემოში რადიოაქტიური ელემენტების გაფრქვევა მოჰყვა. ავარიის შედეგად, დასხივებით, დაახლოებით, 300 ათასამდე ადამიანი გარდაიცვალა. რადიოაქტიური ნივთიერება დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის მასშტაბით გავრცელდა. რადიაციამ დააბინძურა წყალი, ნიადაგი, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

2011 წლის 11 მარტს იაპონიაში ძლიერ მიწისძვრას გამანადგურებელი ცუნამი მოჰყვა, რამაც ფუკუშიმას ატომურ ელექტროსადგურზე აფეთქება გამოიწვია. ერთმანეთის მიყოლებით, სამი რეაქტორი დაზიანდა; ნიადაგში, ჰაერში და წყალში რადიოაქტიური ნივთიერებების გაჟონვა მოხდა. აფეთქებას ათასობით ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. თითქმის ნახევარ მილიონ ადამიანს მოუხდა სახლის დატოვება და დროებით თავშესაფარში გადასვლა. ზონის გარეთაც მოიმატა რადიაციის დონემ. რადიოაქტიური ნივთიერებების მაღალი შემცველობა საკვებსა და წყალში ტოკიოშიც დაფიქსირდა და სამხრეთ კორეის სანაპიროებზეც. რადიაციის გაჟონვა ცვალებადი რაოდენობით იაპონიაში დღესაც გრძელდება.

იაპონიის მთავრობას დღემდე არ გაუხსნია ატომური ელექტროსადგურის გარშემო ე.წ. „ჩაკეტილი ზონა“, დაახლოებით 20 კილომეტრიან რადიუსში.

ქეისის ანალიზი:

ვერცხლისწყლით მოწამვლასთან დაკავშირებულმა მასშტაბურმა კრიზისებმა, რომელთა შორის ერთ-ერთია მინამატას კატასტროფა, საერთაშორისო ყურადღება მიიპყრო. იაპონიის ქალაქ მინამატაში ქიმიური ქარხანა გაიხსნა. ნედლეული კი, რისი დამუშავებაც ხდებოდა, მინერალი „კინოვარი“, იგივე „სინგური“ გახლდათ. ქარხნის მეპატრონეები დიდ მოგებაზე მუშაობდნენ, რაც პროდუქციაზე მაღალი მოთხოვნით იყო გამოწვეული. რა თქმა უნდა,

დამსაქმებლებმა მინერალ კინოვარის ქიმიური შემადგენლობა და მისი უარყოფითი თვისებების შესახებ ყველაფერი კარგად იცოდნენ; დამუშავების ტექნოლოგიასაც საუკეთესოდ ფლობდნენ; ამიტომ, არც თვითონ და არც იქ დასაქმებულები არ იწამლებოდნენ. თუმცა... ნარჩენებად დარჩენილი ვერცხლისწყლის გაუვნებელყოფას ცალკე სახსრები სჭირდებოდა, ამიტომ მათ იოლი გზა მოძებნეს და იქვე ახლოს, წყნარ ოკეანეში, კერძოდ, მინამატას ყურეში ღვრიდნენ ქიმიური ნარჩენებით დაბინძურებულ წყალს.

ყველაფერი კი ასე დაიწყო... 1908 წელს, იაპონიის ქალაქ მინამატაში კომპანია „ჩისოს“ ქიმიური ქარხანა აშენდა, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ მინერალურ სასუქებს

აწარმოებდა. დროთა განმავლობაში, კომპანია გაფართოვდა და ახალი, მათ შორის, აცეტილენის, აცეტალდეჰიდის, ძმარმჟავისა და ქლორეთილენის წარმოებები დაემატა. წარმოების ნარჩენების ჩაშვება პირდაპირ მინამატას ყურეში ხდებოდა. აცეტალდეჰიდის წარმოებაში რეაქციის დასაჩქარებლად, ანუ კატალიზატორად ვერცხლისწყლის სულფატი გამოიყენებოდა. რეაქციების შედეგად, მცირე რაოდენობის მეთილის ვერცხლისწყალი წარმოიქმნებოდა, რომელიც წარმოების დაწყებიდან 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მინამატას ყურეში ჩაედინებოდა. შედეგად, ჯერ მოიწამლა წყალი, შემდეგ წყალმცენარეები და შემდეგ უკვე - თევზებიც. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქალაქ მინამატას მოსახლეობა თავს მეთევზეობით ირჩენდა და მათი კვების რაციონში ძირითად საკვებს თევზი და ზღვის პროდუქტები წარმოადგენდა.

1956 წლის 21 აპრილს ქალაქ მინამატას საბავშვო კლინიკაში პატარა გოგონა მიიყვანეს. გოგონას ცენტრალური ნერვული სისტემის აშლილობის ნიშნები ჰქონდა. დიაგნოზის დასმა გაძნელდა. გარკვეული ხნის შემდეგ, იმავე კლინიკაში მოხვდა გოგონას სამი წლის და. პირველ მაისს მინამატას საქალაქო კლინიკაში იმავე სიმპტომებით კიდევ ორი ახალი პაციენტი მიიღეს.

ეს დღე ითვლება ახალი დაავადების აღმოჩენის დღედ, რომელსაც, მოგვიანებით, „მინამატას დაავადება“ ეწოდა. მალე გაირკვა, რომ მინამატას მცხოვრებთა უმეტესობას იგივე დაავადება ჰქონდათ. დაავადების ძირითადი სიმპტომები იყო მოძრაობის კოორდინაციის დარღვევა, მხედველობის, სმენისა და მგრძნობელობის დაქვეითება. უმრავლესობა ფსიქიკურ აშლილობას განიცდიდა. ავადმყოფობა არ იყო ინფექციური ხასიათის. ერთი და იგივე ოჯახის წევრები ავადდებოდნენ ზოგჯერ რამდენიმე დღის, კვირის ან წლის ინტერვალით. გამოირიცხა, აგრეთვე, დაავადების მემკვიდრეობით გადაცემის გზა. გარდაცვლილებს აღენიშნებოდათ თავის ტვინის ტოქსიკური დაზიანება, ანთების კერის გარეშე. ექიმებმა შენიშნეს, რომ დაავადებულთა უმრავლესობა ზღვასთან, მინამატას სრუტესთან ახლოს ცხოვრობდა. უფრო ხშირად ავადდებოდნენ მეთევზეები და მათი ოჯახის წევრები, აგრეთვე, ის ხალხი, ვინც საკვებად მუდმივად იყენებდა თევზსა და ზღვის პროდუქტებს. ექიმებმა ისიც შენიშნეს, რომ დაავადებული ადამიანებივით იქცეოდნენ კატები და თოლიები (დარღვეული ჰქონდათ მოძრაობა და ა.შ.), რადგან საკვებად ისინიც თევზს იყენებდნენ. კატები კრუნჩხვებში ვარდებოდნენ და შემდეგ იხოცებოდნენ, რასაც „კატების ცეკვის ავადმყოფობა“ უწოდეს. ციდან მკვდარი ფრინველი ცვიოდა, გაქრა წყალმცენარეები და განადგურდა თევზიც. გარდა ამისა, სოფლებთან ახლოს ვეშაპებშიც მსგავსი სიმპტომები ვლინდებოდა. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ზღვის პროდუქტები დაბინძურებული იყო მძიმე ლითონებით. აღნიშნული მოსაზრება 1956 წლის 4 ნოემბერს გახდა ცნობილი.

1956 წლის 1 მაისს საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ახალი ნერვული დაავადების აღმოჩენის თაობაზე ოფიციალური განცხადება გააკეთა.

ამ მომენტიდან ხელისუფლებამ ეპიდემიის შესწავლა დაიწყო. შეიქმნა სპეციალური - “უცნაურ დაავადებასთან ბრძოლის კომიტეტი”. თავდაპირველად ის ინფექციურ დაავადებად მიიჩნეოდა. კუმამოტოს უნივერსიტეტის სპეციალისტების ჩართულობით, საკითხის შემსწავლელი სპეციალური კომისია შეიქმნა. დაავადების მიზეზის დადგენას გარკვეული დრო დასჭირდა. დაიწყო ახალი გარემოებების გამოვლენა. დაავადება იწყებოდა მოულოდნელად, ავადმყოფები უჩიოდნენ კიდურებში მგრძნობელობის შემცირებას, მხედველობისა და სმენის დაქვეითებას, მათ აღენიშნებოდათ კოორდინაციის დარღვევა, რის გამოც ვერ იღებდნენ მცირე ზომის საგნებს, ვერ იკრავდნენ ღილებს, უჭირდათ სიარული, ეცვლებოდათ ხმა. ამის შემდეგ კი ეწყებოდათ შეტევები და კარგავდნენ გონებას.

სიკვდილიანობის მაჩვენებლმა 35%-ს მიაღწია (მაგალითად, 1956 წლის დეკემბრისთვის გამოვლენილი 40 პაციენტიდან 14 გარდაიცვალა). მსხვერპლთა რაოდენობამ, ჯამში, 2000 ადამიანს გადააჭარბა. მიზეზის დადგენის შემდეგ მკვლევრების ყურადღების ცენტრში მაშინვე მოექცა ქარხანა "ჩისო". თავად კომპანიის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა დაადგინა ოკეანეში ჩაშვებულ წყლებში ტყვიის, ვერცხლისწყლის, მანგანუმის, დარიშხანის, სელენისა და თალიუმის მაღალი შემცველობა. თუ რომელი მეტალი გახდა მოწამვლის მიზეზი, მის დადგენაში დიდი წვლილი მიუძღვის ბრიტანელ ნევროლოგს დუგლას მაკ-ოლპაინს. სწორედ მან აღნიშნა ვერცხლისწყლის ორგანული ნაერთებით მოწამვლასა და მინამატას ავადმყოფობის სიმპტომების მსგავსებაზე.

1972 წელს სტოკჰოლმის კონფერენციის დელეგატების წინაშე წარსდგა სტუდენტი შინობუ საკამოტო, რომელიც დაინვალიდდა ჯერ კიდევ მუცლად ყოფნის დროს,



როდესაც მისი დედა შინობუზე ორსულობის დროს ვერცხლისწყლით მოიწამლა. 2009 წლის 20 თებერვალს გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) საბჭოს 25-ე სესიაზე მიღებულ იქნა კონვენცია - "ეფექტური, მოქმედი და თანმიმდევრული გზით ვერცხლისწყლის რეგულირების საერთაშორისო ღონისძიებების ინიცირების ხელშეკრულება", რომლის მიზანიც იყო ვერცხლისწყლის შემცველი ნაერთებით გარემოს დაბინძურების წყაროების შემცირება.

„მინამატას კონვენცია ვერცხლისწყლის შესახებ" (გაეროს განვითარების ფონდი საქართველო) კონვენციის ანალიზი, წყარო:

ბმული

„მინამატას კონვენცია ვერცხლისწყლის შესახებ" წარმოადგენს მნიშვნელოვან სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებას, რომლის მიზანია ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვა ვერცხლისწყლისა და მისი ნაერთების ანთროპოგენური გაფრქვევებისგან, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ვერცხლისწყლით მოწამვლა. კონვენციის ტექსტი შეთანხმდა შვეიცარიაში 2013 წლის 13 იანვარს, ქალაქ ჟენევაში. ოფიციალური გახსნის ცერემონიალი გაიმართა 2013 წლის 9 ოქტომბერს ქალაქ მინამატაში. 10 ოქტომბერს, იაპონიაში, 100-მდე ქვეყნის მთავრობებთან ერთად, საქართველომ ხელი მოაწერა „მინამატას კონვენციას ვერცხლისწყლის შესახებ".

მნიშვნელოვანია, რომ მინამატას კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას, შეერთებასა და მიღებას სახელმწიფოების მიერ და ღია იქნება შეერთებისთვის იმ თარიღის შემდგომ, როდესაც კონვენცია ხელმოწერისთვის დაიხურება. ამ ეტაპზე მინამატას კონვენციას ხელი მოაწერა 128 ქვეყანამ, ხოლო მისი რატიფიცირება 42-მა ქვეყანამ მოახდინა. მართალია, 2013 წლის ოქტომბერში საქართველომ ხელი მოაწერა მინამატას კონვენციას, თუმცა, მისი რატიფიცირება ჯერ არ მოუხდენია. პოლიტიკისა და მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩოს შეფასებამ გამოავლინა სისტემური ხარვეზები, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ქვეყნის მასშტაბით კონვენციის წარმატებით განხორციელებას. რეგულაციებს, გაზრდილ ინსტიტუციურ შესაძლებლობებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის გაუმჯობესებულ კოორდინაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კონვენციის წარმატებით განხორციელებისთვის.

კონვენციის მიზანია ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვა ანთროპოგენური ემისიების, ვერცხლისწყლისა და მისი ნაე-

რთების გარემოში გაფრქვევისაგან. ამ მიზნის მისაღწევად, კონვენცია შესაბამის მხარეებს სთხოვს/მოუწოდებს, მიიღონ და განახორციელონ მთელი რიგი მარეგულირებელი და პოლიტიკური ზომებისა, რაც ითვალისწინებს კონტროლს ვერცხლისწყლით და/ან მისი ნაერთებით ვაჭრობასა და მათ მიწოდებაზე. ეს მოიცავს ვერცხლისწყლის გაფრქვევის მთელ რიგ პირველად წყაროებს, როგორებიცაა: პირველადი მოპოვება; ვერცხლისწყლის შემცველი პროდუქტები, მაგალითად, კბილის ამალგამები, სხვადასხვა საზომი ხელსაწყოები, ფლუორესცენციური ნათურები და სხვ; წარმოების პროცესები, სადაც ვერცხლისწყალი ან მისი ნაერთები გამოიყენება; ოქროს კუსტარული, მცირემასშტაბიანი მოპოვება. ამასთან, კონვენცია მხარეებს სთხოვს/მოუწოდებს, რომ გააკონტროლონ ვერცხლისწყლის და/ან მისი ნაერთების ჰაერში გაფრქვევა, ნიადაგსა და წყალში მათი მოხვედრა ვერცხლისწყლის გაფრქვევის ზღვრული მნიშვნელობების დადგენის გზით, მრეწველობის ისეთ დარგებში, როგორებიცაა: ქვანახშირის საწვავზე მომუშავე ელექტროსადგურები და ინდუსტრიული ბოილერები, ფერადი ლითონების წარმოებაში გამოყენებული დნობისა და გამოწვის პროცესები, ნარჩენების ინსინერატორები, ცემენტის კლინკერის საწარმოები, BAT-ის და არსებული საწარმოებისთვის გაფრქვევის/ჩაშვების კონტროლის დადგენილი ღონისძიებების ჩატარების საფუძველზე. ასევე, მოიცავს დებულებებს ეკოლოგიურად მისაღები გზით ვერცხლისწყლისა და ვერცხლისწყლის ნარჩენების შუალედური შენახვის, დაბინძურებული ობიექტების, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ინფორმაციის გავრცელების ასპექტების შესახებ.

მდგრადი ეკონომიკური განვითარება მწვანე ეკონომიკა

ენერგიის ალტერნატიული წყაროები

კლიმატის ცვლილება, რომლის შერბილება გლობალური მსოფლიოსთვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, პირდაპირ არის დაკავშირებული ენერგეტიკასთან, რომელიც სათბურის გაზების დიდი კონტრიბუტორია ატმოსფეროში. რაც უფრო ვითარდება ენერგეტიკა, იზრდება სათბურის გაზების ემისია, რაც აჩქარებს კლიმატის ცვლილებას, შესაბამისად, ამ სფეროში მნიშვნელოვანია ძირეული ცვლილებების განხორციელება, რითაც ენერგეტიკის სექტორი თავის როლს ითამაშებს კლიმატის ცვლილების პრობლემის მოგვარებაში. მსოფლიოს მოსახლეობის ზრდა თავისთავად ზრდის მოთხოვნას ენერგეტიკულ რესურსებზე, ასევე, სათბურის აირების შემცირება ენერგიის დასუსტების საფუძველზე არ უნდა მოხდეს. ამიტომ უნდა იყოს გამოსავალი, რომელიც ენერგეტიკის დასუსტების გარეშე და, ამავდროულად, მოსახლეობის კეთილდღეობის გათვალისწინებით, შეარბილებს

კლიმატის ცვლილებას. ამ თვალსაზრისით შეგვიძლია განვიხილოთ ენერგიის ალტერნატიული წყაროები, თვითგანახლებადი, გამოულევადი ენერგია, რომლის მოძიებას კაცობრიობა სულ უფრო მეტად ცდილობს

ტრადიციული ენერგიის წყაროების ჩანაცვლების სურვილით. თვითგანახლებადი ენერგიის წყაროები, ტრადიციული წიაღისეული რესურსებისაგან განსხვავებით, ატმოსფეროში სათბურის ემისიების წყაროს არ წარმოადგენს, ამიტომ მისი მოპოვება და გამოყენება მწვანე ენერგეტიკის განვითარებას განაპირობებს და გარემოს არ დააბინძურებს.

ალტერნატიული ენერგიის წყაროები სხვადასხვა სახისაა, თითოეულ მათგანს გამოყენების თავისებურები აქვს. თვითგანახლებადი ენერგიის მუდმივი გამოყენება შესაძლებელია, რადგან, როგორც წესი, ივსება ბუნებრივი რეგენერაციული წყაროებიდან: ქარი, მზე, ბიომასა. პირველადი ენერგიის გამოყენების 13% ტრადიციულ ბიომასაზე მოდის, ხის დაწვით მიღებული ენერგიაზე. ენერგიის უმსხვილესი წყარო ჰიდროენერგეტიკა გახლავთ, რომელიც ენერგიის 2-3%-ს უზრუნველყოფს, ხოლო თანამედროვე ტექნოლოგიებით ათვისებული გეოთერმული, ქარის, მზისა და ზღვის ტალღებით მიღებული ენერგია, დაახლოებით, 1%-ზე ნაკლებია, მაგრამ სულ უფრო ფართოვდება მათი გამოყენება.



განახლებადი ენერგიის წყაროები 2016. წყარო: ბმული

ბიომასის ენერგიას მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ორგანული ნივთიერებებიდან ვიღებთ. ეს შეიძლება იყოს: შეშა, აგროგადამამუშავებელი ინდუსტრიის ნარჩენები, ხე-ტყის ექსპლუატაციისა და ინდუსტრიის ნარჩენები; მეცხოველეობის ნარჩენები, მუნიციპალური საყოფაცხოვრებო ნარჩენები. ენერგიის ამ წყაროს გამოყენებას თავისი ძლიერი მხარე აქვს: არის განახლებადი წყარო, თითქმის ყველგან არის გავრცელებული, ამ ენერგიის მოხმარება დამატებით სამუშაო ადგილებს ქმნის, ამცირებს სათბურის აირების ემისიას ატმოსფეროში. რაც შეეხება უარყოფითს: იმისათვის, რომ ბიომასა წარმოიქმნას,

დიდი ფართობის მქონე ტერიტორიაა საჭირო, თუ ბიომასად ტყე იქნება გამოყენებული, მისი ფართობის შემცირებამ შესაძლოა ეკოლოგიური კატასტროფა გამოიწვიოს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ენერგიის 4 % ბიომასიდან მიიღება. სატყეო და სასოფლო მეურნეობის ნარჩენებზე 9000 მგვტ სიმძლავრის სადგურები მუშაობს. 3300 მგვტ სიმძლავრის მუნიციპალურ ნარჩენებზე. დანია აქტიური გამომყენებელია ბიომასის ენერგიის და შექმნილი აქვს ბიოგაზის მწარმოებელი ცენტრალური სადგურები. დასავლეთ ევროპის მეფრინველეობის ფაბრიკების ნახევარზე მეტი სათბობად ბიოგაზს იყენებს. წამყვანი ავტომწარმოებლები, მაგალითად, „Volvo“ და „Scania“ აწარმოებენ ავტობუსებს, რომელთა ძრავები ბიოგაზის საწვავზე მუშაობენ. ასეთი ავტობუსები აქტიურად გამოიყენება შვეიცარიის ქალაქებში. ბრაზილიაში შაქრის ლერწმიდან ბიოეთანოლს აწარმოებენ, ამით ორჯერ შეამცირეს ბენზინის გამოყენება ტრანსპორტში, რამაც, თავის მხრივ, შეამცირა ბენზინის იმპორტზე დანახარჯები. რაც შეეხება საქართველოს, ბიომასის გამოყენება ჩვენთან, ძირითადად, შეშის გამოყენებით გვხვდება. შედარებით ახალი პრაქტიკაა მეცხოველეობის ნარჩენების გადამუშავებით ბიოგაზის მიღება, თუმცა ეს დანადგარები ტექნოლოგიურ განვითარებას საჭიროებს.

ბმული (სტატიის ანალიზი)





ბიომასის/ბიოენერგიის წარმოება ქვეყნების მიხედვით

ყოველ საათში დედამიწაზე იმდენი მზის ენერგია აღწევს, რაც ერთი წლის მანძილზე მთელი მსოფლიოს ენერგეტიკული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად არის საკმარისი“ (მუხიგულიშვილი, კვარაცხელია, 2013:12).

მზისგან გამოსხივებული ენერგია გარდაიქმნება ელექტრო და თბურ ენერგიად. მისი ათვისება შესაძლებელია როგორც პასიური, ასევე, აქტიური ფორმით. პასიური გამოყენების ფორმას რამე განსაკუთრებული ტექნოლოგია არ სჭირდება (მაგალითად, საცხოვრებელი სახლის სამხრეთისკენ მიმართული ფანჯრები, სათბურები სითბოს შენარჩუნებისათვის). დღეს ყველაზე გავრცელებული გზა მზის ენერგიის გამოსაყენებლად მზის პანელების ფოტოელექტრული სისტემაა, რომელიც მზის სხივებს ელექტროენერგიად გარდაქმნის, გარდა ამისა, იყენებენ შიდა სივრცეებისა და სითხის გასათბობად. უძრავი ქონების მფლობელს შეუძლია, დაამონტაჟოს მზის ცხელი წყლის სისტემა და, ამავდროულად, დააპროექტოს შენობა მზის პასიური ენერგიის გამოყენების გათვალისწინებით გასათბობად. მზის პანელები, უმეტესწილად, სახლის სახურავებზე ან მიწაზე მაგრდება.

1954 წელს, მას შემდეგ, რაც მეცნიერებმა აღმოაჩინეს ელემენტი სილიციუმი, რომელიც მზის სხივების ზემოქმედებისას ელექტრონულ მუხტს ქმნიდა, დაიწყო მზისგან ენერგიის მიღების ტექნოლოგიების განვითარება და დღესაც რჩება მიმზიდველ სუფთა, ხელმისაწვდომ ენერგიის წყაროდ. მზის პანელების სისტემის მუშაობა შემდეგნაირია: დღის განმავლობაში მზის ბატარეები შთანთქავს მზის ენერგიას. მზის პანელის თითოეულ უჯრედში არსებული სქემები აგროვებს ამ ენერგიას და აქცევს პირდაპირ ელექტროენერგიად. მზის ენერგია, გარდა იმისა, რომ სუფთა ენერგიის წყაროა ბუნებრივი გარემოსთვის, ფინანსურადაც მომგებიანია;

1. მზის ენერგიაზე გადასვლა მკვეთრად ამცირებს ან საერთოდ გამორიცხავს ელექტროენერგიის გადასახადს;
2. მზის პანელების წყალობით, გამომუშავდება უფასო ენერგია 25+ წლის განმავლობაში;
3. ყოველწლიურად, მსოფლიოს მასშტაბით, იზრდება ფასები ელექტროენერგიაზე. თუ მზის ენერგიის სისტემის დამონტაჟებაში ახლავე ჩაიდება ინვესტიცია, როგორც სახელმწიფოს, ასევე, რიგითი მოქალაქის მხრიდან, თავიდან აიცილებენ მზარდ ხარჯებს ელექტროენერგიაზე;
4. მზის ენერგიაზე გადასვლა ზრდის ქონების ღირებულებას - მიმზიდველია სახლი ყოველთვიური კომუნალური გადასახადების გარეშე;

5. მზის ენერგიის გამოყენება გარემოს არ აბინძურებს; აშშ-ს გარემოს დაცვის სააგენტოს მონაცემებით, ენერგეტიკის სექტორზე აშშ-ში ნახშირბადის ემისიის 27 % მოდის; წიაღისეულ საწვავზე მომუშავე ელექტროსადგურები ნახშირბადის ემისიის წყაროა, რაც აბინძურებს ჰაერს. მზის ენერგიის გამოყენებით კი საკუთარი ნახშირბადის ეკონაკვალევის შემცირებაა შესაძლებელი. დღის ბოლოს, ტიპური საცხოვრებელი, რომელსაც მზის პანელების სისტემა აქვს, ყოველწლიურად სამიდან ოთხ ტონამდე ნახშირბადის გამონაბოლქვს ამცირებს, რაც, ყოველწლიურად, 100-ზე მეტი ხის დარგვის ეკვივალენტია.

პრობლემები, რაც დაკავშირებულია მზის ენერგიის გამოყენების სისტემასთან:

1. მზის პანელების მაღალი თვითღირებულება, მაღალი ფასი პირველ ეტაპზე, როდესაც საჭიროა დამონტაჟება;
2. ელექტროენერგიის წარმოება დღის სინათლეზეა შესაძლებელი;
3. მზის ენერგიიდან სხვადასხვა ფორმის ენერგიის მიღების სიმძლავრე და ეფექტურობა დამოკიდებულია ამინდზე, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით ტექნოლოგიები ვითარდება, რაც ენერგიის დაგროვებას უკავშირდება და ეს სამომავლოდ, შეიძლება ითქვას, არ იქნება პრობლემა.
4. მზის ენერგიის ათვისება დამოკიდებულია ტექნოლოგიურ განვითარებაზე და ქვეყნების ადგილმდებარეობაზე. მზის ენერგიის მაჩვენებელი, ქვეყნების გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით, განსხვავებულია. ყველაზე ძლიერი ნათება ეკვატორზეა, მისგან მოშორებით კი შედარებით მცირდება.



ქარის ენერგიის ადრეული გამოყენების ფორმები ნაოსნობასთან არის დაკავშირებული, ღია ზღვაში, ოკეანეში ქარის ენერგიას სწრაფი გადაადგილებისათვის იყენებდნენ და, ამავდროულად, მოგზაურობის მარშრუტს განსაზღვრავდნენ. ქარის ენერგია ითვლება თვითგანახლებად ენერგიის წყაროდ. ისტორიულად მისი გამოყენების სხვა მაგალითებიც არსებობს, ქარის წისქვილების სახით, მარცვლეულის დასაფქვავად და წყლის ამოსატუმბად.

თანამედროვე ეპოქაში ტურბინები გარდაქმნის ქარის ენერგიას მექანიკურ ან ელექტროენერგიად. ქარის უდიდეს ტურბინებს შეუძლიათ, გამოიმუშაონ 8-9,5 მეგავატი სიმძლავრე. 2018 წლის მონაცემებით, მსოფლიოში ყველაზე მძლავრი ქარის ელექტროსადგური იყო „Jiuquan Wind Power Base“ ჩინეთში, განსუს პროვინციაში, რომელიც გამოიმუშავებს 6000 მეგავატზე მეტ ენერგიას. მსოფლიოში ყველაზე დიდი ქარის ტურბინა, რომელიც ჰავაიში მდებარეობს, 20 სართულიანი შენობის სიმაღლისაა და მისი ფრთების სიგრძე სტანდარტული ფეხბურთის სტადიონის ზომისაა.

2016 წლისათვის მსოფლიო ქარის ენერგიის დაახლოებით 4%-ს იღებდა. ქარის ენერგიით ელექტროენერგიის გამომუშავება სწრაფად იზრდება ნავთობისა და წიაღისეული საწვავის ფასის ზრდის გამო, ამავდროულად, წიაღისეული საწვავი გავლენას ახდენს კლიმატის ცვლილებაზე. 2030 წლისათვის მსოფლიოში ელექტროენერგიის 20%-ს მიიღებენ ქარის ენერგიის გამოყენებით, თუ ფინანსურად შევადარებთ ქარის ენერგიის ღირებულებას, რომე-

ლიც 2-6 ცენტია კილოვატ საათში, იცვლება ადგილმდებარეობის მიხედვით, ბუნებრივი აირისა და სხვა სახის წიაღისეული ენერგიის ღირებულებას, რომელიც მერყეობს 5-დან 17 ცენტამდე კილოვატ საათში, ბევრად მიმზიდველია ამ თვალსაზრისითაც. ქარის ელექტროსადგურებს სჭირდება ტერიტორია, ფართობი, რომელზეც განთავსდება ტურბინები. ყველაზე მომგებიანია ის ადგილები, სადაც მუდმივად ძლიერი ქარი ქრის. მაგრამ ეს ტერიტორია არ უნდა იყოს მჭიდროდ დასახლებულ განსახლებებთან ახლოს. რადგან ქარი მუდმივად ერთნაირი სიჩქარით არ ქრის, ენერგიის უწყვეტად მისაღებად საჭიროა ენერგიის შენახვა. ხელს არ უნდა უშლიდეს ველურ ბუნებას, რადგან ქარის გენერატორებს ხშირად გადამფრენი ფრინველების დაზიანებაში „ადანაშაულებენ“ და თავისებურად გავლენას ახდენს მათ პოპულაციაზე; „National Audubon Society”, რომელიც აშშ-ში ფრინველებისა და სხვა ველური ბუნების დაცვას ემსახურება, იმ შემთხვევაში აცხადებს თანხმობას ქარის ელექტროსადგურების განლაგებაზე, თუ მიგრირებად ფრინველებზე ზემოქმედება მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. შეჯამებისათვის, შეიძლება ვთქვათ:

1. ქარის ენერგიის გამოყენება არ აბინძურებს გარემოს;
2. განახლებადი ენერგიის წყაროა და ასეთი ტიპის ენერგიებს შორის ყველაზე იაფი;
3. ქარი არასტაბილურია, ქარის ელექტროსადგური ხმაურიანია;
4. ქარის ელექტროსადგურების განლაგებას სჭირდება დიდი ფართობის ტერიტორია;
5. ქარის ელექტროსადგური ზიანს აყენებს ფრინველებს;
6. ქარის ელექტროსადგური აფერხებს ტელე და რადიოსიგნალებს.



ქარისმიერი ელექტროენერგიის წარმოების წილი, 2023

პროცენტული წილი (%) მთლიანი ენერგიის წარმოებაში

იხ. ინტერაქტიული რუკა: ბმული

გეოთერმული და წყლის ენერგია

გეოთერმული ენერგია დედამიწის შინაგანი სითბური ენერგიის ათვისებაა, რომელიც თავისუფლად შეიძლება გამოვიყენოთ სივრცის გასათბობად ელექტროენერგიის საწარმოებლად. დედამიწის შინაგანი სითბო ზედაპირზე ლავის ნაკადების, გეიზერების, ცხელი წყაროების, ტალახის ვულკანებით და.ა.შ. ვლინდება. ეს ენერგიაც განახლებადი ენერგიის წყაროა, გეოთერმული ენერგია დედამიწის გულში არსებული ენერგიაა. დედამიწის გული გავარვარებული მასაა, მისი სიმხურვალე მზის სიმხურვალესაც კი აჭარბებს, ეს სიმხურვალე და ენერგია დედამიწის ზედაპირზეც ამოიფრქვევა ხოლმე ვულკანებისა და გეიზერების სახით. ამ ენერგიის გამოყენება, აბანოების მოწყობის გარდა, სხვა დანიშნულებითაც გახდა შესაძლებელი. მსოფლიოში ენერგიის 10% გეოთერმული ენერგიისგან მიიღება, გეოთერმული ენერგია გამოიყენება გათბობისა და ელექტროენერგიის მიღებისათვის. გეოთერმული ენერგიის მისაღებად გათხრები მიმდინარეობს და სპეციალური მოწყობილობის საშუალებით სითბოს, ცხელი წყლის ორთქლის გამოყენება ხდება. გათხრებისათვის სპეციალურად ხდება ადგილების შერჩევა, სადაც ბევრი ვულკანია და ცხელი წყაროები მოედინება. გეოთერმული ენერგია დღეისათვის მსოფლიოს 25-მდე ქვეყანაში გამოიყენება, მათ შორისაა ახალი ზელანდია, აშშ, ჩინეთი, იაპონია, იტალია, ფილიპინები, რუსეთი, ისრაელი და ა.შ. ისლანდია იდეალური მაგალითია ქვეყნისა, რომელმაც უარი თქვა ნავთობსა და ენერგიის სხვა ტრადიციულ წყაროებზე: ისლანდიაში სახლების, დაახლოებით, 90% თბება ცხელი წყლის საშუალებით, რომელიც ჭაბურღილებიდან მილებს მიეწოდება და საცხოვრებელ ნაგებობებს ათბობს. დარგი იმდენად განვითარებულია, რომ ისლანდია მზადაა, თავისი გამოგონებები უცხოეთში გაყიდოს. ელექტროენერგია, როგორც წესი, უფრო რთული გზებით მიიღება. ყველაზე გავრცელებული სამი გზაა: პირდაპირი - როდესაც ჭაბურღილიდან ამომავალი ორთქლი ტურბინაში გადის, რომელიც ენერგიას გამოიმუშავებს; არაპირდაპირი - როდესაც ცხელი წყალი მაღალი წნევით მიწიდან ამაორთქლებელს მიეწოდება, ხოლო მიღებული ორთქლი ტურბინას ატრიალებს; ბინარული - როდესაც ცხელი თერმული წყალი ურთიერთქმედებს თბოშემცვლელში სხვა სითხესთან (დუღილის უფრო დაბალი ტემპერატურით) და მისგან ორთქლს ქმნის, შედეგად, ეს ორთქლი ტურბინას ატრიალებს. შეჯამებისათვის, გეოთერმულ ენერგიასთან დაკავშირებით, შეგვიძლია დავასკვნათ:

1. მცირეა გარემოში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა;
2. არ არის დამოკიდებული ამინდზე;
3. იაფია ტრადიციულ სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებთან შედარებით;
4. გეოთერმული ენერგიის მისაღები სადგურების მშენებლობამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს გრუნტზე;
5. გეოთერმული ენერგიის მოპოვება შესაძლოა დამატებით პრობლემას ქმნიდეს საშიში აირებისა და მინერალების გამოყოფის თვალსაზრისით.

წყლის ენერგია, როგორც ჰიდრო, ასევე, ზღვის ტალღების ენერგია, განახლებადი ენერგიის წყაროა.

ჩვენი ქვეყნისათვის ჰიდრორესურსები კვლავ რჩება ენერგიის ძირითად წყაროდ. ჰიდროენერგია ყველაზე გავრცელებული ფორმაა მსოფლიოში. მისგან წარმოებული ენერგია იაფია, არ აბინძურებს გარემოს, ამავდროულად, შესაძლოა ჰქონდეს საირიგაციო, სარეკრეაციო ფუნქციები ადგილობრივი მოსახლეობისათვის. თუ ეს ენერგია მიიღება დიდი კაშხლების მშენებლობის საფუძველზე, იტბორება დიდი ფართობის მქონე ტერიტორია და ცვლის ადგილობრივ კლიმატს, გავლენას ახდენს თევზების მიგრაციაზე.

რაც შეეხება ოკეანის ტალღების ენერგიას, წარმოიქმნება ოკეანის ტალღების ზევით და ქვევით მოძრაობით. ამ შემთხვევაშიც იყენებენ

ენერგიის მისაღებად ტურბინებს, რომლის მექანიზმი ჰიდროელექტროსადგურების მუშაობის მსგავსია.

თუმცა, ამ შემთხვევაში ტექნოლოგია შედარებით მრავალფეროვანი და ძვირია. ზღვის ტალღების ენერგია არ არის დამოკიდებული ამინდზე. მოსახლეობისათვის დამატებით სარგებელს წარმოადგენს ხიდები და გზები, რომლებიც სადგურის მოსაწყობად იქმნება. ტალღების მოქცევით ენერგიის წარმოების კარგი პოტენციალი აქვთ საფრანგეთს, ინგლისს, კანადასა და რუსეთს, რადგანაც ენერგიის მიღების აღნიშნული საშუალება ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზეა, მსოფლიოში არსებობს მხოლოდ 2 კომერციული ელექტროსადგური, ერთი განთავსებულია საფრანგეთში, მეორე კი კანადაში, ასევე, ერთი ექსპერიმენტული სადგური მოქმედებს რუსეთში. ტალღების ენერგიის გამოყენების უდიდესი პოტენციალი აქვს ჩრდილოეთით და სამხრეთით 400-600 განედებს შორის მყოფ ქვეყნებს, სადაც ძლიერია ქარი მსოფლიო ოკეანის სანაპიროებზე.

მომავლის ეკოლოგია

ქვეყნების მაგალითები, რომლებიც თვითგანახლებად ენერგიის წყაროს იყენებენ: 2015 წელს შვედეთმა დაისახა ამბიციური მიზანი, 2040 წლისათვის ელექტროენერგიის გამომუშავების პროცესში საერთოდ ამოიღოს წიაღისეული საწვავის გამოყენება. ინვესტირება გაზარდა მზის, ქარის ენერგიის მისაღებად და შესაბამისი ჭკვიანი სისტემის მოსაწყობად საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმართულებით. ქვეყნის მიზანია, 100 %-ით განახლებად ენერგიაზე დამოკიდებული იყოს.

თავისი უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობისა და პირობების გათვალისწინებით, პატარა ქვეყანა კოსტა რიკა ქვეყნის ელექტროენერგიის 95%-ს ჰიდრო, გეოთერმული, მზისა და ქარის ენერგიის წყაროებიდან აწარმოებს. მისი მიზანია, მთლიანად ნახშირბად ნეიტრალური გახდეს.

ნიკარაგუამ 2012 წელს თავისი შიდა პროდუქტის დიდი ნაწილი, ინვესტიცია განახლებადი ენერგიის განვითარებისათვის ჩადო. 2017 წელს თავისი ელექტროენერგია თვითგანახლებადი ენერგიით გამოიმუშავა და მიზნად ისახავს, გამომუშავებული ენერგიის 90 %, უმეტესად, ქარის, მზისა და გეოთერმული ენერგიის წყაროებზე მოდიოდეს.

გერმანია მსოფლიოს ქვეყნებს შორის ლიდერია განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენებით. 2018 წლის პირველ ნახევარში იმდენი ელექტროენერგია გამოიმუშავა,

რომ ერთი წლის მანძილზე ქვეყნის ყველა ოჯახს უზრუნველყოფდა ამ ენერგიით. ქვეყნის ამოცანაა, 2030 წლისათვის ელექტროენერგიის 65% განახლებადი ენერგიისაგან მიიღოს.

დანია ელექტროენერგიის ნახევარზე მეტს ქარისა და მზის ენერგიისაგან იღებს. 43%-ს შეადგენს ქარის ენერგიისაგან მიღებული ელექტროენერგია, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია მსოფლიოში ქარის ენერგიის წყაროს გამოყენებით. 2050 წლისათვის 100%-ით თავისუფალი იქნება წიაღისეული საწვავის გამოყენებისაგან.

როგორ შეძლებს მსოფლიოს ნახშირბადის მწარმოებელი უდიდესი ქვეყანა, ჩადგეს იმ ქვეყანათა რიგში, რომლებიც ლიდერობენ განახლებადი ენერგიის გამოყენებითა და წარმოებით? საუბარია ჩინეთზე, რომელსაც 2017 წელს მსოფლიოში ყველაზე დიდი რაოდენობით მზისა და ქარის ენერგოსადგურები ჰქონდა. ჩინეთი ვალდებულია, 2030 წლისათვის თავისი ელექტროენერგიის 35%-ი გამოიმუშაოს განახლებადი ენერგიის წყაროებიდან და იზრუნოს ჰაერის გასუფთავებაზე.

კენია ცდილობს, გეოთერმული ენერგიის გამოყენებით გააძლიეროს ქვეყნის შიდა ენერგეტიკის როლი და შეამციროს ხარჯები და დამოკიდებულება იმპორტირებულ ძვირადღირებულ ენერგიაზე. 2010 წელს გეოთერმული ენერგიისაგან მხოლოდ 10%-ს იღებდა, დღეს უკვე ენერგიის დაახლოებით ნახევარს სწორედ გეოთერმული ენერგიის წყაროდან იღებს.

საერთო, რაც ამ ქვეყნების მაგალითებს აქვთ, ისაა, რომ აქტიურად მიჰყვებიან ამბიციურ მიზნებს განახლებადი ენერგიის წარმოებისათვის და ცდილობენ, გაზარდონ ინვესტიციები ამ მიმართულებით, მაგრამ მთავარი ის არის, რომ არ არსებობს ერთიანი გამოსავალი, მზა რეცეპტი, რადგან ეს დამოკიდებულია ქვეყნის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. თუ კენია ცდილობს, სწრაფად გაზარდოს გეოთერმული ენერგიის გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი, დანია სტაბილურად აუმჯობესებს ქარის ენერგიის გამომუშავებას, ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში. სხვა ქვეყნები, მაგალითად, მაროკო დიდ ძალისხმევას სწევს მზის ენერგიის მიმართულებით და სხვა განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენების გეგმას ადგენენ.

წყარო: ბმული

მდგრადი განვითარება

მდგრადი განვითარება გლობალური მსოფლიოს განვითარების უმნიშვნელოვანესი კონცეფციაა და მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციის ფუნდამენტური სტრატეგიაა, რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს სინთეზი ბუნების, საზოგადოებისა და ეკონომიკის - ყოფიერების სამი ძირითადი მიმართულების, რაც გლობალური პრობლემების გადაწყვეტაზე, ბუნებისა და საზოგადოების ბალანსირებულ ურთიერთობაზეა ორიენტირებული. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმარტებით, მდგრადი განვითარება არის საზოგადოების განვითარება, რომელიც ახლანდელი თაობების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა ისე, რომ არ დააზარალოს ის შესაძლებლობები, რასაც მომავალ თაობებს მათი საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მემკვიდრეობით დაუტოვებს.

იუნესკოს ერთ-ერთ მოხსენებაში მდგრადი განვითარების ამოცანები შემდეგნაირად ხასიათდება:

1. ეკონომიკური ზრდა;
2. გარემოს დაცვა, ბუნებრივი ეკოსისტემების აღდგენის თვალსაზრისით;
3. სოციალური თანასწორობის მიღწევა.

საინტერესოა, როგორ განმარტავს „საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ მდგრად განვითარებას - საზოგადოების განვითარების ისეთ სისტემას, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდასა და მომავალი თაობების უფლებას - ისარგებლონ შექცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი.“

„მდგრადი განვითარების, როგორც ტერმინის ისტორია გაეროს კონფერენციის დეკლარაციიდან (სტოკჰოლმი, 1972) იწყება, თუმცა მის ტერმინად ჩამოყალიბებამდე პროცესში ეტაპობრივად იცვლებოდა საზოგადოების,

სახელმწიფოს, ბიზნესსექტორის ცნობიერება და მდგრადი განვითარების სფეროში გარდამტეხი როლი გლობალურ მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა ითამაშა, განსაკუთრებით, ბუნება-ადამიანი-საზოგადოების ურთიერთობების გზამ, სადაც ინდუსტრიული რევოლუცია, ბუნებრივი რესურსების მტაცებლური, არარაციონალური მოხმარება, სულ უფრო ფართო მასშტაბებს იღებდა, რაც, ცხადია, ბუნებრივ გარემოს შესამჩნევად ცვლიდა, მაგალითად, ინდუსტრიულმა რევოლუციამ, როგორც პირდაპირ, ასევე, ირიბად შეამცირა მცენარეების, ცხოველების სახეობები, ბიომრავალფეროვნება, შეცვალა ბუნებრივი ლანდშაფტები, გაიჩეხა ტყეები, გაიყვანეს ხელოვნური არხები, ამოაშრეს ჭარბტენიანი ტერიტორიები.

წამოჭრილი პრობლემების გლობალურ ჭრილში განხილვა მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყება, ნაბიჯ-ნაბიჯ, ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურდებიან სამეცნიერო წრეები, ეკოლოგები, სპეციალისტები, რომლებიც თავიანთ ნაშრომებში აღწერენ იმ პრობლემებს, შედეგებს, რაც ბუნების-ადამიანის-საზოგადოების ურთიერთობებს ემყარება.

1972 წელს სტოკჰოლმში ჩატარდა გაეროს პირველი კონფერენცია, სადაც მთავარი თემატიკა მდგრადი განვითარება იყო. მსოფლიოს ლიდერებმა დასახეს მნიშვნელოვანი მიზანი, რაც გარემოს დაცვას მოიცავდა და რაზეც მსოფლიოს მოსახლეობას უნდა ეზრუნა. ამავდროულად, კონფერენციის ბაზაზე ყალიბდება გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა UNEP რომელიც დღესაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს გარემოს საკითხების დამუშავების თვალსაზრისით.

მდგრადი განვითარების ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბრუტლანდის ანგარიშს - „ჩვენი საერთო მომავალი“, რომელიც 1987 წელს გამოიცა, ანგარიშის სახელწოდება კომისიის მაშინდელი თავმჯდომარის, ნორვეგიის პრემიერმინისტრის, გრო ჰარლემ ბრუნდტლანდის საპატივსაცემოდ დაერქვა. სწორედ ამ ანგარიშში განიმარტა პირველად მდგრადი განვითარება - ვუპასუხოთ აწმყოს მოთხოვნილებებს ისე, რომ რისკის ქვეშ არ დადგეს მომავლის საჭიროებები, რაც საზოგადოების მიერ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვას გრძელვადიანი პერიოდით განიხილავს, რომლის დახმარებით მიიღწევა სოციალური და ეკონომიკური თანასწორობა.

გრო ჰარლემ ბრუნტლანი სიტყვით გამოდის გაეროს გარემოსა და განვითარების გენერალურ ასამბლეაზე 1987 წლის 19 ოქტომბერს.

მე-20 საუკუნის ბოლოს და 21-ე საუკუნის დასაწყისში თანამედროვე საზოგადოებისათვის ეკონომიკური განვითარება და ბუნებრივი გარემოს დაცვა აუცილებელ პირობად იქცა. კონცეფცია განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, იცვლება საზოგადოების ბიზნესსექტორის, სახელმწიფოს დამოკიდებულება გარემოსადმი და უფრო მეტად მიმდინარეობს მუშაობა მდგრადი განვითარების ისეთ მიმართულებებზე, როგორებიცაა სოციალური, ეკონომიკური, ბუნებრივი/გარემოსდაცვითი. წარმოდგენილი „სამყურა“ დიაგრამა ნათლად აჩვენებს მათ ურთიერთკავშირსა და კომპლექსურობას:



თანამედროვე მსოფლიოსთვის არსებული პრობლემების მოსაგვარებლად უმნიშვნელოვანესი გზა სწორედ მდგრადი განვითარებაა, რაც თავისებურად დემოკრატიულობის, სოციალური სისტემების მდგრადობის, კეთილდღეობის გარანტია. აღნიშნულის მისაღწევად ერთიანდება მსოფლიოს საზოგადოება, სახელმწიფოები, ბიზნესი; მდგრადობის მისაღწევად გათვალისწინებულია კულტურულ-ეთნიკური უნიკალურობა, ინდივიდუალურობა, ადამიანებს ეძლევათ შესაძლებლობა მშვიდობიანი თანაცხოვრების, ცხოვრების ჯანსაღი წესის, უფლებების დაცვის, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის, სიღარიბის, შიმშილობის დაძლევის, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაძლიერებისა და დამკვიდრების.

საერთო ჯამში, ამ გზის გასავლელად აუცილებელი იყო მიზნების დასახვა, რომლის შესახებაც გადაწყვეტილება 2012 წელს რიო დე-ჟანეიროში გამართულ კონფერენციაზე მიიღეს, რიო +20.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ მიზნებზე, რომლებიც მოიცავს 17 მიზანსა და 169 ამოცანას. აღნიშნულმა მიზნებმა ათასწლეულის განვითარების მიზნები (2001-2015) ჩაანაცვლა. 2015 წელს გაეროში 193 ქვეყანა შეთანხმდა დოკუმენტზე -

„ჩვენი სამყაროს გარდაქმნა - 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“. ამ მიზნების წარმატებით განხორციელება ქვეყნების პარტნიორულ თანამშრომლობასა და მათ პოლიტიკაზე, გეგმებსა და პროგრამებზეა დამოკიდებული.

მიზანი 1 - არა სიღარიბეს

2030 წლისთვის ყველგან, ყველა ადამიანისთვის უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა; უკიდურესი სიღარიბე ამჟამად იზომება იმ ადამიანების მიხედვით, რომლებიც ცხოვრობენ დღეში 1.25 აშშ დოლარზე ნაკლები თანხით.

მიზანი 2 - არა შიმშილს

2030 წლისთვის არასაკმარისი კვების ყველა ფორმის აღმოფხვრა, მათ შორის, 5 წლამდე ასაკის ბავშვებში არასაკმარისი ზრდისა და სისუსტის მხრივ, 2025 წლისთვის საერთაშორისოდ შეთანხმებული მიზნების მიღწევა; მოზარდი გოგონების, ორსულების, ლაქტაციის პროცესში მყოფი ქალებისა და მოხუცების საკვები საჭიროებების უზრუნველყოფა.

მიზანი 3 - ჯანმრთელობა და კეთილდღეობა

2030 წლისათვის დედათა სიკვდილიანობის გლობალური მაჩვენებლის შემცირება 70 შემთხვევაზე ნაკლებ მაჩვენებლამდე, 100 000 ცოცხალშობილ ბავშვზე; 2030 წლისათვის ახალშობილთა და 5 წლამდე ბავშვთა პრევენცირებადი სიკვდილიანობის აღმოფხვრა; ყველა ქვეყანამ მიზნად უნდა დაისახოს ნეონატალური სიკვდილიანობის შემცირება, სულ მცირე, 12-მდე 1000 ცოცხალშობილ ბავშვზე; 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება, სულ მცირე, 25-მდე 1000 ცოცხალშობილ ბავშვზე. ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევის მიღწევა, მათ შორის, ფინანსური რისკებისგან დაცვა, ჯანდაცვის ხარისხიანი ძირითადი სერვისების მისაწვდომობა, ასევე, უსაფრთხო, ეფექტიანი, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი ძირითადი მედიკამენტებისა და ვაქცინების მისაწვდომობა.

მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება

2030 წლისთვის ყველა გოგონასა და ბიჭისთვის სრულად უფასო, თანასწორი და ხარისხიანი დაწყებითი და საშუალო განათლების მიღების უზრუნველყოფა, რაც მათ შესაბამის და ქმედით სასწავლო შედეგებს მოუტანს. 2030 წლისთვის ყველა გოგონასა და ბიჭისთვის ადრეულ ასაკში განვითარების, ზრუნვისა და სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რათა ისინი მზად იყვნენ დაწყებითი განათლებისათვის. 2030 წლისთვის უზრუნველყოფილ იქნეს ყველა მოსწავლის მიერ მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად ცოდნისა და უნარების შეძენა, მათ შორის, მდგრადი განვითარებისა და ცხოვრების მდგრადი წესის, ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობის, მშვიდობისა და ძალადობისგან თავისუფალი კულტურის ხელშეწყობის, გლობალური მოქალაქეობის, ასევე, კულტურული მრავალფეროვნებისა და მდგრად განვითარებაში კულტურის წვლილის აღიარებისაკენ მიმართული განათლების მეშვეობით.

მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა

ქალებისა და გოგონების მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა. ყოველგვარი

მავნე პრაქტიკის აღმოფხვრა, როგორიც არის ბავშვთა ქორწინება, ადრეულ ასაკში და იძულებით ქორწინება.

მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია

2030 წლისთვის ყველა ადამიანისთვის უსაფრთხო და ხელმისაწვდომ სასმელ წყალზე საყოველთაო და თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა. 2030 წლისთვის ყველა ადამიანისთვის ადეკვატურ და თანაბარ სანიტარულ და ჰიგიენურ პირობებზე წვდომის მიღწევა და ღია დეფეკაციის აღმოფხვრა, საგანგებო ყურადღების მიპყრობით ქალებისა და გოგონების, ასევე, მოწყვლად სიტუაციებში მყოფი ადამიანების საჭიროებებისათვის.

მიზანი 7 - ხელმისაწვდომი და სუფთა ენერგია

2030 წლისთვის ხელმისაწვდომ, საიმედო და თანამედროვე ენერგომომსახურებაზე საყოველთაო წვდომის უზრუნველყოფა. 2030 წლისთვის მნიშვნელოვნად გაიზრდება მსოფლიოში არსებულ ენერგიებს შორის განახლებადი ენერგიის წილი. 2030 წლისთვის ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების გლობალური მაჩვენებლის გაორმაგება.

მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა

ერთ სულ მოსახლეზე ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება ეროვნული გარემოებების შესაბამისად. განსაკუთრებით, მთლიანი შიდა პროდუქტის, სულ მცირე, 7%-იანი წლიური ზრდა ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში.

მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

ინკლუზიური და მდგრადი ინდუსტრიალიზაციის ხელშეწყობა და 2030 წლისთვის დასაქმებასა და მთლიან შიდა პროდუქტში მრეწველობის წილის მნიშვნელოვანი ზრდა, ეროვნული გარემოებების გათვალისწინებით და მისი წილის გაორმაგება ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში.

მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა

2030 წლისთვის მოსახლეობის ქვედა 40%-ის შემოსავლის ზრდის თანდათანობით მიღწევა და შენარჩუნება საშუალო ეროვნულ განაკვეთზე მაღალი განაკვეთით. 2030 წლისთვის ყველა ადამიანის გაძლიერება და სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ჩართულობის ხელშეწყობა, მიუხედავად ასაკის, სქესის, შეზღუდული შესაძლებლობების, რასის, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის ან ეკონომიკური თუ სხვა სტატუსისა.

მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება

2030 წლისთვის ყველასთვის ადეკვატური, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი საცხოვრისისა და ძირითადი სერვისების უზრუნველყოფა და მჭიდრო ღარიბი საცხოვრისების (ბარაკების) განახლება. 2030 წლისთვის დიდ ქალაქებში ერთ სულ მოსახლეზე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება, მათ შორის, ჰაერის ხარისხისთვის და მუნიციპალური და სხვა ნარჩენების მართვის საკითხებზე განსაკუთრებული ყურადღების დათმობით.

მიზანი 12 - გონივრული მოხმარება და წარმოება

2030 წლისთვის, ნებისმიერ ადგილას მყოფი ადამიანებისთვის შესაბამისი ინფორმაციისა და ცოდნის უზრუნველყოფა მდგრადი განვითარებისა და ბუნებასთან ჰარმონიული ცხოვრების წესის შესახებ.

მიზანი 13 - კლიმატის მდგრადობის მიღწევა

კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართული ზომების ინტეგრირება ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტებში, სტრატეგიებსა და გეგმებში.

მიზანი 14 - ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და მუდმივი გამოყენება განვითარებისათვის

2020 წლისთვის თევზის რეწვის ეფექტურად რეგულირება და ჭარბი, უკანონო, აღურიცხავი და არარეგულირებული თევზჭერისა და თევზჭერის მავნე პრაქტიკის აღმოფხვრა, ასევე, მეცნიერული საფუძვლის მქონე მართვის გეგმების განხორციელება იმისათვის, რომ აღდგეს თევზის მარაგი შესაძლო უმოკლეს ვადაში, სულ მცირე ისეთ დონეზე, რომ შეიქმნას მაქსიმალურად მდგრადი რაოდენობა, როგორც ამის საშუალებას იძლევა თევზების ბიოლოგიური მახასიათებლები.

მიზანი 15 - დედამიწის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და მდგრადი გამოყენება, ტყეების გონივრული მართვა, გაუდაბურების აღკვეთა, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება

2030 წლისთვის სახმელეთო და შიდა წყალსატევების ეკოსისტემებისა და მათი სერვისების, კერძოდ, ტყეების, ჭარბტენიანი ტერიტორიების, მთებისა და გამომშრალი მიწების კონსერვაციის, აღდგენისა და მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა საერთაშორისო შეთანხმებებით აღებული ვალდებულებების შესაბამისად.

მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტური, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე

ძალადობის ყველა ფორმისა და ამ მიზეზით გამოწვეული სიკვდილიანობის შემთხვევათა რაოდენობის მნიშვნელოვნად შემცირება ყველგან. საზოგადოებისთვის ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვა, ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად.

მიზანი 17 - პარტნიორობა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად

2020 წლისთვის შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა განვითარებადი ქვეყნებისთვის, მათ შორის, ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისა და მცირე კუნძულოვანი განვითარებადი სახელმწიფოებისთვის; შემოსავლის, გენდერის, ასაკის, რასის, ეთნიკური წარმომავლობის, მიგრაციული სტატუსის, შეზღუდული შესაძლებლობების, გეოგრაფიული მდებარეობისა და შესაბამის ეროვნულ კონტექსტებში არსებული სხვა მახასიათებლების მიხედვით კლასიფიცირებულ ხარისხიან, დროულ, სანდო და დეტალურ მონაცემებზე წვდომის მნიშვნელოვნად გაზრდის მიზნით.

მდგრადობის კომპასი

მნიშვნელოვანია, როგორ უჭერს მხარს გაერო მდგრადი განვითარების მიზნებს საქართველოში, როგორია ქვეყნის გეგმები და დასახული მიზნები მდგრადობის მისაღწევად. მას შემდეგ, რაც მსოფლიო ლიდერები შეთანხმდნენ მდგრადი განვითარების მიზნებზე, საქართველომ დაიწყო სამოქმედო სტრატეგიის ჩამოყალიბება, რომელიც მნიშვნელოვანია ეროვნული დონის განვითარების გეგმებისათვის. საქართველო იყო იმ პირველ ოცდაორ ქვეყანას შორის, რომელმაც წარმოადგინა ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად, 2016

წელს მდგრადი განვითარების პოლიტიკურ ფორუმზე. ქვეყანამ მიიღო გადაწყვეტილება მდგრადი განვითარების მიზნებისა და ინდიკატორების კორექტირებისა ეროვნულ დონეზე არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. განსაკუთრებით გამოკვეთა პრიორიტეტები: ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა, ეკონომიკური ზრდა, ჯანდაცვა და კეთილდღეობა, გარემოს დაცვა. 2017 წელს საქართველოს მხრიდან ჩვიდმეტივე მიზანი პრიორიტეტად გამოცხადდა. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია არის ის მთავარი უწყება, რომელიც პასუხისმგებელია მდგრადი განვითარების ეროვნულ დონეზე კოორდინაციასა და განხორციელების ზედამხედველობაზე. გაერო, საქართველოს მთავრობასთან ერთად, უძღვება მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ საბჭოს, რაც გარანტია მიზნების მიღწევისა და საქართველოს წინსვლისა. საბჭოში შედიან მინისტრები, გაეროს სააგენტოების ხელმძღვანელები, კერძო სექტორის, ორგანიზაციების წარმომადგენლები, საერთაშორისო ორგანიზაციები.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ:

საქართველოს მიღწევები მიზნების და დასახლების ტიპის მიხედვით. –

ბმული

ბმული – ინტერაქტიული რუკა, აქტივობების მიხედვით, საქართველო